

ქართული ენერლოგა

წიგნი მეორე

ბანუ. I. ახალი საუნჯე: 1. აღწერა. 2. პეტრიწი და მისი ნაწერები (V). 3. სერაპიონ ზარზმელი (XLIV—LXIV). სამცხე-კლარჯეთის მოღვაწენი: ცხოვრება და მოქალაქობა ლმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი (1—46). სია ძეგლის საკუთარ სახელებისა (47). ანდრია მოციქ. მიმოსვლა (49). ბანუ. II. ჩემი უნისუნებნი: ჰსკაველი იყო და არა ჰსკავილი. (54). ჰირკანია-ყუბა-ალანეთს გაიგზავნა მისიონერები და არა საქართ. აფხაზეთს (59), მარჩის „არქაუნის“ გამო (66), რა საქირო იყო უნდილის მასალის გამოლაგება (77), ქართული ნამდვილიც ყალბად ჩნდება (80), „ივერიის“ გამო (82), ქართ. ენის „სემიტურობისა“ და სხ. კითხვების გამო (86), სვეთიაში მყოფი საქართველოში ყოფილა (102), ევსტათის წამებისა და უმეფობის გამო ისევ (108), დიდგარიანი იყო და არა მდაბიოთაგანი (119), 100 და არა 8070 (121), ჯავახიშვილის ერთ წერილის გამო (123 . (დამატება). Греть обь эпохъ Тамары (133), О происхождении груз. классиковъ (148), Катани (172), Тамара Вел. и Тамара греческая (174).

ტფილისი

მსწრაფლ-მბეჭდავი ამბ. „ზრომა“, რუსის ქუჩა

1909

ამ წიგნში პატივცემული მკითხველი ნახავს ახლად აღმოჩენილ კრებულის აღწერას, ფილოსოფოს იოანე პეტრიწის ნაწერების განხილვას, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება-მოქალაქეობას, ანდრია მოციქულის მიმოსვლას და მერე ჩვენს შენიშვნებს სხვა და სხვა კითხვების შესახებ და თვითონვე დააფასებს მთელს ამ მასალას, პირუთენელ მსჯავრს დასდებს მის საყურადღებოდა და საგულისხმიეროდ წარმოდგენილს კითხვებს საქართველოს წარსულიდამა მარტო თუ ქართულ—სომხურ ურთიერთობიდან საზოგადოდ. მხოლოდ „ჩვენი შენიშვნების“ დაფასების გასაადვილებლად მოვაგონებთ მკითხველს აკადემიკოს მარის დიდებულ მგოსნის აკაკისადმი მიმართულ სიტყვებს «Ученый пересталъ бы быть ученымъ съ момента, когда онъ рѣшилъ бы скрыть научную правду потому, что она, положимъ, оказалась бы вредною его сородичамъ, не говоря уже о томъ, что если и можетъ произойти вредъ, то не отъ правды, а отъ игнорированія ея» («Нов. Об.», 4892) და აგრეთვე რუსთაველის ნასიბრძნს „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმნ ხმელსა ნელადა“. ჩვენს შენიშვნებს წაუუმძღვარეთ სწორეთ ეს საეპიგრაფო სიტყვები და აგრეთვე კიდევ, როგორც ყოველთვის, ლათინური მარად დაუქნობელი თქმულება—*Amicus Plato, sed magisque amica veritas.*

მ. ჯანაშვილი.

ახალი საუნჯე.

1. აღწერა საუნჯისა (ხელნაწერა № 69)

რამდენი ახალ-ახალი საუნჯე ჩნდება და რამდენი კიდევ გამოჩნდება!

შარშან ამდროს, ვასრულებდი-რა ჩემს შრომას—ქართულ სახარების ტექსტი ურბნისის კოდექსისა და სხვა ძველ ქართულ ვარიანტებისა შედარებით ბერძნულ, ლათინურ და სომხურ თარგმანებისა“, მომიხდა იოანე პეტრიწის ნათარგმნ სახარების შესწავლა. ვათვალიერებდ-რა პეტრიწის ნამღვთვარს, ერთს კრებულში მის „პროკლე დიადოხოსის“ ბოლოში ვნახე ცალკე წერილი, რომელიც მოგვითხრობდა დღემდის უცნობ სერაპიონ ზარბჰელის და, საზოგადოდ, სამცხე-ჯორჯეთის მოღვაწეების ცხოვრებას და, რახან ეს მოთხრობა ფრიად საყურადღებო აღმოჩნდა, ჩვენ იგი სრულად გადმოვწერეთ ნაშრომში“ და აბეჭდად და ჰა და გზა თვით ხელნაწერიც, შეძლებისამებრ, საფუძვლიანად შევისწავლეთ (ჩემს Древлехранилище-სა (გამოც. 1898 წლ.) და თ. ჟორდანიას კატალოგში (გამოც. 1902 წლ.) № 69-ისთვის ნაძღვენია მხოლოდ ორად-ორი სტრიქონი, ისიც სერაპიონის ვინაობის და ნამოქმედარის აღუნიშვნელად!

ჩვენი კრებული (30×20,5 სანტ.) ეკუთვნის საეკლ. მუხუემს (№ 69), დაწერილია თეთრ და სქელ ქაღალდზე ლანახის ხუცურით. მასში სულ 278 ფურცელია 243 ფურცლამდე მიჰყვება თხულებსა „პროკლე დიადოხოსი პლატონისური ფილოსოფოსისა კავშირნი ღუთის მეტყუპლებითნი,“ და ამის შემდეგ ორ-სვეტად ბოლომდე მოთხრობა „ცხოვრება და მოქალაქობაჲ ღმერთშემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისაჲ სერაპიონისი“. ჟორდანიას მთელი კრებული მიაჩნია

მე-XIII საუკ. წიგნად, მაგრამ შეცდომაა: წიგნის ხელი მე-XVII საუკუნისაა. პირველ წერილის ბოლოში მხედრულ ასოებით ხვეულად გამოყვანილია: „შემოქმედელი“. ეს ცნობილი ხელია შემოქმედის მიტრაპოლიტის იაკობ ღუმბაძისა. ამნაირივე მისი ხელი გვხვდება იქაურსავე კრებულ „ფურცლარში“ (მუხ. ხელნაწ. № 691, გვ. 516). იმავე ფურცელზე ტექსტის მიყოლებით: „დავათავე წიგნი ა. ა. (ხვეულად) არჩილ“. იმავე ხელით 217 ფურცლის აშიაზე: „ძალითა ღთისათა დავასრულე. ა“. კრებულის ბოლოში: „ღმერთო ყოვლის მპყრობელო, წარმართე ყოველი საქმე მეფის პატრონის არჩილისა. ამინ“. აქ ყველგან იგულისხმება არჩილ მეფე, რომელიც კახეთსა და იმერეთში მეფობდა (გამეფდა 1664 წ.). რახან არჩილი გარდაიცვალა 1712 წ. და ღუმბაძე იაკობიც მაშინ ცოცხალი აღარ იყო (თ. ჟორდანიას, ქრონ. 1, გვ. 304), მათ ხელში მყოფი ჩვენი კრებულიც მანამდე გადაწერილი იქნებოდა.

პირველი წერილის გადამწერლები თავიანთ თავს ასე გვაცნობებენ: „ვიმამ დამისკულა და გაირსო. ღვთისათვის, გეგედრები წეკვას ნუ ჰყოფთ უღირსისა ზაქარიასთვის, უფაღია ჩემნო“ (ფ. 57 ბ); „ჰ მე რა მწვე კელი წამიკდინა ამ ქაღალდმან“ (ფ. 68 ბ); „ღო, ცოდვილი მანაჲ ოფუღისაჲ აბუღღიაშვილი ზაქარიაჲ შეიწკაღე“ (ფ. 126); „ვიდრე აქამოდე ეღ უღირსმან მღღელმა ზაქარია ვიდუაქე და აქათით ვიდრე დასასრულამდე ერისაგანმან ძმამან ჩემმან ზაზუნამან“ (ფ. 136). — მათი შესახებ სხვა ცნობა ჩვენ არსად შეგვხვდრია. საიდან იყენენ და როდის, სახელდობრ, ცხოვრობდნენ, არ ვიცით.

სხვა მინაწერები:

დასაწეისშივე სხვა და სხვა მხედრულ ხელით:

ა. ესე მომისესება: ვოისტინი. (!)

ბ. სურვილით გჩხრეკე წიგნსა მას:

ვეტრეკე, თუმცა მიტრფილა

ღრმად მანაშებს ჰლატონ, სოკრატ,

პარმენიდც შორს მიფრიალა.

ესე ჰროკლე დიადოხოს
 იოვანემ *) მიკმიანს

(დ) მათს აჩრდილსა აზზეებენ,
 სრულად სმენად მივიანს.

გ. მოქენე: შონაჟი

აღმოსაჩენი: დედილი: (?)

დ. (გადამწერის შენიშვნა): ვის არა აქვს თნებაჲ სიბრძნისა, ჰსაგს წიგნი ესე.

ე. (თ. 54, მხედრულად): დიადოხოს მდრმელობს, იოვანე *) ჩემ კერძ მთქმელობს.

ვ. (ფ. 58, გადამწერის ხელით): სსოლიონთა შინა შესმა საქმენი გულის კმის უოფად მთმეუანებულნა.

ზ. (ფ. 77, გადამწ. ხელით): წეეფლ იყავნ... (ამოფხეკილია სახელი) სული და კორცი, რაჲ კარგი მწერლის ჰატიევი სტოდნაჲ ამინ. მისმა ჟაფერმა შემეძალა.

ც (ფ. 85, გადამწ. ხ.): გეკერები, შემინდვიოი,
 რატა ოდენ დავაშავე;
 ეს ბრწეინვალე მოვლანი
 კაღმის წვერით გავაშავე.

თ (ფ. 111, გადამწ. ხ.): ჳმე, რაჲ ძინად საგულის ხმოაჲ!

ი (ფ. 126, გადამწ. ხ.): ჳ კავშირო, შენგან განსჯილ-
 წამებულსა: რაჲ საჯირო უოფილხარ შენ!

იბ (ფ. 132, გადამწ. ხ.): დიდებაჲ ედ შეუტრადებულსა სა-
 მებასა წმიდასა, რომ მოგჩი, კავშირო! ჳმე, კავშირო, შენგან
 ტყუელ ქსნილსა და ედ განუსუტნებულსა!

იგ (ფ. 203, გადამწ. ხ.): აქა დედასა იურტელი აკლდა.

ივ (ფ. 239, გადამწ. ხ. ასომთავრულით): იოვანე ფილო-
 სოფი.

იღ (იქვე გადამწ. ხ.):... (ამოფხეკილია მთელი სტრიქონი)
 ჩუენ იმისგან დავგაჟლდა, იმღენიმღ ღუთისა და კელმწიფის წა-
 ღობაჲ იმას დააკლდების!

*) იგულისხმება ი. პეტრიწი.

იე (ფ. 242, მსკდ. ხ.): გრიგოლი დიდისა ღუთის მეტეველისა მიერ აუღიანეს განჭიქებას შინა ვრცელად წარმოიქმნული ელნით მუხლანობა.

(ეს „მუხლანობა“ ანუ თქმულება ბერძენთა ღმერთების შესახებ სრულად დატყუალია მეზეველის ხელნაწ. № 161).

ივ (ფ. 243, მსკდ.): ქ. დაგათაგე: წიგნა: ესე: ა: ა: ა რ: ი: ი: ლ.

იზ (იქვე, მხედრულად): „კითხვით დაკათაგე სმენითაჲც ღუთით კამთავებელმან უღარსმან, რომლასა კელა მხადგულთაგან იტნობების (ხვეულად) შეემაქმედელი. იმდენი უნი ცხადებებ, რამდენც დაგრა, თვამ რაც თქვენი წიგნი გეკათხათ, იგი ჩვენიც გვეწნობა და ესეცა, მაგრამ სრულიად სმენა ამისი შექმდებულან.“

იპ ბოლოს, არჩილის ზემომოყვანილ მინაწერას შემდეგ არაბულად ორჯერ ლოცვა წმიდაო ღმერთო“:

سوس الله قدوس القوي قدوس

س الوى لا عوف الرحمن

მინაწერები და შენიშვნები ამით არ თავდება. ზოგი მათგან, როგორც ზევით აღნიშნულები თ და იზ, შეიგნებინა პროკლეს „კავშირის“ შეგნების სიძნელეს. ერთი სწერს: „ძნელად გულის ხმის საყოფელო ხარ და ძნიადაა გულის კრის ზყოფელი“. მეორე (277 ბ):

„ესე იგავითი არს ყოველთა ამპარტავანთა, რომელთა ვერ გულის კმა ჰყუეს ღუთისა, თუ ვითარ ჯერ არს სვლა გზასა ღუთისასა სიძნადლითა მით გამოუთქმელითა. ამისთვის დააღრმო ღმერთმან კაცთა მიერ ბრძენთა ამის სოფლისათა, რათა წსგავსთავე კაცთა სოფლის მოყუარეთა დაეყოსთ პირი და ვერ გულის კმა ყონ საიდუმლო ღუთისა და დაშთენ სოფლის საქმეთა შინა სულითა დასჯილნი“.

„კავშირის“ დიდის ყურადღებით მოჰქცევიან სხვებიც და აზიებთა თუ შიგ ჩადებულ ქალღმერთებზე უწერიათ თვისი შენიშვნები, აუხსნიან ესა თუ ის ადგილი და სიტყვა. სიტყვების ახსნა-განმარტება ეკლთენის ქრისტეფორეს, მგონია, კათალიკოზ ქრისტეფორე ურდუბეგაშვილს (1639—1660 წ.):

ერთს განმარტების ბოლოს თავის სახელს მღვდელმთავრულ ჯვარით ასრულებს. მის ახსნილ სიტყვებს ვებქდავთ ქვემო.

2. ზრგელჲ დიადოსს „კავშირი“ ზეტრიწის თარგმნიოთ და განმარტებით. ზეტრიწის აღზდა. ზეტრიწი. ნეოზჲატანიკნი. ზეტრიწონეულები. ზეტრიწის ნაწერნი და იარგმანნი. ზეტრიწის მოწაფენი და შამღეუარნი. ზეტრიწის მიფიწეება შავბსელ დროს და მისი შესწაჲდის გაცხოველება აღორძინების ხანას (XVII სუჲე. გასუჲე—XVIII ს. 1-ლ ნახეჲ.). ამ დროის ნაცარქეჲიები და ზეტრიწის „კავშირი“. „კავშირის“ მართლქერა. ტექსტიბი ზეტრიწის „კავშირიდამ“. მისი ბოლასიტკვაობა. ქრისტეჲორჲე მამადმთავრის და სხას მიერ კავშირიდამ ამოდებელ სიტუჲების განმარტება.

„კავშირის“ შეადგენს მანგუნებელი შინაარსისა. წინასიტყვაობა (1—2), შესავალი (2—6), ტექსტი (6—217) და ბოლოსიტყვაობა (217—343). მანგუნებლის ცბრილი გაყოფილია ათ სრედ და ყოველ სრეში ქართულ ასომთავრულებით ჩაწერილია, თუ „კავშირში“ სად და სად და რაზედ არის მსჯელობა. სრეებს ასეთი სათაურები აქვს:

- ა. მრავალ სახადგომსა ერთისათჲს
- ბ. ზიწველისა სხედგომისა და ზირველისა უსზდგომსათჲს
- გ. სადმრთაჲს და ერთებრივისა რიგხსამათჲს
- დ. ნამდელ შერევისაჲ ზირველისაჲ არსებისათჲს
- ე. გონებისა და გონებაათჲს
- ვ. სეღისა და სეღთათჲს
- ზ. ზირველისა სხეულისა ცისა და ცის შორისთათჲს
- ტ. ხატთა ხატის, ხატთა და იკავთადოჲს
- თ. მხოლოთა რიგხუთა ერთისა და სიმწველისათჲს
- ი. სირამათა წარმ. თხზვისათჲს.

სრეებში ყველა რიცხვები ასომთავრულით ჩაწერილია. ამას მიჲყვება შენიჲნვა ტექსტისავე ხელით: „აჲ მესწავით-

გან თანა შთამომავალ, არცა საარგმანთა და მთარგმნელთა მიერ რიგხუნდნი ესე საძიებელთა, არამედ ახლად ვისკანმე რამჟე მოპოვნებულ არიან, დაღათუ არავე სრულიად უკმარა არიან“.

ამ შენიშვნას მიჰყვება (ორ გვერდზე) წინასიტყვაობა.

შესავალის სათაური სინგურიით; „ზოროქლე დიადოხოსი ჰლატონურისა თილდოსოფოსისა კავშირნი ღუთის მეტყუწლებითნი“ (ამის „ა“ დაუბეჭდია ნ. მარს ააფისის „I. Петруик.“ 18—28 გვ.). აქ ავტორი მოიყვანს ცნობებს ჰროკლეს შესახებ, სსნის სიტყვას „კავშირი“ და ჰოკლედ შეეხება წიგნის შინაარსს. შესავალის ბოლოს აშინაყ სინგურითვე და ტექსტის ხელით ასეთი შენიშვნაა:

„აქ. რასა ვწერ ანუ რასა გლას ვმოქმედებ! გარნა გვსწავიეს გუნდთაგან თეორიად (თერიად) და წარმოესტყუწნავ ეოველსა ძალსა ქრისტეს მიერ. ამის წიგნისგან წარწყმდა სამგზის წიგნული არიოზ და ამისგანვე განათლებულთა სამგზის მოიკეს ღუთისმეტყუწლებისა სახელი დიდთა ბრძენთა დიონოსი და დრიდორი და ვასილი და სხუთათა ვიეთმე: შენ გონებად განწყმდილი მოიკე ღუთისა მიმართ და საზღვარსა მამათა წმიდათასა ნუ გარდაჰვლდნები და არა საცთურ გეჭმნეს“.

ტექსტის სათაური სინგურიითვე: „ზოროქლე დიადოხოსი ჰლატონურისა თილდოსოფოსისა კავშირნი ღმრთის მეტყუწლებითნი. თავნი ორას და ათ ერთნი“. (პირველი და უკანასკნელი თავების ნაწილი იხ. ნ. მარსის იმავე თხზულებაში—გვ. 27—31).

პროკლეს შრომის ყოველ თავს მიჰყვება იოანე პეტრიწის განმარტება და შესწავება. პროკლეს ნათხზს ყველგან წინ შიავში (წერტილით მოხაზულობაში) უზის ასომთავრული ჰ, ხოლო იოანესას—ასომთავრულივე ი. ამ ასოების შესახებ პირველი თავის დასაწყისშივე (გვ. 6 ბ) შენიშნვაა ტექსტისავე ხელით:

„შეისწავე, რამეთუ ესე წიგნი, კიმენ-სხოლიოდ აღნაწერი, ამისთჳს თანა ჩართვით დავწერეთ, რათა მწყრალთა და შკითხულთა გაუადვილდეს და ვითა დედასა ეწერა, ეგრე შეუცვალებულად და გვიწერია აქაცა და რამელი ჰროკლესია, ჰარი დაგვსვამს (იავსა

შიავი წითლითა შემოცუდი) და რამეღი იოანესია, ინი: რათა
 არათავე ფილოსოფოსთა სიტყუაჲ თჳს-იჳს იცნობებოდეს“.

ტექსტში აქა-იქ აკლია მთელი სტრიქონები და ანუ სი-
 ტყვები (იხ. გვ 111, 112 და კიდევ ორგან-სამგან სხვაგან).
 აშიებზე ტექსტის ხელით მიწერილია თითქმის ყოველ თავისა
 და განმარტების სისწვრივ: „შეისწავე“, „შუენიერი“, „ჩაი-
 გემე“, „იხილე“ და სხ.

ბოლოსიტყვაობა იწყება 217 ფურცლიდამ. იგი მთლად
 ეკუთვნის პეტრიწის კალამს. მასში პეტრიწი ღვთისმეტყვე-
 ლურს კამათში შედის, ლაპარაკობს მოკახმულ და მორათულ
 საუბრის შესახებ. ემდურება თანამედროვეთ, რომ აზრი ვერ
 გაუგეს და სხ. ამის ნაწყვეტსაც ვებქდავთ ქვემო.

პ. პეტრიწის ენის „დაღრმავება“ ანუ სიმძიმე წარმოსდგა
 თვით „კავშირის“ „სიღრმით“. „კავშირის“ ავტორი პროკლე
 დიადოხოსი (V ს.) ნეოპლატონიკი იყო. ნეოპლატონიკნი ანუ
 პლატონისნი ეკუთვნოდნენ ალექსანდრიის ფილოსოფიურ სკო-
 ლას. ქრისტიანობის მიერ უკუგდებულ მითოლოგიას იგინი არ
 უარჰყოფდნენ, პირიქით მის თავისებურ განმარტებით მეცადინე-
 ობდნენ, იგი შეეწყაო ბერძენთა და, საზოგადოდ, აღმოსავლეთ-
 თის ფილოსოფოსების ნასიბრძნთან, დაედგინათ სარწმუნოებრი-
 ვი მსოფლმხედველობა შესახებ მარად დაუქნობელ ღმერთებისა,
 შესახებ სამარადისო შეენიერებისა და მსოფლიოს ნეტარებისა.
 მოთავე ამ მიმართულებისა იყო პლოტინი, მოწაფე ამმონიოს
 საკისა. იგი ასწავლიდა, მთავარი საფუძველი და არსება ყო-
 ველის არსისა გონებით გამჭვრეტელობაზე უწინ იცნობები-
 სთ სულიერ გამჭვრეტელობით. პირველ ყოფილ სინათლის
 გამოჩაქვირი არისო ღვთაებრივი გონიერება, რომლისაგან გა-
 მოსჩქეფს ბუნების ყოველ ძალთა წყარო. კაცთა სულნი გამო-
 მდინარებნო ღვთაებრივ გონიერებისგან და ცდილობენ მასვე
 დაუბრუნდნენო. პლოტინის (III ს. ქრ. შ.) მიმყოლნი იყვნენ
 პორფირი, იამბლიხოსი, იელიანე იმპერატორი (361—383
 წ.) და პროკლე დიადოხოსი, რომელიც ამბობდა, მე ვარო

უსაღლოესი განმმართველი მსოფლიოს ყველა ფილოსოფოსებისა.

ოვით პლატონი დასაბამად ყოველ არსისა სთვლიდა ღმერთს, მა ჰერკლას და აზრებს. არსებობენო მხოლოდ აზრები, პიროვნება კი მხოლოდ აჩრდილიაო. გრძნობა კუთვნილობაა პიროვნებისა, აზრები კი გონიერებისა. ზნეობრივობა, პოლიტიკა და ხელოვნება უნდა ემსახურებოდეს კეთილს, მშვენიერებას, სიმართლეს. არსებობსო სამი სული: გონიერი თავში, უგუნური—კუცელში, ფიცხი—გულში...

ამათმა სწავლამ გაიტაცა ჩვენი იოანე ქიქვიძე. „კავშირში“ იგი სარგებლობს ბერძენთ ყველა ფილოსოფოსების ნაწერებით. იამელიხოსი, პლატონი, პლატონი, სოკრატე, არისტოტელი, პორფირიოს და სხ. მისი საყვარელი ფილოსოფოსებია. ნეოპლატონისმა მოხიბლა ჩვენი დიდებული ქართველი. აღმოსავლეთ-დასავლეთის ფილოსოფია განსკვრიტა ნეოპლატონიკა თვალთხედვით. მან დაჰბადა ჩვენში ახალი ფილოსოფიური მიმართულება და მისთვის, თითქმის მარტომ, შეჰქმნა ახალი ენაც, ღრმა, მაგრამ პეტრიწული. იოანეს მსოფლმხედველობამ გაუადვილა ქართველებს გადმოგონებათთვის სამშობლოში აღმოსავლეთის, განსაკუთრებით—პარსეთის. სამწერლო ყვაილებთან ერთად ბერძენთა, არაბთა და სხ. გონებრივი ნაღვაწ-ნაშრომი. ბევრი მხრივ იგი შეიქმნა წინამორბედად შავთელისა, ჩახრუხაძესი, რუსთაველისა, თმოგველისა და სხ.

ვისი შვილი იყო პეტრიწი, არა სჩანს. ვიცით მხოლოდ მისი ძმის, მისებრ მოფილოსოფოსოს, სახელი პავლე. არ დარჩენილა აგრეთვე ცნობა შესახებ იმისა, თუ სად ისწავლეს მათ თავდაპირველად, საფიქრებელი კია მაშინდელ დროის საქართველოს ერთერთ სამეცნიერო კერიაში—პარხალს, ოპიზას, ტაძრისს, ზარზმას და ანუ თუ სხვაგან, იყალთოსა, გრემსა თუ ბედია—ბიქინტას და ანუ საზღვარ გარეთ, ათონსა, წმ. ქვეყანასა და ანუ თუ მაკედონიაში—პეტრიჩს. ეს ერთი კი ყველამ იცის, რომ იოანეს დავაშკაცებისას უმოღვაწეა

ამ პეტრიჩს და მისგან დარქმევია პეტრიწი, პეტრიწონელი.

მონასტერი პეტრიჩი დღესაც არსებობს მაკედონიაში, ფილაპოპოლიდამ 30 ვერსის მანძილზე. ჩეპელდერეს ხეობაში, დაბა ბოჩკოვოს (იხ. მის შესახებ იქიღვან გამოგზავნილი ცნობა „დროებაში“, 1878, № 153). „პეტრიჩ“ სლავიანური სახელია. ალბად წინად აქ იყო წმ. პეტრეს საყდარი. ან და ეს მამული ეკუთვნოდა ვინმე პეტრეს. ჰეტრაინ-მა ქართველეს ბის გამოთქმაში მიიღო ფორმა პეტრიჩი=პეტრიწი.

აზრის მიხედვით პეტრიწი, ვით სლავიანური პეტრიჩი, ნიშნავს პეტრესეულს, პეტრესაგანს, ხოლო პეტრაწონელი (სლავ. პეტრიჩან-იღამ) ადგილის მაჩვენებელი სახელია. აგრე იწოდებოდნენ პეტრიჩის სხვა მამებიც, მაგ. დავით პეტრიწონელი, ნიკოლა პეტრიწონელი და სხ.

პეტრიჩს მონასტრის საფუძველი, ალბად, დაიდო იმ დროთაგანვე, როდესაც ულუქპოს. რომანას და შემდეგ ათონს მოედინენ ქართველთა მოღვაწენი. 1010 წელს აქ მოღვაწეობდნენ არსენი და დავით პეტრიწონელები, რომელთაც თარგმნეს ი. დამასკინი, ანასტასი სინელი, ნიკიტა სტოდირი, თომა იერუს., ფილოსოფოსი პსალლი და ევსტათი ნიკიელი. (Описъ, 53). 1083 წელს აქვე მოღვაწეობდა დიდებული ქართველი გრიგოლ ბაკურაანისძე. მან აქ დააფუძნა სასულიერო სემინარიაც ქართველ ყრმათა აღსაზრდელად. ალბად, ამ საქმეში მას შეელოდა მისი ძმაც აბაზი ივინი ერთად იხსენებიათ ათონის ალაპებში: „უყუეს იანვარსა ქმ ალაპა არს გრიგოლ და აბაზ ბაკურაანისკუთამა. და უოჯდითა გუჯსმოადგინებითა კარდაიკუდებოლენ ქალისკებრ მათისა მსკერსკადობისათუსცა და ცოდვათა შენდობისა (ათონ. კრ., 225).

აბაზ ბაკურაანისძევე ათონის ლავრას შესწირა ჯორები, ცხენები, სტაერაჲ და დრაჰკანი სტამენონი ექუსთავი 310 (იქვე, გვ 243).

გრიგოლ ბაკურაანისძეს დიდი თანამდებობა ებარა პიზანტიაში. იგი იყო „სევასტოსი“, მთელის დასავლეთის „დონესტკოსი“. ერთხანს მას ებარა აგრეთვე სარდლობა აღმოსავ-

ლეთის ლაშქრისა. აღპ-ასლანი რომ ანისს გარემოაღდა, აქ მაშინ ქალაქის მმართველად ბიზანტიელთ მხრივ იყო ეს ჩვენი გრ. ბაკურიანისძე (ვახუშტი, 2 შენ. ბაქრაძისა. გვ. 170).

გიორგი II (1072—1089) ცხოვრების დასასრულს ვკითხულობთ: „მოვიდა სარანგი ძალითა სულტანისათა... დიდი ძლევა მოსცა ლპერთმან გიორგის. წარვიდა მეფე გიორგი მამულსა თვისსა ტახს და მოვიდა ბანას. ხოლო მუნ მოვიდა წინაშე მათსა ზორვარი აღმოსავალისა გრიგოლი ბაკურიანისძე, რომელსა ჰქონდეს ოღთისსნი, კარნუ-ქალაქი (=არზრუმი) და კარი (=ყარსი), და დიდად განიხარეს და განისვენეს; და მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქვეყანა და განიყარნეს“ (ქართ. ცხ., 236).

ცნობილია აგრეთვე მეორე პეტრიწონელი—ნიკოლა, თანამედროვე ათონის ლავრის წინამძღვრის იოანესი (მე- XII საუკ. დამდეგს). ათონის ლავრის მე-141 ალაპი მისთვის დაწესებულია. „აუგეს დეკენბერსა ში დღესასწაულსა წმ. ნიკოლაოსისსა განუწესეთ. საკსენბუღი ნიკოლას პეტრიწონელს მამასა: მოკუცა ეკლესიისა საბურავად ნ პერპერატი და კუაღად გამოგზავნა სსუად ა, და მოვიდა მონასტერს და მოკუცა პურასათს დუკატი ში და ბჟორნი ღაგამ-უნაგრითა, და კუაღად მოსცა ეკლესიასავე სსუად დუკატი იბი და ტრიაკეფალი ახალი ნ. ამისთს დაგაწესეთ მე, მამამან იოანე და უოგელთა მმათა, რათა გუდსმოდგინედ გარდაიდებოდის საკსენბუღი მისი ნუგეშინისცემითა მმათაღთა, და ვინ უკუდუბელს უოს, დმერთს მან გასცეს ჰასუხი“.

იყო კიდევ ვინმე იუზუკიელი (1140 წლ. ახლო ხანს), რომელსაც ანტონი ასრე ამკობს: „იუზუკიელს ვიცნობთ იჯსით სიტყვით, სხეას პეტრიწას, სხუას დიდსა იოანეს, სხუას არსების, ორთავე იანასწორსა, უცხოდ გამომთქმელს, საკრკელ ჰიტიკოსს ღვთის შეტყველ რიტორს, ჰუმმარიტს ფილოსოფოსს“.

დიად, აქ, ამ პეტრიწს მოღვაწეობდა ჩვენი ფილოსოფოსი იოანეც. მაშინდელ დროის სიბრძნისა და მეცნიერების უმთავრეს კერის სამეუფეო ქალაქის კონსტანტინეპოლის, —საცა სწავლა მიიღო თვით გიორგი მთაწმინდელმაც, —სიახლოვემ

ერთის მხრივ და ბუნებრივ დიად ნიქმა, მეორეს მხრივ, მისცა შეძლება იოანეს ზედმიწევნით შეეგნო საქრისტიანო და საფილოსოფიო მეცნიერება, გადმოენერგა იგი სამშობლოშია ც და აქაც დაეწაფებინა მისთვის მრავალი თვისი მოწაფე და მიმდევარი. მისი ნამუშავევია:

1. მარკოზის სახარების თარგმანი ოქროპირისა. იწყება ასე: იოანემან ფილოსოფოსმან კიმქიმელმან ელადელთა კმისაგან სპანთ მოსახელედ კმად გარდამოიღო თარგმანება წმიდისა ევანგელიისა. (მუზ. ხელნაწერი № 102)

2. ლუკას სახარების თარგმანი (№-ები 113 და 284). სათაური იგივეა, მაგრამ წინ უძღვის შემდეგი ცნობა:

ლუკა საღმთო ანტიოქელი უგუტ იყო მოქალაქობით, ხოლო იეჟუნალი კელთუნებით და გარეშითა სიბრძნითა ფრიადი; არა ესე ხოლო, არაჲდ ებრაელებრიცა სწავლულებაჲ შეიკრიბა, მირაიწია ინრუსალიმად, ოდეს იგი ოჯახელიცა ჩეენი ასწავებდა, ვინაჲცა იტყუან ვიეხანიჲ ერთად საშეოცდათათგანად მოციქულად. ამისთვისცა შესწავებულებასა და შეუდრეთითა აღდგომილისა ქრისტეს თაჲ მავლეთასა ელეოჲაჲსათა. ხოლო ამაღლდა რა ოჯახელი და ჰრწმენა ჰველეს, თანა მკალ იქმნა მასსა. ვიტყუ უგუტ ჰველესსა და შედგომილ მისსა, რომელმანცა აღჰსწერა სხარებაჲ თჳსი ფრიადათა კრძალულებითა, ვითარცა თვით ცხად ჰყოჲს შესავლთა შინა მისთა. ხოლო აღჰსწერა შემდგომად ათხუთმეტისა წლისა ამაღლებისა ოჯახლისა და მიჰსწერს მას თეოფილეს ვისმე მიმართ სუნკლარტიკოსისა, ნუ უგუტ და მთავრისა, რამეთუ მტკიცეობაჲ მთავართა და კელმწიფეთა მიმართ ითქმობდა, ვითარ იგი ჰველეს „იტყუს მთავრისა ფესტოს მიმართ, ვითარმე: „მტკიცეო ფესტოს“. ხოლო უგუელი კაცი ლუთის მოყუარე და სიმიდით წინა განმწეობი ვნებათა ლუთის მოყუარე არს მტკიცე, რომელი ნამდვალეკ დირს არს მსმენელ უოფად სხარებისა.

3. კლიმაქსი (==კიბე) იოანე სინელიისა, ლექსად და პროზად დაწერილი და ისრევე თარგმნილი პეტრიწისაგან (საეკლ. მუზ. № 342). იმავე სინელის საზოგადო „კლიმაქსი“ მოკლედ გადმოღებული ყოფილა მეათე საუკუნემდე და მერე

სრულად უთარგმნია იგი ეფთვიმი ათონელს († 1028 წ.) (სა-
ეკლ. მუხ. №-ები 167, 236 და სხ.).

4. პროფოგო ლექსად პატივად იმ მსოფლიო წმიდანები-
ბისა, რომელნიც იხსენებიან სვინაქსარში ენკენისთვიდამ იან-
ვრაძდე.

5. გალ "ბანა ყოველთა წმიდათანი (საეკლ. მუხ. № 290,
გვ. 239). სრული სათაური: გალობანი ყოველთა წმიდათანი,
თქუმულნი პეტრიწისაგან კურთხეულადანს და კურთხეულ-
არს—აკურთხევდით—ადიდებდათი ძმისა მისი პავლესაგან

ზღუდა მეწამული: ყმათა და წელთა კელმწიფებათა ღვერთ-
მთავრობითათა მოქმედო ოვფალო სამგუამოვნებთ დიდებუ-
ლო, ხოლო ერთარსად თაყუანისცემულო, გუაცუნენ ქმულ-
ნი შენნი აწცა მოწვენილნი დასაბამსა მოსრულის ყამის მო-
ქცევისასა: ღირსი სუმეონ, მამა ანთიმოზ, ბაბილა, ზაქარია...
(ჩამოთვლილია თითქმის ყველა მსოფლიო წმიდანები და მერე)
სისხლი ყოვლად წმიდის მფარველი სულთა ჩუენთა.

6. ქართული გრამატიკა, ან ჯონი კათალიკოზი პეტრიწის
სთვლის გრამატიკასად. ბროსე პირდაპირ ამბობს, რომ ან-
ტონიზე ჟწინ ქართული გრამატიკა დასწერაო ფილოსოფოს
პეტრიწიმ. ამასვე იმეორებს შეგონი (ა. ცაგარელი. О грамм.
литер. груз. языка, გვ. 106).

7. შესხმა თამარს მამისა (1156—1184) და პაპის დი-
მიტრისა (1125—1155) (იხ. მარიამ დედოფლის ქართლ. ცხ.).

გვ. 363: ვიწყო ამის თამრისა, სამგზის სანატრელისა და
სანებისაგან ოთხად თანა აღზავებისა. რომელი ეთეროან იქმნა
კელმწიფეთა შორის, რომლისა სახე და სახელი თვისისა ადგი-
ლისა მამა იქმნა გიორგი მეფე მეფეთა, ძე დიმიტრი მეფისა,
რომელსა დავითთა ესვა ძედ ძესა დავითიანისასა, და აღმოსავ-
ლეთსა და კერძო ჩრდილოეთისა მეციხოვნისა და ზღუართა
დამცებლისა და ზღუათა ზღუამდინისა, რომლისა დიდებითა,
სიპქნითა და გუართა ცხორებისათა აღმოაჩენი იოვანე ფილო-
სოფოსის კიპქიმელისა შესხმა-მითხრობა:

„დიმიტრისა მცნესა კლომთა შინა და მძლესა ბრძოლასა

შინა, ორძეობადესა, რათა დავით და გიორგი, მარჩეველი ძისა უმცროსისა, მღარწველი მკიცხველი იქნა ვითარ ისაკი იაკობისადმი, და ვედრებისა შემსმენელმან ღმერთმან დავითის დღეთა შემცირებითა სრულ ყო პირველ მამებისა და მამაჰან ძიადურთ ძე ტკბილი, შემგუარი შამისა, აღამალა თავისა თანა და ძისა სწორად მოსაყდრედ გამოაჩინა მზე: ნათობთა შორის აღექსანდრე და ქაიხოსრო ჰყარობელთა შორის, აქილევსა, საბსონ და ნებროთ გმირთა შორის, სპანდიარ, თაჰმთა და სიამომ გოლიათთა შორის, სოლომონ, სოკრატ და პლატონ ბრძენთა შორის“.

8. ავღოსთაიუნი ნახობინა (იგივე № 290, გვ. 254).
სათაური: სიბრძნისაგან ფილოსოფოსთაჲსა წინაჲსწარმეტყულებად ქანთა და შენებათა წელიწდისა მოწვენადთათჳს, თუ ვითარნი იყვნენ... (ჩამოთვლილია ზედნადებები და მერე ძირისა და ქუბილისა გამოცხადებაჲ. კმატნი იაჰაკოდ თქუმულნი პეტრიწისაგან (ფ. 25 / ბ) და მერე:

იანვარსა თუ იქუხნეს, იფქლისა და ღვინისა სავსებაჲ იყოს, თუ იძრას, სიკუდილი დიად იყოს.

ფებრვალსა თუ იქუხნეს, ყოვლისა კეთილის ნიშანი არს, თუ იძრას, ბრძოლანი ფიცხელნი იყვნენ და ცემაჲ მახვლთა.

მარტსა თუ იქუხნეს, იფქლისა და ღვინისა სავსებაჲ იყოს და თუ იძრას, ბრძოლანი იყვნენ, არცარე ლალვანი...

9. ასოფოს ავღაფოსი, ძველის ძველი ვარიანტი (საეკლ. მღზ., № 675, ფ. 331, 34X28 სანტ.). ებრაელთა ისტორიას შეეხება. „იუდეობრისა ძუელსი ჰყუარობისთჳს და პტოლომეოს ღაღოჲსამან... მრაველნი ებრაელნი ეგვპტეს შთამკუიდრნა და ძემან მისჲან პტოლომეოს.. იუდელთა შჯულნი ელინთა ენად გარდაცვალნა“. დავით აღმაშენებლის დროს ეს თხზულება უკვე გავრცელებული ყოფილა საქართველოში. ამ მეფის ბიოგრაფი სწერს (გვ. 270): „დიდნი სახელოვანი გამომეტყველნი, ვიტყვი უკუპ უმბროხს, არისტოტელს ელინთა, ხოლო იოსიპოსს ებრაელსა: ერთმან ტროადელთა აქილეველთა შემკენა თხრობანი: თუ ვითარ აღამემონ, პარ-

„უამო ანუ აქილეველი და ეკტონ, მერმეცა უღისეოს და ფირესტე ეკვეთნეს და ვინ ვის მძლე ექმნა; მეორემან აღექსანდრესი წარმოთქუნა მძლეობანი, სიმხნენი და ძლევაწემოსილობანი; ხოლო მესამემან ვესპასიანე ჭიტოასმიერნი მეტომეთა თვისთა ზარნი, კირნი მისცნა აღწერასა“.

10. ნემესაოს ემეელის წიგნი (№ 2579 წ. კ. საზ.). სათაური: ნეტარისა მამისა ჩუენისა ნემესიოს ემეელ მთავარ ეპისკოპოსისა — ბუნებისათვის კაცისა თავიანად თქმული.

ფინიკელთა ქალაქის ნემეზის ეპისკოპოსი ნემესიოს ცხოვრობდა მე-IV საუკ. გასულის ახლო ხანს. იგი ქრისტიანობას დიდის მოხერხებით შეუკავშირებს ნეოპლატონისმს.

11. ტაპიანი არისტოტელისა

12. ჰერიოტიმონია არისტოტელისავე. ამ თხზულებას პეტრიწი ხშირად იხსენიებს „კავშირში“ და, სჩანს, მაზე აღრე გაღმოუღია, ან და წინათაც ყოფილა სხვათაგან თარგმნილი. იგი მას „პერიერმინიას“ ეძახის: „წითარ გვსწავლია პერიერმინიისა“ საეკლ. მუხეულში არის ერთი ცალი (№ 535), სათაურით „შემოკლებით ახსნა პერიარმენისის წიგნთა“ მის ბოლოში ბატონიშვილი თეიმურაზი საკუთარის ხელით სწერს: „საქართვალს მეფის ქე თეიმურაზ ვიუაჲ რა თერანს კელმწიფობასა ფათალიშასას აბას მირზას უბვე უბოძა ჯარი და ვიახელით ჩვენც თან, მ ფის ქე აღექსანდრე და მეფის ქე თეიმურაზ. გამოეჯდით თერანით მარტს კმ წელსა ჩედ (მთავარე ზილჯია იყო კზ წელსა მას თაგობი ასა). ეს წიგნი თერანის ზღუდეს გარე ვსდუგით რა, მუნ ტუვეს ვისმე ტუიდეულს დელთაკანს გამოეკზავნა, რომელიც რომ ტუილის აღმავმადხანის მოსკდის ჟამს ტუვე ჰქმნილიყო“.

წიგნი ლამაზად გადაწერილია მე-XVIII საუკ. მთარგმნელს მოჰყავს ტექსტები და მერე მათს ახსნას მიაყოლებს. ენა და ფილოსოფიური ტერმინები პეტრიწონულია, გარდა თანდებულისა „თვის“, რომელიც აქა-იქ ანტონისებურად იხმარება. წიგნი შესდგება მძ თავისაგან და ყოველს ისევ ბერძნული სახელი ჰქვიან — პრაქსისი (ბერძნ. *praxis* — საქმე).

ეს „პერიოდის“ სომხურს ეხაზედ, ადრევე ყოფილა თარგმნილი ბერძნულიდამ, მაგრამ მასში არის არა-სომხური სიტყვათა აკანხე თაკუნ, რომლის ახსნა გაუჭირდათ სომხის მეცნიერებს. მხოლოდ ახლა ნ. მარამა განმარტა მისი ნამდვილი მნიშვნელობა (Іоаннъ Петричій, გვ. 42, შენ.): ბერძნულში მის ადგილას ყოფილა მჰს, რომელიც ნიშნავს თავგს და სომხურის ტექსტის თაკუნიც მარკს მიანხნია ქართულ სიტყვად თავგი. ამას ჩვენ ღაგუმატებთ, რომ თაკან უნდა იყოს მრ. რიცხვი (ინგ. თავგ=თავგი=თავგე). ძველ ქართულ მწერლობაში, ხშირად, მრავლობითი რიცხვი მხოლოდობით რიცხვის მაგიერ იხმარება. „პერიოდის“ სომხურად თარგმნა ღაგით ღაუმარცხებელმა (შე-VII საუკ.) ეს ფილოსოფოსი, სამშობლოში ხელით შეურაცხყოფილი, საქართველოში გამოიქცა და, მოსალაღნეკლია, რომ აქ მან ჰმთვა „პერიოდის“ ღა მისგან თავის სომხურ თარგმანში შეიტანა ქართულად სიტყვა თაკუნ. ამ კითხვის გადაწყვეტაში ნ. მარამ არ შედის, მხოლოდ კითხულობს: „მაგრამ რა მიზნით ღაგით ღაუმარცხებელი, უკრო სწორედ სომეხთა მთარგმნელი არისტოტელისა, საფაღსაჩინო მაგალითად ხმარობს ამ სომხურისათვის უცნობ სიტყვას, ასე უახლოესად მონათესავეს ქართულისა?“.

13. კავშირი პროკლე დიადოხოსისა.

პროფ. ცაგარელი ამბობს (0 грам. литер. груз. яз., გვ. 106) პეტრიწისვე ეკლთენის თარგმანება დამასკინისა და პორფირისაო. შეცდომაა. ეს თხზულებები ეკლთენის სხვაიონანეს (ი. ტაიქისძეს).

როგორც ვხედავთ, იოანე კიმპიმელი დიდი მეცნიერი ყოფილა და მით მხოლოდ მოუხვეჭია სახელი ღეთიურ ფილოსოფოსისა. გრამატიკა, ღეთისმეტყველება, ფილოსოფია, ვარსკვლავთმრიცხველობა, პოეზია—ყველა ეს მას დაუმორჩილებია და თვითონაც დამორჩილებია მათ.

პეტრიწის კალმის ქვეშ ქართული ენა საკმაოდ გამოიქნა, გამარტივდა, გამდიდრდა. წინანდელი მრავალმეტყველება მოკლე და მორქმულ სიტყვაობაში ჩამოყალიბდა. აზრის მოკლედ გამოსათქმელ ხერხად მან სცნო მიმღეობა.

შეადარე სახარებათა ვარიანტების ტექსტი:

ბექლური:

ხოლო მათ შევესყუად დაუ-
ტევნეს ბადენი მათნი და მის-
დედეს მას (მარკ., 1, 18);

ურბნისისა:

და თწოდა მათ, ხოლო მათ
შეესკოულად დაოუტევეს ზე-
ბედუ მათად მათი საგნს შინა
მეშავთა მისთა თანა და მის-
დედეს მას (მარკ., 1, 20)

ქსნური:

მაშან მოგვდა მას ერთი გან-
ეთაგებელი, ევედრებოდა მას
და შეგლნი დაიდგნა და ეტ-
უოდა: თუფალო, ეეუთოე გან-
დეს, ძაღვიც განწმედაჲ ჩემი
(მარკ. 1, 40).

(ლუკ. 1, 31).

ბექლ. და აჭა ესერა შენ მეველად ილო და ჳშუტ ძე და უწოდე
ურბნ. და აჭა ესერა შენ მეველადილო და ძვე ძე და უწოდიან
ჭსნ. და აჭა ესერა შენ მიუდებე და შვე ძე და უწოდი
პეტრიწ. და აჭა იტურთო მეველას შინა და ჳშვე ძე და უწოდე
ბექლ.: მესკო ღმრთის ბოუყარკო თეოფილე (ლუკ. 1, 3)
ურბნ.: მესკო ღუთასმოუყარკო
ქსნ.: მესკო ღუთისმოუყარკო
პეტრ.: მტკიცეო თეოფილე.

აქ მომყავს პეტრიწის შესხმა-შექება ანტონის მიერ

აწ რა შევესე ვალამსა, იოანნი, დამათრო შენძნ ჩსენებისა
სურვილმან, შენდა ხარტიფი მწადს, მაგრა ღირსი სდა ვპოვობთა
სიკეფა! უბრძნესო ბრძენთა შორის! ბხინიგენ მარცვალინი, რომელნი
დარათენ ღუქსთა განმავითარად, ელკენ ღუქსები ძვირთვან სხეკალთ
უმჯობეს, ბრწეინგენ სიტუვანი; ცობენ წყრილხი შენნი, სემკაროე-

პეტრიწონული:

და შეესკულად დამტევებულ-
ნა ბადეთა მათთანნი შეედეს
მას.

პეტრიწონული:

და შეესკულად უწოდა მათ და,
დამტევებულნი ზებუდესნი, მამი-
სა მათისა ხაგსა შინა მიწდურ-
თა თანა, ვილოდის შედგომად
მისსა.

პეტრიწონული:

და მოვიდა მისა კოროფანა, მეე-
დრებული მისი, მეკლადმტეული
და მეტეველი მანდაში, ვითარ-
მედ: ეეუთოე ცინდეს, ძაღვამს
განწმედაჲ ჩემი.

ბენ. შენ ფილოსოფოს სმარადა იხედე, ამაღ, რომე ანათუ
 ოდენ ნიფანი იცნი განუოფით, არამედ მიზეზნიცა, ასკრონსომოსებ
 ასტროლოგიათ ჭეშმარიტად გადმომცემი, დიოდოროსკებ პროკლეს
 განსაკუთრებუბი, ვით იგი პლატონს ენაცვალა, ეგუერ შენ პლატონს
 ედიოდოროსკე დირსად. მეტაფიზიკის თქმანი აბიტიკე, აშარ ალაშა-
 ზენ, ატიტიკელობა ქართულებრ დასკესულ ჰუვენ, დრამატიკოსებ
 წიგნთ მთარგმნე მადადურასად. შენ ეველა ეს მთარგმნე და
 ქართლი ჰქმენ ათინანი.

პეტრიწის მრავლად უნდა ჰყოლოდა მიმდევარნი, თანა-
 მოაზრენი. მართლაც, ამგვარნი იყვნენ, მაგალ., ეფრემ მცირე
 და ნეოპლატონიკი იოანე ტარიქისძე. ბესიკ გაბაშვილი ეფ-
 რემს პეტრიწის მოწაფედ სთვლის, ხოლო თვითონ ეფრემ მცო-
 რე თავის მასწავლებლებად ასახელებს საბა თუხარელს და
 თავის მამას ეფრემ დიდს ოშკელს. „სვიმონ ლოლოთეტის“
 ბოლოში (პლ 90, გვ. 312—313) იგი სწერს ამას:

„ჩუენ ქართველთა შორის ძუქლსი იგი მოწამეთანი იყუნეს,
 რომელნი იგი ვიდრე აქამომდეცა არიან და კუალად ქმის ახლისა
 მოწამეთასა განცა ითარგმნეს მცირედნი, ვითარ იგი არს წმიდისა
 არქემი და კრიტელთა და ელეუთერისი, რომელნი უთარგმნიან
 წმიდას მამას ზუნესა დავით ტბელსა *) და წმიდათა გიორგისი
 და თეოდორესი, და სასწაული წმიდისა თეოდორესი უთარგმნიან
 დირსსა ნეტარებისსა გიორგის მთაწმინდელსა **). ეგრეთვე სან-
 ტრუქლას სტეფანეს სანანოასძესა ***) უთარგმნიან სკაითსავი დაუ-
 ჟდომელთა და ცხორება თეოკტიტე ლეზიელისა და სხუანიცა,
 ხოლო მ დღუარსა მას და ჩუენ უოველთა მამასა და მნათობსა წმი-
 დასა მამას ეფთვიმის *.) ლოდოთეტის შეკავშეულთაგან. ელეუმენ-
 ტოსი ოდენ თარგმნიან და წმიდისა პროკოპოასისი, რამეთუ სხუათა

*) მეთერთმეტე საუკ. დამდეგს.

***) † 1066 წ. 29 ივნ.

***) † 1069 წ.

****) † 1028 წ. 13 მაისს.

წიგნთაგან უცალო იყო, რომელთა მიერ ყურად განამდიდრა ნათესავი ჩუენი.

ამათ წმიდათა მამათა მადლითა და კადნიერად ღუთისა მიმართ მეოხებითა და ღოცვითა ბერისა ჩემისა საბაძისთა: მეცა სწყალობელი და უღირსი სახისაჲ და სახელისაჲ ეფერებ მცირე და უნდოჲ მონაზონი ღირს შერ და არა გარე მიმქცია წყალობა აურაცხელმან ღმერთთან მეოხებითა მშობელისა მისისაჲთა და უოველია წმიდათაჲთა — მოსლვად ფერკითა თანა ზემოკსენებულისა ბერისა საბა თუხარელისა სულაჲს ძისათა. რომელმან ქრისტეს მიმსჯავსებულებითა სანიერებითა მიტრთა ჟამს სიუცბისა და სიჭაბუკისა ჩემისასა: და სსუათავე ქველის მოქმედებითა თანა ესცა ანუნა ჩემ ზედა, რომელ ბერძელისცა წიგნთა კიახვისა სწყალობა იღუაწა ჩემთჲს. ადგილსა შინა ჟეროვნად მომსახუებელსა, რომელ არს მონასტერი წმიდისა სჰემონ სჰურველთ მოქმედისაჲ, რომლისა მეოხებითა და ფარვითა დედისა მისისა მართაჲსითა ვისწყვე რაჲჲ. დღაცათუ არა შემსჯავსებულად დუაწლთა და წარსაკებულთა წმიდისა მის ბერისათა, ზრამედ ყურად უმეტესი ძაღისა და მისწრაჟებისა ჩემისაჲ: და მასვე ჟამსა ბრძანებითავე და წარსაკებულებითა მისითა ვთარგმნენ ესე რადღენნიმე საკითხავნი ღოცოთოტრისა მეტაჲრასთაგან: რომელთა შინა უჟუთუ რაჲმე იპოების ჟეროვნანი, ღუთისაჲ არს მადლი ეგე და წმიდათა მამათა ზემოკსენებულთა მამათა ჩუენთაჲ და უბინატეს მათ უოველია ბერისა საბაძისი, რომელი მექმნა უოვლად უოველითურთ სიტჲვთა და საქმიითა, ღოცვითა და ბრძნებითა, და კორციელისცა სჰემონის ფრინად წარგებითა ამას უოველსა თანა და უბინატეს უოველისა თანა დადგინებითა სათნოჲსა მოწივის მისისა და მამისა ჩემისა ეფერებ ღირისა ოშკელისაჲთა, რომელი იგი მეცნიერ იყო კიახვისა და გავანებას ბერძელისასა და კეთილად სწყალებულ ქართულთა სიტყუათა შეწყობილებასა: და ამით ორითავე ორკრძო ჳმართებდა და განაკებდა ნაკლუღუგანებასა ჩემსა და, რათა მოკლედ ვთქუა, უოველივე კეთილი ღუთისა მიერ და კაცთა მიერ ჩემზედა მომკაღი ბერისა საბაძისი არს და სასუიდელიცა ღუთისა მიერ მასვე აქუნდინ: ხოლო ნაკლუღუგანებისა და უსრულებისა მიზეზ არაფინ არს სსუაჲ, თჲნიერ უღირსებაჲ ჩემი და ტრთი ბრად-

თამ და არა სამდაბდე გონების, რომელი უკუეთუმა იგი ხოლო
 კდენ მაქენდა, ემა იყო აღმაკსებელად ეოჟისა ნაკლუღევანებისა:.

„აწ უკუნა ვევედრები სიწმიდესა თქუნსა, რომელნიცა მიემ-
 თხუნეთ წმიდასა ამს წიგნსა. ღოცვასა ჰყოფდით ბერისა საბაძსთჳს,
 რომელი იყო მაქმნეველი და მბრძანებელი საქმისაჲ. და მისთანავე
 ბრალთა შენდობასა უთხოვდით ეურუმს დიდსა, რომელი იყო მმარ-
 თებელი და განმგებელი ნაკლუღევანებისაჲ. ჰქ, გვედრები, ნუმცა
 კუჭბუღდ არიან ივინი სასოებისგან, რამეთუ ფრიად დაშურეს ივინა
 წიგნისა ამისთჳს. რომელთა მიერ მიეცინ ოჯუალმან ჰოვნად წყა-
 ლობაჲ დღესა მას განკითხვისასა ამინ:.

„ხოლო მე ვითარ ვიკადრო თხოვაჲ სასკიდლისაჲ, რომელსა
 არა რაჲ მიიღეს საქმე მუშაკობისაჲ, გარნა თუ მოწოდებდ შეურდებ
 თქუნსა სახიერებასა, რათა უსასყიდლოდ წყალობა ჰქოთ ჩემთჳს.
 და მოტყუებასვე თანა ცთომილისასა ითხოთ თანა წარკდაჲ სას-
 ჟელსა კანნიერებისასა, და კუაღად თანა წარკდას თანა პატრივისასა
 მონიჭებად განსრულებასა ნაკლუღევანებისასა: და ესე თუ ჰქოთ,
 მოგტეს ოჯუალმან წყალობაჲ ოჯულისა მიერ, ესე იგი არს მამა-
 მან ძისა მიერ. მომადლებითა თქუნდა სულისა წმიდისაჲთა, რათა
 იყვნეთ ქადაგ სმობასა გუამიასა და ერთარსა ღეთეებისსა. მისსა
 დიდებაჲ აწ და ეოკველთა საუკუნეთა მამართ უკუნისამდე ამინ“ *).

*) ეს შენიშნვა ეფრემ მცირისა დაუბეჭდია ნ. მარსაც (I. Пет-
 ридкин, გვ. 37), მაგრამ არა სრულად და საკმაო მეტ-ნაკლებობით და
 არც სწორ თარგმნით აქა-იქ, ეს აიხსნება მით, რომ თვით მარსს ხელ-
 ში არა ჰქონია დედანი, რომელიც. ალბად, აგრეთვე დაზიანებულიც
 იყო. „მიმართის“ მაგიერ მარსს დაუბეჭდია მიერ(ი)თ, „ჩემისა“ უნდა,
 „ჩვენი“ დაუბეჭდია, აგრეთვე: წყალობა აურაცხელმან—წყალობაჲ
 (—ბანი) აურაცხელნი, სხუთავე—სხუთავე ყოველთა, აჩუპნა—იჩინა,
 მომზავებელსა—მომზადებულსა, სათნოჲსა—სათნოჲსა და სარწმუნოჲსა,
 მამისა ჩემისა ეფრემ დიდისა—მამისა ჩემისა ეფრემ, კაცთა მიერ—კაცთა,
 მომავალი—მომა (sic) ყოველი. ამისგამო თარგმანიც ზოგან შერყვნილა:

მარსით:

ლოცვითა ბერისა ჩუენისა საბაჲ-
 სითა მეცა საწყალობელი და უღირ-
 სი სახისა და სახელისაჲ ეფრემ მცი-

ტექსტშია:

ლოცვითა ბერისა ჩემისა საბაჲ-
 სითა მეცა საწყალობელი და უღირ-
 სი სახისაჲ და სახელისაჲ ეფრემ

ეფრემ მცირემ, რომელიც ცხოვრობდა დავით აღმაშენებლის დროს (1089—1125), კიდევ დაგვიტოვა რამდენიმე წიგნი, სახელდობრ: ა. წიგნი დიონიოს არიოპაგელისა, ბ. გრ. ლუთისმეტყველის ლავსაიკონი, გ. სჯულის კანონი, დ. თეოფილონ ისტორია, ე. მოქცევა საქართველოსა და სხ. ეფრემს ანტონი სთვლის იოანე პეტრიწის მოწაფედ. „იტყვის თვით ეფრემ მოძღვარ ყოფასა თვისად იოანესა საღმრთო ფილოსოფოსსა“. ეფრემ არისო, ამბობს ანტონი, რიტორი შვენიერ მოუბარი, მკობილ სიტყვათა გარდამოხვენი, უცხო მესილოგობე, მპაექრი, განმსაზღვრი, მეაქსიოზე ბრძენი, საღმრთო ფილოსოფოსი, მან ისტორიკოსა ჩვენდა მოქცევისთვის და აფხაზთა (ავაზთა) მოქცევისა, თავისუფლება არხიეპისკოპოსთ ავტოკეფალოსო ქმნა.

მის დროსვე მოღვაწეობდა ნეოპლატონიკი იოანე ტაფისძე. იგი ათონიდან რომ დაბრუნდა სამშობლოში, აქ გამართა სასწავლებელი ყრმათათვის. მისგან დაგვშთა: „დიდლექტიკა“, „შეყვანილება“ (исагогика) პორფირისა, „კატილარია“ დამსკელისა, საგალობელნი და სხ. ანტონით: „ტაიქისძემან რიტორ იუბნა, შვენიერ იმქვერმეთქვა, აპიიტკა ლექსნი, შვენიერ თხზულნი, სწავლა განპთინა, ქართველნი აღაყუაენა“.

ამათზე მდარე არ იყო დიდი სახელმწიფო მოღვაწე ასეც წმინდის აქ ვანძაქ იუდასოქლა, მოძღვარ დავით აღმაშენებლისა, მეფისა ბრძნისა და კარგის მეფსალმუნისა. „არსენის

რე და უნდოჲ მონაზონი... ღირს-
მყო და არა გარემიმაქცია წყალო-
ბა (-ბანი?) აურაცხელნი ღმერთმან

Молитвѣи старца нашего Сав-
вы Богъ и отъ меня, жалкаго
и недостойнаго ни схимы, ни
имени Ефрема Младшаго, не-
годнаго монаха, не отвратилъ
ненсчисляемыхъ милостей.

მცირე და უნდოჲ მონაზონი ღირს-
მყო და არა გარე მიმაქცია წყალო-
ბა აურაცხელმან ღმერთმან

Молитвою старца моего Са-
вы и меня, жалваго и недостой-
наго схимы и имени, Ефрема
Младшаго, и невадежнаго мона-
ха, удостоилъ, а не от-
вратилъ, много - милостивый
Богъ... прийти..

ფრასი ბრწყინვალე, შეენიერი, ალილორია განსაკვირვო, მაღალი; არსენი აღმოაჩინებს დოღმობთა, ვერავის ძაღლქმს დარღვევა ანუ უკუთქმა; არსენი სტეინავს ოქრო მუსიკთა კმათა; ღეთის-მეტყველება ამისი არს საქებელ, ფისიკა, კვალად ანატომია, ფილოსოფია, ხედვითი პრაქტიკათურთ გამოჩინება, სილოგიზმი კეშმარტი; არსენის მიერ ქმნილნი პიტიკა, შაირნი, დასდებელ სტიხნი ოქრო წახნაგებულნი, სპეკალთა შიერ ძვირფასთა მოოქვილნი“ (წყ. სიტყ.). ამან იყალთოსა და გრემში დააარსა აკადემიასებური სასწავლებლები. მათში, ალბად, იოანე პეტრიწის ნაშრომ-ნაღვაწსაც ასწავლიდნენ.

პეტრიწის მამებს დიდი ერთობა ჰქონდათ ათონის მოღვაწეებთან. ათონს ყოველ წლივ იგზავნებოდა მრავალი მოსწავლე, ბლომა ნაწილი ამათგან, ალბად, პეტრიწსაც ბინავდებოდა. დაასრულებდნენ რა აქ სწავლას, იგინი სამშობლოსვე უბრუნდებოდნენ. იყალთოსა, გრემსა და სხვა სასწავლებლებში მათთვის სამუშაო ადგილები გამზადებულიყო, თუ არა და თერთონაც იარსებდნენ საკუთარ სკოლებს. ასე მოიქცა, მაგალ., ზემოხსენებული იოანე ტარიქისძე.

პეტრიწი არათუ მარტო საქართველოში იყო დიდი, არამედ სომხეთშიაც ფასი ჰქონდა მისს ნასიბძნს. 1248 წელს პროკლეს „კავშირი“ პეტრიწის შენიშვნებითურთ ვინმე ქართველ მღვდელ-მონაზონ სვიმეონმა ქართულიდამ სომხურს ენაზე გადილო. მონასტერს, რომელშიაც მოღვაწეობდა ხსენებული ბერი, სომხები იხსენიებენ ქართველთა მონასტრად „ფლქაჰანქ“ (ნ. მარო).

პეტრიწის ბრწყინვალე ხანას მოჰყვა უბრწყინვალესი ხანა შოთა რუსთაველისა და ამას კი ზედ მოჰყვა შავ-ბნელი დრო მონგოლთ მოსევისა, რბევისა, ნგრევისა და ჟლეტისა. დიდი ხნობით მიივიწყა ქართველობამ თვისი წარჩინებული ფილოსოფოსი. საფილოსოფოსოდ აღარავის სცალოდა. ყველა, შექუროვილი რუსთაველის გმირბივით, იბრძოდა უღმობელ მტერთან დასაცველად თვისის არსებისა, ენისა და სარწმუნოებისა. მხოლოდ უკანასკნელ აღორძინების ხანას, რო-

მელიც მოჰყვა მუხრან-ბატონების გამეფებას მე-XVII საუკ. მეორე ნახევარს, სხვა მრავალ მიეწეებულ მოღვაწეთა გარდა მოიგონეს ჩვენი ფილოსოფოსიც და შეუდგნენ არათუ მის გადაწერას, არამედ შესწავლასაც. პირველი მაშინ ამ მხრივ იყო კახეთის მეფე მგოსანი და ეთნოგრაფოსი არჩილი (1664—1675), რომელიც 1678 წლიდამ იმერეთშიაც შეფობდა რამდენიმე გზობას და მერე გადასახლდა რუსეთს 1681 წელს. ამ წლამდე, ალბად, მან იმერეთში ნახა ჩვენი პროკლეს „კავშირი“ და მის ტექსტის ბოლოს, როგორც ზევითაც იყო მოხსენებული, თვისის საკუთარის ხელით გამოიყვანა ხვეულად „არჩილ“ და სხვა მინაწერები. ალბად, ეს წიგნი მანამდე იყო გადაწერილი და ეკუთვნოდა გურიის მონასტერს შემოქმედს და აქედგან იაკობ შემოქმედელმა, რომელსაც აგრეთვე ხელი უწერია მაზე (იხ. ზემო), გამოუგზავნა გიორგი XI-ეს, რომელიც ქართლიდამ გაძევების შემდეგ (1688 წ.) მოქმედებდა სამცხეში და, ებრძოდა-რა გურიელს (1711 წ.), მცირე ხანს იმერეთშიაც გამეფდა.

ამას გარდა, სწორეთ ამავე ხანს პეტრიწის მიერ ქმნილ „კავშირით“ სარგებლობდა დიდებული საბა ორბელიანი. იგი თავის უმთავრეს წყაროდ პეტრიწის ასახელებს, მისს „კავშირთა პროკლეს პლატონურითა დიადოხოსთა, არისტოტელის და პორფიროსის კატეგორიათა, ნემესიოს, ი. დამასკელის პლატონურის სიტყვისსაქცევებს“ (ანდერძნაგი, გვ. XXV) პეტრიწის და სხვა ზამების ენის „საქცევები“ არა მათებრღვარქნილად აღუწერია, არამედ საადვილოდ, რათა ისწაონ ენაჲ ქართული შესრულებული და განვრცელებული“ (იქვე.) იგი ასეთ ცნობასაც იძლევა პეტრიწის ენის შესახებ: „აქა იუწყე პეტრიწი ქართულსა პლატონურისა წიგნებისაგან სიტყვაჲ რომელსამე ადგილსა მრთელი დაუწერია, რომელსამე ადგილსა ნაკლები და სხვაგან განკვეთილი და სხვაგან მეტი ერთი და იგივე სახელი, რომელი დააღრმობს წერილსა, ძნელსასმენელ, შვენიერ და გემოან ჰყოფს“ (იქვე, XXVI). მოჰყავს მაგალითებიც: ახლოს (მრთელი), ახლოსრე (მეტი), ახ-

ლო (ნაკლები), ახს (განკვეთილი); მოვედ (მრთ). მოვედინ (მეტი), მოდი (ნაკლ.), მო (განკვ.); წარვედ—წარვედინ—წადი—წა. ათი ქარაგმაც პირდაპირ გადმოუწერია პროკლეს კავშირში შეტანილ პეტრიწის ბოლოსიტყვაობიდან, რომელსაც ქვემო ვბეჭდავთ.

ასეა თუ ისე, ჩვენი „კავშირი“ ჯერხნობით ყველა ცნობილ ხელნაწერებზე უუძველეს ვარიანტად უნდა ჩაითვალოს (ნ. მარჩის შესწავლილები ეკუთვნიან მე-*XVIII* საუკუნეს—1751, 1754 წლებს, და ამაზე უფრო ნაგვიანვე დროს. იხ. № I. Петрицкий“, გვ. 14, შენ. 2). სიტყვით, ამ ხანს პეტრიწის შესწავლა გაცხოველებული ყოფილა სკოლებსა თუ ეკლესიას ოჯახობაში. სწორეთ ამ დროს ანტონ კათალიკოსს ქება და შესხმა მიუძღვნია მისთვის თავის „წყობილისიტყვაობაში“ და ეს თვისი თხზულება მაშინდელ სკოლებისა და სემინარიებისთვის სახელმძღვანელოდ დაუდგია საბას ლექსიკონითურთ.

მაგრამ აი უკუღმართობა! სწორეთ იმ დროსვე, როდესაც პეტრიწონელ ფილოსოფოსის „კავშირის“ შესწავლა გაცხოველებულიყო, მასზე ცნობებს სახელმძღვანელო ლექსიკონებიც კი გადმოიცემებოდენ, აღმოჩნდა ნაცარქექია (ამგვარებით და აგრეთვე ყალბისმქნელებითა და მიმთვისებლებით ღარიბი არ იყო მაშინ საქართველო!), რომელიც ამტკიცებს (1757 წელს)—ძველი „პროკლე დიადოხოსის“ დაკარგულიყო და ახლად სომხურიდან სხვა ვთარგმნეო.

ამ ახლად თარგმნილ „კავშირის“ რამდენიმე ცალს უჩვენებს ნ. მარჩი (I. Петр., გვ. 9 - 11). ჩვენს მუზეუმშიაც ორი ცალია მისი (№ 184 და 237). ერთი (№ 184) გადწერილია გერონტის მიერ 1799 წელს 11 აპრილს 1757 წლის ვარიანტით, მეორე (№ 237) ასრე ბოლოვდება: „გარდაპითარგმნისა წიგნი ესე პროკლე დიადოხოსისა ჰესტონისურის ფილოსოფოსის. კელათა ფილიპე მღვდლისათა სომეხთა ენათგან ქართველთა ენათა ზეჯა ქაქასა ტუფისისასა ბრძანებითა ზემო ხსენებულთა შეფეთათა (!!). გლოცავ თქვენ, ძმანო, რათა მომიტკოთ შე ნაკლულევანება ჩემი, რაშეთუ ფრიადითა შრამითა კარ-

დამოვთარგმნეთ: ჰირველად, რამეთუ არა ვიყავ დირს ესე ვითარ-
სა მსახურებისა მრავალთა ცოდვასა ჩემთათჳს, მეორედ, მოხუცე-
ბულ ვიყავ და უძლურ თვალთა და გონებათა და ძალთაგან. ამას-
თჳს, რამეთუ ერკასის წლისა ვიყავ. კელყოფამ აიისი იქმნა ინ-
ფარსა ი, ქორონიკონს უშე ქრისტეს აქეთ ჩღნზ. აწ გუაედრები,
რომელნიცა შეემთვივნეთ მატანესა (!) ამას ანუ გარდაწერთა, ანუ
წერთათა, ანუ მოძღვრებითა შეიძინოთ რაღმე, მეტა არ იგებულ-
მუთ მოხსენებისაგან თქვენისა, რათა თქვენცა მოგიხსენეს ქრის-
ტემან ღმერთმან სასუფეველსა თჳსსა, რომელ არს ჯურთხელ უკუ-
ნიით უკუნისმდე ამინ. აღიწერა ქორონიკონს უსა და იგნისს ია“.

აქ რამდენივე უხამსობაა: 1. „ზემოხსენებულთა მეფეთა
ბრძანებითაო“ და არც ერთი მეფე კი ზემოთ და არც ქვე-
მოთ არ არის ნახსენები; 2. მითარგმნიაო, სწერს და თავის
გვარს კი არ აცხადებს; 3. დავიწყეთ 10 იანვარს 1757 წელ-
სო და ბოლოში კი აღიწერა ქორონიკონს უნა ივნ. ით-სო
(=1763). ნუთუ შედარებით პაწია წიგნის თარგმნას მთელი
ექვსი (1757—1763) წელიწადი მოზღდა!

ჩვენი მორცხვი „მითარგმნელი“ თავის გვარს ბოლოს და
ბოლოს აცხადებს. ნ. მარტისავე ვარიანტი იძლევა ასეთ ცნო-
ბას: „ახალი კავშირი ფილოსოფოსის დიადოხოსისავე და ვან-
მარტება, ხოლო სომხურისაგან გადმოთარგმნილი მდივანბეგის
იოანე ორბელიანისაგან სხვათა შემწეობით“ (გვ. 9, შენ. 1).
არის კიდევ სხვა ვარიანტი 1757 წლ. 9 მარტისა. მისი გა-
დამწერი ისაკი იუწყება, რომ მიზეზად ამ წიგნის შედგენისა
შეიქმნაო ეპისკოპოსი ვარდაპეტი ავეტისი, ღრმად (!) მკოდ-
ნე ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველებისა და მდივანბეგ ორ-
ბელიანმა მისგან ისწავლაო ეს კავშირი (I. იერპ., გვ. 10).

მაგრამ უმეტესად საკოკმანოა თვით ამგვარ ახალ კავში-
რების წინასიტყვაობა, სრულიად იგივე ამგვარსავე სომხურ
ახალ კავშირში გარნისის ეფისკოპ. სვიმეონის რედაქციისა
(1651 წლ.). მუზეუმის ორთავე ხელნაწერში (№ 148 და 237)
ეს წინასიტყვაობა ასრე იკითხება: „სვიმონისა გარნისა ეფისკო-
პოსისაგან განმარტებულთა წიგნი ჰროკლესი. ჰირველთა მითარგმნელ-

თა ჩვენთა, მოსეს ვიტყვი და დავითს და მოკვასთა ამათთა, რომელნიცა ათინურისა სწავლით იყვნენ განსწავლულნი, არა აქვნდათ გარდამოთარგმნილი წიგნი ჰროკლეისი, გინა განმარტებულნი. ნუ უმე განმარტებულნიცა იყო, არამედ უზრუნველობასა ტომისა ჩვენისა და უსწავლელობისა ტომისა ჩვენისაგან ნუ უკუშ მთარგმნელთა გარდამოთარგმნილ იხილეს-რა, რათა ჰორფირისა და კატაღორიათაგან, მერმეცა წიგნთაგან სუფთასა შესაძლო არს სწავლად, რომელი რაჟღა წიგნსა ამას შინა არს, არა გარდამოთარგმნეს ესეცა. მით რამეთუ მასვე სიტყვასა აორკეცებს და ასაშკეცებს, ათხეცებს, მერმეცა ამრავალეცებს. რომელი სიმრავლე რაჟღე იხილეუბის. გარნა სარგებელ შრავადი აქვს დამატებული ჰორფირსა შინა და სხვათა, რომელთა ვერა ჰპოებთ მათ შორის. რომლისა სარგებელნი განვსკვრიტენ, ვისაჭირთვე უოფად მხილველთა მხილველად ხილვაჲ ამისი შეწიგნითა სეღათა დუთისათა და ოხითა ღოცვათა აქვენთათა, გარნა უწინარეს აქვს ჰორფელი სიტყვა თჳს თანა აღკსნანიცა ჰამლიხოსის ეფისკოპოსისაგან (!!)

რომლისამე და სხვისაგან აარგმანებულნი ჰორფელსა სიტყვასა თანა. გარნა ძნელად შეგვეუხანებს ჩვენ მუნ ჰორფელსა სიტყვასა შინა მერმეცა თარგმანებისაგანცა აქვს სხანჯა ნანსათა მით, რამეთუ ქართველთაგან არს თარგმანებულნი სომხურსა ენასა ზედა სვიმონისა რომლისამე დეაწლომოყვარისა მღვდლისაგან და თქმულთა ამისა მაქვს მოწამედ წიგნი ესე, რომლისა არა არს შეუძლებელ ჰოვანად თქვენდა თჳსის ძველისა განმარტებოთურთ. რამეთუ უკანასკნელსა უამსა შინა აარგმანება ამისი და ნიუთისებრ აღნაშენისა ახალ მერმეცა მრავალთა განმრავლეს განსახებთა უცნოსა სახელისათჳს, რომელთაგან კელხებულ ვეჭმენ ამას ძაღისეუბრ ჩვენისა გარდამოცემად მძიებელთა ძაღისა ამის, რომლისა ზედა აღწერა არს ესე“.

ქართულიდამ სომხურად მთარგმნელად აქ იგულისხმება ზემოხსენებული სვიმეონი, რომელმაც პროკლე დიადოხოსს „კავშირი“ იოანე პეტრიწის შენიშენებითურთ გადათარგმნა სომხურად 1248 წელს.

მარტს თვით ეს სვიმეონ ქართველიც სომხად მიაჩნია: ტომით სომეხი იქნებოდა და შჯულით მხოლოდ ხალკიდონი-

ტიო. რათა მერე? ვანა ტომითაც და სარწმუნოებითაც ქართველს არ შეეძლო ეთარგმნა სომეხთათვის? ძველი დროით-განვე ქართველებს მონასტრები ქონდათ და მრევლი ჰყვანდათ ალაშკერტს, ყარსს, ანს და სხ., ისე, ვით დღეს სომხებს აქვთ მონასტრები საქართველოში. თუ ამ ქართველმა სთარგმნა სომხურად და ამ სომეხმა ქართულად, ნუთუ ამით პირველის სომეხ-ხალკიდონიტობა მტკიცდება და მეორის სომეხ-გრიგორიანობა? სულ სხვა იქნებოდა, თუ მთარგმნელის არა-ქართველობა მარცხს დაემტკიცებინა არა მის სომეხ-ქალკიდონიტობით, არამედ თვით თარგმანის ენის შესწავლით: რაც უნდა სრული მცოდნე იყოს უცხოელი ქართულისა, ისეთის ენით ვერ დასწერს, როგორითაც დაწერილია, მაგ., ქართული საღმთო წერილის წიგნები, ან და თუნდ ეს ჩვენნი „კავშირი“. ამიტომაც, ვიმეორებ, კავშირის სომხურად მთარგმნელის ენობა მკვლევარმა უნდა დაამყაროს არა მის ქალკიდონიტობა-არაქალკიდონიტობაზე, არამედ თვით თარგმანის ენის თვისებაზე. საზოგადოდ, არაფერში გადაქარბება არ ვარგობს და მითუმეტეს მაშინ, როდესაც მკვლევარი ეხება ბედით დაწაგრულ ერთა ცხოვრებასა და მეზობლობას. აბა როგორ დარა საბუთების მიხედვით დაიჯერება, მაგალ., მტკიცება იმავე ნ. ი. მარრისა, რომ, ვითომ, ირაკლი მეორის დროს სომეხთა კულტურა ქართველებისაზე მაღლა იდგა, რადგან, ვითომ, შაჰაბაზისაგან ჯულაში (ჯულფას) გადასახლებულ სომხებმა მე-XVII საუკ. გასულშივე შეუმსუბუქეს სომხობას დაახლოვებოდნენ ევროპის აზრს. ნუთუ ამგვარი დაახლოვება უფრო ადრეული და უფრო ინტენსიური არ იყო სომხეთზე უფრო პოლიტიკურად თავისუფალ საქართველოში? თუ სომხობას ჯულაში ტყეობამ გაუადვილა ევროპიის აზრთან დაახლოვება, ნუთუ დელლავალეს (1618 წ.), პაულინის (1626 წ.), პატრიარქების პაისის (1658 წ.), დოსითეოზის (1681 წ.), შარდენის (1673 წ.), არქანჯელოს და მრ. სხ. მოგზაურთა მოღვაწეობა თვით შუაგულს საქართველოში წინ ვერ წასწევდა მას ამ მხრივ? მაშ რადასთვის იმართებოდა რომში ქართული ტიპოგრაფია (1626 წ.), რის-

თვის იბეჭდებოდა იქ ქართული წიგნები, რათ აწესებდნენ იქ ქართულ ენის კათედრას და მის მასწავლებლად რად ნიშნავდნენ „მთელს წინა აზიაში მეცნიერებითა და დიპლომატიკობა-ელჩობით განთქმულს“ ქართველს ირბახს? პირიქით, მაშინდელს სომხეთში, მტერთა უდიერ მტარვალობის გამო ჩვენ ვერ ვხედავთ იმათ თანაბარს, რომელნიც სათავეში უღვანან ჩვენს კულტურას (არჩილ მეფე, დ. გურამიშვილი, ბესიკი, ანტონ კათალიკოზი, იაკობ ღუმბაძე, ნ. ჩოლაყაისძე, მავალი აზიასა, ევროპასა, აფრიკას, ბრძენი, ღრამატიკოსი, რიტორ-ფილოსოფოსი, იერუსალიმის პატრიარქის თანამოადგილე, საბა ორბელიანი და მრ. სხ.). სომხების კულტურის „უმჯობესობას“ უთუნდ ისიც გვიხასიათებს, რომ აქ მოსულმა „ფილოსოფიისა და ღვთის მეტყველების ღრმად მცოდნე“ ეპისკოპოს ავეტისამ და „კავშირის“ ქართულად მთარგმნელ ტერ-ფილიპემ ისიც კი არ იცოდნენ, რას თარგმნიდნენ ქართულად, ფილოსოფიას, თუ „მატანეს“, ისიც არ იცოდნენ, რომ ამ „კავშირის“ წინასიტყვაობაში მოხსენებული ჰამელიხოსი ეპისკოპოსი იყო, თუ მე-III საუკუნის ფილოსოფოსი იამელიხოსი, და ძველი „კავშირის“ განმარტებანიც იმავე ჰამელიხოსს ეკუთვნოდნენ, თუ ქართველს იოანე პეტრიწის. ვიმეორებ, ქართველებზე უფრო კულტურასან სომხების წარმომადგენლებმა ეპ. ავეტისამ და ტერ-ფილიპემ არ იცოდნენ, რომ თვით გარნისის ეპ. სვიმეონიც შეცდომაში შეეყვანა მისს წინაპარს სხვა სვიმეონს, რომელსაც 1273 წლის ახლო ხანს „კავშირი“ იოანე პეტრიწის განმარტებიანად გადაეწერა სრულად, ხოლო წიგნისთვის კი ასრეთი ყალბი სათაური დაერთო: „ამელახოსისა, ბრძნისა და რიტორისა, ათინის ეპისკოპოსისა (!) განმარტებანი პროკლე დიადოხოსის აგრედ-წოდებულ ღვთისმეტყველებათა“.

ასრეთი უბედობა ეწია ჩვენს პეტრიწის და უარესი წილი ხვდებოდა, თუ ღროზედ არ მოსწრებოდა აკადემიკოსი ნ. ი. მარრი

საქმე ის არის, რომ მამა დაშინანი ერთ თავის გამოკვლე-

ვაში ფიქრობდა, „კავშირის“ ქართულიდამ თარგმნამდე (1248 წლამდე) სომხებს თვითონაც უნდა ჰქონოდათ იგივე ბერძნულიდამ თარგმნილიო და ამ სომხურ ტექსტიდამ უნდა თარგმნილიყო თვით იგი ქართული დედანიო. ნ. მარმა ამ აზრის უსაფუძვლოება ცხადად დაამტკიცა ქართულ პეტრიწისეულ „კავშირისა“ და მის სომხურად თარგმნილ ტექსტების შედარებით (შედარებულია წინასიტყვაობა, 1-ლი და უკანასკნელი თავები. იხ. „I. Петриц.“, გვ. 14—31).

ჩვენ თვითონ მარმის დაბეჭდილ ნაწყვეტებს შევეუდარეთ ჩვენი ვარიანტის ბარი ადგილები და აღმოჩნდა მხოლოდ თითო-ორჯოლა განსხვავება. შედარე:

№ 69

დიდთაჲ
წინათვე
წინამდებარე
იძულებათა
შესიტყუათაჲსა.
საქადაგოჲ
არა ერთისა
იგი ერთ
უზადოსა
ვითარცაჲ
გინა.. ნამდვლ
არა
პარმენიდი
ტევრად
დიდთაჲ
დამსკევალოს
მას
მოილოს
საყდარსა
საღთოჲთა
ესუა

„I. Петр.“

დიდთა 15,1
წინათვე 15,2
წინამდებარე 15,2
იძულებათა 15,7
შესიტყუათაჲსა 15,8
საქადაგო 15,9
არა-ერთსა 15,10
იგინი ერთა 15,13
უზადოსა 15,16
ვითარცა 15,19
გინაჲ.. ნამდვილ 15,20
არაჲ 16,10
პარმენიდა 16,12
ტევრა 16,13
სიწლოსა ამა სიხშოჲთა 16,18
დამსკევალოს 17,15
ამას 17,17
მოილოს 18,5
საყდართა 18,6
საღთოჲსა ,, 7
ესვა 18,9

ჰრეკდა საყდართა	ჰრეკდეს კართა 18,10
მიერ საღთოაჲსა	საღთოაჲსა მიერ 18,12
ზესთა	ზენათა 18,15
მის შორისთა	მისითა, რომელთაჲთა (რომელ- ნი მისთანა) 18,17
და	და შრეტასა 18,20
ნაკუპრცხალთა	ნაკვერცხალთა 19,1
გრძნობაჲთა	გრძნობა(ღ)თა ,, 3
ხედვათაჲ	ხედვათა 19,7
კეთილმეკელოვნობაჲ	კეთილმეკელოვნებაჲ 19,13
აჰყვა	აღჰყვა 19,24
განაცხადა და უდგმოჲ	განაცხადა და უდგმო 20,23
თარგმანებითა ნაღენტა	თარგმანებრთა (მოწადენტა 21,1
სიტკვიოდ	სიტკვიოდ 21,8
სიტკვიოჲ	სიტკვიოჲ ,, 9
ყოველთა	ყოველთა პირველად 21,13
აირსა	და აირსა 21,21
სიტყვასთა	სიტყუათა 21,22
უწოდ	უწოდა 22,1
რამეთუ	რამეთუ პირველ 22,3
რამცა	რამცა 22,4
სირაჲ	სირა 22,6
დაესძინოთ	დაესძინოთ 22,12
ჭიოთხსა	დაკითხსა ,, ,,
იკითხვიდისო	იკითხვიდესო 22,16
საკითხვისასა	საკითხვისასა ,, 19
სათანადოჲ	სათანადოჲ და 22,21
მძღუართა	მძღუართა 22,24
ძგერა კმისა	ძგერაჲ კმისაჲ 23,9
ჰქვიან	ჰქვიან 23,17
შინასა (შნსა)	შინა 23,21
წომთაჲ	წომთაჲ 24,3

ნოიტონ	ნოიტონი ,, 1
გაგონება	იგი გონება 24,8
იგი ვლამოდი	იგი ოდეს ვ(3)ლამოდი 24,15
მივიწადები	მივიწადებ 24,15
შემოიკუას	შემოიკუას 25,7
გვარ	გუარ 25,8
გონებისადა და	გონებისადა 25,19
დიადოხოჲსი	დიადოხოჲსი ,, 34
იზიარების	ეზიარების 27,8
თითოეულ სა	თითოეული ,, 19
დაკაზმულსა	დაკაზმულთა 28,16
და კუალად	კუალად 29,6
დაპლევინოს	დაპკაჲმოს 29,18
და შთამოსრულ იქმნის სადმი	შთამოსრულ ნაქმნისადმი 30,4
კიდოვნებითა	კიდოვნებითი 30,20
სულთა და	სულთაჲ 30,21

„მას ხედვასა“ წინ (I. Петр., გვ. 31) უძღვის სიტყვები: „ყოველი ნაწილებითი სული და შთამოსრულ იქმნის სადმი ყოვლობით შთამოიარსებს“.

თვით გარნისის ეპ. სვიმეონის მიერ ქმნილ „კავშირის“ სომხური ტექსტი და მისი ქართული პირი ჯერ არავის შეუდარებია ერთურთისთვის. ეს შედარება ადვილად დაგვანახებდა, თუ მდივანბეგ ორბელიანს რაოდენის სისწორით და სიმართლით უთარგმნია „კავშირი“ სომხურიდამ, დაგვანახებდა იმასაც, თუ თვით გარნისის ეპ. სვიმეონს მართლაც რაოდენად პეტრიწისაგან დამოუკიდებლად უთარგმნია და განუმარტავს პროკლე დიადოხოჲსი. სომხური ტექსტის უქონლობის გამო ჩვენ გარნისის ეპ. სვიმეონის „კავშირი“, თარგმნილი ქართულად 10 იანვ. 1757 წელს (№ 237), შევეუდარეთ თვით პეტრიწის „კავშირის“ ტექსტს და დავრწმუნდით, რომ 1757 წლ. ნაცარქეკიები, მიუხედავად მათ ფიცილისა, რომ ძველი ტექსტი დაკარგულიყო, დამყარებიან სწორეთ ამ ძველს ტექსტს. იგივე პეტრიწის მიერ შემოღებული საფილოსოფიო ტერმი-

ნები, იგივე ფორმები, მხოლოდ იმ განსხვავებით კი, რომ სა-
ცა ვერ გაუგიათ პროკლესი თუ პეტრიწის ნასიბიძნი, შეუ-
მოკლებიათ, გამოუტოვებიათ და დანარჩენი კი უფრო მდა-
ბიო ვნით და, ხშირად, არეულ-დარეულად გადმოუღრიათ. მე-
ტი რა მოეთხოვებოდათ მე-XVIII საუკუნის ნაცარქექიებს, იმათ
სწორეთ, რომელნიც არათუ ძველებს ჰპარავდნენ და ურყე-
ნიდნენ თბზულებებს (ლარაძის „დილარიანი“, ნანუჩას -გე-
ფხის-ტყაოსანი“), არამედ თავიანთ ცოცხალ თანამედროვე-
თაც. ამგვარი იყო, მაგ., იობი, რომლის შესახებ საბა განა-
გრძობს: „ჩვენს დროში ბიძისში ცხოვრობდა წინამძღვარი იობ,
კაცი ფრიად სწავლული, კარგი მოსაუბრე, მცოდნე და შვითხველა
ჟამისა და დავითისა, კარგი კამომთქმელი, ნაქები მკალობელი,
კანთქმელი მწერალი, დაუცხრომელი ღვთისმლოცველი, შვიდეულის
მმარხველი და ტკბილი შემურელი. როდესაც მე დაფიქვე შედგენა
ამ სიტყვისკონისა, იგი აძიებდა და მკიცხავდა მე, სოლო რა და-
ვასრულე, ჰინას და მოეწონა. მე ვათხოვე გადასაწერად. მას გადას-
წერა, მაგრამ სადაც იყო ჩაწერილი ჩემი სახელი, ათქმალა და მის-
გან გადაწერილში ჩაეწერა თავისი სახელი, ვაჟომც მას შეედგინოს.
მე ამით ფრიად გავოცადი: როგორ თუ ამისთანა სახელაფანმა კაც-
მა არ იეკადრისა ესე? ნათქვამა: „ნუ მიუხლავ ბარაკისათვის
ბოროტით“ რადგან მან ჩემს შრომაში რა მოიხსენია ჩემი სახელი
და ჩაწერა თვის სახელი, ამისთვის მე ჩემს შრომაში შევიტანე
ქება მისა. ამისთვისვე მე ვიჩიაკე“. ჩვენი მდივანბეგიც, სიანს,
ამ ჯურის კაცი ყოფილა!

ორიოდე სიტყვა ხელნაწერის მართლწერის შესახებაც.

ბოლო დრომდის ყველანი დარწმუნებულნი ვიყავით, რომ
ამგვარი ფორმები, ვით „თქუაჲ“, „გამოჩინებაათა“ „დაბაჲ-
სა“, „აღვსებაჲ“ და სხ. პირველად მე-XVIII საუკ. შემოი-
ღეს ანტონი კათალიკოზის ხელმძღვანელობითაო. ეს აზრი
შემცდარი გამოდგა. ამგვარივე მართლწერა გვხვდება მუზეუ-
მის ბევრს ხელნაწერში, რომელიც გადაწერილია ანტონის
ხანას რამდენიმე საუკუნით წინად. იგივე მართლწერაა, მაგ,
ჩვენს „კავშირში“, სერაპიონის ცხოვრებაში, მე-XVI საუკ.

სახარებაში (№ 1031) და სხ. ძველს ათონურზედ უწინარეს დროის ძეგლებშიაც ერთნაირად არ იხმარება *ჟ. ეს*, ჩვენის ფიქრით, აიხსნება მით, რომ თვით საქართველოშიაც ყველგან ერთნაირად არ ყოფილა გავრცელებული ნახევარხმოვანი ბგერა *ჟ*, ისე არა, როგორც *ღ*დესაც, როდესაც საინგილო, ფშავ-ხევსურეთი, სვანეთი და სხ. უმისოდ გზას ვერ მადიან და ქართლ იმერეთში კი იგი უკვე საჭირო არ არის. მაშასადამე, *ჟ*-ს არსებობა ზოგიერთ ხელნაწერში და არ არსებობა იმავე დროის სხვა ნაწერებში უნდა აიხსნებოდეს გადამწერის, ანუ მთარგმნელის პიროვნებით: სადაურიც იყო, იმ ადგილის კილოზე სწერდა. კერძოდ: ფორმებში დაბაჟსა, გამოჩინებაჟსა, აღვსებაჟს და სხ. არავითარი „უმსგავსობა“ და უკანონობა, როგორც მარსს ჰგონია, არ არის; პირიქით მათში შენახულა უუძველესი ნიმუშები ბრუნვისა სახელთა შეუცვლელად მათთვის დაბოლოებათა მიმატებით. შეადარე:

სახელ:	დაბაჟ	სახ. 2	დაბაჟ-მან
		ნათეს	„ -სა
		შემოქ.	-თა

ასრევე: გამოჩინებაჟსა, გამოჩინებაჟსა, აღვსებაჟსა, აღვსებაჟსა, ტყვეჟსა და სხ.

და რახან ენის აგებულების ძალით ხმოვანები (მეტადრეა, ე, ო, უ) უფოდ არ იხმარებოდენ, ამიტომ თვით ბრუნვების დაბოლოებანიც უმისოდ არ ვარგობდნენ. ასრე წარმოსდგა მართლწერა: დაბაჟ—დაბაჟსა—დაბაჟსაჟ ანუ შემოაკლებულად: დაბა—დაბა-სი=დაბა—დაბ-ისა—დაბ-ისაჟ. შეადარე: I. სახელითა მამისაჟთა და ძისაჟთა და სულისა წმიდისაჟთა= II. სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. სულ თავდაპირველად კი უნდა ყოფილიყო: „სახელითა მამასაჟთა და ძესაჟთა და სულისა წმიდასაჟთა“.

ჟ ყველაზე მოქარბებით იხმარება „კავშირში“, ვფიქრობთ, ი თვით პეტრიწიმ, ქართველ გრამატიკოსთა მამათბთავარმა, გააწყო თვისს „კავშირში“ და არა შემდეგი დროის გადამწე-

რებმა. შეადარე კიდევ მართლწერა მე XI საუკ. ხელნაწერი-
სა № 142 *):

უ: ლაკნთა (გვ. 32), უკვე 22, თქვეს 28, გამოვთქვ-
მელსა 51, ვიტყვა 79, მეჯვარისა 77.

ა: რიცხუა 16, წმიდაჲსა 25, ეკლესიაჲსანი 26, სა-
დუმლო 79 წმიდაჲსა 83, მღუაძარე 84, ევლოგიაჲსა 87,
ოქრუჲსასა 94, მყა 49, იხალეს 36, მშუადლობა 54, 65,
თუჲთ 53, აქაჲთ 65, აესვს 95, სუამეონ 104, მივემთხუა
95, შიშათა 34.

უ=ო: ნოლასა 102, მოჰაკსა 105, ოქრუჲსასა 94, ან-
ტუნი 37, უცხუთა 18, ლოსკუმა 42, 55, ლუსკუმა 44, ქარ-
თოლად 105.

ნაწყვეტები ი. პეტრიწის განმარტებათაგან.

თაჲი ნ (ფ. 103 ბ): „რათა ჟამთა ებრ იყოს და იმოქმე-
დოს ჟამთა ებრ“. ესე არს ესე: რომელსა არსებაჲ ჟამითი მო-
უგია და მოქმედებაჲ ჟამითივე აქუს და ვითარ ჟამი მარადის
დენასაჲ და გარდადენასა შორის, ეგრეთვე ჟამის შორისიცა
არსებაჲ დენასა და გარდადენასა შორის, რამეთუ რომელნი-
მე მოქმედებით ოდენ შორის დენასაჲ, ხოლო არსებითი იგი-
ვეობაჲსა და მასვეობაჲსა ზედა, ვითარცა სფეროჲთა და მნათ-
თა. რამეთუ მოქმედებაჲ მარადის ასხუადების, ხოლო არსე-
ბაჲ ჯიგივეობს. ხოლო რომელსამე არსებითცა და მოქმედე-
ბით დაუწყუტდელსა შორის დენასაჲ, ვითარ ყოველთა ხრწნად-
თაჲ ბუნებაჲ, ხოლო გონებითი სფეროჲ ზესთაჲ ძეს ამათ ყო-
ველთა, რამეთუ საუკუნოჲ განჰზომს მას და ჰგიეს ლამპარსა
შორის დაუვსებლობისასა, არსებითაცა და ჟამითაჲ.

„რამეთუ იყოჲ და იყოსი განიყოფვიან ურთიერთას“, ესე

*) სვიმეონ მესვეტის დედის მართას ცხოვრება, თარგმნილი ბერ-
ძულიდამ მე-VII საუკ. დავითის მიერ, ხოლო გადაწერილი სვიმეონისავე
ლავრაში თეოდორესაგან, იეზუკიელისა და ეფრემის თანამედროვისა (გვ.
105—106).

იგი არს: რამეთუ ჟამსა განჰყოფენ იუთ და იუთსი და საშულალ მათსა აწი, ვითარ ელლინებრივ: ინ, ესტინ, ესტ ამათ წარმოდგომაჲ გაყვეს ჟამისაჲ. რამეთუ სადაცა ჟამი ხედავს და ჟამითი მიდრეკაჲ ვერაჲ განველთოს საძსა ამას...

თავი კთ (ფ. 73): იტყოდა ებედოკლი, რამეთუ ბუნებითი ყოველი აღმკული დაიპყრასო და ხუდა სიყუარულსა, რომელ არს ერთობაჲ, ხოლო მზუტლადი ესე არსისაჲ, ვიტყვ გრძნობადსა, ძლევამან დაიპყრაო, ესე იგი არს, რამეთუ სადაცა ძლევაჲ, მუნცა წინა მწყოჲ და ბრძოლაჲ...

თავი შ (ფ. 88 ბ): ესე ნამდულ მყოფი და ნამდულ არსი ემთავრების და ეღმერთვის ყოველსა მყოფსაჲ და არსსა და ყოველსა წესსა და შეწყობასა და მუშინიერებასა. მის შორისი წესი და მუშინიერებაჲ და შეწყობაჲ, რამეთუ ყოველსა სწორსა მის შორისი სწორი და ყოველსა საზომსა მის შორისი საზომი, რამეთუ ერთისა მიერ მოირთო...

თავი კჭ (ფ. 68 ბ): „ყოველი წარმომადარებელი თვისსა არსებისადმი წარმოადარებს მსგავსსა პირველ უმსგავსოთასა“, ესე არს ხედვაჲ ესე: რამეთუ ყოველი, რაცა აღიქმს და წარმოაყენებს არსებასა პირველ უმსგავსოთასა მსგავსთა წარმოაყენებს: რამეთუ არა თუ გარეთ აღიქმს ვითარ ნაკელოვნებთა რათავე ვითარ ხუროჲ და მქედელი, არამედ შიგნით და ბუნებით, რამეთუ კაცსა კაცი უფრო მსგავს, ვიდრე დანასახი კაცისაჲ და ვგრეთვე სხუათა ცხოველთაჲ და ერთსა ერთნი უფროჲ ეთვთებიან და ღმერთსა ღმერთნი და ზესთა არსსა ზესთა არსნი და არსსა არსნი და გონებასა გონებანი და სულსა სულნი და ცასა მნათთა თხზულებაჲ და სფერონი მათნი, ვიდრელა ქმნისა და ხრწნის შორისნი ასონი და ყოველთა უშორეს და უმსგავსო... თუ უმეტრებამან ვის გაზიდნეს, ვითარ აფიანის ქმნილმან ჰუნემან და ლამოდის წაყრად აღჯრთა ბუნებისა და წესისათაჲ...

თავი ჭ (ფ. 26 ბ): რაჲ არს სიკეთე ანუ რაჲ კეთილობაჲ? სიკეთე უკუპ არს წინაჲ ბქე და ეზოჲ კეთილობისა, ვითარცა სოკრატე ფედროსა შორის აღმოაჩინა: რამეთუ კე-

თილობად იტყვს პირველსა წყაროსა და ერთთაჲ წარმომაყენებელსა ზესთასა გონებათა მზესაჲ და ზესთ მარტივად დასდეს მას და სატრფოდ და საწყურად ნამდვლ მყოფისად. ხოლო სიკეთესა გაპყოფს მისგან და ახარისხებულსა საზომსა მისცემს, ხოლო თავსა ზედა სიკეთისა ხარისხთაჲსა თვთ მას ერთსა და კეთილობასა დააფუძნებს...

თ. ის (ფ. 45 ბ): „ყოველი მიმცემი სხუათა აობისაჲ პირველ თვთ იგი არს მყოფო და ა“. გესმა, თუ ვითარ წარმოაჩინს პირსა, იტყვს ყოველი მიმცემი სხუათა აობისა, ესე არს ესე, რამეთუ აობაჲ თან განწვალებით მიიღო არაობისაგან. რამეთუ თვთ იგი აობაჲ თვისისა მიზეზისაგან აქუს ყოველსა მყოფსა, ხოლო ყოველი მიზეზი თან მისცემს თვისისა აობისაგან და ააგებს წარმოებისაგან ა სა...“

ხოლო აჲ რაღაჲ განეყოფვის მყოფსა და არსსა, იხილე. მკურეტიმან, რამეთუ ოდეს არსი ანუ მყოფი სთქუა, მყის თანავე გუარსა წარმოიყენებ ხედულისასა, რაჲც ხროაჲ იყოს გაცდაჲ ხედვლი იგი. ხოლო ოდეს ოდენ აჲ ჰნიშნვიდეს მართ ოდენ არაობისაგან გაპყოფს და რეც თუ ა-თა შორის წარმოაჩინს, მაგრა უგუაროდ და პირ შეუპყრობელად და მერმე უკუანახსლა ზედა დაპრთავს ა-სა, ვითარმედ რაჲ ა-ო? და მიუგებ თან განელით, ვითარმედ ცეცხლი, აირი, ანუ გონებაჲ, სული, გუარი მყოფთა ესე ფრიად სათანადო თან-თან განვილის სახედ განჰვშორდეთ *). ..

თ. ღბ (ფ. 77): ტრფიალებაჲ თვნიერ მსგავსებისა არ ეგოს: რამეთუ არსადა ეტრფოს უმსგავსოჲ უმსგავსოსა. ვინაჲ იყოჲს პირველი მიზეზი მსგავსებაჲ უკუქცევისა და აღყვანებისა მიზეზთანთაჲ თვსთა მიზეზთადმი...“

სხოლიოჲ იამფლიხოჲსი (თაფი რჲა, ფ. 171): რამეთუ არცა ყოველი ურთებრი გონებისა მიერ თან იზიარების და კუალად არცა ყოველივე გონებაჲ, რომელცა სულისა მიერ ზიარებული გონებაჲ იზიაროს სხეულთა მიერ საქიროდ. არა-

*) ეს ნაწყვეტი საბას მოუქცევია თავის ლექსიკონში ასო ა-ს ქვეშე.

მედ არიან ერთნი მხოლოდ ოდენ გონებისაგან ზიარებულნი და კუალად სხუანი ერთნი თან ზიარებულნი გონებისა მიერ და სულისა და სხეულთასა მხოლოდ და კუალად არიან უკუც გონებანი თან ზიარებელნი...

„კავშირის“ ბოლსიტეფაობა (ფ. 236—239): მიზეზი აწ კუალად გარდმოღებად ჩემ მიერ წიგნისა ამის ესეობს: პირველ, რამეთუ განმრავლდეს გარდმომღებელნი და სხუასა აღუჩნდის სხუად, ვინა ესე დაულევენელ იყო უსაზღვრობითა ვერ სადა მიყვარებისათა და თუ სადათ შემთხუპოდა, ესე რომელნი და უმეცარ იყვნეს და რომელთამე გარემოხუპვითა დიდებითისა თნებისათა წარეცონა სამხილი უსწავლელობისა, ვინა და ტომითა შორის ჩუენთა არაობს, ვინცა ძალითისა სიტყუსა თან მეძხილე და მერქუპ...

„თუ ვინ კეთილ მეტყემან იხუტდრნეს სიტყუაჲნი ჩემნი, მიდმო უსაჯოს გულისკმის ყოფასა. ვპვონებ, რომელ არ დავიაო კერძო სამართლივ მოქმედთა, სადა უფროს ხოლო მადლითა სიყვარულისათა ვიწოდო მიერ, ხოლო თუ უსწავლელობაჲთა და შურთა ზედა დართვითა განმკნობილიყოს, ანუ და რეცა თუ სასწავლო და თუ სასწავლოდ ილიჩებისცა წოდებად, აჰა და მოერეცოს ვითარ ენითსა ჩუენსა ჩუტულარს წოდებად, ვითარ წერა რამე და მსგავსი ნაწერთა, კითხვა უკანონო, წერა და უკანონოცა და უკელოვნო კითხვა, თუ არა, რომელთარიან ნაწილნი თქუმისანი, თუ რაჲ სახელი და რაჲ სიტყუაჲ და ამათვე თანა ვითარ შეწყობაჲ და მორთვა ენისა და ნაღები და სინანრე გარდაცემისა შეცვალეებისაებრ პირთასა არ მოიგოს და ამათ ყოველთა სანთლად დღე ლუთის მეტყუტლებითთა ხედვისა და მაუკუდავებელი ნათელი გონებისა. და დართე კუალად მრავალ გამოცდილობაჲ ტომებთა შორისთა მსხუებათა განთვსულთა მეთნეობაჲთა რწმუნებათაჲთა თანა, რამეთუ ამას არა მცირედი გულმეკემობაჲ მოაქუს თვს შორის ვითარვე თან და მეწამვის არისტოტელი, იტყუს მეთქუტ ესთად, ვითარმედ „სასწალოთა ემხარკოსო“. ვთქუა ქაბუკი ბრძნად, არამედ ცნობილად არლა: რამეთუ ცნობიერობაჲ გა-

მოცდილებაჯათაგან მიიღებს შეკრებაჲსა. ვინა თუ მე აწ ამათ ყოველთა მოუგ... მე კაცი დაეხუდი ლმობათა შორის ჩემთა და მამადი ტკივილთა შორის გონიერებისათა და არავე სარეცეთა მომდოვრებისა ჩემისათა და არცა წამი სასუწნთა სულისა ჩემისათა, ვიდრემდის არა მომხელნა მე გონებითმან ცისკარმან დილადმი, რომელთა ბნელი უმეცრებათა არღ ენაცვალეების. და აღვიშურვე ტომისათა გუართა ჩემთასა მე მიდმოობაჲ ენისა გალექსებული და მესხუეი მდაბრიონთაგან... სათანაოდ მოქენეცა ვარ მძღუართა ენისათა არამედ მძღუარნი განიყოფვიან *) ანუ მახვლად, რომელ არს ოქსია ანუ და იძიმედ რომელარს ვარია, ანუ და გარე-მომრთხმელად, რომელარს პერისპომენი, ანუ და დასია, რომელარს წყნარად წარსავლელი სიტყვსა, ანუ და ფსილი, რომელარს წული, ანუ უკუსაქცეველი, რომელარს ტროფოს, ანუ თუ შემკრველი, რომელარს უფენ, ანუ თუ და უპოდიასხოლი, რომელარს ქუტშე გამო მომყოფი, ანუ თუ წენტილი... აწ მოვიკენოთ ერთი და ანუ ორი სიტყუაჲ, რათა უცხადე ვყოთ... სათანადო გუბთანადების მძღუართა მიერი კელპურობაჲ, კითხვა და ნაკითხვისა გაგონებასაჲ შორის.

ვინა მემრჩობლთა და მრავალ მრჩობლეთა და ერთ ვითთა ლმობათაგან მიდმოვიბნეოდი, სენთა უცხოებათა და შურთა და ვერაგობათა საკუმილისაგან მექმე აწ ამის ჭამის ქართველთა და ბერძენთა შორის: ქართველნი თანა დგომისა წილ და თქუმისა ესთა, ვითარმედ: „წმიდასა განგებასა ლუთისასა კაცი ტომისაგან ჩუენისა უწარმოებია კელოვნებათაგან სულითა დაკელოვნებული, ხოლო ხედვათაგან გონებისათა გაგონებებული, ვინა თან დაუგეთ, ვაძლოთ ლმობაჲთა მისთა უნუგეშინისოდ ტკივილთა მისთა ვეწამონეთ და ფარულთა მისთა ცხადად ვემხარკნიეთ, რათა უცხოდ ბუნებისაგან წარმოარსებულისა მსგავსი და ნაცვალი მისი უშთინოდ, რამეთუ მედინისა ბუნებისა არს კაცი და ჟამია რლუპვისა მისისა:; უცნაუ-

*) იხ. საბას ლექსიკ., XXVII.

რობს“. არ ესთა, არა რა ვერ იგულ-ისხნაებს, ვითარმედ: ბრკალსა ჩემსა უმზირდეს სასაფრკოდ სულისა ჩემისად“. ვინა ძვრთასაცა უძურეს ესე, რომელ ზრითა იპყრობოდეს: უმეცრებითა პირველ მარტივად უმეცრებით სასწავლოთა და კულად მეორედ თვთ მის უმეცრებისა, ვითარ იტყვს სოკრატ, რამეთუ: „ძნელ სენი, არამედ უფიცხეს უმეცრებაჲ სენისა““. ვინა თუმცა მე რავე თან სიყუარული და შეწევნა მრუპნებოდა ზათვან, თანა ვხდე დგომასა ღუთისა განგებაათასა და თვთ მათ ხედვათა ვფუცავ სურვილსა, რომელ ენამცა ენისადა გამეწყო და ხედვამცა ფილასოფოსთა განცდისა მეარისტოტელურა და ღუთის მეტყუელებჲ ნივთისაგან მიუხებელი წარმომეყენა.

არამედ აწ შეძლებისა ებრ და ცალისა ჩემისა აწცა ვიღონო სწორადვე წყალობაათა ღუთისათა დავითის გამგონეობისა და წყალობაათა და თანა დგომისა მინდობილმან, ვინა სხუათჲ ამათ ზემო კსენებულთა ესეცა დაეთანაჲ: რამეთუ ჩუპულებაჲ არს ჩუენდა ადვილთა და ჩუეულებაათა სათარგმანოთა შორის თხზვად და მორთვად ენისად. არამედ ძნელთა შორის გონებითა და ფილასოფოსთასა ყოველსა სილიტონესა და თან მიყოლასა ენისაებრსა ვემხარკები დადებად ვიდრე სადამდის მეტიოჲ სილიტონითა დაშლა და ვნებაჲ გონებასა არ შემთხუპოდის. რამეთუ ყოველი ჰაზრი ჩემი მათ შორის გონებისა და ხედვისათჲს არს, ანუ-და სიტყუერებითი იყოს, გინა-და სწავლულებითი ანუ-და ბუნებითი და ღუთისმეტყუელებითი, ვითავე ამათსა წინაათ ნემესს წიგნისა შეწყობაჲსა შინა მებარკა“... .

მამადმთავრის ქრისტეფორეს მიერ ახსნილი სიტყუები ცალკე ქალაღდის ნაჭრებზე.

სუმპერაზმა თანა-გასავჯლს ქვან. იგივე საბას ღექს.: „სუმპერაზმა თან-გასავჯლი გვართა ურთიერთის კიდურთა (1. კავშ.). — თვით ჩვენს ტექსტში (თ. იე): „სუპარაზმოჲ, რომელ არს თან-გასავჯლი გუარულად“-. (სიტუერებრივსა შორის ერთქმნაჲ გუარი-

სამ ჰბადეს მას ერთსა, ვითარ თანშესიტყუაჲს შორის. რამეთუ სამ არიან ნაწილნი სულლოგ-აგიზმოსანი, რომელ არს თან-შესიტყუაჲ. ვინაჲ ამს თან-შესიტყუას სჯმწერაზმომ ერთ ჰქეოფს და ერთის გუარ: რამეთუ სამთა მიერ საზღვართა ყოველი სულლოგიზმომ და ერთისა სჯმწერაზმომას, ვინაჲ საზღვარნი უკუწ იპერენ ნაწილად, ხოლო სჯმწარაზმომ, რომელ არს თან-გასავალი გუარულად, ხოლო ყოველი გუარი ერთი არს და განუკუწთელი გ).

ესთა (კავშ., აშიაზე, 191 ბ)—მეგრული სიტყვაჲ: ესრეთო ქართულად.—საბ. ლექს.: -ესთავე—ასრევე“. (კავშირში ხშირად იხმარება ესთა).

ემფასა—ვითამ თქმასა.—საბ. ლექს : ემფასანია—ესე არს ფუფუნებითგან მოუკლებელი კეთილი (კავშ. 14, 194). კავშირში (თ. რედ, ფ. 207 ბ): „წარმოაყენებს ეფასსა მაგალითსა

პრალმა—ვითამ რამე არს.—საბ. ლ.: „პრალმა—ქონება კეთილის გინა ბოროტისა.

სტუქონი—ასოთ ეწოდების (კავშ. ე.).—საბ. ლ.: „სტუქიაჲ=სტუქო—ესე არს ოთხთ კავშირთა აღნაქსნი“... კავშირში (თ. ე, ფ 141 ბ): „სტუქიონი, რომელ არიან ასონი“. საბას ლ.: „ასო ელადელთა კმითა ჰქვიან კავშირთა. ამისთვის ფილოსოფოსთა მიერ ასონი სახელდებიან ცეცხლსა, ჰაერსა, წყალსა და მიწასა, ე. ი. ქვეყანასა, რამეთუ ვითარცა ასოთა დასხმითა აღმოიკითხვის სიტყვაჲ და სიტყვათაგან შეიქმნების წიგნი, ეგრეთვე ამა ოთხთა ასოთაგან (ცეცხლისა, ჰაერისა, წყლისა და მიწისაგან) შეიზადების სხელი და სხეულისაგან კაცი სრული. ხოლო ამა ოთხთა ასოთა კავშირად სახელსდებენ, ვინაითგან მით. დაკავშირდებიან ყოველნი ნივთნი“. თვით კავშირში (ფ. მ ა): „სტუქიოჲ ეწოდების კავშირსა... ვითარცა ასოთა მიერ სახელსა, ხოლო სახელთა მიერ თქუმასა და კუალად თქუმისაჲ მიერლა სიტყუასა, ვითარ გვსწავლია „პერიერმენისა“, რამეთუ ყოველთა შედგმულთა მარტივნი უპირველეს ვითარ ოთხთა ამათ კავშირთა, ვიტყვ ცეცხლსა, აირსა, წყალსა და ქუეყანასა“.

ხალეპოა—ფიცხელი.—საბ. ლ „ხალეპო—ავი“ (კავშ. 50). კავშირში (თ. ნ, ფ. 101 ბ): „ხალეპოა ესე, რომელ ჟამი არ ენაცვალეების ხრონოსა, არამედ კეროსა, ხოლო კეროა ნაწილ ოდენ არს ხრონოესა“.

ორღანო—სადაც ორღანო სწერია, ესრეთ შეისწავე: ორღანო, ვითარცა არს ორღანო სულისა ძალნი (!) ესე კაცი-სა, ვითარცა გვამის ორღანო კელი, ფეკი და სხვანი თვითფულნი ასონი, ვითარცა ხუროსა ვითარნი.

მეკუდლო—მოკუდავი (კავშ. ჟგ, ჟდ, ჟვ). საბ. ლ.: „მეკუდლო—მოკუდავი. თვით კავშირშიაც ეგრეა (თ. ჟგ—ჟვ).

არღი—აწ. მაგრამ არღი არ უნდაო, არტი უნდაო, რომელი არს „აწ“. საბ. ლ.: არღი—აწ (კავშირში).

ეტრფოს სიტყვერებით, რომელარს ცნობითი და გულისკმის ყოფით (თ. ლთ).

სფერო—ცის სიმრგვლეს ქვიან (თ. იზ). საბ. ლ.: „სფერო, ესეარს სიმრგვლე ცათა“.

ნოიტო—ვითამ გონიერი. საბ. ლ.: „ნოეტნი—გასაგონი და ზესთა მდებარე.

ანაქს—მფლობელი. საბ. ლ.: „ანაქსვი—ნივთნი აქსვილნი (კავშ შ). კავშირში: „სამად განიყოფვის ანაქსვი არსთაჲ. შეისწავე: რამეთუ მხოლონი ნამდვილ მყოფისანი, რომელ არს პირველი აღმკული და პირველი არსებაჲ საღმრთოჲ და ზესთ არსი რიცხვ არს და პირველი საზღუდარი და პირველი უსაზღვრობაჲ. რამეთუ ამათ მიერ შედგა პირველი შედგმული და პირველი ანაქსვი, ნამდვილ მყოფი მის ერთისა მიერ, რომელი ზესთა ძეს ყოველსა შედგმასა და ნაწილთა მისთა.

აფიანის—უჩინოსა ქვიან. საბ. ლ.: „აფიანი (28 კავშირში). საბას დაკლებული შეუფსია რედაქტორს რ. ერისთავს: „აფიანი — თუ უმეცრებამან განზიდნეს ვითარ აფიანის ქმნულმან ჰუნემან და ლამდეს აღვრსა ბუნებისასა წაყრად. (კავშირი).—ჩვენს კავშირში ცოტა განსხვავებით სწერია: „თუ უმეცრებამან ვის გაზიდნეს, ვითარ აფიანის ქმნილმან ჰუნემან და

ლამოდის წაყრად აღვრთა ბუნებისა და წესისათაჲ“ (თ. კც, ფ. 69).

კენტრო—ამას ქვიან, რომელსაცა ეტლზე მზე დგას, თუ სხვა რომელიმე მნათობი. - საბ. ლ.: „კენტროს—ღერძი (კავშ. 15). თვით კავშირში (თ. 15, ფ. 41 ბ): „უძრავ. მის გუარისა, რომლისადცა იყოს, ვითარცა კენტროჲ თვისისა სფეროსად, ვინაჲ ესთა ჰჰოვო“.

პოლვმოართად—ცისფერად. საბა: პოლვიფარად—მრავალ სახედ (კავშ. 41). კავშირში (თ. მა, ფ. 91): „უმრავალძალდების და პოლვიმორთად ასჩნდების, დალათჲ იყოს ერთი, ვითარ სამლდელონიცა შესამოსნი აღკაზმულ იყვნეს“.

სირა—რომელი ასხვებდეს ყოველთა წარმონარსთა ნათხზსა შორის სირასასა, რომელ არს უმგავსოება. იუწყე, რომელ უმგავსოებისა მიერ განსხვავდების ყოველი განსხვავებულნი. არამცა ეგოს სირა რიცხუთა, არცამცა სირამყოფთ. ხოლო ვინათგან არს და ჰგიეს სიმრავლე სირათა შორის განსხვავებული ურთიერთისაგან უმგავსებისა მიერ განმრავლებულ და განსხვავებულა, ხოლო შემოკლებულად იყოს გასაგონო. კავშირში (თ. კა, ფ. 53): არა ჰბაძავს პირველსა მიზეზსა მხოლოსა სირაჲსასა მით, რომელ უნაყოფოჲ, ხოლო ყოველი უნაყოფო უქმ, ხოლო ყოველი უქმი უმგავსო ზესთ მექმისაჲ. და არცა სირაჲ ერთ იყოს ესე ესეარს, თუ მხოლოჲ სირაჲ არ მერმე და არცა მეშვე იყოს, არ ებაძვოს ერთსა ერთსა-ერთთასსაჲ. და არ მბაძავი მისი, პირველ, ვერცა წარმოობს, მეორედ, ვერცა ათვთებს რიცხუს შორის ერთთასა, მესად, ვერცა ურთიერთას ზარებასა მისცემს და თხზვასა. ხოლო რომელიცა სირაჲ სამისა ჰმისგან იყოს დაკლებულ, ვერსადათ მოიგოს მყოფობაჲ და ვერცა დგომაჲ“.

პანი—არვის დღესასწაული არს. საბა: „პანი—ელღენთ ლმერთი“. კერპი მისი იყო ოვაციის სახით (ხელნ. № 16, გვ. 338).

აობა. აობა ზეით ძნად რადმე შეიტყობა, თუ რა არს და ამ თავში განმარტა: არა ავობა არის, არამედ სხვა პირი აქვან. —საბას ლექსიკონში ნახე ა-ს ქვეშე.

ესტინი—არს, ესტე—იყოს.

მეტავატიკოსად—მიდმოცვალებით. საბ.: მეტავატიკოსად —მიმოდაცვალებით.

საწუთრო—ამ თავის (თ. ოზ, ფ. 133 ბ) სიტყუას კმაროს რუსთველი:

საწუთრო კაცსა ყოველსა
ვითა ტაროსი უხვდება,
ოდეს მზეა და ოდესმე
ცა რისხვით მოუქუხდება,—და შემდგომი. სხვა
აღარ მემუნასიბება.

უმდების—ყვაილდების, აასფადელოვდების.

აღლილუქია—ვითამ ურთიერთსა —საბა: „აღლილუქიაჲ ესე იგი არს, ვითა იყო იგი პირველ იგივე შემდგომობით, ვითარცა ნიადაგ და იგივეობაჲ (კავშ. 97, 121). კავშირში: „თუნიერ მიზეზთასა მსგავსებაჲ შეუძლებელ. ხოლო თუ უმიზეზო დახუდომით, არამედ რომელსა წესსა შორის იყოს ურთიერთას აღლილუქიაჲ და ნიადაგ იგივეობაჲ არვინაჲ იყოს დახუდრებაჲ მის მიერ, ვინა მიიღებს ყოველნი სირასა შორისნი გუამოვნებანი მყოფობითსა თვთოობაჲსა“ (თ. 97, ფ. 144 ბ).

აპორრვად—ვერ მიძლიეს, ან განცვიფრებულვარ. საბა: აპორრვია—გამოჩენილივით (კავშ, 27, 41). კავშირში (თ 41, ფ. 94): „ამას ზედა განსქდა წვალებაჲ არისტოტელის და ძუნლთა ლუთის მეტყუპლთაჲ. რამეთუ პლატონ და ალლოფიმოს და ორფევს და ყოველნი ელევათ ელევათ გამონი, ვითარ ბრძენი ელვატორენი და სხუანი ყოველნი პითალოროსს გამონი, ვითარ პარმენიდი და ზინონ არა აღრევენ გჯართა სხეულთა შორის, დალათუ იყვენენ წერილთა ნაწილისნი, არამედ აპორრვად და ესე ვითა და ნაშარავანდედად ნათლად იტყუან, სხეულთა შორის ბრწყინავს“.

უმსგავსობასა—განწვალებად იტყვს. დასაბამთაგან ესე მყოფთა სირასა შორის იხილვების. საბა: „უმსგავსოსა და სხუპბრობასა და ცვალებასა ცხად ჰყოფს“. კავშირში: „ტრფიალე“

ბაჲ, თჳნიერ მსგავსებისა, არ ეგოს. რამეთუ არსადა ეტრფია-
ლა უმსგავსოჲ უმსგავსოსა (თ. ლბ, ფ. 77).

თეთონგთა—კმა.

ენტელექიანი—მოუშლელობა. საბა: „ენტელექია—შე-
მასრულებელი.

ზოდო—ეტლი. კავშირში (თ. ნ, ფ. 103): „ჟამი ვი-
თარ მოქცევი მზისაჲ: ამის ზოდოჲსაგან ვიდრე ამისდადმდე
ესე ზომ და მოქცევი დიოჲსი ამისდამდე ესე ზომ, ვინაჲამათ
მოქცევთაჲ შორის მიდრეკაჲცა და ჟამი, რომელსა ენით ქარ-
თულთაჲ წელიწად უწოდს“.

გადყონისებული—ვითამ დამთვრალი. საბა: გადვონისე-
ბული, ესე იგი არს სურვილით და ნებით გაერთებული (კავშ.
12, 13, 63). კავშირში (თ. ნ3, ფ. 121 ბ): „გამყონისებუ-
ლი ტრფიალებისა მიერ სურვილთა ერთისაჲთა და წადნოჲს
მისდამი შემტრფალი და შეეყოფვის მის მიერ სულისაჲ და
გონებისაჲ და უკუდავ იქმნების მის მიერ და აღრმთებს თჳს-
თა ზექონებაჲთა ყოველთა მეკოდოთა წესისა და ბუნებისაგან.

კრონოს და ზევს, დიაჲ და რეა გამოჩნდეს დასასრულსა
გონიერთასაჲ, ხოლო შეემეცნე, რომელ გონიერთა გონებით
სფეროჲ უზევდების, ვითარ საგონებოჲ და გასაგონი მათი და
თვით ქართულთაჲცა ესთა დაჰნიშნავს ლექსგაჲ, ვითარშედ გონიე-
როჲ“ (თ. 14, ფ. 39 ბ).

პერიპატოსი—გამომეტყველების და კელოვნების უპარ-
ჯვეს ქმნისათჳს მზრუნავი. საბა: „პერიპატოჲ. პლატონ მას
უწოდს, რომელიცა ფილოსოფოსნი შევლენ არკადემიათა ში-
ნა ანუ ლევიკოსთა და ჰყოფენ მოყვასთა მიმართ ქცეულება-
სა სხელთა უმარჯვეს ქმნისათჳს გამომეტყველობასა გამო-
ბრწყინებულად, რამეთუ ვითარცა აქვს ორღანო საქმეთაცა
ეგრეთვე გამოაჩინნეს კელოვნებანი (კავშ. 18). კავშ. (თ. იპ,
ფ. 46 ბ): „უწოდეს პერი პატოს გამოთა, ვითარ მხედველთა
შუპნებითისა ოდენ სხელისათა“.

დასთომილი—ამცდარი. საბა: დასთომილი—დაცთომი-
ლი (კავშ. 121). კავშირში: „შემდგომთაგან ყოველთა არიან

ზესთ დასთომილ მიწთომასა, ვითარ მიზეზნი ყოველთანი“ (თ.) 121, ფ. 162). იგივე სიტყვა ინგილ.: „დასტომილი“. დასტა—ასცდა. დაესტ, დაჰსტ, დასტა. სტომა—ცთომა, ხედომა; დასტა—ასცდა, არ მოხვდა; გასტა—გახვდა, ეყო.

იკანოჲ—კმაობა. საბა: „იკანო—კმა არს (კავშ., 40). კავშირში (თ. 40. ფ. 90): „ეტყვს პარმენიდი სოკრატეს, ვითარმედ: „და აღმოსაჩენსაცაჲ მიზეზისა და მიზეზოანისასა უბრკულმაჲ ერთისათჳს, ვითარცა ვერ კმასა, რამეთუ იკანოჲ ყოველი კმა არს, ხოლო ესე ვერ იკანოჲ მის ზესთ კმისათჳს, ამისთჳს, რომელ ყოველსა მიზეზოანსაჲ მოაქუს ხატი და თვთებაჲ მიზეზისაჲ“. მართლაც ბერძნული Ικανος ნიშნავს კმას, საკმოს.

ამვლუგობობობა—თვალთ ბნელობა. საბა: „ამელიობობობა (!) თუ თუალთ ტკივნეულთა რა თუალთ მხედველობაჲ ვერა კეთილად იყოს და ნათელსა ერთსა შუქმრავლად ჰხედვიდეს და ხედვაში ურბიოდეს“ კავშირში (თ. 144, ფ. 179 ბ): „თუალ ტკივნეულნი ამვლუგობობობდენ რაჲ, მზესა აბრალოდენ თჳსთა სიბნელიისა მიზეზთა“.

იმრი—გარემო, იმიერ-ამიერობა. საბა: „იმრ—იგურდივ“. კავშირში (თ. 8, ფ. 26): „ემღვეგრების ყოველი მწადი საწადსა და მეტრფე სატრფოსა თჳსსა, ვითარცა იმრსა და მეზესთაესა თჳსსა... ყოველი მეტრფე სდეეს თჳსსა სატრფოსა, რათა იკეთილოს და გაკეთდეს მისგან“.

აკმე—დასაკმაყოფილებელი. საბა: „აკმე, ესე არს ჟამისაგან ქირის მოსვლა, უწამლო და უკურნებელი, გინა ურგებელი (კავშ., 8). კავშირში (თ. 8, ფ. 27): „დაათრობსო მყოფოა ნექტართა მიერ, დაამტკიცებს აკმეთა მათთაჲ ამეროჲ ამეროსიათა და არცა ყოვლითურთ თან მიუღლებელ“.

3. სერაპიონ კვიპრიანისძე ზარზმელი.

ზარზმა=ზარ ზმა. კონდაკოვის და სხ. აზრი საქართველოს ხერთ-მოძღვრების შესახებ. შიშ მღვიმელის მ.ა. წაფე მიქელი. თპიზა. მიქელის ჰარესი. მიქელის შაწა-

ფის სერაპიონის ცხოვრება და მისი მოსვლა სამცხეის
 ფერისცვალების ხატით. სამონასტრო ადგილის ამო-
 ჩეკა. გიორგი ჩოჩხელი. გიორგი მაწვეკრელი. გ. ლორ
 ჩხელის და ლატავრი (თეკლა). მისი შეილები და ქმ-
 რი მირიანი. კელაჯან ბერძენის მოწვევა ხუფადამ და
 ზარზმის შენება. რად ეწოდა ზარზმა. ზარზმის მამე-
 ბი. სერაპიონის ცხოვრების დამწერი ბასილი. მსვლელო-
 ბა ზარზმა-პარესის შორის. სურსიძეების შთამომავლობა
 ხსოვნას ღირსი სახელები. მიჯნაზორი—მიქნაზორი.
 ავარელი სახელები. ახალი ცნობები ზარზმაზე. მაწ-
 ვეკრელი. მოწმობა სვიმონ კათალიკოსისა (IX—X
 საუკ.). ჰარხი და მისი მნიშვნელობა. ბერთა და ჰარხი
 შუარტელი. ზანავი და მისი მონასტერი. სერაპიონის
 „ცხოვრების“ ენა. ჩეკნი ძეგლის მნიშვნელობა

სერაპიონ კვიპრიანის ძე იყო ზარზმის მაშენებელი.

„ზარზმა“ ჩვენ ისევ 1904 წელს ავხსენიო ზარზმად, ზარ-
 ცემად (ვახუშტი, გეოგრ., გვ. 211). ჩვენს ახსნას ამართლებს
 სერაპიონის ცხოვრება. ვიდრე ვიტყვოდეთ, როდის და რო-
 გორ ააშენა მან დიდებული ზარზმის ტაძარი, საჭიროა მოკ-
 ლედ გავიცნოთ სახელოვან სპეციალისტის ნ. პ. კონდაკოვის
 აზრი საქართველოს საეკლესიო ნაშთების შესახებ

„საქართველო ნაშთები“, აშბობს კონდაკოვი თავის
 „Древняя архитектура Грузии“ აში (გვ. 6—7, 45, 47—50),
 „არათუ თავის თავად ერთს რასმე მთელს შეადგენენ, არამედ
 იგინი არსებითადაც კავკასიის ყველა სხვა საეკლესიო ნაშთებ-
 ზე უაღრესნი არიან. მართალია, ჩვენში დუბუას ზერელეო-
 ბის წყალობით საკმაოდ გამტკიცდა აზრი, რომ საქართველოს
 ხუროთმოძღვრება სრულად დამოკიდებულია და პირდაპირ
 წარმომდინარეებს სომხურიდან. ჯერ ერთი, რომ თვითონ
 დუბუაც მხოლოდ ცდილობს დაამტკიცოს ესრეთი აზრი შე-
 სახებ ქართულ ხუროთმოძღვრების სომხურიდამ მომდინარეო-
 ბისა და ამასთანვე, ხშირად, თვითონაც ლალატობს თავისს
 აზოს. ასე, ამგვარ მსჯელობას იწასაც მიაყოლებს, რომ სომხეთ-

ში დამოუკიდებელი ხუროთმოძღვრება არსებობდაო და ისიც უუქველესიაო! მაგრამ რა საცოდავ საბუთებით ამტკიცებს ამას! რომ ქართული ხუროთმოძღვრება იღებს სომხურ ხუროთმოძღვრების პირს, სჩანს იქიდგანო, ამბობს იგი (ღუბუა), რომ ა) სომხეთში ხუროთმოძღვრება ყვაოდაო ძველადგანვე, ბ) მასში არისო ეკლესიები X XI საუკ, გ) სომხეთში არისო სახეები ქართულ ეკლესიებისა, მაგ, სიონი ატენის ხეობაში არისო ზედგამოქრილი პირი სომეხთა ეკლესიის რიფსიმესია (ვაპარშაპატს) და რადგან სიონი მე-X საუკუნისაა, რიფსიმესი უნდა იყოსო VI საუკუნისა და დ) სიონის მაშენებელი იყო სომეხი ბოგოსაო (?)! თუ კი შემდეგაც ყველა ეს საბუთები სწორეც ყოფილიყო, მაინც, რადგან თვით სომხეთშიაც ეს ყაიდა უნდა გაჩენილიყო გარეშე გავლენით, ბუნებრივ იქნება წარმოვიდგინოთ ამ შემთხვევაში არა სესხება, არამედ საერთოდ შემუშავება ძირეულ ყაიდისა და ერთდროული განვითარება ხუროთ-მოძღვრებისა მონათესავე ქვეყნებში, რომელნიც დაახლოვებით ერთს ყოფაში არიან (თუმცა მთიანი მიწა საქართველოსი უფრო მეტად ხელშემწყობი იყო ხუროთ-მოძღვრების განვითარებისთვის, ვიდრე ბარი სომხეთი) და ერთსა და იმავე გავლენის ქვეშე. მაგრამ აღნიშნული მუხლები უმართლოა და ვერა.ს ამტკიცებენ, ვინაითგან საქართველოში ხუროთმოძღვრება ძველადგანვე ყვაოდა. აქაც არის ეკლესიები X და XI საუკუნოებისა (ჩხოლოდ ბევრად უმეტესიც) და სომხის აღნიშნული ასლები (პროტოტიპები) ანუ ერთდროულია და ანუ ქართველებისაზე ნაკვიანვე. საზოგადო ცნებად გამხდარი „ქართული ხუროთმოძღვრება“ დაუბადნია გონიერს საზრისს, რომელსაც ნათლად დაუნახავს, რომ ნამდვილი ხუროთ-მოძღვრების ნაშთნი არსებობენ საკუთრივ საქართველოში. ჩვენ აზრად გვაქვს ვილაპარაკოთ საკუთრივ ქართულ ხუროთმოძღვრებაზე, როგორც მოვლენაზე ხელოვნების ისტორიისა“. შემდეგ ჩვენი ავტორი ქართულ ძველ ტაძრებს, მათ აშენების დროის მიხედვით, ასრე ანაწილებს:

მე-VIII და IX საუკ.: ატენის სიონი, ჯაჭვის-საყდარი (მცხეთის პირდაპირ გორასუ) და ნაქალაქევი.

მე-X და XI ს ბაგრატის ტაძარი (ქუთაისში), ბეღია, მარტვილი, მოქვი, ღიხნი, ბაქვინტა, ხოფი, ნიკორწმინდა, კაცხა, დრანდა, შემოქმედი, გელათი, სამთავისი, იკორთა, კაჯთისხევი, ერთაწმინდა, მამუბა, მანგლისი, მოწამეთა, ბეთანია, ზედათმოკვი, სტეფანწმინდა, საფარა, ფ ა რ ფ მ ა, ხონი, კარზამეთი, კუმურდო, აწეური და სხ.

ასრე ანაწილებდა ქართულ ეკლესიებს კონდაკოვი 1876 წელს და ერთის წლის ამის წინად კი (1875 წ.) დ. ბაქრაძე იმავე ტაძრებს სხვანაირად ჰქოფდა, ასრე.

IV ს.: ბოდბე, ნაქალაქევი, ნეკრესი,

V ს.: ბოლნისის სიონი, ჭერეში, ჟაღეთი, მეტეხი, (ტფილ.), ნიქოზი, ნინოწმინდა, სიონი (ტფ.).

VI ს. გარეჯა, ჭვარის-საყდარი, ზედაზენი, იყალთო, მარტყოფი, ნაქალაქევი, ნათლისმცემელი, ბიჭვინტა, თეზი, უღუშბო, ხირსა, შიომღვიმე

VII ს.: ანჩისხატი (ტფილ.), აწეური, ნოკორნა.

VIII ს.: არტანუჯის პეტრე-პავლე

IX ს.: ალავერდი (კახ.), ბანა, ხახული,

X ს.: ბეღია, კუმურდო, ბაგრატის ტაძარი (ქეთ.), მარტვილი, მოქვი, სავანე, წყაროსთავი

XI ს.: ალევი, ატენის სიონი, გელათი, დანახვისი, ფ ა რ ფ მ ა, ზედათმოკვი, იშხანი, კაცხა, ღომისა, მამუბა, მანგლისი, მთაწმინდა, ნიკორწმინდა, ოპიზა, სამთავისი, ღიხნი, წვიმოეთი, ეოშხი

XII ს.: ახტალა, ბეთანია, ვარძაა, იკორთა, კაბენი, თიღვი, უბე

XIII ს.: გულარეხი,

XIV ს.: ძარი, ჭელენჯიხი, ჭუღები, მოწამეთი, ფიტარეთი, სამშვილდე, საფარა.

XV ს.: სვეტიცხოველი (მცხ.), რუისი, სამთავისი

XVI ს.: ვაღე, ზარზმა (ტურიაში), ღიხურო, ღურჯმონასტერი, შუამთა,

XVII ს.: შკადისჯვარი, თბილისი,

XVIII ს.: ანანური, ქაშვეთი, უდაბნო (გურ.)

XIX ს.: მარტყოფი.

ორთავე ეს სიები სრული და უნაკლულა არ არის. ზარზმის აშენებას აკუთვნებენ მე-XI საუკუნეს და აშენებული კია, როგორც უსერაპიონოს ცხოვრებოდაც დაამტკიცა ე. თაყაიშვილმა, ამაზედ ბევრით უწინარეს დროს; ატენი, ვითომ იმავე მე-XI საუკუნისა, აშენებული ყოფილა მწვეწკნელადც წინა დროს. შუამთას სთვლიან მე-XVII ს. ძეგლად, მაგრამ ყურადღებას არ აქცევენ იქვე მყოფს ძველს შუამთას, რომელიც უქმად ჰგია ახალ შუამთის აგების შემდეგ თინათინის მიერ მე-XVI საუკუნეში.

საქართველოს საყდრები ჯერ სავსებით შესწავლილი არ არის, საინგილოსკენ ჯერ სპეციალისტს ფეხი არ შეუდგამს, დალისტინის დათუნსა, ჩანის ახაბაყრდისა, ყაბარდოს ჯვრისა იმის მეტი ცნობა არ გვაქვს, რომ აშენებულნი არიან მე-VIII საუკუნეში, მრავალი ნაშთი ზემოკახეთს (თიანეთ-თელავის მაზრებში) არავის დაუთვალიერებია, მაგ., თუნდ შესანიშნავი მონასტერი კვეტყური, ბევრი რამ გამოუძიებელი დარჩენილა სხვაგანაც და ამიტომ ჩვენ ჯერ სრული წარმოდგენა არა გვაქვს საქართველოს ხუროთ მოძღვრებაზე, ერთი შეგვიძლია ვთქვათ მხოლოდ, რომ ეს ხუროთმოძღვრება გაჩნდა აღრევე, ქრისტიანობის შემოღების დროიდგანვე, როდესაც ეკლესიის ასაშენებლად ოსტატები მოიწვიეს საბერძნეთიდგან და ამ ოსტატებმა ააშენეს ტაძრები სამცხეს (ერუშეთისა), სომხითს (მანგლისისა) და მცხეთას. უეჭველია, ამათ ყაიდაზე და ამათ მაგვარი შენდებოდა შემდეგშიაც, მეფეებისგანა, თუ საბერძნეთიდგან (კაპადოკია-შუამდინარითგან) მოსულ 12 მამათა და მათ მოწაფეთაგან. ვისაც არ სჯერა გარეჯა მე-VI საუკ. ნაშთთაო, უნდა დაამტკიცოს, რომ ეს მთლიან კლდეში გამოკვეთილი ქმნილება წმ. დავითს არ მოუღვაწნიაო, ანდა ზედაზენი და ბევრი სხვა ძველი დროის ნაშთნი არ არიანო. მაგრამ ამ კითხვას საკმაო ნათელს ჰყენს თვით სერაპიონის ცხოვრებაც.

თუ რა დროს ცხოვრობდა ეს შესანიშნავი ქართველი სერაპიონ და, მაშასადამე, რა დროის ნაშთი უნდა იყოს მის მიერ აგებული ზარზმა, ამას ცხად ჰყოფს ის, რომ იგი ყოფილა მოწაფე შიქელ დიდისა, რომელი თვით ყოფილა მოწაფე შიო-მღვიმელისა. მაგრამ ვიღრე გამოვარკვევდეთ ამ კითხვას, ვთქვათ ჯერ ორიოდ სიტყვა თვით ამ მიქელისა და სერაპიონის და აგრეთვე ამ სერაპიონის ცხოვრების დამწერის შესახებ.

სერაპიონი იყო კლარჯი (გვ. 4). მის მამას ერქვა კვიპრიანე, დედის სახელი არ არის ნახსენები. ორთავე პატროსანი, მიწის-მოქმედნი და კეთილნი იყვნენო. მათ ჰყვანდათ სამი ვაჟი: უხუცესი (სახელი არ არის ნახსენები), სერაპიონი და იოვანე. ეს ჯერ უსუსური იყო, რომ დედა მოუკვდა და მის გაზრდაზე იზრუნა მამამ, მაგრამ ესეც მალე გარდაიცვალა, „სიბერითა კეთილითა განპოხებულნი“. უხუცესი შინ დარჩა და სერაპიონი და უმრწემესი ძმა იოვანე მიეზარნენ მიქელ პარეხელს.

აქ ავტორი გავაცნობს თვით მოქელსაც. ჯერ არს აქ გავიგოთ, თუ ვინ ააშენა დიდნი უდაბნონი და მონასტერნი. „დიდი უდაბნო ოპიზაჲ“ ააშენესო მონაზონებმა ამონამ, ანდრიამ, პეტრემ და მაკარიმ. ამის შემდეგ „მოვიდა მენათ მიქელი და ააშენა ადგილსა კლდოანსა და უვალსა მცირე ეგუტერი და შესაკრებელი მცირეთა ძმათა — ჰარქსი; მიქელ იყო „აღმაშენებელი, სასწაულთა და ნიშთა მოქმედი მაღალთა და დიდთა, მოწაფე დიდისა შიოჲსი საკვირველთ მოქმედისა, რომელი, ვითარცა მთიები განთიადისა ბრწყინვიდა ქვეყანასა ქართლასა... მიქელს „მრავალნი აქუნდა მოწაფენი“, მათ შორის ბასილი და მარკელაოზ. სერაპიონიც ძმითურთ მათ შორის შეირაცხა. მერე მიქელისავე ბრძანებით „პატივითა მღვდლობისათა სრულიქმნა“. მისგან სწავლასა და სათნოებაში გაიწურთნენ და მანვე გამოგზავნა იგინი მონასტრის ასაშენებლად სამცხეში. თან მოასვენეს ხატი ფერისცვალებისა, გადმო-

იარეს მთა „ბერას ჯუარი“, ჩაეიდნენ უტუჯის კეცს, მერე ძინ-
ქა წოდებულ ადგილით შევიდნენ მთათა სივიწროვეში და
ერთ ველოვანზე დაიდგეს მცირე ტალავარი და შიგ ხატი და-
ასვენეს. თვალი მოჰკრა მათ ადგილობრივ მთავარმა გიორგი
ჩორჩანელიმა, რომელი მრავალთა ტაძართა და კარავთა იქცე-
ოდა და რომლისა ტაძარნი შენ იყვნეს სანახებსა ჩორჩანისა და
ზანავისა“ (გვ. 9).

რომ უთხრეს მას „დიდის და განთქმულის მიქელ პარე-
ხელის მოწაფენი არიანო“, თვითონ ნახა იგინი და სცნა-რა,
რისთვისაც მოსულიყვნენ, მოიწონა მათი განზრახვა და უბ-
რძანა, საცა გასურთ, იქ ააშენეთ მონასტერიო. მათაც დაიარეს
გარეშემო ადგილები, ზოგან კლდეზე ჯვრები გამოაქანდაკეს,
ზოგან მდინარე—ტბა—წისქვილები ნახეს, ამოირჩიეს ერთი
ადგილი და ააშენეს მონასტერი იმავე გიორგი ჩორჩანელისა,
გარდაბანელისა და სხ. დახმარებით. გიორგი ჩორჩანელის რჩე-
ვით ქვა მოიტანეს გაუქმებულ საყდრის შენობიდან, რომელიც
იყო უმწას (გვ. 25). შიგ დაასვენეს ფურისცვალების ხატი. მე-
რე სენაკებიც აიშენეს. მათი შემწე ამ საქმეში იყო აგრეთვე
გიორგი შაწიკურჯლა, რომელიც აღზრდილი იყო ოპიზას და
აგრეთვე ესმინა მოძღვრება მიქელისა ჰარეხს (გვ. 27).

შემდეგ უშვილოდ გარდაიცვალა გიორგი ჩორჩანელი და
დაასაფლავეს ზანავის „შენიერს“ მონასტერში, რომლის ჰირ-
გულ ამშენებლად იყვნენ აშასჷო და ქურდია და მერმე თვით
ჩორჩანელის და ჯატაფრი—თეკლა. გ. ჩორჩანელიმა ყოველივე
თვისი ქონება დაუტოვა თავის დის ლატავრი—თეკლას შვი-
ლებს:—სულას, ბეშქენს და ჯაკლას. მათი მამა, ქმარი თეკლა-
სი, იყო დიდი მთავარი შარანი, რომელიც იყო ძე ბეშქენ ფაჭ-
ჯაუნდისა იავანესი. ამ შეწირულობის თაობაზე ლაკლაკმა
მკვლელობა ჩაიდინა (ცხადად არა ჩანს, თუ ვინ ზოკლა: ერთ-
გან „დისი ძე“ სწერია და სხვაგან „დი სიძე“ (გვ. 40—41).
ამისგამო დიდი არეულობა მოხდაო, მაგრამ მეოთხე წელს გი-
ორგი შუარტყლელიმა მაწყვერელობა მიიღო, დაიპყრა და და-
ამშვიდაო მთელი სამცხე.

თვით სერაპიონის ცხოვრება აუწერია მის ძმისწულს ბასილის (გვ. 43), რომელიც ერთხანს ზარზმის წინამძღვარიც ყოფილა (გვ. 44), სხვა მამასახლისების ამბავი კი, სჩანს, განუგრძობიათ სხვებს. მიქელის ცხოვრებაც, რომელიც იმედია, აგრეთვე სადმე გამოჩნდება, დაუწერიათ მისს მოწაფეებს (გვ. 6).

სერაპიონის შემდეგ ზარზმის წინამძღვრად იყვნენ მისი ძმისწული ბასილი (გვ. 43), გიორგი (გვ. 34, 41), მიქელ, ზავლე ხუცესი (გვ. 43).

თუმცა ჩვენს ძეგლს არსად თარიღი არ უზის, მაგრამ მაინც ადვილად შეგვიძლია გავიგოთ ზარზმის აშენების დრო თუ საუკუნე. ამბავი იწყება შიო მღვიმელიდან.

შიო მღვიმელი (მოვიდა 562 წელს)

|
მიქელ პარეხელი (მისი მოწაფე)

|
სერაპიონ (ამის მოწაფე)

|
ბასილი (სერაპ. ძმისწული)

|
გიორგი (სერაპიონისაგან მამასახლისი)

|
მიქელ (მამასახლისი)

პავლე ხუცესი (მამასახლისი).

შიო, მიქელი და სერაპიონ „სიბერით განპოხებულნი“ გარდაიცვალნენ. ამიტომ, თითო თაობისთვის რომ დავდვათ 40 წელიწადი, (გრიგოლ ხანძოელმა 102 წელიწადი იცხოვრა — 760—862), მივადებთ დროს შიოდამ პავლეს მამასახლისობამდე—880 წ. და სწორეთ ამ ხანში კი, ზავლეს მამასახლისობაში, გაახლებულია ზარზმის ფერისცვალების ხატი, მოტანილი აქ სერაპიონის მიერ. მას აწერია ასომთავრულად:

„სახელითა ღთა შეიმოსა ხატი ესე შემწედა მთავრისა გიორგისა, ოჯფალთა ფარსმან ერისთავისა, ივანესა, პეტრიკისა, მირიანისა, ფერისა, სულასა ერისთავსა მათსა. ქ: მამა-


სახლისობასა ჰყვდესა ქორონიკონი იყო რუ“ *) (=886 წ.).

პავლე მამასახლისი თუ ჩვენი პავლე-ხუცესია და იგი თუ ჩანს ამ ხანს, თვით სერაპიონი ზარზმის აშენებას დაახლოვებით შეუდგებოდა არჩილის მეფობაში (ქ 718 წ.). გიორგი ჩორჩანელი დიდ მთავრად არის მოხსენებული, მკუფის ხსენება სერაპიონის ცხოვრებაში არ არის. ამას გარდა სერაპიონის თანაშემწედ მოხსენებულია გარბანელი; ეს, ალბად, არის ის გარდაბანელი, რომელმაც არჩილ მეფე დააბეზლა არაბთა მტარვალის წინაშე და მის გამო აწამეს იგი. ამას გარდა, ჯერ ხომ ისევ არჩილმა 8 სამთავროდ გაჰყო საქართველო და მერე იგი თვითონაც რომ მოკლეს (718 წ.), წინანდელზე უმეტეს „იქმნეს სიმრავლე მთავართა ქვეყანასა ქართლისასა და შეერიათ ბრძოლა და იქმნეს მტერ ურთიერთას“ (ქართ. ცხ., 185). ამ ბრძოლაში, ალბად, ერთი პირი ჰქონდათ დიდს მთავრებს გიორგი ჩორჩანელსა და მის სიძე მირიანს. ბეშქენ ფაჰლავანდის იოვანეს ძეს. ამას გარდა, ამ დროს უცნობი არ იყვნენ სახელები ლატავრა, მირიან, ბეშქენ. ლატავრა იყო და აშოტ დიდისა (786—826). ბეშქენები ხშირად გვხვდებიან კორიდეთის (821 წლ.) სახარების მინაწერებში. თვით ზანაფი „შუენიერ“ მონასტრის ამშენებლის ქურდას სახელიც წმინდა ქართულივით: ასრე იწოდებოდა ზედაზნის მამა მე-IX საუკუნეში, მამა ქორთხის წინად (ქრონ. I, გვ. 74).

ფრიად საგულისხმოა აგრეთვე, რომ სერაპიონის ცხოვრების დიდი მთავარი გიორგია ჩორჩანელი არ არის ის შემდეგი დროის გიორგი ჩორჩანელი, რომელიც იხსენიება ათონის 1036—1045 წლის აღბებში. ეს იყო სულასძე, ჰყვანდა ძმა ფარსმანი (=არსენი ათონის მამა) და აგრეთვე და, რომელიც ათონშივე მოღვაწეობდა (ათონ. კრებ., 225, 228, 243, 303, 344). იმას კი (სერაპ. ცხ. მოხსენებულს) არ დარჩა არც შვილი და არც ძმა და მთელი თვისი საცხოვრებელი, დედულ-

*) ეს წარწერა მოუპოვებია პატივეცემულ ე. ს. თაყაიშვილს (Сберн. матер., გვ. 681).

მამული უნდერძა თავისს დის თეკლას შვილებს—სულას, ბეშქენს, და ლაკლაკას, აღბად, ამ დროსვე ძველ ჩორჩანელთა გვარი სრულიად მოისპო და გიორგი ჩორჩანელის დის ქმრის მირიანის გვარეულობაში გადავიდა თვით ჩორჩანელობაც. და ამ ახალ ჩორჩანელების გვარი კი იყო ხურსიძე, ანუ ხურციძე, და სწორედ ამ დროს, ე. ი. თეოდოსი III-ის იმპერატორობის (716—717 წ.) ეამს და მერეც კალანთკატკაწი (გვ. 90) და მ. ქორენელი (გვ. 218) უჩვენებენ მთავარს ხურსი გარდაბანელს, ქართველთა მთავარს არშუშას და იგერთ მეფეს აჩიღს (ქორენ., გვ. 219). მართლაც, არშუშა, როგორც მოგვითხრობს VIII საუკუნის ისტორიკოსი ლეონტი მროველი, არჩილ მეფის († 718 წ.) თანამედროვე კურატპალატი იყო (იყო კიდევ სხვა არშუშა, მაგრამ იგი იყო ქართლის პატიაში 975—994 წლებში). სახელი ხურსი გახვდება მე-XI საუკუნეშიაც (სუბატის ქრ., გვ. 68). ხურციძეებს ძლიერი ციხე ჰქონდათ ჩორჩანს, რომელსაც ერქვა „ოქროს-ციხე“. ხურციძეების სია დაახლოვებით:



* ამის ქალის ქმარი აბულჰერი=(იოვანე † 998 წ.) და ამის შვილი ეფთვიმე ათონელი † 1028 წ. (იხ. ჩვენი „ქართ. მატიანე“, გვ. 43).

(აბიას ქმარი) (ვარაზუაჩე)

მიქელ ჩორჩ. ჩოროლდი თორნიკი II
 ჩორჩ. პატრიკი და ბაგრატ პატრიკი.
 სულა II

გიორგი ჩორჩ. ფარსმან—არსენი (ათონის მამა 1036 წ.)

ივანე — ლაკლაკა და ძე მისი ფარსმან

ზაალ და ძე მისი არაბაჲ: „სულსა ხურციძესა ზაალს და მისსა შვილსა არაბასა შს ღწ. (ურბნ. სახ. წარწერა, გვერდი 212). ეს არაბა გამოხატულია ზარზმის ტაძრის კედელზე სამ ქართველთან ერთად. აცვიათ ქართ. ტანისამოსი სხვა და სხვა ფერისა. არაბას სახელს ზოგნი შეცდომით არაშად კითხულობდნენ. თაყაიშვილის ფოტოგრაფიაში არაბად სწორად ითვინეს ურბნისის სახარებაში, მისი მამის ზაალის სახელი კი დღემდის უცნობი იყო.

შოთა (შიო) და მისი ძე გაბრიელ წინამძღვარი.

ბევრნი ამითვან, როგორც სჩანს ეფთვიმე თაყაიშვილის გამოკვლევით (Сборн., вып. 35, გვ. 30—40), გამოხატულნი არიან ზარზმის კედლებზე. იქვე უნდა იყოს გამოხატულობა უწინდელ მამულებებისა, ვინაითვან სერაპიონის ცხოვრებაში აწერილია, თუ ვინ სად გამოხატეს და სად დამარხეს.

ფრიად საყურადღებოა, რომ ჩორჩანელებივე იყვნენ გიორგი მაწყვერელი, რომელმაც მთელი სამცხე დაიპყრა და დააწყნარაო (იხ. სერაპ. ცხ.), აგრეთვე სერაპიონ მაწყვერელი (1045 წ.) და თვით საქართველოს კათალიკოსი ეფთვიმიოსი, როგორც ამტკიცებს იგივე შველევარი ე. თაყაიშვილი. ეს ეფთვიმიოსი 1040 წელს ჯერ ისევ ზარზმის მამასახლისი ყოფილა. მისი დიდებული სახე გამოხატულია იმავე ზარზმის კედელზე (Сборн., вып. 35, გვ. 43), აგრეთვე ბაგრატ მეფისა და სერაპიონ მაწყვერელისა ერთად (გვ. 29).

ბევრს, ფრიად ბევრს მოგვითხრობენ აქ აღნიშნული სახელები: ეფთვიმე თარგმანი—დაუშრეუელი ღვთისმეტყველება

—ენათმეცნიერება-ენაშწიგობა—შრომისმოყვარეობა—დაუძინებელი რუდუნება, თორნიკი (იოვანე) —დიდება და ძლიერება საქართველოსი. ეს ის თორნიკია, რომელმაც იმპერიის მტერი ბარდა სკლიაროსი შემუსრა (979 წ.) და ამ გამარჯვების მოსაგონებლად, ალბად, ზარზმის სამრეკლოს ეგვეტერი ააშენა და ზედ წააწერა (იქვე, გვ. 19):

„სახელითა ლუთისათა და წმ. ლუთის მშობელისა მეოხებითა მე ივანე, ძემან სულაისამან, აღვაშენე წმ. ეგვეტერი მას ქაშსა, ოდეს საბერძნეთს გადგა სკლიაროსი, დავით კურაპალატი აღიდენ ღმერთმან! უშველა წმიდათა მეფეთა და ჩუენ ყოველნი ლაშქარს წარგავლინნა. სკლიაროსი გავაქციეთ მე მას ქვეყანას, რომელსა ჰქვიან ხარსანანი ადგილსა, რომელსა ჰქვიან სარვენისნი, მუნ ესუნა ტახტი*...“

ყველა აღნიშნული ჩვენ ერთ დასკვნამდე მიგვიყვანს, სახელდობრ, რომ ზარზმა და მის გარეშემო ნაშენობა (ზანავი, ზორჩანი) თუ VII—VIII საუკუნის ნაშთნი არ არიან, მათ ნანგრევებზე აღმოცენებულნი მაინც უნდა იყვნენ უსათუოდ და ისიც აღმოცენებულნი არა 1045 წელს, როგორც გადაქრით ამბობდნენ ბროსე და ბაქრაძე და სხ. ზარზმის აშენების შესახებ, არამედ, როგორც სწორედ გამოიძია ე. თაყაიშვილმაც, შუათე საუკუნის უწინარეს, ვინაითგან, კვლავ ვიმეორებ, თუ მისი ფერისცვალების ხატი 886 წელს გაახლეგებულია მეოთხე თუ მეხუთე (პავლეს) მამასახლისობაში, თვით ხატის შემზადება და ზარზმას მოსვენება რამდენიმე საუკუნით ამას წინად მოხდებოდა, ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს VII საუკუნის დასასრულისა. და, რაღა თქმა უნდა, ამით მხოლოდ აიხსნება, რომ ჩვენი ძეგლი კრინტს არა ძრავს შემდეგი დროის კლარჯეთ-აფხაზეთში მონასტრების აღმაშენებლის გრიგოლ ხანძოელის (დაიბადა 760 და გარდაიცვალა 862 წელს) შესახებ*).

*) ხანძოელის ცხოვრებაში იხსენიება მისი მეგობარი მიქელ, დამკვიდრებული ბერთის პარეხებში, მაგრამ ეს სხვა მიქელი უნდა იყოს,

აწყურს *) ძველი დროითგანვე დიდი სახელი ჰქონდა ჩვენ-ში, ვინაითგან დაფუძნებული იყო იქ, საცა გადმოკემის მიხედვით, ანდრია მოციქულმა სასწაული მოახდინა, ერი დანათლა, ეპისკოპოსი დაუდგინა და ჩააბარა მას ღვთიშობლის სასწაულთ მოქმედი ხატი, რომლის გვერდით, თურმე, ვერ ჩაიარა ტფილისის მიმავალ იმპერატორ ირაკლიმ (629 წ.), ვიდრე არ მოვიდა და თაყვანი არა სცა ამ აწყურის ღვთისმშობელს. მე-XIII--IX საუკუნეში აწყური უკვე ფრიად განთქმული იყო. სვიმონ კათალიკოზი (826 – 876) თავის „იაკობის ჟამის წირვაში“ მოიხსენებს საქართველოს სამის მხრის სამს უპირველესს მიტროპოლიტს: მაწვეკრელს, მანგლელს და ალაგრდელს და ბოლოსიტყვაობაში ასრე მიჰმართავს მაწყვეკრელს (მისი სიტყვები მომყავს აქ სრულად, ვინაითგან თვით თ. ჟორდანიას კატალოგშიაც (გვ. 87) უმართლოდ დაბეჭდილია):

„წმიდაო მღვდელთმთავარო, პირუველად (პირველად) მაწყვეკრელო და რომელთადაცა ღმერთმან ინებოს შემოსად შესამოსელსა ამას და ჟამის წირვად ამითვე ჟამისწირვითა, ღუთისა სიყუარულისათჳს მოიკსენეთ საწყალობელი სული ჩემი წმიდათა შინა სადღუმლოთა თქუენტა სახელით სჳმონ კათალიკოზი, რათა თქუენტა მოგენიქოს მადლი და კურთხევა ღუთისა მიერი ამენ. მე ქრისტეს მიერ სჳმონ ქართლისა კათალიკოზმან დავწერე წმიდანი ესე ჟამისწირვანი სამღვდელთმოდღუროდ საწირავად და შესამოსელი სრული, ვითა ხუდების, ფილონითა, ულარითა, გინგილითა, ენქერიითა, ანაფორითა, მანდილითა, მუკლთა საგებელითა, კელთა საკოცე-

რადგან ა) შიომღვიმელის მოწაფის მიქელის დროითგან (VI საუკ.) ხანძოელამდე (760—862) ორი-სამი თაობის მანძილი მაინც არის, ბ) შიომღვიმელის მოწაფე მიქელი პარეზს მივიდა ოპიზიდან და გრ. ხანძოელის მეგობარი კი მიჯნაზორით ხანძთას მივიდა და მერე ბერტას პარეზს (უდაბნოს) დაემკვიდრა.

*) აწყური ბორჯომის ხეობაშია. მისი დიდებული ტაძარი, საცა მაკურთხველობდნენ მაწყვეკრელები, დღეს მთლად დანგრეულია. მის ქვეშ სოფლები ეზიდებიან თავიანთ სახლების ასაგებად.

ლითა, ვითა მღდელ-თამაძლუარსა ხუდების, ყოველთა უკლებ-
ბად შეეწირე და დავდევ“... (დანარჩენი დაკარგულა).

თუ რა ძალა ჰქონდა მაწყვერელს ჯერ ისევ სერაპიონის
ჟამს, სწანს იქიდგან, რომ მას ერთხანს სასულიერო უფლებას-
თან ერთად სახორციელოც ეპყრა, ისე, ვით იგივე უფლებები
ეპყრა გლონოქორს მეხუთე საუკუნეში: ისტორიკოსი ლეონ-
ტი მროველი (VIII საუკ.) სწერს: „ესე მთავარეპისკოპოსი გლო-
ნოქორ ერისთავადჳ იყო ბარზაბოდ პიტიახშისაგან ქართლს და
ჰერეთს“ (გვ. 28). გიორგი მღდელმთავარმაც რომ აწყური
დაიპყრა, მერე ეუთიღვა განგებაჲ სამცხისაჲ (გვ. 41).

საქიროა, აქ ორიოდე სიტყვა ვთქვათ ზარზმის აღმაშენებ-
ლებისა და მიქელ პარეხელის დამოკიდებულების შესახებაც.

ეს დამოკიდებულება ანუ, უკეთ ვთქვათ, ერთობა გან-
მტკიცდა ჯერ ისევ მაშინ, როდესაც სერაპიონი და მისი ძმა
ივანე იზრდებოდნენ თავის მასწავლებლის მიქელის ლავრაში
ჰარსს. ეს მიქელი, შიომღვიმელის (VI საუკ.) მოწაფე მაშინ
ისე განთქმულ და გაბრწყინებულ იყო საქართველოს არე-
მარეზედ, რომ მის სახელის ხსენებაზედვე გიორგი ჩორჩანელ-
მა შეითვისა მისი მოწაფეები (გვ. 12).

ვიდრე ვიტყოდეთ, სად იყო ჰარსი, უნდა ვთქვათ, რას
ნიშნავს თვით ეს სიტყვა. ჰარსი სერაპიონის ცხოვრებაში ჰა-
რესად მოხსენებულია და „პარეხი“ კი დღესაც ქართველ მთი-
ელებში იწოდება ფარესად—მარსად და საბათი კი იგი არის
„გამოქვაბული კლდე“ ცხვისა თუ სხვა საქონლის შესარე-
კად; პარეხი სწორეთ ისეთი ქვაბია, როგორშიაც დაიბადა მაკხო-
ვარი. ამგვარს პარეხებში ბინადებოდნენ პირველი ქრისტიანები
და საქრისტიანო სწავლის მქადაგებელნი მაშინ, როდესაც
ქრისტიანების დევნა-წამება ჯერ ისევ გაჩაღებული იყო. ან-
დრია რომ საქართველოსკენ მოდიოდა, ერთ ამგვარს ჰარესს
ეწვია (ხელნაწ. № 161, გვ. 41 ბ).

ქართლის ცხოვრებით ჰარს ტაო-კლარჯეთშია (გვ. 50).

ბერძენთა მწერლები ჰარსს (Barchon) უჩვენებენ იქ, საცა
ქართველთ მონასტერი ჰარსხელია, ქოროხის მარცხენა ტოტზე,

რომელიც ქანეთის მთებს გამოსდის. იქვე ნაჩვენებია ციხე ბარ-
 ხიფ. ამ ციხის გასწვრივ, სწერენ ბერძენთ მწერლები (ადონც ,
 გვ. 69), გორის ფერდობებზე არისო პარეხები, საცა ღამ-ღამე
 დგებაო საქონელი ყენას ქანებისა და აქვე სძოვსო. მთებს
 იქით ვაკეზე არისო სოფელი ეენა (=ოყენა, საყენი ადგილი),
 მერე ციხე სისილისი და მერე ქანთავე სიმაგრენი სხიმალანი-
 ხი (ცხემლანი=ცხმორისი) და ქანსაკი (ქან-სახ(ლ)ი?). ამ არე-
 მარეზე ნაჩვენებია მიმავალ-მომავალ გზების სადგურები: Satala
 (სა-ტალა—საყარაულო თუ სა-თალა—სათლე?), Caltiorissa:
 (კალთი-ორისი თუ!), Suissa (შუისა, ალბად შუაგზის სად-
 გური!), Garsanis (კარსანი მცხეთაშია), Oleoberda (ოლე ბერ-
 თა?), Zimara (ძმურა; მეგრ. ჯიმა—ძმა), Golarasi (გორ-არე-
 სი; მეგრ. გოლა მთა), Bubalia (ბუბალია?), Zeucopi (ზენ-ყო-
 ფი?), Saba (სა-ბა, საბმი?), Hispa (სვ. (ლ)ისპე=(ლ ისიპ—მო-
 საბრუნე, გზის საქცევი). ბახხი ნაჩვენებია ხარტაში, რომლის
 მსგავსია „ხალდი“, „ხალტი“=ქვეყანა ხალდა, მახლობელად
 ქალაქსა ტრაპეზონთასა (ქართლის ცხოვრება, 219). უეჭვე-
 ლია, ამავე პარხ-იღამ დაერქმეოდა აქაურ ქედსაც თვისი სახელი
 ჰარხარე (ბერძ. პარიადრი) და აგრეთვე მონასტერ ჰარხალსაც.

აქ საჭიროა დავიხსოვოთ, რომ პარხებს უძრის ბერძენ-
 ლი შანდრა—ბაკი, საზროხე ბინა, ქვაბი და მერე მონასტერი;
 ამ მონასტერთა წინამძღვრებს დაერქვა არხი-მანდრიტი (თავდა-
 პირველად ფარეხთ-მთავარი), მეპარეხე ანუ პარეხელი, როგორც
 სერაპიონის ცხოვრებაში).

530 წლის ახლო ხანს, როგორც იუწყება პროკოპი
 (გვ. 77—78), ბერძნებმა დაიპყრეს ქანეთი და მის შემდეგ
 ყველა ქანმა აღიარა ქრისტე. ამ დროებში, ალბად, აქედგან-
 ვე შემოიარეს საქართველოში შუამდინარელ მამებმა და მათ
 შორის შიოს მოწაფე მიქელ პარეხელმაც. მაშინ ოპიზა უნდა
 აშენებული ყოფილიყო, ვინაითგან მიქელი უკვე აშენებულ
 ოპიზიღამ მოვიდა ჰარეხს (სერაპ. ცხ., 5).

გიორგი მაწყვერელი, „რომელი აღმოსცენდა კევისაგან
 შუარტყლისა“, ოპიზის უდაბნოდამ რომ ავიდა ჰარეხს „დი-

დისა მამისა მიქელისსა“ (გვ. 27); მაშინ ამ მიქელს წერილით დაებარებინა სერაპიონი და მისი ძმა, რომ გაეგო მათგან, თუ როგორ და რა გააკეთეს სამცხეში.

ივინიც მოვიდნენ. სერაპიონმა უამბო ყოველივე შესახებ მის მიერ აშენებულ ზარზმისა, მთავრის გ. ჩორჩანელი-სა და სხ., აუწყა აგრეთვე, რომ ჩვენს უდაბნოს ზარ-განკდილობისა გამო ვუწოდეთო ზარ-ზრმა. მიქელს აამა ყოველივე მათ ნაქმარმა, დალოცა და გამოისტუმრა. სერაპიონმა და იოვანემ ნახეს აგრეთვე თვისი უფროსი ძმაც და მერე გადმოიარეს არსიანის მთა, ჩამოვიდნენ ყველის-კეცს და ზარზმას მივიდნენ და ისევ განაგრძეს შენება. მიქელის მამასახლისობაში ხუფათ წოდებულ ადგილიდამ „უფალთა ბრძანებით“ მოუწოდეს „კელოვნებით განთქმულს“ ბერძენს, თანაშემწედ დაუყენეს კალატოზი შუარტყლელი, „სარკუმელთამდე ამოიყვანეს“ და აქ გამოხატეს თვით მიქელ და ორნი კალატოზნი და რადგან აქამდის აშენებდნენ ძარღუა-სოფლელის საფასით, ამიტომ გამოაქანდაკეს: „აქა დაილია საფასე ჩემი, სადა ესერა მდგომარე ვარ და მიტვრთავს ჯუარი ქრისტესი“.

პარეხის ლავრასთან ერთად, ხშირად, იხსენიება ბერთას უდაბნოც. ორივე ივერთა მფარველის ღვთისმშობლის საოხად ყოფილა აშენებული. ივინი იხსენიებიან ბერთას სახარების მიწაწერში. ანჩის მთავარეპისკოპოსი ქერობინი შირაანუელ მამულს შლახედ უყოფავს ბერთას და პარეხის ლავრებს (კონდაკოვის Описъ, გვ. 46; კონდაკოვმა და ბაქრაძემ არ იციან ადგილმდებარეობა პარეხისა. იქვე). ბერთისა და წყაროსთავის ტყავზე დაწერილი სახარებები, ამბობს კონდაკოვი, „საყურადღებო მოწმად გვიჩნდებიან შესახებ საქართველოს ხელახლების თვით-არსებით უმაღლეს განვითარების მე-XI—XII საუკუნეში ბიზანტიის საფუძველზე“ (იქვე, გვ. 45) ბერთის სახარება მოუქედია ბეშქენ ოპიზელს. 963—969 წლებში მიქელ მლდელს, ბერთას აღზრდილს, შეუძენია პავლე მოციქულის წიგნი (ქრ. 1, გვ. 171). სახელი „აერთაჲ“ ნიშნავს საბერო-

ადგილს, ვით „თუალთაჲ“ თვლების ადგილს, წიგნს, საბერძნეთაჲ, ბერძენთა სამშობლოს!

ბაიბურდი. ქაროხის სათავეზე მყოფ ბაიბერთის (ბაიბურთის) სახელის პირველ ნახევრის (ბაი-ბერთა) მიხედვით, ალბად, წარმოსდგა თვით თქმულობა შესახებ მიქელ პარეხელის მიერ ბაიას (ბაია=ზა) ხმელ ტოტის დარგვა-განედლებისა (გვ. 29—40).

შუარტეფი, როგორც სჩანს სერაპიონის ცხოვრებიდამ, აქვე უნდა ყოფილიყო, ზარზმა-ოპიზის გზაზედ. ისტორიკოსი აბუსერიძე—ტბელი სწერს (ქრ., 2, გვ. 118), ბოლოკ ბასილიმ რომ განიზრახა ეკლესიის აშენება, წავიდაო ოპიზას, იქ ნახა მონაზონი სტეფანე, მას გამოართო მისი კარაული და უღელი ხარი, დაბრუნდა და შეუდგა საქმეს. ამ დროს გამოჩნდნენ ზვარაზმელნი, რომელთაც ტფილისი გააოხრეს და სამცხის ერი ყველა აქარას გაიქცა, გარდა იოსებისა და მის ოჯახისა, რომელნიც შუარტეფას დარჩნენო შუარტყლედივე იყო გიორგი მაწყვერელი და აგრეთვე ზარზმის გალატოზი.

ზანაფი, საცა შეენიერს მონასტერში დაიპარხა გიორგი ჩორჩანელი, არის ხეობაში, მდ. ზანაფრვილის კიდეზე. აქვე უჩვენებენ ნეძვს, რომელიც, უთუოთ ის ნეძვია, საცა გრ. ხანძოელის მეგობარ ქრისტეფორემ ააშენა მონასტერი. 1060 წელს ბაგრატ IV გიორგი მთაწმინდელს მიუძღვნა „შენიერნი ლავრანი შატბერდი კლარჯეთისა და ნეძვი ქართლისა“ (ათონის კრებული, გვ. 320). „ზანაფი“ ჩვენს მატთან ქართლის ცხოვრებაში იხსენიების აღრევე. ისტორიკოსი ლეონტი მროველი ამბობს: აღექსანდრე მაკედონელის დროს მოვიდნენ ქალდეველთაგან გამოძევებულნი ჰონნი და მცხეთის მამასახლისის ნებართვით ზანაჟს დამკვიდრდნენო (გვ. 3). ქართლის ცხოვრება კი გვაუწყებს (გვ. 25): ნაბუქლდურასარმა იერუსალიმი რომ წარმოტყვენა (588 წ. ქრ. წ.), იქილგან გამოიქცნენ ურიანი და ზანაჟს დამკვიდრდნენო. ეს გამოქცეულები ჩვენ მიგვაჩნია იმ ქართველებად, იმ ურ ქალდეზად, ანუ ივირ-ქალდეზად (ურია=სვ. ვირია), რომელნიც

ქართ. ცხოვრების გადმოცემის მიხედვით გაეყვნენ ჰაოსს და ვან-არარატისა და შუამდინარის არე-მარედგან ჩრდილოეთისკენ წამოვიდნენ. ამასთანავე ამათ გადმოსახლებას ვუტოლებთ ბირიან (==ვირიან==იბირიან) აბაშთა ისტორიულ გადმოსახლებას ნაციონალურ ღმერთების გა—გაიმ—არმაზ და ზადენითურთ. ეს ბირიანები, დაიპყრობდნენ. რა მთელს საქართველოს, თავისს სახელს მიაკუთვნებდნენ ყველა ქართლოსიანებს, თვით იმ თობელ—ტიბრანებსაც, რომელნიც, ფლავიოსის მოწმობით, პირველ საუკუნეში უკვე იკრებოდნენ იწოდებოდნენ:—რაიმე დიდს, უჩვეულებრივო შემთხვევას შეეძლო ადგილობრივ მკვიდრთა ისტორიულ სახელის შეცვლა და ამგვარ შემთხვევად კი არ შეიძლება არ ჩავთვალოთ 51110 კომლი ბირიან (იბირიან)—ახსენებულს გადმოსახლება და თვისი იბირობის გავრცელება მთელს საქართველოს თესლტომზე ამ პირობით იმპირამდის, ალაზნის შესართავიდან ქოროხის სათავემდე. სახელი ზანავი, ჩენის ფიქრით, სრულად ჰფარავს თავდაპირვანდელს თანავს, რომელიც შემდეგში იქცა ჯანავად (ქანავი შვილი==ჯანა შვილი).

ყველა ამ მარადსახსოვარ ადგილების, მეტადრე ზარზმა-ჩორჩანის არემარეს დაწვრილებითი აღწერა სერაპიონის ცხოვრების კვლადკვალ მიყოლით დაგვიტოვა საქართველოს წარსულის მკვლევარის და ზარზმა სამცხის ნავალის ე. ს. თაყაი-შვილისთვის. მხოლოდ ჩვენ აქ კიდევ ორიოდ სიტყვას ვიტყვი ჩვენის ძეგლის ენის შესახებ.

მასში (ერაზ. ცხ.) გვხვდება: ჰქჷჷ—ჰრქჷჷ, განსაცთელისა—განსაცდელსა, ყოფით-რე: მრჯუნით და სხ. ამგვარი სიტყვები, დღესაც თითქმის იგრევე იხმარებიან იმერეთში, უმეტესად სამეგრელოსა და სვანეთში. ზოგიერთი სიტყვა თუ ფრაზა მერმენდელ ავტორს თავისებურად გადუქვთებია და აქა-იქ ნაზღვლილი აზრის გაგება სჭირს. საზოგადოდ კი მთელს „ცხოვრებას“ ატყვია უუძველეს დროის ნაწარმოებთა გამოსკნულობა, მეტადრე მასში მოყვანილ საღმთო წერილის ტექსტებს.

თავისთავად ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ახალს ძეგლს საქართველოს წარსულის შესასწავლად. ეს და ბოლო დროინდელი აღმოჩენილობანი (შატბერდის კრებული და სხ.) ერთნაირად და სრულიად თანახმად ქართლის ცხოვრებისა გვიხატავენ საქართველოს დიდებულ წარსულს, მის კულტურულს აღმატებულებას კავკასიაში, მის ხელმწიფებრივ მპყრობელობასა და მფლობელობას ორ ზღვას შუა, კოროხისა და მტკვრის სათავეებიდან ბერდუჯამდე და შერე მტკვრის გაყოლება ხილხალამდე (საუდოშია) და კავკასიონამდე. ჩვენ აქ აღარ ვიხსენიებთ კოროხს იქითურ მიჯნებს ტრაპიზონამდე და ღალისამდე, ვინაიდან აქაურობა თუმცა დასახლებული იყო ქართველთა გვარ-ტომით, მაგრამ კოლხიდის მეფეებს აქეთ საქართველოს ხელმწიფობაში აღარ იყო, აგრეთვე აღმოსავლეთის მხრივ თუმცა საქართველოს (ივერიას) კლასიკური მწერლები კასპიის ზღვამდე მისწევენ, მაგრამ აქამდე ქართველები შეიძლება ყოფილიყვნენ ისტორიის წინა დროს და ისტორიულში კი საქართველო ეთნოგრაფიულად უწევდა მხოლოდ ხილხალამდე, ხოლო ხელმწიფებრივ, ხშირად, მაგალ. ოქროს ხანას, თვით კასპიამდეც, მტკვარ-არეზის შესართავიდან დარუბანამდე.

ჩვენი ძეგლი, ერთი უუძველესთაგანი თვისის შინაარსით, ცხადად გვიჩვენებს მქიდრო კავშირს და სარწმუნოებრივ ერთობას ქვემო-ქართლს (აღმ. საქართ.) და ზემო-ქართლს (მესხეთ-კლარჯ.) შორის (შიომღვიმელი—მიქელ პარეხელი—სერაპიონ ნარზმელი—ქართლი—სამცხე—ქარჯიანი) და მერე ამას ერთობას იმერეთ-აფხაზეთის ქრისტიანობასთან: აქ, თავვერ, არსენის მონასტერთან (ქრონ., I, გვ. 342) დასადგურებულ მაქსიმ-აღმსარებელის († 13 აგვ. 666 წ.) აღსარებამ მკვიდრად და საუკუნოდ განამტკიცა სრულიად ივერიის ეკლესიის მთლიანობა და ამ ეკლესიის შინაგანი ერთობა მას აქეთ აღარ დარღვეულა, არ დარღვეულა მაშინაც კი, როდესაც დედაქალაქ მცხეთას გამოეყოფებოდნენ ხოლმე ესა თუ ის კუთხეები, ვინაიდან ამ დროსაც კი მის გამოყოფილ ნაწილებს დედაქალაქთან

აკავშირებდა ერთობა ენისა, მწერლობისა და ტრადიციებისა, და ეს ტრადიციები კი, რაღა თქმა უნდა, შემუშავდა სრულიად თანახმად საბერძნეთის მართლმადიდებლობისა: იმპერატორები, რომელთა მფარველობის ქვეშ იყო საქართველო 298 წლითგან, უგზავნიდნენ მას მღვდლებს და ხუროთმოძღვრებს და მის შვილებს მფარველობას უწევდნენ წმ ქვეყანაში, საცა IV—VI საუკ. აგრეთვე მოეფინა ქართველთა ტაძრები და სამღვდლოები. დაფუძნდა-რა საქართველოს საყდარი 324 წელს და მიიღო-რა მან სიუვარუჯის წყარო—ქალის ხელით სახარება ბერ-ნუფი და ჯვარი ვაზისა, თვითონაც სრულის სიკვარულით შეუდგა მაცხოვრის მცნებათა ასრულებას: მოქცევისავე წლებში ბერძნებმა აუშენეს სამა კაძაძი (ერუშეთს (მესხეთში), მანგლისს და მცხეთას) და ამ სამების ყაიდაზე კი მერე მან თვითონ შეჰქმნა თვისი ქართული საქრისტიანო ხუროთმოძღვრება. დიდებული საყდრები აუგო თვისს 40 ეპისკოპოსს, მონასტრები როგორც საქართველოში მოღვაწე ბერებს (V—VI ს.), ისე საქართველოს გარეთ წმ. ქვეყანასა (V—VI ს.), დაღისტანს, ჩაჩანს (830 წ.), ყაბარდოს, საყდრები ისეთ მქადაგებლებს, ვითარიც იყო თავკვერს (იმერეთში) არსენის ტაძარში მოღვაწე მაქსიმე აღმსარებელი (VII ს.) და სხ. ნინოს სიკვარულზე აღმოცენებული საყდარი ისეთი ძლიერი და მკვიდრი შეიქმნა, რომ 750 წელს აქლა იყო თითქმის ერთადერთი შეურყეველი კანდელი მართლმადიდებელ-სარწმუნოებისა და ამ კანდლის უუქს მოპყვანდა აქეთ იოანე, რომ ხელდასხმულიყო გუთთა ეპისკოპოსად საქართველოს კათალიკოზის მიერ.

ჯერ ამის მეტს ვერას ვიტყვით ჩვენის ძველის მნიშვნელობის შესახებ. რადგან შესაძლებელი იყო ამისთანა ძველი დამალულიყო, ისიც ჩვენს ხელში მყოფ წიგნში არა ერთ და ორ წელიწადს, ამიტომ ვიმედოვნებთ კიდევ ბევრი ახალი საუნჯეც გამოჩნდება, მაგალ., თუნდ ამ სერაპიონის მასწავლებლის მიქელის ცხოვრება, აგრეთვე საქართველოს უდიდეს მეფის ბაგრატ მესამის მიერ შედგენილი მატთანე „აფხაზთა ცხოვ-

რება“, კვლავ ცხოვრებანი ტაოს კურატპალატის და მეფეთ მეფის დავით დიდისა, ბერაის, მიქელ მოდრეკილის, დიდის სარდლების თორნიკის და იოანე მარუშიძის, მერე კიდევ მოქალაქობანი ეფრემ დიდის და ეფრემ მცირის, არსენი იბადის ძე ვაჩნაძის (იყალთოელის), მერმე ცხოვრებანივე „ვეფხისტყაოსნის“, „აბდულმესიანის“, „თამარიანის“, „ამირან-დარეჯანის“ აქსონების და სხვათა და სხვათა. ყველა ეს ციხე ტაძრების ეპიგრაფიულ მასალითურთ რომ მიემატება არსებულს, მაშინ მხოლოდ შეგვეძლება, სრული წარმოდგენა ვიქონიოთ ჩვენს ისეც დიადს პოლიტიკურს და კულტურულს წარსულზე, მაშინ მხოლოდ შეგვეძლება ჯერჩინებულად დავაფასოთ ჩვენთა წინაპართა მიერ მოქირნახებული მრთელი ნარჩევი ხვა-ვი, ნაშრომი.

მ. ჯანაშვილი.

სამცხე-კლარჯეთის მოღვაწენი.



ოგტონბერსა კთ ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღმერთ შემოსილის
ნეტარის შამისა ჩუენისაჲ სერაპიონისი. გუაგურთხენ მამაო.

შრიად უკუტ შუპნიერისა და შრავალ საწადელისა და 244
სალუთოჲსა ქებისა და ბრწყინვალედ შესქმისა ღირსარიან მო-
ყუარენი ღუთისანი და აღმასრულებელნი სალუთოთა მცნებაჲ-
თა მისთანი: რამეთუ თავადი მეუფე და ღმერთი ჩუენი ჰნატრის
მათ ბრძანებაჲთა შინა სახარებისათა, იტყოდის რაჲ: „ნეტარი იუ- მათე, 5,
ენენ გლახაკნი სულითა“ და შემდგომითი შემდგომად სხუანი იგი
ყოველნი ნეტარებაჲნი ხოლო დასასრულსა, ვითარცა ნიქსა
რასმე და გვრგვანსა ბრწყინვალესა წინა უყოფს და სასყიდ-
ლად შრომათა მიჰმადლებს და ეტყვის: „გიხაროდენ და მხია- მათე, 5,
რულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თუენი დიდ ცათა შინა“.
და სხუასა ადგილსა იტყვის: „ამას ჴედა ნუ გიხარის, რამეთუ
სულნი ბოროტნი დაგემორჩილებიან, არამედ გიხაროდენ, რა- ლუკა,
მეთუ სახელები თქუენი აღწერილ არს ცათა შინა“. და კუა- 10,20
ლად მამაჲ ღა დავით იტყვის ამისთვის: „განიხაროს გულმან ფს. 15.1
ჩემმან და გალობდა ენა ჩემი და ვითარ „მხიარულთა ყოველ-
თა მკვდრობაჲ შენდამი არს. ხოლო ესე სიხარული მოიწვევის
სალუთოჲსა მისგან ნეტარებისა, რომელსა იგივე წინაჲსწარმეტ-
ყუელი დასაბამსა || ფსალმუნთასა დასწერს ნეტარებაჲსა კაცისა- 240 ბ.
სა, „რომელი არა ვალს გზასა უღმრთოთასა“ ღკდ „ნეტარარიან
უბიწონი გზასა მავალნი შჯულსაჲ ოლისსა“ და ყოველად ბრძნი-
სა მამისა ყოვლად ბრძენი ძე სოლომონ იტყვის: „ნეტარარს იგავ. 3,1
კაცი, რომელმან მოიგო გონიერებაჲ და მოკუდავმან, რო-
მელმან პოვა მეცნიერებაჲ“, ხოლო ოქრო აედონი ეკლესიისა

კლ. 4,4 პავლე ემობს: „გინხაროდენ მარადის ორისა მიერ“ და კუალად გეტყვ გინხაროდენ, რამეთუ სარწმუნოებამა თქუენი სამარადისოსა ნეტარებასა მოგატყუებს თქუენ და ამით სასოებოთა განმტკიცებულთა ძუპლოსა და ახლოსა სჯულისა წმიდათა ისწავეს მოთმინება და სარწმუნოებით რბიოდეს გვრგვნსა მას ზეცისა ჩინებისასა, ვითარცა იგივე პავლე, პირი ქრისტესი, იტყვს:

ებრ. 11.1—2

„რამეთუ არს სარწმუნოებამა მოსავეთა მისთა ძალ საქმეთა, მამხილებელ არა ხილულთა, რამეთუ ამას შინა იწამნეს მოხეცებულნი“ ძუპლოსა და ახალსა შინა საღმრთოდ განბრწყინვებულნი, რამეთუ ვითარცა იგი ერთისა მისგან მდიდრად აღმომდინარისა წყაროსა შრავალნი ირწყევებიან მტილნ და სამოთხენი და სიმრავლე ნერგთა თვთო სახეთა მადლისა მისგან და ნიქისა საღმრთოსა, ეგრეთვე მოეფინების ყოველთა თითოეულად განფენა მადლთა, ვითარცა იგივე პავლე ემობს: „განფენანი მადლთანი და თესლად თესლადი ენათა“ და კუალად იტყვს: „პირველად მოციქულნი, მწყემსნი და მოძღვარნი და მამანი || დაეწესნეს, რამეთუ შემდგომითი შემდგომად არა დააკლებს მადლი სულისა აღმოშობად შვილთა მათ ემბაზისათა,

245

მათ. 18.19

ვითარცა იგი სიტყუვამ მეტყველი. ვითარმედ: -მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ სცემდით სახელითა მამისათა

მათ. 28,20

და ძისათა და სულისა წმიდისათა“ და „აჰა ესერა მე თქუენთანა ვარ“ და შემდგომი, და სხვთ: -აღორძინდით და განმრავლდით და განავსეთ ქუეყანაჲ.“ და კუალად მოციქულნი იტყვს:

შესაქ. 1,22
ებრ., 13,8

„იესოჲ ქრისტე გუშინ და დღეს და იგი თავადი უკუნისამდე,“ რომელმან აწცა აღმოაბრწყინვა ვითარცა რამ ელვა ცისკროვნება, ახალთა ამით მნათობთა ახალსა სამყაროსა წმიდისა ეკლესიისა, რათა, ვითარცა მთიები, ბრწყინვიდენ პირსა ყოველისა სოფლისასა და ბაძვად საღუთოდ მოქალაქობისა გულსა ყოველთა მოსწრაფეთასა, რამეთუ აჰა ესერა ჯერჩინებითა ღუთისაჲთა ეამთაცა ჩუენთა იხილენეს ახალნი მნათობნი და მოძღვარნი და მასწავლელნი, ვითარცა ძუპლოსა შინა ელია და იოანე და შემდგომად პავლე თებელი და დიდი ანტონი, მაკარი, ეფთჳმი, საბა და გერასიმე და რად გვკმს თვთოეუ-

ლად წარმოთქუმა ყოველნი მსგავსნი და მობაძენი მათნი, რომელთა ვლეს მოსწრაფებით იწროჲ და საჭირველი გზაჲ, მიმყენებელი ზეცისა ქალაქად, რომლისა ხუროთ მოძღუარ და შემოქმედ ღმერთი არს.

ხოლო იტყვან ვითენიმე, ვითარმედ: „ეთათჲ ამათ ჩუენთა არლარა ვის || კელეწიფების მსგავსებაჲ პირველთა მამათა, რა- 245 ბ
მეთუ განგებითა რათმე საღუთოჲთა მიფარულარს.“ არამედ შენ ისმინე გულსმოდგინედ, საყუარელო, რომლისათჲს აწ სიტყუაჲ წარმართებულარს. რამეთუ ყოველითურთ მსგავს იქმნა ამათ წმიდათა მამათა ყოვლად ბრწყინვალე და ზეცისა ჩინების, ღირსი ყოვლად წმიდაჲ მამაჲ და მოძღუარი ნეტარი სერაჲნი ონ, გარნა ვიტყოდით ზოგს რაჲმე შეკრებულთა ცხორებისა მისისათა აღწერით მოთხრობაჲდ და საღუთოთა სმენის მოყუარისა სიწმიდისა თქუენისა მოკსენებად, ჳ პატროსანო ჳ საღუთოო კრებულო და მწყობრ მდგომობით მიმსგავსებულნო ზეცისა დასთანო, რომელნი მკვდრ ჩინებულ ხართ ტალავართა ნამუშაკვეთა მისთა, მღღელნო და მამანო უდაბნოსა დიდისა 'სარზმისანო, რომელთა წილ კეთილ გხოდა(!) დიდი ესე მნათობი მამაჲ მამათა, მოძღუარი და მასწავლელი, რათა გუჰსმოდინ სწავლანი და საღუთონი საქმენი და შრომანი მისნი და ვადიდებდეთ მამასა ზეცათასა, ვითარცა იგი ონი იტყვს, ვითარმედ: „ესრეთ ბრწყინვედინ ნათელი თქუენი წინაშე კაც- მათე, 5,
თა. რათა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი“ და შემდგომნი.

ხოლო ჯერარს ჩუენდა, ძმანო, რათა ჩუენცა ძალისაებრი ვაჩინოთ ბაძვა დიდისა მის მოძღუარისაჲ და მწყემსისა, და აწ გულისკმის ყოფა და ბაძვაჲ დიდისა მოძღურისა და მწყემსისაჲ და აწ გულსმოდგინედ || და შრომის მოყუარებით ვისმინოთ 245
მკირე ესე სიტყუსა მიერი გამონატვაჲ ვრცელისა მის ფრიად საწადელისა ცხორებისა მისისა და აწინდელისა აქა შემოკრებისაჲ.

ხოლო ცრემლით ვევედრები სიყუარულსა თქუენსა ყოვლად უღირსი ესე, რათა თანა ღმობილ იქმნეთ უძლუ-

რებისა ჩემისა მოცემად სიტყუაჲ ღირსი აღებასა პირისა ჩემისასა სიტყუსა მიერ უსიტყუთა სიტყვერ მყოფელისა და უძლურთა განმადლიერებელისა, რამეთუ იწყებს სიტყუაჲ დასაბამსა ცხორებისა მისისასა.

მსე ნეტარი და ყოვლად ქებული სერაპიონ აღმოსცენდა ქუეყანასა კლარჯეთისას, მშობელთაგან ღირსთა და პატიოსნებით და ლიტონად ცხორებულთა, რომელნი შრომით და ქუეყნის მოქმედებით იზარდებოდეს და ნაშრომისაგან მათისა მდიდრად ზრდიდეს გლახაკთა და ძალისაებრსა მისცემდეს უღონოთა კელის აპყრობასა და სიმშვიდით და სიმდაბლით იყოფოდეს მსგავსად საწინააღმდეგობისა სიტყუსა: „ვის მივხედნე, გარნა მშვლსა და მდაბალსა“ და შემდგომი. ხოლო მამასა ამის ნეტარისასა ეწოდებოდა. კვიპრიანე, ხოლო სახელსა დედისა მისისასა უმეცარ ვართ არა თუ სახე ბოროტებისა რაჯსათვსმე, არამედ ჟამთაგან დაფარვისა თვს, რამეთუ რომელმან ესე ვითარი გამოიღო ნაყოფი, ვერ ეგების მისი უშუპრებით და უნდოდ წარწყმედაჲ, ვითარცა ოცი რიტყულა: „ვერ კელეწიფების ხესა კეთილისა ნაყოფისა ხენეშისა გამოღებად“. ესრეთ დედაჲ ამისი ჭეტარისა სახელმოუკსენებელად დაიფარა სოფლით.

ესაია,
57,15

146 ბ

მათე, 7,1

მთ. 112,9

რამეთუ ნათლად რაჲ გამოიყვანა წმიდაჲ ესე ნაყოფი ორთა თანა ძმათა მისთა, რომელი ერთი იგი უხუცეს იყო და ერთი უმრწემეს, რომლისა კსენებაჲ მრავალ გზის ეგულების სიტყუაჲსა. რამეთუ ზენა რაჲ სამნი ესე ნაშობნი და განიხარა შვილთ სხმისაგან, ვითარცა მეფსალმუნე დასწერს: „დედაჲ შვილთა ზედა სახარულევანი ნათლად გამოძყუნებელი მათი ნათლად წარვლად მიიცივალა.“

ხოლო უმრწემესი ძე იოანე დაშთა ყოვლად უსრული და ენა ბრგვნელი; იგი უკუტ აზარდა მამამან მისმან კვპრიანე; ვითარცა შეჰგავს მამასა შვილთ მოყუარესა. არამედ შემდგომად არა მრავალთა წელთა აღესრულა მამაცა ამით ნეტართაჲ და წინაშე ღუთისა მიიცივალა სიბერითა კეთილითა განპოხებული, და დაშთეს სამნივე იგი ყრმანი მსგავსად ბაბი-

ლოვნისა ყრმათა, აღსა მას შინა სიგლახაკისასა შეთხეულნი. ხოლო აქა ეგულეების სიტყუაჲსა მცირედ წიაღსლგვა სხუად მიმართ, რათა უმეტეს გამოჩნდეს კეთილთა მათ ნერგთა ნაყოფთ მცენარებაჲ და ამისსა შემდგომად კუალად არა ოდენ ასწილ, არამედ უმეტესცა რტო განრთხმით გარდაფენილებაჲ ოცდა ათეულად, სამოკეულად || და ასეულად, რათა დასას- 247 რულსა თხრობისასა გულისკმაჰყოთ, თუ ვითარი ტკბილი და შუცნიერი დამწიფდა ტევანი მათისა მის მოძღურებისა ნამუშავეთაჲ

არამედ აწ ჯერარს ჩუენდა, რათა დიდთა მათ თჳს უდაბნოთა და მონასტერთა მოვიკსენოთ, თუ ვინა იქმნა შენება მათი, ანუ ვინ იყვნეს მაშენებელნი იგი: 3-დ სული იგი და მადლი საღრმთოჲ და მერმე მის მიერ აღძრულნი წმიდანი იგი მამანი, რამეთუ აღეშენა რაჲ წმიდაჲ და დიდი უდაბნო ზაზაჲ მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა აზონა, ანდრაი, ჰეტრე და შაკრაი, ხოლო ამისსა შემდგომად მოვიდა მუნით და აღაშენა უწყებითა საღრმთოჲთა მცირე ეგუტერი და შესაკრებელი მცირეთა ძმათა ადგილსა კლდოანსა და უვალსაჲ კაცთაგან, რომელსა ჰაჩუხ უწოდიან ხოლო ესე სიტყუაჲ მათა მიერ მოვალს ჩუენდა, რამეთუ მიქქელ იყო აღმაშენებელი, სასწაულთა და ნიშთა მოქმედი მალალთა და დიდთაჲ, რომელი იყო მოწაფე დიდისა შაჰასი საკვრველთ მოქმედისაჲ, რომელი, ვითარცა მთიები განთიადისა, ბრწყინვიდა ქუეყანასა ქართლისასა.

ამისა ნეტარისა მიქელის მიმართ წარემართა ყოვლად ბრძენი სერაპიონ, რომელსა თანა ჰყვა ძმა მცირე ჰასაკითა, რამეთუ დიდსა მიქელს, ვითარცა რაჲ მამასა სულთასა და მზრდელსა ობოლთასა შეჰვედრა თავი თჳსი. ხოლო ნეტარსა მას სხუანიცა მრავალნი აქუნდეს მოწაფენი || სრულნი და 247 ბ ბრწყინვალენი სათნოებითა, ვითარცა დიდსა ანტონის ილარიონ და მაკარი, ეგრეთვე მიქელს ბასილი და მარკლაოზ. და მათ თანა შევედრა ნეტარი სერაპიონ თანა ძმითურთ და თანა აღრაცხილყენა დასსა მოწაფეთასა. ხოლო უხუცესი იგი

ძმა წესითა მსოფლიოა და მპყრობელ იქმნა მამულსა სა-
 მკვდრებელსა და იგივე შეიტკბო ტალანტი მოლუაწებამ უცხო-
 თა და გლახაკთაჲ. ამისსა შემდგომად მორაიწია ეამი, წმიდაჲ
 მამა ჩუენი, ვითარცა ღირსი, ბრძანებითა მიქელისითა პატრივი-
 თა მღდელობისათა სრულიქმნა და ღირსებით მსახურ საღმრ-
 თოსა საქურთხეველისა.

ღა ამან ყოველად განთქუმულმან და დიდთა ნიშთა მო-
 კმედმან მიქელ აღზარდნა და სრულებად სათნოებისა აღი-
 ყვანნა იგინი, ვინაცა ხედვიდეს სალუთოჲსა მას მოქალაქობა-
 სა მისსა და მდინარეთა უმდიდრესთა სწავლათა და ნიშთ, და
 სასწაულთა დიდთა მის მიერ აღსრულებულთა, რომელნი შემ-
 დგომად სიკუდილისა მისისა აღწერნეს მოწაფეთა მისთა. ამას
 რაჲ ყოველსა ხედვიდეს წმიდანი იგი, ვითარცა მაგალითთა
 კეთილთა შთახედვიდეს მსგავსად კელოვანთა მხატვართა და
 მის მიერთა მადლთა მოღებითა აშენებდეს საფუძველსა ზედა
 სწავლათა მისთასა არა თივასა ლერწამსა, არამედ ოქროსა,
 ვეცხლსა და თუალთა ანთრაკთა, ხოლო მის მიერ შეყუარე-
 ბულ იყვნეს, ვითარცა კეთილად მიმღებელნი სწავლათა მისთა-
 ნი ამისი. ესე ვითარითა საქმითა აღასრულეს ეამი მრავალი
 წინაშე მისსა და ყოველითურთ მობაძავ მისსა იქმნეს. ხოლო
 ჩუენდა ჯერარს, რათა ნეშტი თხრობისა გულს მოდგინებით
 ვისმინოთ, თუ ვითარ მოიწივნეს სანახებთა ქუეყანისა სამცხა-
 სთა. ესერა ვსთქვათ. რამეთუ იყო რაჲ დიდი იგი მამა და
 მოძღუარი მიქელ მდგომარე ლოცვასა ლამისასა, განკვრეგბამ
 რაჲმე დაეცა და აღიტაცა ზეცად და იხილა ვინმე ვითარცა
 მღდელშუბნიერად შემოსილი და ეტყოდა მას, რათა მის
 მიერ განსწავლულნი იგი მოწაფენი მყის წარავლინენს ქუეყნად
 სამცხისა, რომელ არიან სერაპიონ და იოანე, და უჩუენებდა
 ნიშთა რათმე დასახეთა, თუ: „როცელსა მივიდენ ადგილსა, პოონ,
 მივიდენ რა, სასწაული იგი და მიერ კელყონ აღშენებამ მო-
 ნასტროისა და შეკრიბნეს მას შინასულნი მრავალნი საღიდებე-
 ლად ლუთისა და მეუფისა ყოველთაჲსა.“ და ესე ჩუენებამ აქა-
 მომღე იყავნ.

248

ხოლო მორაგეო გონებასა წმიდა იგი, რომელსა მრავალნი ეხილენეს ნიშნი საღრმთოანი, და მოუწოდა წმიდათა მათ და შექმუნებულითა პირითა ჰრქუა სერაპიონს: „საყუარელო შეილო და ქრისტეს მიერ ძმაო სერაპიონ, ფრიად მიძმედ აღმიჩნდა ბრძანებაჲ ესე, რამეთუ ფრიადცა უყუარს სულსა თანა ზრდილობაჲ და უფროსლა, რომელნი საღუთოჲთა სიყუარულითაჲ შეკრულ იყვნენ. აწ ვინათგან საღრმთოჲ არს ბრძანებაჲ ესე, რათა განხვდე ამიერ და აღაშენოსულთ სამზრუნველოჲ, სადა იგი გიწუნოს შენ ღმერთმან.“ ხოლო მას ესმა რაჲ წმიდისა მიერ, დაჲარდა ფერკეთა თანა მისთა და მყოვარ ჟამ უკომოდ მდებარე იყო. ხოლო წმიდამან უპყრაჲ კელი, აღადგინა და ეტყუადა: „გულპყრობილ იყავ, შეილო, რამეთუ შეუძლებელ არს ბრძანებაჲსა საღუთოსა მკირედცა წინა განწყობაჲ და ესეცა ბრძანებაჲჲე არს, რათა რომელი გეტყუდა ჯუარისა ოდენ მარტოდ ტვირთვასა, იგივე გეტყვს, რათა ცხოველი ხატი განკაცებისა მისისა იტვირთო და ეგრეთ განხვდეთ, რათა აღრაჲ აშენოთ წმიდაჲ ეკლესია, მას შინა აღმართოთ იგი, თაყვანისაცემელად და სენთა და უძლურთა განმდევნელად, და სულთა მრავალთა გამოსაკსნელად.

218 ბ

ესე ვითარი რაჲ მრავალი ესმა წმიდასა მას, სიტყვსა წილ ცრემლთა სიმრავლე გარდამოადინა და ჰრქუა: „უკუეთუ სათნო არს, მამაო, წე შენსა, ევედრე ღმერთსა ჩემთვის, რათა არა განმაშოროს წმიდასა კრებულსა შენსა და მარადის ხილვად წმიდასა პირსა შენსა“. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა, რომელ არა დააკლდე საღუთოსა გვრგვნსა მორჩილთასა, ამიერ დააკლდენ სიტყვს გებანი და მზა ყავ თაფი შენი სლვად გზათა და თანა მოგზაურ შენდა ყავ ძმა შენი იოანე და ორნი ძმათა ამათგანნი“. ხოლო აუწყნა ნიშნი || რამე მის აღ-

219

ღა ესერა ჰრქუა, ვითარმედ: „უწყოდეთ, შეილნო, რამეთუ სულთა მრავალთა მიზეზ ექმნეს ცხორებად საუკუნოდ, რათა ვითარცა იტყვს მოციქული: „კმასა მას თანა საყვარისასა

მრავალთა თანა, შენ ძლით ცხოვნებულთა, წარმოუდგე მეუფისა.

მსე ვითარნი რაჲ სიტყუანი ესმენეს წმიდისა მისგან, არღარა იკადრა წინა განწყობაჲ, არამედ შეურდა ცრემლით და მოწლედ შეიტკბენეს ურთიერთას წმიდათა მათ და ეგრეთვე მსგავსად ყოველნი ძმანი და ლოცვაჲ წმიდისა საგზალ თვისსა ყვეს.

ხოლო წარმოემართნეს რაჲ, მათ თანა ეტკრთა ცხოველი ხატი ფერისცვალებისა თანა შემწედ და სასოლ ყოველთა ქრისტეანეთა. ხოლო სლვასა მას მათსა. ვითარცა სამეუფოთა პალატთა, უჭირველად ვიდოდეს, ვიდრემდის მოიწინეს მთასა მას, ვითარცა სიმაღლესა ცისასა აღძრულნი, და დადგეს ადგილსა მას, რომელსა ბერას ჯუჯარა ეწოდების. ხოლო წმიდამან მან ვითარცა თითითა უჩუნა მათ ადგილი იგი, სადა გგულებოდა აღშენებაჲ მონასტრისა. და ვითარცა შთამოვიდეს დასასრულსა მას კევსასა, რომელ არს უტყვსა, მოვიდეს ადგილსა რასმე ძინძელ სახელდებულსა, განისმსტურეს რამე და განიცადეს და იხილეს, რამეთუ უდაბნო იყო და შეცვულ ტყეთა და კევთა, და შეიყუარეს იგი ძმათა მათ. ხოლო წმიდაჲ იგი ეტყოდა; ვითარმედ: „არა არიან სასწაულნი იგი ადგილსა ამას, რომელი გვბრძანა წარმომგზავნელმან მ.აძლუარმან ჩუნემან“. ხოლო ეგრეთცა კელ ყვეს და იწყეს შენებაჲდ მცირე ტალავარი და ადგილი რამე მონასტრისა და დაყვნეს მუნ არა მცირედნი დღენი.

249 ბ

ხოლო ეუწყა რაჲ ოჯფალსა მის დაბისასა, ვითარმედ უცხოთა ვიეთმე მონაზონთა ჰნებაჲს ადგილისა მის აღშენებად მონასტერი, ხოლო მათ არა ინებეს, რამეთუ იყვნეს ყოველითურთ მკეცებრივ, უწირავ და ბოროტ: რამეთუ არა ინებეს კურთხევა წმიდათა მათგან. ამისთვის ზედა მიეტევნეს მათ და ვითარცა იგი წერილ არს კაცთა ზათ თვის გერგესეველთა, ვითარმედ უკა, 4,29 „მოიყვანეს ქრისტე წუპრამდე მის მთისა, რომელსა ზედა ქალაქი მათი დაშენებულ იყო,“ ეგრეთვე წმიდანი ესე პირამდე მის მღინარისა, რომელ არს აღმოსაყვლით ადგილსა მას, და

წილმოვლეს რაჲ მდინარე იგი და მოვიდეს დასავალით მისსა ვითარ ორ მილიონ, ადგილთა ყოვლად ტყეთა და უვალთა კაცთა მიერ და მიმორავიდოდეს ქირით და შრომით ადგილთა მათ ვიწროთა, პოვეს ნიშები და სასწაულები უწყებული დიდისა მისგან მოძღურისა, და განიხარეს დიდითა სიხარულითა.

და გულსავესებით მეცნიერ იქმნეს, ვითარმედ არა ცუდ და ამაჲ || არს გზა იგი საჭიროებითსლოვისა მათისა. და იხილეს რამეჲ ბორცვ მცირე, უმაღლესი სხუათა მათადვილთა, და აღმოსავალით ბორცუსა მას წყალი აღმომცენარე, მდინარი და შუბნიერი, რომელი იგი გულსავესე ჰყოფდა წადილსა მას მგზავრობისასა. ხოლო მიმოგანიმსტურეს და იხილეს და არა იპოვა ადგილი ველოანი და ფართოებით შემწყნარებელი მათი, და უბრძანა წმიდამან მან, რათა საშუალ წყაროსა მას და ბორცუსა მოიქმნას ადგილი და აღეშენოს მცირე ტალავარი, რომელი ექმნა მათ შემწყნარებელ უცხოებისა მათისა, და რათა ცხოველ იგი ხატი მას შინა თაყვანის იცემებოდის მათ მიერ.

250

ხოლო ჩუენ აქა წარემართოთ სიტყუაჲ და განცხადებულად წარმოუჩინოთ სიყუარულსა თქუენსა, თუ ვითარ იყო ადგილისა მის წარმართებაჲ, ანუ ვინ იყო კაცი იგი, რომელმან ყოველივე, ვითარცა ლუთისა მიერითა ბრძანებითა, კეთილად წარუმართა მათ.

რამეთუ იყო ვინმე მთავარი დიდი და წარჩინებული ქუეყანასა ამას, რომელი ყოველთა ჰმატდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარაკთათა, რომლისა სივრცესაზღვართ ვრცელ და მრავალ იყო და არა თუ ქვეყნიერთა და ქუშმეთრეფთაგან მდიდროოდა, არამედ ლუთის მსახურებით ცხორებულთაცა ყოველთა ერეოდა და, ვითარცა იობისთვის წერილარს, ჰეშმარაჲტ, მართალ და უბრალო || ესე ვითარი ესე კაცი იყოფოდა და მრავალთა ტაძართა და კარავთა იქცეოდა, რომელსა სახელი ეწოდა გიორგი, მეორედ ჩოჩანელი, რომლისა ტაძარნი შუენ იყვნეს სანახებსა ჩოჩანისა და ზანავისთა.

250

ხოლო უმრავლესთა ქამთა ინადირობნ იგი ადგილთა მათ ცხროქა წოდებულთა, რამეთუ იყო მუნ სიმრავლე თხათა და სხუათა ნადირთა ველურთა და არეთა მათ ეშენა სახლი, რომელ ოდესმე ეწიის ღამე, სადგურ ყვიან მათ შინა სიბნელისა თვს ღამისა და უვალოობისა და სიკშოსაჲ ტყეთასა.

ღა იყო რაჟამს დაიბანაკეს წმიდათა მათ ადგილსა მას ზემოაქსენებულსა და ქმნეს მახლობელად ბორცუსა მის, და აღაგზნეს ცეცხლი და ვითარცა აქდა კუამლი დიდ ძალი. ხოლო ვითარცა იხილა გიორგი მორწმუნემან, იყო რაჲ მდევარ ნადირთა. განკვრდა ფრიად და ჰრქუა წინაშე მდგომელთა: „ვინა არს ადგილსა იმას სიკშო კუამლისა, ანუ თუ ვის რად უკმს ცეცხლი? უკუეთუ ვინმე ეძიებს ნადირთა, რად კადნიერ და ურცხვინო ქმნილარს? დაღათუ სხუაჲ საქირო რაჲ ვის უკმს, ჩუენ ვითარ არა მეცნიერვართ?“ არამედ ვერა ვინ მისცა პასუხი.

251

შინაცა მყის უბრძანა ერთსა ვისმე მონათავანსა: „და წარვედ მსწრაფლ, -ჰრქუა, და ზედა მიწვევით ცან ძალი საქმისაჲ ამის და მაუწყე ჩუენ, თუ || რამე არს სახილაფი ესე?“ ხოლო წარვიდა მყის ყრმა იგი და ქირით და შრომით მიჰყვა კუამლსა მის ცეცხლისასა. ხოლო ვითარცა მიიწია მუნ, იხილა ტალავარი იგი და კაცნი შემოსილნი ხალენებითა უცხოჲთა მეუღაბნოეთაჲთა. განჰკრთა უკუჲ კაცი იგი, ხოლო იგინიცა განკვრდეს. და მივლინებული იგი ჰკითხვიდა ვინაობასა ანუ რაჲმე არიან საქმენი მათნი, რომელნი ესე ვითართა სიგლახაკითა იხილვებიან და ესე ვითარსა ამას უღეწსა ადგილსა იხილვებიან.

ხოლო მათცა მიუგეს და ჰრქუეს: „და, საყუარელო, შენ უკუჲ ვინ ხარ ანუ რად გიკმს ზედა მიწვევით ცნობაჲ ჩუენისა ვითარებისა?“ და კაცი იგი ეტყოდა: „მთავრისა ვარ მე დიდისა, რომლისა სახელი გიორგი, რომლისა მიერ მოვივლინე მე, რამეთუ დაუკვრდა ესე ვითარსა ამას ადგილსა კუალი ცეცხლისა და ყოვლად ყოფაჲ კაცისა“. ხოლო წმიდასა მას ვითარცა ესმა, რამეთუ მთავარი არს და ოკუვალი ადგილთა მათ, გამოიკითხა

გამოწულილივით ყოველი საქმე მისი და ვითარცა ცნაჲ ზედა მიწევნით, ვითარმედ ოჯფალი არს მათ ადგილთა და მპყრობელ ყოველთა მათ სანახებთაჲ,

მეცსეულად იწყო წმიდამან სერაპიონ და მყის წარმოუთხრა პირველითგან ვიდრე მუნ ჟამამდე, თუ რომლისა მიზეზისა თჳს მოიწინეს ადგილსა მას და ვითარად ეგულების აღწენებაჲ მონასტრისა და ესეცა შესძინა, ვითარმედ: „ბრძანება II არს საღმრთოჲ და მოწაფენი ვართ ნიშთა და სასწაულთა მიერ განბრწყინებულისა მიქელ ჰარკხელისანი“.

261 ზ

და ვითარცა ესჲა ესე ყოველი კაცსა მას და რაჲ იგი იხილა, ყოველი მიუთხრა დიდსა მას მთავარსა და ყოველთა წინაშე მდგომელთა, ხოლო იგინი მთავრითურთ შიშმან და განკვრევამან შეიპყრნა და საოცარ რამე ჰგონეს საქმე იგი. ხოლო კაცი იგი ეტყოდა მათ, ვითარმედ: „კაცნი მინახვიან ყოვლად კორცითა მყოფნი, ხატითა და სახითა მონაზონთათა და არა საოცრად, არამედ ცხადად“.

ხოლო განთენნა რაჲ, კულად უბრძანა მთავარმან ორთა საკუთართა თჳსთა და გონებითაცა ფრთხილთა, რათა ზედა მიწევნით ცნან ყოველივე. ხოლო წარმოვიდეს კაცნი იგი, და ვითარცა მოიწინეს წინაშე წმიდისა მის მამისა და იხილნა იგინი და გულისკმა ყო, რამეთუ მთავარნი არიან და საკუთარნი დიდისა მის მთავრისანი, მიეგება და მოწილედ მოიკითხნა წმიდამან მან, და წინაშე ხატსა წარავლინნა, და თაყვანისცეს რა, და იკურთხნეს და განიხარეს დიდად ფრიად, მაშინ ჰრქუეს მთავართა მათ წმიდასა სერაპიონს და სხუათა მათ ძმათაჲ: „ვჰმადლობთ ღმერთსა, წმიდანო მეუფენო, რომელმან ჟამთა ამათ მოხედვა ყო ჩუენ ზედა და ქუეყანასაჲ ზედა გვჩუენნა კაცნი ზეცისანი, ხოლო აწ გულისავესე გუყვენით ჩუენ, თუ რომლისა თჳს ჯერ იჩინა სიწმიდემან მან მოსლვა უღვაწთა ამათ და უვალთა ადგილთა“.

მაშინ წმიდამან მამამან სერაპიონ სახე პატრიოსნისა ჯუარისაჲ გამოაახა და სულთ ითქუნა სიღრმით სულისათ და ესრეთ ჰრქუა მათ: „ჩუენ, ზ საყუარელნო, დალაცათუ

252

კოდვილ ვართ, კაცნი ვართ ქრისტეანენი და გურწამს ქრისტე ღმერთი, ჩუენისა ცხოვრებისა თვს განკაცებული და მოველით აღდგომასა ყოველთასა და წმიდათა თვს განმზადებულსა ნეტარებასა, რომელ არას ვიტყვთ გარეგან ქეშმარიტებისაჲ,

„რამეთუ მოწაფენი ვართ ღიდისა მის და განთქმულისა მიქელ პარცხელისანი და ბრძანებითა საღმრთოჲთა მის მიერ წარმოვლენილნი და რათა აღვიღოსა ამას აღვაშენოთ შესაკრებელი ცხოვართა პირმეტყუპლთა“. და ყოველივე წარმოუთხრა შემდგომითი შემდგომად. ხოლო მათ, ვითარცა გულის კმა ყვეს. რამეთუ ქეშმარიტარიან სიტყუაჲნი მათნი, სახელი ღიდისა მის მოძღურისა ესმა, თაყუანის სცეს ხატსა მას ცხოველსა და წმიდანი იგი მოიკითხნეს და წარემართნეს და მიიწინეს, რათა წინაშე გიორგი ღუთის მსახურისა ყოველივე ხილული და სმენილი წარმოუთხრეს. ხოლო მას. ესმა რაჲ, ვითარმედ მოწაფენი მიქელისნი არიან, ირწმუნა ქეშმარიტებაჲ სიტყუაჲთა მათთა, და განიხარაჲ და წარვიდა სახიდ თვსსა და სურვიელ იყო ხილვისა მათსა.

ხოლო შემდგომად სამისა ღდისა უბრძანა, რათა მზა ყვენენ გზანი, მიმყვანებელნი აღვიღოსა მას, რომელსაცაჲ იყვენეს წმიდანი იგი. და აღეკაზმა || და აღიღო მტირედი რამეველოგიაჲ, რომელი შეეტყუპზოდა კაცთა მათ მეუდაბნოეთა, და მისთანაჲ წარიყუნა ხუცესნიცა საცეცხურ-საკუმეველეებითა და წარავლინნა წინათ მკვრცხლ მავალნ, რათა განმზადებდენ გზათა. და მირაიწინეს აღვიღოსა მას, რომელსა წმიდანი იგი იყვენეს, ხოლო ცნეს რაჲ წმიდათა მათ, და მყის წინა მიეგებნეს მთავარსა და, სადა იგი წყარო, განვიდეს აღვიღოსა მას. უინაცა გარდაკდა საკედარსა და შეუერდა ხატსა მას ცხოველსა, და ვგრეთვე წმიდანი იგი მოიკითხნა და იკურთხა მათ მიერ.

მაშინ მიუგო მთავარმან მამათა მათ ნეტართა და მღულარითა სულითა ეტყოდა: „და ვმადლობ ღმერთსა და მეუფესა, ჳ წმიდანო, რომელმან არა უგულებელს ყო უღირ-

სებაჲ ჩუენი და ღღეთა შინა ჩემთა ყო ჩემ თანაჲ სასწაულ-
რომელმან აწ ღირსმყო ყოვლად არა ღირსი ესე პირველად
თაყვანისცემად ცხოველსა ხატსა მისსა და მერმე წმიდათა პი-
რთა თქუენტა“.

ხოლო სანატრელი სერაპიონ აღივსო სულითა წმიდითა
და მსგავსად მდინარისა აღმოადინებდა თათლმწოთლოვართა მით
ენითა სწავლათა საღუთოთა და, ვითარცა მდინარე ედემი-
სა, აღმოუწყაროდა ოქრო ნაკადულით პირით მისით, რო-
მლისა თვსცა განკვრდა მთავარი იგი და ყოველნი წინაშე-
მდგომნი, რომლისა თვსცა შეურდეს || ფერკთა მისთა და ეტ-
ყოდის ვითარცა ერთი მოციქულთაგანი: „ქრისტემან მოგავ-
ლინა. აწ უკუტ ჯერისაებრსაჲ ყოფად გვბრძანებდი, მამაო“.

253

და წმიდათა მათ ძალისაებრსა ჰქუეს არა ყოვებად
საღუთოსა ბრძანებასა, ვითარცა: „ჯერარს ადგილსა ამას
აღშენებად მონასტერი შესაკრებელად სულთა ღუთის მო-
ყუარეთა“. ხოლო მთავარი იგი შეუვრდა მათ და ეტყოდა:
„გვედრები, ზ წმიდანნო, ნუ დაამძიმებთ ჩემ ზედა სათხო-
ველსა, რამეთუ აჰა ესერა ხელავთ, ვითარ ყოვლითურთ უქმ
და უღვაწ არს ადგილი ესე და ყოვლად უღონოდ გხედავ
თქუენ მსგავსად მოციქულთა, ხოლო ვინათგან ღმერთსა მო-
ლუაწედ ჩემდა მოუღლინებოთ, საქმენი ესე, რომელთა იტყვთ,
თვნიერ ჩემსა არს, წარემართებიან; აწ უკუტ არს ადგილი,
რომელი მარჯუტ არს და მომზავებელ ამათ საქმეთა, ვინაცა
ბრძანენ სიწმიდემან თქუენმან, რათა მუნ აღვაშენოთ მონას-
ტერი, რამეთუ აჰა შეუძლებელარს ყოვლად, რასაცა ეგე ვი-
თარისა საქმედი“.

ხოლო წმიდაჲ იგი ეტყოდა მას: „ღმერთმან, რომელმან
უბრძანა მოსცეს კუტრთხითა განჰებაჲ ზღვსა და კუალად უდა-
ბნოს კლდისაგან უღალისა აღმოცენებად წყალი და მოღე-
ბაჲსა საზრდელისასა უწუჰა მანანა ერსა, ვინა იგივე არს აჰა-
ცა, რომელმან ძნელოვანნი ადვილ ყვენეს და ჯერჩინებითა
შენითა და შეწევნითა || საღუთოჲთა, ხოლო შეუძლებელ არს,
რათამცა ბრძანებაჲსა საღუთოსა წინა განვეწყვენით და ადგი-

153 ბ

ლი ესე სხუად ვცვალეთ რამეთუ ნიშნი და უწყებანი აღგილ-
სა ამას უწამებენ“. ხოლო მთავარმან ეგებისა ესე, ჰრქუა:
„მამო, რათა კაცმან ნეფსით თავი ქირთა მისცეს და უკუა-
ნაასკნელ მოკიცხულ და მაშურალ იპოოს ცუდად“

ხოლო წმიდაჲ იგი ეტყოდა: „გონიერად ისმინე. მთა-
ვარო, იგავი ესე, რამეთუ მარგალიტნი და თუალნი პატიო-
სანნი მიმოგანბნეულ რაჲ იყვნენ თანაჲ აღრევით მიწასა,
არა ესრეთ ბრწყინვენ წინაშე თვალებსა ხილვის მოყუარე-
თასა. ვითარ იგი რაჲმს გამოიკურვნენ და განმწმდენ და ოქ-
რო თხზულებით შეიწყენენ კეთილთა მიერ მქედელთა მაშინ-
ლა გამოჩნდეს ბრწყინვალეობაჲ მათი და იქოს მუშაკი და შუბ-
ნიერებაჲ მათი.“

მგრეთვე აღგილი ესე, რაჲმს კელყოჲ კელოვანთა მუ-
შაკთა, მაშინ იხილოს თუალმან მხილველთამან შუბნიერებაჲ
აღგილისა ამის. ვინაცა ნუ გუაიძულეზ დატევებად აღგი-
ლისა ამის და სხუად წუალეზად, რამეთუ ესე ვერ ეგების
ჩუენ მიერ..

ესე რაჲ ესმა მთავარსა, თავი მოიდრიკა და დადუმნა. ამის-
სა შემდგომად აღდგა, ილოცა და ჰრქუა მათ: „ლოცვა ყავთ
ჩუენთვს, წმიდანო, რამეთუ მე არა მშურს აღგილი ესე, ხო-
ლო სხუად თანა ლმობაჲ და შეწვნა ყოვლად შეუძლებელარს,
და მოჰგუარეს მას საკედარი და წარვიდა, და ეტყოდა და
ჰრქუა წმიდათჲ მათ: „არა თურე ღირს ვიყავ ლოცვასა თქუენ-
სა“ და წარვიდა მწუხარე. და ვითარცა მივიდა მდინარესა მას,
წინაშე მათსა მყოფსა, და იხილა მცირე რამე კლდე, და გარ-
დაკდა მას ზედა და დაჯდა, და მოუწოდა ერთსა ყრმათაგან-
სა და ჰრქუა მას: „მივედ, ძმაო, და არქუ წმიდათა მათ, რა-
თა მოვიდენ აღგილსა ამას. ხოლო ვითარცა წარგზავნა იგი,
ჰქუა თვსთა საკუთართა: „ვინათგან არა ინებეს წმიდათა მათ
აღგილთა მას ზედა ნავთასა, რათამცა მუნ გუტშენა უდაბნო
დიდი და მაღალი, აწ უკუტ რაჲ ჯერარს ყოფად?“ ხოლო
მათ ჰრქუეს, რათა არა დავაბრკოლოთ გულის მოდგინებაჲ
მათი.“

ხოლო მთავარმან ჰრქუა: საღმრთოესა ძალისა განუგებელად არა არს საქმე ესე კაცთაგან, ამისთვისცა ჯერარს, რათა ძალისაებრი ვაჩუცნოთ შეწვენა.

ღა მოიწინეს წმიდანი იგი ადგილსა მას. და კუალადცა ეტყოდა მათ მთავარი იგი: „გვედრები, წმიდანო ლუთისანო, რათა ერთი მომადლო მე, რამეთუ არიან ადგილნი მრავალნი და კეთილნი და ნაშენებითა ღონიერნი და იხილნეთ იგინი, და უკუეთუ დიდად მოაშუნდეს სულსა თქუენსა, აჰა ადგილნი და შესავალნი და ყოველი საკმარი უხუცებით“.

ხოლო ნეტარმან სეკაპიონ კუალადცა ჰრქუა: „მგავსად მოციქულისა ვიტყოდი: უკუეთუცა ანგელოზი მახარებდა გარეშე მისსა, რომელი გუცხარა, არა გურწამს“. მაშინ გიორგი მოუწუდა ვისმე კაბუკსა ასაკითა, რომელ არს ძალითა, და ჰრქუა: „შვილო საყუარელო, გზა ჰყევ წმიდათა ამით და ხვალე განთიადითგან ვიდრე მწუხრამდე შემოწერით შემოვლონ, მიმიცემიეს მათდა, ვინათგან ადგილსა ამას წადიერ არიან; და უკუეთუ ვინმე იპოოს დამახრწეველი მათდა უცხოებისა თვს, ყოველთავე აუწყე, ვითარმედ თავის უფლებით და ნებისა ებრაშენებენ მონასტერსა საბრძანებელსა შინა ჩუენსა“.

254

ხოლო წმიდათა მათ მამათა ეტყოდა: „გულპყრობილი იყვენით, ვითარმედ ყოვლითა ძალითა თანა შემწე თქუენდა ვარ მე და მზრუნველ, და არავინ წინა აღმდგომ ჩუენდა არს ადგილთა ამათ, რომელთა გეგულების დაპყრობად, ხოლო შემდგომად სამისა დღისა კუალადგიხილნე ოჯფალსა თუ ენებოს“. ვინა წმადათა მათ განიხარეს ფრიად და მადლობაჲ აღუარეს, და მთავარი იგი კლდესა მას ზედა განათიეს. და ესეცა სიტყუაჲ ქეშმარიტარს მოწვენული ჩუენდა, ვითარმედ ხილვა ანგელოზისა იხილა ღამესა ამას, რომელი განაძლიერებდა მას და გულსმოდგინებით შრომად უბრძანებდა, რომლისა თვსცა შემდგომად ორისა დღისა შექმნა ორნი ჯუარნი წმიდამან პან კელითა თვსითა და კლდესა მას ზედა აღმართნა სახელთა ზედა წმიდათა მთავარ ანგელოზთასა. ხოლო უკუანაძსკენელ პტირე ეგუტერიცა აღეშენა, რამეთუ ნიშნი და კურნებაჲნი 255

სნეულთან იქმნებოდეს სალუთოსაგან მადლის წმიდათა მათ მთავარ ანგელოზთასა.

ხოლო ჩუპნ კუალად აღვიდეთ პირველსავე სიტყუასა და ძალისა ებრ ვიპყრათ წესი თხრობისა. რამეთუ განრა ათი-ეს ლამე იგი და მზე აღმობრწყინდებოდა, აღდგა წმიდაჲ იგი და ძმა მისი იოანე და ერთი ძმათა მათგანი, რომელთა რიცხვ ექუს იყო, და წარემართნეს ქაბუკსა მას თანა სამნი იგი და სამნი დაეტევნეს ადგილსა მას. ხოლო იწყეს სლვად პირსა მის მდინარისასა დასავალით კერძო და ვითარ ვლეს, მიიწინეს შესაკრებელსა ორთა მათ წყალთასა. ხოლო იყო მუნ წისქვლ, სახლიი რამე შესაკრებელსა მას შუა წყალთასა, რომელსა სამო ეწოდებოდა. და ამას შინა იყვნეს კაცნი რამე უკეთურნი, ყოვლად მკეცებრიენი, ვითარცა ადგილისა უკაცოსა და უცხოსანი.

255 ბ. და ვითარცა მივიწინით ადგილსა მას, მაშინ ქაბუკი იგი, მოძლუარი ჩუენი გუტყუდა: „წმიდანო ღუთისანო, სათ გნებაეს სლვა?“ ხოლო ჩუენ გუბნება, რამეთუ გარე შეწერით შემოვლოთ სიმგრგულე მათ ადგილთა, ვინა პირი საძხრით ეიქცეთ თანა აღყოლად ერთისა მის მდინარისა. ხოლო გვხილნეს რაჲ კაცთა მის დაბაწისქვლისათა, იწყეს ყენებად ჩუენდა და, ვითარცა ცოფნი, წინა რბიოდეს. ხოლო ქაბუკი იგი აყენებდა მათ და რისხვით უთქუმიდა. რომელთაცა მიექცა წმიდაჲ იგი და რისხვით ეტყუდა წინაჲსწარმეტყველებით: „ვიხილე უღთოჲ აღმაღლებული ნაძუთამდე ლიბანისათა და თანა წაჲვკედ და არა იპოვა ადგილი მისი“.

ხოლო შენ იხილე საყუარელო, თუ ვითარ სალუთო სულოთა სავსე იყო წმიდაჲ ესე, ანუ თუ რასადა მოასწავებდა კაცთა მათ თვს სიტყუთა მით საწინაჲსწარმეტყუელოთა, არამედ შემდგომად მცირედისა მოოკრებაჲსა და სრულიად უჩინო ყოფასა ადგილისაგან მათისა, რომელი იგი შემდგომად მცირედისა დრო მეც, საყუარელო, და სიტყუამან წარმოგაჩინოს. ხოლო აწ პირველსავე შევეხნეთ თქუმად. რამეთუ აღვჲყევით პირსა მის მდინარისასა და მივიწინით კევსა რასმე ღრმასა და უღალსა.

რომელსა გოდერძის ეწოდების, და ფრიად ძლით შევე-
დით მას შინა, ვინაცა სიკჳოსა მისგან მყოფარ ეამ ვერლარა
ვიხილეთ ცაჲ ანუ მზისა შარაფანდელი, რომლისა თჳსცა ჳი-
რით და შრომით დაყოვნებულთა, ვითარცა სიზრჳით აღ-
მურისათ ანუ სიღრმით უყისათ აღმოშობილნი აღვედით რაჲ
თავსა მის კვეისასა და ვიკილნეთ მცირენი რამე ყანობირნი
და მცირე დაბაჲ, და მყის მიერ მოგუტგებაჲ კაცი ვინმე კე-
თილი მკოვანი და მოწილედ მოიკითხვიდა წმიდასა მას და
აწუტედა, რათა მცირედ განისუტნოს შრომისა მისგან.

256

რამეთუ განსმენილიყო მოსლვა ჩუენი ყოველთაჲ მათ სანა-
ხებთა და გუკითხვიდა კაცი იგი, თუ რად გჳკმს უგზოთა და უვა-
ლთაჲ ადგილთა სლვა, ხოლო ჳაბუკმან მან იცნა იგი და ყო-
ველივე საქმე ჩუენი ჴედა მიწეენით მიუთხრა. და ვითარცა
მრავალგზის გუტვედრებოდა კაცი იგი, რათა ლამესა მას სა-
ვანე ვყოთ სახლსა მისსა, ხოლო წმიდამან მან მადლობით მი-
ითვალა კეთილი იგი გონებაჲ მისი, და ჳკითხა სახელი და
ჳქუა, ვითარმედ: „შეუძღვებელარს არა მისლვა ჩუენი ადგილსა
მას დროსსა“. და კაცი იგი ეტყოდა: „სახელი ჩემი ია, ხოლო
დაყოვნებულ თქუენდა ადგილსა მას მისლვაჲ, რომელსა ეტ-
ყვთ“. ვინა წმიდაჲ იგი ეტყოდა: -საყუარელო ძმაო ია, შრომა
თავს იღევ ღუთისა თჳს და მცირედ თანა მოგზაურ მექმენ ჩუენ“.
ხოლო მოიღეს მცირედ პური და მარილი და ყველი და რო-
მელთა ენებაჲ, ჳამეს. ხოლო წმიდასა მას ყოველად არა რაჲსა
გემო უხილავს. ხოლო კაცი იგი ია თანა მოგზაურ გუტქმენ
ჩუენ და წარვემართენით აღმოსავალით კერძო და ვიდოდეთ
ქედთა რამე მალალთა, ტყიანთა და ლოდოანთა, და ვითარცა
აღვედით უმაღლესთა ადგილთა, და ჳკითხა მას კაცსა წმიდა-
მან მან: „საყუარელო ია, რაჲ ეწოდების ადგილსა ამას?“ ხო-
ლო იგი ეტყოდა, რამეთუ „არს ესე შესაკრებელი ნადირთა
ველისათა და ბაგთა ეწოდების“. ხოლო წმიდამან მან აღიღო
კელითა თჳსითა რაჲთხი რკინისა და გამოქანდაკნა ჯუარნი

256 ბ

ლოდთა რათმე ზედა დიდ-დიდთა, რომელნი იგი იხილვებიან ვიდრე დღენდვად დღემდე.

ძულალად მიიხილა წმიდამან და იხილა ადმოსავალით კერძო ქედსა ზედა მას ტბაჲ, აღრეული ლალითა, რომელი იგი სახედ მწვრისა იხილვებოდა, და გვკვრდა ჩუენ ფრიად და ვკითხეთ კაცსა მას, „რაჲ არს ადგილი ესე უცხოსა ამის წყლისა?“ ხოლო ია მომიგო ჩუენ: „ესე არს ტბაჲ მღრვე ყოვლადვე, რომელსა ეწოდების სათაჲვე, და არს ამას შინა სიმრავლე თაკუთა, სხუათა ნადირთა და დედა შფოთთა და ბრძოლათა. რამეთუ ჟამსა ამას აქა იხილვებიან მღვევარნი ნადირთანი, შეკრებულნი თვთოეულთა სანახებთანნი და ჴრთიერთას მღვევარნი საქმეთა უჯეროთანი, რომელნი კლვადცა მზა არიან თვთოეულისა“. და ვითარცა წარვემართენით ტბისა მის მიმართ, და კაცი იგი ია შეურდა წმიდასა და ღუთისა მადლობასა აღუარებდა ხილვისა თვს ჩუენისა და ესრეთ გუტყუოდა; რათა ყოვლადვე უბრძანებდეთ, უკუეთუ რაჲ გუტნებოს მის მიერ.

ხოლო წმიდამან ჰრქუა მას: „ნუ წარხუალ ჯერეთ, ძმაო, რამეთუ ჰაბუკი ესეცა უმეცარ არს ადგილთა ამათ“. და ია ეტყოდა: „ქრისტემან მომმადლოს, რათა მარადის ვიყოფეოდე სიწმიდისა თქუენისა თანა, მამაო“. და ვითარცა შთავედით პირსა მის ტბისასა, ვჰკითხეთ კაცსა მას ჟამი დღისა ხოლო მან მომიგო: „მწუხარარს და მიდრეკილ დღე“. ხოლო წმიდამან მან მიუგო: „რაჲ არს იმიერით ქედთა ამათ ტყიანთა? ანუ სიმაღლე დიდისა ამის მთისა, რომელ არს ზემოთ ჩუენსა?“ და მან მიუგო: „მთა ესე მაღალი არს თავი ყოველთა ამათ ქედთა, რომელსა ჰრქვან თავი შეშათა, რამეთუ თავი არს ყოველთა ამათ მაღნართა. ამისთვს შეშის თავე ეწოდების და უვალ კაცთა და პირუტყუთა სიმაღლისა თვს მისისა. ხოლო წინათ ჩუენსა არიან ადგილნი მკირედ კაცრიელნი და აწ ვინათგან მოსწრათე ხართ, რათა ადგილსა მას დროსასა მიხვდეთ, არა ჯერ არს ყოენებაჲდ, რათა არა უჟამოდ გეწიოს ღამე“. ვინაცა ენებაჲ წმიდასა მას, რათა ტბაჲ იგი მრჯუნით წარ-

ვლათ და წარვიდეთ ღელეთა მიერ, რომელნი იყვნეს წინაშე ჩუენსა. და ვითარცა ვიდოდეთ, აჰა ესერა მოვიდეს ვინმე კაცი ჟკეთურნი, რომელნი გუტყოდეს, რათა დავაცადოთ სლვა კერძოთა მათ, რომელთა ზიგუშმართა, ოამეთუ გუტყოდეს, რათა დავაცადოთ, რამეთუ ჟამი არსო ნადირთაჲ, რომელნი მოვლენ ტბაჲსა ამას. რამეთუ მზა არიან მონადირენი ადგილთა ამათ, რათა არა იქმნას ცთომა მათი თქუენ მიერ; და არა გვტევნეს რაჲ თურთით წარსლვად კერძოთა მათ.

და ქაბუკი იგი მოძღუარი ჩუენი ძლიერად წინა აღუღებოდა მათ და არა იყო მათ თანა სმენა, არამედ გარე უკუმოგუაქცინეს და პირი იგი ზღვსა მის დასავალით წიაღვლეთ, მოვედით თავსა შთასავალისა მის ქედისასა, რომელ არა იყო ყოვლად კუალი მგზავრობისა და არცა გზა. ხოლო კაცი იგი ია გვჩუნებდა მცირესა რასმე დაბაჲსა და სახელსდებდა კაცსა სახელოანსა და კეთილსა, რომელსა ეწოდა გარბანჯი. და გუტყოდა: „მოვედით ადგილსა იმას ამის იწროსაჲ მიერ გზისა, და კაცჲან მან ადვილად მიგიყვანნეს ადგილსა მას, სადათ იქმნა წიაღსლვა თქუენი განთიად“.

არამედ, საყუარენო ძმანო და გულს მოდგინედსმენის მოყუარენო მამანო, უმეტესად ჯერარს ჩუენდა, რათა ვისმენდეთ საკვრველთა ამათ საქმეთა და ვადიდებდეთ ღმერთსა, რომელმან ესე ვითარი მოგუმაღლა ჩუენ მამაჲ და მოძღუარი. და ვითარცა მოვედით ადგილსა მას, რომელსა ჰაბგენ უწოდიან, და ვიხილეთ მცირე ველი ადგილსა მას ბოხსა წოდებულსა, და გვთხრა ჩუენ ია ყოველივე კაცისა მისთვის გარბანჯელისა.

მაშინ ია შეუვრდა წმიდასა მას და მოწილედ მოიკითხნა, ხოლო წმიდამან მან ჯუარი დასწერა და ეტყოდა მას: „ღმერთმან მოგაგოს ნაცვალნი მგზავრობისა შენისა, ძმაო! ხოლო გეტყვ შენ, რამეთუ აღრე იხილო მისაგებელი კაცთა მათ ბოროტთა და შფოთის მოყუარეთა“, ხოლო ვითარცა იგი განგუტპოო რა და წარმოვიდა, ჩუენ შთამოვედით შთასაქანელსა

257 ზ

258

მას, ვითარცა წყალთასა, და ვითარ მივედით დაბასა მას, აჰა
ესერა ზემო კაცი იგი კსენებული მივიდოდა სახედ თვსად
ორთა თანა ძეთა მისთა, და ვითარცა გვხილნა ჩუენ ესე ვი-
თარით არაჲთმე სახითა, განჰკრთა და მოწილედ განგვკით-
ხვიდა და განგვხილვიდა ჩუენ, და ვითარ ცნა, ვითარმედ იგი-
ნი არიან, რომელნი მოსრულ არიან ადგილთა ამათ აღშენე-
ბად მონასტრისა და იხილა რაჲ, ვითარ იგი არღარა იყო
ჩუენ თანა სახე სამოსელთა ჩუენთა და ყოვლითურთ დაბძა-
რულ იყვნეს ასონი ჩუენნი, მაშინ ცრემლით მოეზვა და ამ-
ბორს უყოფდა ფერკთა მის წმიდათასა, და ესრეთ, იხილა რაჲ
წმიდამან მან კაცი იგი, ეტყოდა: „საყუარელო და ქრისტეს
მიერ ძმაო გარბანელო, აწ აჰა ესერა მკირედ თანა ლმობით
შეეწიე მგზავრობაჲსა ჩუენსა და რათა წარგვძლეს ვიდრე
მდინარემდე, რომელ არს ჩრდილოთ ჩუენსა“. ხოლო იგი
გულს მოდგინედ და ცრემლით ეტყოდა, ვითარმედ: „არა ეგე-
ბის ეგე, & წმიდაო ლუთისაო, რამეთუ ესერა დასლვასა მზი-
სასა ღმერთმან მოგიყვანნა ცოდვილისა მონისა თქუენისა, და
ვხედავ წყალულებასა ფერკთა თქუენთასა || და რათა მკირედ
განისუწნოთ მაშურალობისაგან მგზავრობისა თქუენისა და რა-
თა ზედა მიწვენით ვცნა, უკუეთუ რაჲ არს ესოდენი ესე მდუ-
ლარებაჲ სულისა თქუენისა, რომელ ესრეთ გაძულა დადებად
სული უღალთა ამათ და უვალთა გზათა სლვად წმიდამან
ჰრქუა მას: „შეუძლებელარს ჩემგან, რათამცა არა მივედით ად-
გილსა მას განჩინებულსა“ ხოლო შერბიოდა შინა კაცი იგი

258 ბ

ქუა 4, 26

ესე, 10, 12

ხოლო წმიდაჲ იგი ეტყოდა: რომელმან იგი გაბაონს
ისო ნავესსა დაუყენა მზე და კუალად წმიდასა მას ბერსა ბე-
სარიონს, ამანვე და ჩუენცა ღირსმყვნეს მზესა ამასთანა ხილ-

ვად და თაყუანისცემად წმიდასა ხატსა მისსა“. მაშინ წარმო-
უძღლა კაცი იგი და წარმოარაემართნეს, ქაბუკმან მან ჰრქუა
წმიდათა მათ: „ლოცვა ყავთ ჩემთვის, წმიდანო, რამეთუ ხვა-
ლდე ინებოს თუ ღმერთმან შევემთხვო წმიდათა ფერკთა თქუენ-
თა“. || ვინაჲცა ესე განგებულებით იქმნა, თანა ეწამოს იგი დი- 259
დებულსა მას სასწაულსაჲ, რომელსა შემდგომად მცირედისა ეგუ-
ლვების სიტყუსა წარმოთქუმა. და ვითარცა წარმოვედით,
იპოვა წინაშე ჩუენსა გზა რამე იწრო და ძნიად საქირველი,
ხოლო გარბაჲნელმან უბრძანა ძესა თვისსა, რათა თანა გზა
მყვეს ვიდრე პირამდე მდინარისა, რომელსა შთავედით რაჲ,
და აღმავალნი კუალად გვხილნეს ძმათა მათ, მოგუპკებნეს.
ხოლო შენ, საყუარელო, განიხილედა საკვრველი ესე, რა-
მეთუ რაჲმს კაცისა მისგან წარმოვედით და ვიდრე მოსლვა-
მდე ჩუენდა კუალად ეგო ადგილსა მას სიტყუსაგებ წმიდისა,
რომელი ესე გკუიდა, და ვადიდებელი ღმერთსა მაჲიდებელ-
თა მისთა.

ხოლო გვხილნეს რაჲ ძმათა მუნ მყოფთა, ცრემლოოდეს
ჩუენ ზედა, რამეთუ სამოსელი ჩუენი ყოვლად არღარა იყო
და ფერკნი ჩუენნი დაჯეჯკილ და დაბძარულ იყვნეს. და მცი-
რედ რამე ნუგეშინის ვიკით საზრდელი, რომელი პოვა მათ
თანა. ხოლო განთენდა რაჲ, შევწირენით ლოცვანი. და
მოილო წმიდამან მან კელითა თვისითა შეშაჲ, და ვითარცა
პირველ ვთქუთ, და შექმნნა ჯუარნი და აღმართნა სახელსა
ზედა წმიდათა მთავარ ანგელოზთასა. და ვითარცა იყო ჟამი
სამემისა, ვილოცვედით რაჲ ადგილსა მას. და აჲა ესერა კაცი
იგი გარბაჲნელი || და ქაბუკი იგი მძლუარი ჩუენი და ორნი 259 ბ
კაცნი უცხონი და მოიწინეს სწრაფით ჩუენდა. ხოლო ჩუენ,
ვიხილენით რაჲ, განვიხარეთ და იგინი იყვნეს შეპყრობილ
შიშითა რაჲთმე დიდითა, და კაცნი იგი უცხონი, ვითარცა
მკუდარნი ხილვითა. ხოლო ჩუენ ვიკითხვედით მიზეზსა, თუ
რასათვის სულთქუმით და ექვთ მოიწინეს იგინი, ანუ ვინ
არაინ კაცნი იგი, რომელნი სახედ მკუდართა უკმო და უსიტყუ
არიან.

ხოლო იწყო თხრობად გარბაჯნელმან და ჰრქუა წმიდა-
თაჲ მათ: „რათჲმს იგი წარმოხუპდით თქუნ და ჰაბუკი ესე
იყო ფრიად მაშურალ, და იყო ღამე, და მივიღეთ საზრდე-
ლი, და გვკვრდაჲ ფრიადი სიმენე თქუენი, და ვადიდეთ ღმერ-
თი და დავიძინეთ. ხოლო განრახთენა, წინაშე თქუნ წარმო-
სლვად ვემზადებოდით, აჰა ესერა იქმნა ძრვა და ოხრაჲ რაჲ-
მე, ვითარცა ქარისა, და განვკვრდით ფრიად, და შემდგომად
მცირედისა მოვიდეს კაცნი ესე, ვითარცა ესე ხედავთ, და
ძლით იწყეს სიტყუად და ვითარცა ვკითხევდით, თურამე იყო
კმაჲ ესე და ძრვაჲ? ხოლო ამათ მოგვკვს და გურქუსს,
რამეთუ: -განიბო კლდე იგი, რომელი იყო დასავალით ტბი-
სა მის, და წარვიდეს წყალნი იგი მრღვენ, და ჩუენ, რო-
მელნი ვიპოვნით გარემოს ადგილისა მის, განვიბნიენით ძლი-
ერისა მისგან || ზარისა და შთამოვედით კაცისა ამის, რამე-
თუ მეცნიერ იყო ჩუენდა“. და ვითარცა იგინი ამას იტ-
ყოდეს, მოწამეჲ სიტყუათა მათთა იხილევბოდა მდინარე იგი,
რამეთუ არღარა იტევდეს ადგილნი თჳსნი, რამეთუ ყოვლით
კერძო გარდაეცა მრღვე, ვითარცა მწვრე.

30

რომლისა თჳსცა განკვრევბაჲმან შეგვკპრნა ყოველნი.
ხოლო ჰაბუკი იგი ეტყოდა წმიდასა მას: „აჰა ესერა ვხედავ,
რამეთუ სიტყუანი შენნი საქმე არიან, ვინა მაქსოვს გუშინ-
დელი იგი: ჟამს იგი უბრძანებდით კაცსა მას, რომელი თანა
მოგზაურ გუტქმნა ვიდრე ტბაჲმდე სამთაჳსსა, ვითარმედ აღ-
რე იხილო მისაგებელი კაცთა ამათ შუოთის მოყუარეთა და
კჳალად კაცთა მათ, რომელნი იგი შესაკრებელსა მას წყალ-
თასა წინა რბიოდეს, ვითარცა ეშმაკეულნი: რამეთუ ვჰგო-
ნებ, რომელ არცაღა თუ კუალი იპოოს ადგილისა მის. ხო-
ლო ვითარცა დასცხრა მდინარისა მის დიდროჲჲ, ვცანთ.
ქეშმარიტი, ვითარმედ: ადგილი იგი ტბისაჲ იხილევბის ველად
ლოდლოანად, ხოლო ადგილი იგი წისქვლ სახლთა კჳალად
წარღუნილ და უჩინო“.

ამისსა შემდგომად შეურდა წმიდასა ჰაბუკი იგი და
მიიღო ლოცვა და ჰრქუა: „უფალსა თუ ენებოს, აღრე გი-

ხილნე. ხოლო უკუეთუ რაჲ გნებაჲს მთავრისა მიერ, მიბრძანეთ, რამეთუ მასცა ჰნებაჲს ხილვა თქუენი ადრე“ და წმიდანან II ჰრქუა: „თვნიერ საღუთოსა კურთხევისა არა რაჲს მკადრე ვართ წინაშე მისსა, რამეთუ თვთ უმჯობესად უწყის ყოველი, სიტყუსაებრ სოლომონისა: „ყურნი ბრძნისანი მარადის მზა არიან საღმრთოთა სიტყუათა და წარვიდა ჰაბუკი იგი და ჩუენ დაფშითთ ადგილსავე მას. 260 ბ

ხოლო მირაიწია ჰაბუკი იგი წინაშე მთავრისა და ყოველივე წარმოუთხრა შემდგომითი შემდგომად და რომელთა ესმა განჰკვრევით დაეცა, განჰკდა და აღიდებდეს ღმერთსა.

მაშინ ლუთის მსახური იგი შიშითა და სიხარულითაჲ აღიესო და წარეარათა ხილვად სასწაულთაჲ მათ და ნიშთა და ყოველნი საბრძანებელნი მისნი მისთანა და გარემო სანახებნი მათ არეთანი, რომელთაცა ასმოდა დიდი ესე საკვრველებაჲ, და მყის კრებული დიდ, რომელი შეკრბა ადგილსა მას, სადა იგი იყვნეს წმიდანი იგი. და ვითარცა მოვიდა მთავარი, ამბოარს უყო ხატსა მას ცხოველსა და შევროდომით მოიკითხნა იგინი, და განკვრევებით იკითხვდაჲ სასწაულთა მათ თჳს. და ყოველივე ზედა მიწევნით ცნაჲ კაცთა მათ მიერ, რომელნი მას წარველინნეს, ვითარ ადგილი ტბისა მის ველოან ქმნილ არს და შესაკრებელი იგი წყალთა დაფარულიყო ქვშათა მიერ და ლოდთა, რომელსა კაცნი იგი, კირისა მისგან განრომილნი, თვთ წარმოიტყოდის. ხოლო მოვიდეს II მლუდელნი და მონაზონნი თითოეულთა მათგან იდგილთა და სიხარულით მოიკითხვიდეს წმიდათა მათ და სხუანიცაჲ მონაზონნი მრავალნი შემოკრბეს, და ადგილისა მისგან მის მდინარის კიდისა, ლოცვით და ლიტან ით ადგილსა მას პირველ კსენებულთა ბორცუსა ადვედიო და ბრძანებითა მთავრისათა მოიქმნა ადგილი იგი და ველოან იქმნა, და სხუანიცა მთავარნი მოიწინეს გარემოთა ადგილთანი და თვთოეული უთხრობდეს წმიდათა მათ სამარჯუპსა სამონასტრესა ადგილთასა და კაცთა იგი, რომელ პირველ იოტნა ძინქედ წოდებულისა მისგან ადგილისა, მოწილედ შეუვრდებოდა და 261

აწუცვდა, რათა მუნ აშენებდენ. რომელსაცა მიუგო წმიდამან და ჰრქუა: „სულსა შინა უკეთურსა შიში ღუთისაჲ არა მათე, 7, 6 დაემკვდრების, არცა ჯერ იყო მარგალიტსა დასხმად წინაშე ღორთა, რამეთუ ბრმაცა თანა წარჰყდების ოქროსა მის წინაშე მღებაჲრესა. არამედ შენდობაჲ იყავენ პირველი ცთობა შენი. ხოლო ჩუენ ნუ ვინ გუაიძულებს სხვად ცვალებად ადგილისაჲ“.

გამოს. 8,6
14. 21
262

ხოლო ყოველი იგი კრებული დიდად განსთქუმიდეს: „ესე სასწაულნი თანა მოდგამ არიან მოსეს მიერ ქმნილთა მათ განჰვებასა ზღვასა და კლდისაგან აღმოცენებასა წყლისასა და კუალად კიდობნისა მიერ განჰვებასა იორდანისასა, და კუალად გრიგოლის მიერ საკვრველთ || მოქმედისა განკობასა მის ტბასასა, რომელი იყო მიზეზ მტრობისა მის ძმათასა. ეგრეთვე ტბაჲ ესე მიზეზი შფოთთა და კაცის კლვათა განკმა წმიდათა მათ მიერ“.

ხოლო წმიდაჲ იგი, ვითარცა იყო უცხო ზუაობისაგან, მიუგო და ჰრქუა მათ: „ნუ ჰგონებთ, მთავარნო და ერნო, თუმცა ჩუენითა რაჲთმე ძალითა ქმნილ იყვნეს სასწაულნი ესე, არაჲედ რამეთუ აღიდა ხატი პირველისა თვისისა ქრისტემან ღმერთმან, რათა თქუენ გრწმენეს, ვითარმედ არა ტყუვილ და ამაო არიან საქმენი ესე, რომელთა თქუენ ხედავთ“.

მიერითვან ეწოდა. სახელი, შემსგავსებული საქმეთა, ადგილსა მას: რამეთუ ეწოდა ზარზმა ერთა მათგან, რომელნი ზარითა და შიშითა მიუთხრობელითა შეპყრობილ იყვნეს. ხოლო ღოცვით და გალობით განათიეს ღამე იგი და განთიად მოიკითხნეს წმიდანი იგი და სიხარულით წარვიდეს სახიდ თვისსა.

ხოლო ღუთის უსახური გიორგი დაშთა მათ თანა და უბრძანა, რათა მოიძიონ ადგილისა და ჰნებაეს აღშენებაჲდ ეკლესიაჲ და მისცნა საკმარნი უხუცებით და წარვიდოდა რაჲ, უბრძანაჲ კუალადცა მოსლყა. მიერითვან იწყეს ძიებაჲდ ადგილსა, სადა უშენონ ღმერთსა სადიდებელად ეკლესია. ხოლო წმიდასა მას ენებაჲ, რათა ბორცუსა მას ზედა უმაღლეს-

სა აღაშენა || ეკლესიაჲ. და ძმაჲ მისი იოანე და სხუანი ძმანი 262
ეტყოდეს: „ნუ, წმიდაო მამაო, ადგილსა ამას, რამეთუ მალაღ
და ცივ არს და ძმანი ესე შიშულ ღა გლახაკ“. რომლისა-
თჳსცა იქმნა ცილობაჲ შორის მათსა და ვითარცა იგი გედე- მსაჯ., (
ონ საწუმისი დაღვა გამოცდად საქმეთა და კუალად დიდმან
თეგდოსა ნაკშირთა მიერ მოიძია ადგილი, სადა აღაშენოს მო-
ნასტერი, ეგრეთვე ამათ ნეტართა ყვეს: რამეთუ აღავსნეს ორ-
ნი კანდელნი სწორითა ზეთითა და დადგნეს ადგილთა მათ
ცილობისათა. რამეთუ იყო მცირე დღეე სამზრით ადგილსა
მას უმაღლესსა. და კანდელი იოვანესი დაღვა მუნ თვთ იო-
ვანე, ხოლო ბორცუსა მას ზედაჲ წმიდამან სერაპიონ.

და ორნივე დადგეს ლოცვად. ხოლო ვითარცა გან-
თენა, იხილვა დაესებულად კანდელი იგი სერაპიონისა, ხო-
ლო კანდელი იგი იოვანესი ბრწყინვიდა ვიდრე შუა სამ-
ხრამდე. რამეთუ ესე განგებულებაჲ იყო საღუოჲ, რათა არა
სწრაფით, არამედ ფრიად შუწნიერად ეამსა თჳსსა აღეშენოს
საყდარი ზაღალსა მას ადგილსა.

მსე რაჲ იხილეს, ყოველთა დაამტკიცეს, რათა მუნ იწ-
ყონ შენებად ეკლესიისა. ხოლო წმიდამან მან ჰრქუა ძმასა
თჳსსა თათლ მწთოლვართა მით ენითა: —ძმაო იოვანე, ღმერ-
თმან გაჩუწნა საკვრველი ესე დიდებული, რამეთუ იხილნა || ნა- 262 ბ
კლულეგანებაჲ გონებისა შენისა, ხოლო ესე უწყოდე, ვითარ-
მედ შემდგომად მცირედისა ადგილსა ამას აღეშენოს საყდა-
რი ფრიად შუწნიერი“.

და შგჰკაზმეს ადგილი იგი. და შეემატებოდა რიცხუსა
ძმათასა, რამეთუ მოიზიდვიდა სახელ განთქმულობაჲ კაცისა
მის ლუთისა და სახედ მდინარისა ირწყევბოდეს ტკბილთა მათ
სიტყუათა მისთაგან. რამეთუ კაცი იგი ჰირველ კსენებული
გარბანელი და ორნი იგი ძმანი, რომელნი დანთქმასა ტბისა
განერნეს, იკურთხნეს მონაზონად კელითაჲ. მის წმიდისათა.
ვინათგან ახალსა ამას მოსეს ებრძანა ახლისა ისრაელისა წინა
მძღურებაჲ, ამის თჳს უკმდეს თანა შემწედ საქმესა მის კარ-
ვისა ახალნი ბესელიელ და ელიობ, რამეთუ არა თუ ნისლსა

13

შვიდა და ფიცარნი ქვისანი მოიხუნა, რომელსა შჯული და მცნებანი წერილ იყვნეს, არამედ თვთ იგი აღმწერელი მათი გონებითა მოაქუნდა, რომელი მასვე მოსეს ნაპრაღსა კლდისასა დაფარულსა ეტყოდა: „მე ვარ, რომელი იგი ვარ“. და მთასა ზედა თაბორსა მოსეს და ელიასთანა ზრახვიდა თავთა მათ თანა მოწაფეთასა, ესე აქა კორცითა გამოსახული მკართა ზედა ეტვრთა და თაყუანის საცემელაჲდ მორწმუნეთა აღემართა. რომლისა თჳსცა იწყეს შენებაჲდ ეკლესიისა და დაღვეს საფუძველი ადგილსა მას, რომელი იოანე გამოარჩია. || ხოლო საჭირო იქმნა შენებაჲ მისი, რამეთუ ქვანი მათ ადგილთანი ტყეთაგან დაფარულიყვნეს, ვინაცა წყლისაგან რაჲსმე ღონიერობდეს და უშუპრსა რაჲსმე ქუასა მუნითგამოიღებდეს, ხოლო იყვნეს ზუროთ მოძღუარ და ზედა მდგომელ საქმისა მის გარბახელი და ორნი იგი ძმანი. ხოლო განითქუა რაჲ, ვითარმედ ესე ვითარნი ესე კაცნი ესრეთ ალაშენებენ ეკლესიასა, იწყეს სახედ მდინარისა მოსლვად საქმესა მას ეკლესიისასა და არა იპოვა რაჲ თურთით ქვა და ქირით და შრომით მდინარისა მისგან მოიღებდეს.

შინაცა კუალად მოვიდა მუნ ლუთის მსახური იგი გიორგი და განიცადა ყოველი საქმე მათი და იურვოდა, რათამცა კეთილად აღეშენა ეკლესია იგი; და მოუკდა გულსა და ჰრქუა წმიდათა მათ: „ქრისტეს მიერ განბრძნობილნოჲ მამანო, უკუეთუ სთნავს სიწმიდესა თქუენსა, არს ადგილი ერთი, სადა ეკლესია მისი დაცემულარს ძრვისაგან, აწ უკუეთუ ჰბრძანოთ, ადვილარს, რათა იგი მოვილოთ“. ხოლო ცნეს რაჲ წმიდათა მათ, რამეთუ უკმაღ მდებარე არს ეკლესია იგი, ბრძანეს, რათა სწრაფით კელყონ საქმესა მას.

და იწყეს მოღებად მეყსეულად, რაოდენი ეკმარებოდა ეკლესიისა მისთჳს. და იცნობებთან ქვანი იგი ზოგს რაჲმე კუთხთა მიერ და კამარაჲთა. ხოლო არს სახელი ადგილისა მის უმწაჲ, რომელი შორავს || ათორმეტ ბილიონ. ხოლო შემდგომად სამისა წლისა სრულ იქმნა ეკლესიაჲ და შეიმკო ყოველითა განგებითა, რომელი შეჰგვანდა ეამსა მას, და აღმართეს

263 ბ

მასშინა ცხოველს მყოფელი ხატი ფერისცვალებისა და ამის-
სა შემდგომად სენაკებიცა იშენეს ძმათა. და შემოკრბა კრებულნი
დიდ ძალი ძმათა, რამეთუ მადლი სულისა და სახელ გან-
თქმულებად კაცისა მის ღუთისაჲ მოიზიდვიდა ყოველთა, რა-
მეთუ იტყვს ოვთალი, ვითარმედ: „სადაცა იყვნენ ორნი, გინა მათ.. 18
საინი შეკრებულ სახელოსა ჩემისათვის, მუნ ვარ მე მათ შო-
რის, რაოდენ ჟფროს მრავალთაჲ თანა შეკრებულთა ღუ-
თის მსახურებისათვის. ხოლო ღუთის მსახურმან გიორგი მის-
ცნა ყოველნი საკმარნი: ჯორები და კარაულები და რაჲოდე-
ნი რაჲ უკმა სიმრავლესა ძმათასა. ხოლო წმიდამან მან გა-
ნაჩინა წესნი და კანონნი საეკლესიონი, რომლისა მიერ ირ-
წყებოდეს საღუთოთაჲ მადლითა. ვინაცა სოფლებნიცა მისცნა
კაცმან მან ღუთისამან გიორგი, ვიდრემდის მოსწრაფე იყო, რა-
თა ყოველივე აღგილი'ა მისთვის წარაგოს ხოლო მრავალთა
იწყეს მიბაძვებად მისსა და, ვითარცა პირველ კარავსა მოსეს-
სა თვალთა და მარგალიტთა და სხუათაცა მათ ნივთთა აღ-
შენებისა თვის კარვისა, ვგრეთვე სახელ ძალისაებრ აჩუენებ-
დეს შესაწირავსა ახლისა ამის კარვისა, რომელარს ეკლესიაჲ
ქრისტესი.

ხოლო აქა სხუა იცვალეების ლექსი სიტყვსა უსაკუთრე- 264
სად თქუმად სასწაულთა წმიდისა ამის კაცისათა და რათა
ცხოვრებაჲცა ღუთის მსახურისა გიორგისი უმეტეს გამოცხად-
დეს. ხოლო მოკუტხბრა ესე არა თუ უჩინოთა ვიეთმე მიერ
კაცთა, არამედ ფრიადცა საჩინოთა და ბრწყინვალეთა: ვიტ-
ყვთ უკუტ გიორგის ებისკოპოსსა მაწყევრელსა, რომელი იგი
აღმოსცენდა კევისაგან შუარტყელისა მშობელთაგან წარჩინე-
ბულთა და ღუთის მოშიშთა, ხოლო აღიზარდა იგი გან-
თქმულსა მას უდაბნოსა ოპიზა, რამეთუ იტყოდა ღმერთშე-
მოსილი იგი უტყუპლითა მით პირითა, ვითარმედ: „ვიყავ რაჲ
უდაბნოსა ოპიზისასა, საყოფელსა წმიდისაჲ წინამორბედისა
ნათლის მცემელისასა,

და მიერ აღვედ დიდისა მამისაჲ მიქელისსა და ვიყავ
რაჲ წინაშე მისსა, მაშინ წარაუღინა მიქელ ორნი მოწაფე-

თა მისთავანნი და მიუწერა ებისტოლე სერაპიონს და ძმას მისსა იოვანეს მსწრაფლ მისლვად წინაშე მისსა, რამეთუ იყო-
და ჟამი განსვლისა თვისისა, რათა იხილვნენ ურთიერთას და
რათა ზედა მიწევნით ცნას, თუ ვითარ იქმნა შენებაჲ ზეცით
უწყებულისა მის ადგილისა.

264 ბ

ზოლო იგი, ვითარცა იყო ბრძანებაჲსა მოძღურისა მორ-
ჩილ, მსწრაფლ მოვიდა თვისით ძმიურთ, რომელსა სხუანიცა
მრავალნი ძმანი ჰყვეს. და ვითარცა იხილეს ურთიერთას დიდ-
მან II მიქელ და სერაპიონ, განიშუეს, ვითარცა შეჰგაეს, მხი-
არულეობით ცრემლთა თანა აღძრვით ჰმადლობდეს ღმერთსა.
და მიიღეს კურთხევაჲ ყოველთა ძმათა ურთიერთას. და ვი-
თარცა გარდაედეს ორნი დღენი და განვისუტნეთ, მესამესა დღე-
სა იწყო დიდმან მიქელ და გამოჰკითხა წარმართებაჲ და ვითა-
რებაჲ ადგილისა მის, ანუ თუ ვინ იყო თანა შემწე და მო-
ლუაწე მათდა.

ზოლო ნეტარმან სერაპიონ იწყო პირველითგან და ყო-
ველი წარმოუთხრა და ვითარ თანა შემწე მათდა იქმნა დიდი
იგი მთავარი გიორგი ჩოჩხანელი და ყოველივე მათ ზედა მო-
წევნული და ვითარ ადგილსა მას ორძის სიმრავლე ძმათა და
სასწაულთა მათ თვის დიდთა, განკობისა თვის ტბისა და კაც-
თა მათ თვის ურჩთა დაფარვისა და ყთველივე, რაჲცა იქმნა
შემდგომითი შემდგომად. ვინა განიხარა წმიდამან მან და მა-
დლი მისცა ღმერთსა და აკურთხა კურთხეული იგი კაცი გი-
ორგი ჩოჩხანელი, და თუ ვითარ შემსგავსებული სახელი ეწო-
და ჟანჯმა ერთა მიერ, სასწაულთა საკურველთა ზარგანკდილ-
თა. ესე ყოველი რაჲ ესმა წმიდასა მას, იხარებდა სულითა.

ამისსა შემდგომად მოუწოდა მამამან მიქელ კელოარსა
და ჰრქუა, რათა მზა ყოს სერი. მერმე წართქუნეს განწი-
ბულნი ფსალმუნნი ჟამისა ცხრაჲ ჟამისასა, და დასხდეს სე-
რობაჲდ და იწდიეს ღვინო და სულიერი და კორციელი სი-
ხარული განზავეს. მაშინ წმიდამან მამამან, დიდთა ნიშთა და
სასწაულთა მიერ ბრწყინვალემან შექედ მიხედა ნეტარსა სერა-
პიონს და ჰრქუა: „ზ, საყუარელო შვილო და ძმაო სერაპიონ,

265

მრწამს ქვეშარიტად ღუთისაჲ სასწაულთა მათთვის შენ მიერ აღსრულებულთა, ანუ თუ ვითარ იყოს წარმართებაჲ ადგილისა მის გულსავე ვიქმნი, უკუეთუ ესე იქმნეს“.

ხოლო განგებითა საღუთოჲთა იყო კედელსა ეკლესიისა-სა რტო ბაჲაჲსაჲ მრავალ ქამეული და აღილო კელითა თვისითა მამამან მიქელ და მისცა წმიდასა სერაპიონს და ჰქუაჲ: „შვილო, დაჰწერგე ესე მახლობელად ეკლესიისა და უკუეთუ განედლდეს, უწყოდე ქვეშარიტად, რამეთუ ნაყოფიერებაჲ არს ადგილისა მის, წარვედ და გულსმოდგინედ აშენებდი“. ვინაცა განკვრევამან შეიპყრნა ყოველნი მუნ მსხდომარენი და ჰრქუეს ურთიერთას: „არა დიდარს ორთავე ამათ მიერ სიდიდე სასწაულისაჲ“.

ხოლო ყოვლად უცხო იგი ზუაობისაგან შეურდა წმიდასა მას და ეტყოდა: „წმიდაო ღუთისაო, წინაშე შენსა არა რაჲ შეუძლებელარს, რამეთუ კელმწიფებაჲ მოგიღებებს მთაცა ცვალებამდე“. და გამოულო კელთა მისთა და დაჰწერგა ქუეყანასა, ხოლო შემდგომად მცირედისა განედლდა და რტო გარდაფენით ქადაგებდა დიდებულსა მას სასწაულსა. და ვითარცა იხილეს ყოველთა, განკვრდეს და აღიდებდეს ღმერთსა.

და ვითარცა განისმა სასწაული ესე გარემოთა მათ უდაბნოთა, ყოველნი განჰკრთეს და მისცეს დიდებაჲ || ღმერთსა 265 ზ და მოქმედსა საკვრველებათასა. ხოლო შეუდგა სასწაული სასწაულსა, რომელსა ეგულები. თქუმაჲ და კუალად ქცევა საზღვართავე თვისთა სიტყვსა.

რამეთუ ვიდრეღა იყვნეს ესრეთ ქამ რაოდენმე მხიარულნი სულითა, შუბითა და ყოველნი აღივსებოდეს საღუთოჲთა მადლითა, ხოლო დღესა ერთსა ილოცვიდეს რაჲ ქამსა სამ ქამისასა და აჰა ესერა დაეცა განკვრევაჲ წმიდასა მას და მყოვარ ქამ დგა განკვრელებული. ამისსა შემდგომად, ვითარცა რომლისაგან ღრმისა განღვძებულმან, მიხედნა ნეტარსა სერაპიონს და ჰქუა: „ისწრაფე, ძმაო, და წარვედ ადგილთა ნამუშავეთა შენთა, რამეთუ შფოთნი რაჲმე შემთხუცეად არიან ქამ რაოდენმე. ხოლო თუ უნდეს ღმერთსა, ადრე იქმნას

განქარვებად მათი. გარნა მე ვერლა მიხილო ოდესცა სოფელსა ამას, რამეთუ ადრე წარვალ ამიერ. ხოლო შეკრებასა მას ყოველთასა ნებითა ღუთისაჲთა გიხილო მხიარული და ბრწყინვალე, ვითარცა რაჲ მუშაკი კეთილი სასყიდლითა განმდიდრებული. ხოლო ძმა შენი იოვანე მივედინ ადგილსა სხუასა, რომელი, ისწაოს რაჲ, შენებასა მისსა მოსწრაფედ თანა მზრუნველ ექმნას კაცთა მათ, რომელნი ჰოვნეს ადგილსა მას, რომელსა მონასტერი აშენოს“ და მისცა მას სასწაული რაჲ და ნიში, რომელსა ეგულებოდა მისლვა იოანეს. ხოლო ესე ვითარი რაჲ ტკბილი ანდერძი წარმოთქუა და ყოველი ყოფადი წინასწარმოუსწავა და წარგზავნა ცრემლითა აღსავსენი და უფროსლა, რამეთუ არა ესვიდეს კულად ხილვასა მისსა.

266

ხოლო მოიწინეს რაჲ დიდსა მას უდაბნოსა კლარჯეთისასა ოპიზს, მოეგნეს მათ მამანი და სურვილით მოწილედ მოიკითხნეს და შემსგავსებული პატივი წინა უყუეს. და ვითარცა დაყუნეს დღენი რავდენნიმე, ხოლო ვითარცა იყო წმიდაჲ იგი მდაბალ და აღუზავებელ. ტკბილითა და დაშნითა კელითაჲ იხილვებოდა მდგომარედ ხუროთა თანა საეკლესიოთა, რამეთუ იყო სხუათავე თანა სათნოებაჲთა მეცნიერ სჯულთა საეკლესიოთა, და ფრიად შემკულ წესითა ხუცობისათა. ვინა იხილა ვინმე იგი ესე ვითარითა სახითა ზევემან და სილალითა შეპყრობილმან, იწყო გმობაჲდ წმიდისა მის და იტყოდა: „აჰა დიდი და განთქმული სერაჰიანი, ვითარცა უსიტყუ და უკმო იხილვების და რაჲთურთით ესე ვითართა პატივთა ყოვლად არა ღირსარს ესე“ ამას რაჲ იტყოდა შურითა საეშმაკოთა აღსავსე იგი,

ძმა საკრველებათა შენთა ქრისტე, რამეთუ სიტყუჲდ წინასწარმეტყუელისა სრულიქმნა, რომელი იტყვს: „ონ მიაგოს უსჯულოებაჲ მათი“ და კულად ჩიყავნ ენა მზაკუარი, მეტყუელი მართლისა თვს უსჯულოებაჲსა“. ხოლო ვითარცა მდგომარე იყვნეს ეკლესიას, მყის წინაშე ყოველთასა დაეცა კაცი იგი უკმოდ მდებარე და გარდამოაგლო ენაჲ განსივებული, საშინელთა პეროოდა და გორვიდა. მაშინ განკრვებაჲ-

მან შეიპყრნა ყოველნი იგი დასნი მგალობელთანი. ხოლო რომელთა ესმოდა კაცისა მისგან გმობაჲ იგი წმიდისა თჳს, ურთიერთას იტყოდეს: „ნუ უკუტ მის მიერ მოიწია მსწრაფელი ესე მხილებაჲ“. ხოლო კაცი იგი მოეგო გონებაჲსა და გულის კმაყო კთომილებაჲ თჳსი. დაღაცათუ ენითა ვერ მეტყუებდა, არამედ ეგრეთცა შეურდა მწყობრსა მას მამათასა და წინაშე მათსა აღიარა კთომილებაჲ თჳსი. ხოლო ყოველნი იგი შეურდეს წმიდასაჲ მას, რათა მიუტეოს ცოდვა იგი. და იგი ესრეთ ეტყოდა მათ: „კრებულო წმიდაო და მწყობრო რჩეულო, ნუ იყოფინ, თუმცა ჩემ ძლით რაჲ შეჰმთხუროდა ძმასაჲ ამას. არამედ სიტყუსაებრ იაკობ მოციქულისა თანა გუაც ძმით მოყუარებით, რათა ყოველთა ულოცოთ და ოწ ყოს ოხინებაჲ უძღუორისა ამის“. ხოლო ყოველნი იგი ჟუმეტეს შეურდეს წმიდასა ამას: „მიუტევე, წმიდაო ღუთისაო, და შეიწყალე საწყალობელი ესე“. ხოლო წმიდა იგი ეტყოდა: „აჰა, და მეცა მზა ვარ თქუენთანა“ და მოიდრიკნა მუკლნი და თქუა:

„ოკვფალო იესოჲ, ძეო ღუთისა ჰამისაო, რომელი მოხუცდ სოფლად მოძიებად შეცთომილთა, ვითარცა იგი სიტყუთა აღატყუტ ყრუ იგი და უტყუ, ეგრეთვე მეუფსო ოკვფალო მარკ., 7, ღმერთო, განკურნე ყრმაცა ესე, რომელი შესცთა სივერაგითა ეშმაკისათა“. და ვითარცა ესე თქუა, მყის დასცხრა ფრიალი იგი სასტიკებაჲ ენისა მისისა და კუალად ეგო ადგილსავე თჳსსაჲ და რომელთა იხილეს, განკურვებულნი ადიდებდეს ღმერთსა.

და განითქუა სასწაული ესე ყოველთა შორის და იტყოდეს: „რომელმან იგი რტო ბაჲაჲსაჲ განკმელი ფურცლის მშობლად გამოაჩინა მსგავსად განკმელისა მის კილისა, რომელი ღუქ., 6 ლი იგი განკურნა ოკვფალმან და აჰრონის მიერ განედლებურიცხ., 17 ლისა მის კუპრთხიხა და კუალად ხისა მის, რომელი მიყრდნობითა დიდისა მოწამისა ხარაღამშისითა განედლდა და მყის ნაყოფიერ იქმნა, და კუალად აკრაკანტელთა ნათელმან გრგოლი, ამით სასწაულთა არა რაჲთ უდარეს არიან აწ აღსრულე-

ოანე,
4,12

ბულნი ესე წმიდისა სეკაპიონის მიერ. რამეთუ იტყვის ოჯგა-
ლი: „რომელსა მე ვპრწმენე, უმეტესი ჩემსა ქმნეს“. და სა-
კვრველ არს ღმერთი წმიდათა შორის მისთა. ამათ და ამათ
ვითართა ურთიერთას იტყოდეს ყოველნი იგი და აღიდებდეს
ღმერთსა.

ამიერ კულად ვიპყრათ ნეშტი იგი თხრობისა და პირ-
ველსავე სიტყუასა აღვიდეთ. და ვითარცა ესე სასწაულნი იქ-
მნეს წმიდისა მის მიერ აღვილთაჲ მათ, რომელთა აღზრდილ-
ლა იყო და წინაშე მოძღურისა, რომელი იყო თავ და წარ-
მართებაჲ ყოველთა საქმეთა მისთა, და ძმაცა იგი მათი უხუ-
ცესი, რომელი პირველ ვაკენეთ, იხილეს და სურვილით
მოიკითხეს და თანა ექცეოდა ყოველსა მას მუნ ყოფასა შინა-
მათსა.

ხოლო იქმნეს წმიდათა მათ უდაბნოსა მისგან და მოი-
კითხნეს წმიდანი იგი მამანი და წარვიდეს და ვითარცა გარ-
დავლეს მთა იგი არსიან წოდებული და მივიდეს კევსა :გუჯისა
სა, ხოლო იქმნა რამე მუნცა ნაკლულეგანებისა სრულყოფად
და ვითარცა იქმნა დაწყნარებაჲ შფოთთა მათ და დღითი დღე
შეეძინებოდა წარმატებაჲ მონასტრისა მის და ძმაცა მისი იო-
ფანე ზედაჲს ზედა მოვალნი და იკურთხევიან მის მიერ და ისწავ-
ლინ ყოველსა, რაჲცა აკლდა მის მიერ შენებულსა მას მო-
ნასტერსა. ხოლო ესე წესი დაუდევს თავთა თვსთაჲ ნეტართა
მათ: რამეთუ ლოცვასა ღამისასა კელგანწყრობით დგიან დასსა
თანა მგალობელთასა, ხოლო მოეახლის რაჲ ცისკარი, განე-
შორნიან ვითარ ქვის სატყორცელ ოდენ და მყუდროებით და
სრემლით შესწირვიდიან ვედრებაჲთა, რათა ამითცა ემსგავ-
სნენ თვსსა მეუფესსა. და ესრეთ დღითი დღე შესძინებდეს ტა-
ლანტსა, რათა მიართუან აღნადგნებითურთ განმყოფელსა მის
მადლთასა.

მსრეთ რაჲ შუა წარკდა სიმრავლე წელთა და სიბერი-
თა კვთილითა განპოხნეს და ფუფუნებულ და ჩჩვლ იქმნეს
საღმთოთათა ცნობითა.

267

და იყო ამისსაჲ შემდგომად გარდაიკვალა დაცა იგი გი-

რგისი თეკლა. და დაშთეს სამნივე ივი ძენი მისნი და წარე-
მართა უფლებად მათი და იკურთხა თესლი მათი, ვითარცა
აბრაჰამისი და იაკობისი.

ზარნა აწ ჯერს არს, ძმანო, რათად გულის მოდგინედ ვი-
სმინოთ აწ თქმული ესე, და, გესმოდი, რად დასაბადმი და აღ-
სასრული ნეტარისა ამის ცხორებისა, გიკვრდეს და აღიდგბ-
დეთ ღმერთსა.

რამეთუ მახლობელ რად იქმნა სოფლით წარსლოვისა და
მწუხრებისაგან სიხარულა მისლოვისა, მოუწოდა კრებულსა მას
ძმათასა და ჰქუა: „ძმანო და მამანო, რამეთუ მე ესერა რა-
თა მოციქულისაებრ ვიტყოდ: „სრბად აღსრულებულ არს და ბ ტიმ., 4,7
სარწმუნოებად დამიმარხავს“, ხოლო ეტყვ(,) არა თუ ზუაობი-
თა, არამედ ვესავ, რამეთუ ამიერითგან მიმელის მე სიმართლისა
იგი გვრგვნი, არა მე, არამედ ყოველთა, რომელთა შეიყუა-
რეს გამოჩინებად მისი; რამეთუ ესრეთ მზა არიან გვრგვნი
მოყუარეთა თვს მისთა, ვითარცა თვთ თავადი იტყვს: „მო-
ვედით ჩემდა ყოველნი მაშურაფლნი და ტვრთ მძიმენი და მე მათ., 11,
განვისუწნო თქუენ“. „ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვდ ვარ და 28—29
მდაბადლ გულითა“. ხოლო თქუენ, შეიღწო, ისწავეთ მეტ-
ყუელისა: „შეიყუარე ოვფალი ღმერთი შენი ყოვლითა გუ- მათ. 22,
ლითა შენითა და ყოვლითა სულითა და გონებითა და მო- 37—39
ყუასი, ვითარცა თავი თვისი“ და კულა(კ) იტყვს: „უკეთუ
გინდეს რათა გიყონ კაცთა, ეგრეთ ჰყოფლით თქუენ მათდა მათ., 7,12
მიმართ და ამათ მცნებათადა ყოველი საჯულ და წინადაწარ-
მეტყუელნი დამოკიდებულარიან“. და „ამით ცნან ყოველთა, იოან., 13,35
ვითარმედ მოწაფენი ჩემნი ხართ, უკეთუ იყუარებოდით ურ-
თიერთას“. ხოლო თქუენ, ძმანო, დაიმარხეთ ყოვლისა პირვე-
ლად სიყუარული ღუთისა და მოყუსისა, ვითარცა თავი საჯული-
სა დაჲ წინადაწარმეტყუელისა და მარადის ილოცვედით, რათა
არა შეხვდეთ განსაცთელსა, რამეთუ ლოცვა მიმახლებელი
არს ღუთისად და ბქე სასუფეველისა შემაერთებელი ანგელოზ-
თა და დამცემელი ეშმაკთაჲ.

რამეთუ წმიდათა და ღმერთ შემოსილთა მამათა ლოცვა თქუენს საქურველად, მარხვა ზღუდედ და წმიდანი ცრემლნი საბანელად, ხოლო მორჩილება წამებად, რომელი ესე ლუაწლით შემოსილთა მოწამეთა თანა დაუთხეველად სისხლთა გვრგვინოსან ჰყოფს კაცსა“.

268

ესე ვითარი მრავალი წარმოუთხრა წმიდამან მან ოქრო ნაკადულით პირით მისით მოწაფეთა თვსთა, და კუალად ჰქუა: „მე, ძმანო, აჰა ესერა წარვალ შემდგომად მცირედთა დღეთა, ხ.ალო თქუენ იძიეთ მამა და წინამოდღუარი, რომელი შიმძლებელ იყოს მწყსად თქუენდა, ვითარცა შეილთა ჯაჰათა“. ხოლო ყოველნი იგი აღვსებულნი ცრემლითა ტიროდეს ფრიად და არავენ მიუგო ტირილისა მისგან ფრიადისა და მორაგენეს თავთა თვსთა, მიუგეს ესრეთ და ჰქუეს: „ჩუენ, მამა, ვინათგან ობოლ ვიქმნებით ტკბილისა და ყოველად მოწყალისა მამისაგან, არა უწყით, რაჲ მიგიგოთ“. და წმიდამან ჰქუა: „ვინათგან, შეილნო, არას მითხრობთ, მე გლახაკსა თანა მაც, რათა შევე ვიტყოდი ჯერისაებრ“. და იყო ვინმე მღვდელთაგანი, კაცი კეთილითა სათნოებითა ბრწყინვალე და ტკბილი სიტყვთა და საქმითა, სახელით გიორგი. ამას მოუწოდა წმიდამან და ჰქუა: „მე საყუარელო შეილო გიორგი, რამეთუ წილ კეთილ ხუპდრებულარს შენდა, რათა შემდგომად ჩემსა სამწყსო ესე ქრისტესი, ვითარცა მამამან სულთ მოყუარემან, კეთილად დამწყსო და: ვითა შეჰგავს შეილთა მამის მოყუარეთა, შეუდგენ კმასა შენსა“.

ესე სიტყუანი რაჲ ესმენს გიორგის, აღვსებული ცრემლითა ეტყოდა: „მძიმე არს, მე წმიდაო, დაღუბად ბექთაჲ ჩემთა ტვრთი ძნიად სატვრთაეი და გვედრები, რათა შენდობაჲ ჰყო და არღარა მიბძანო კუალადცა“. ხოლო წმიდაჲ იგი ეტყოდა: „არა მე, არამედ ქრისტე გვბრძანებს ჩემ მიერ“. და სიტყვთა ამით დაარწმუნა წინა მოძღრობაჲ ძმათა მათ. რომლისა თვსცა ყოველთა მათ განიხარეს, რამეთუ მსგავსადვე მისსა ხედვიდა ყოველი იგი კრებული. და შეჰვედრა სამწყსო იგი თვსი გიორგის და განუჩინა ყოველნი, რაოდენი უკმდეს მნე-

268 3

ნი ეკლესიისანი და განაწყო კრებული იგი განგებითა საღუ-
თოთა და ფრიად შუწნიერთა. ვინაცა ღღესა მეშვდესა ყო-
ველთა ამათ საქმეთასა მცირედ რაჲმე დასნეულდა და მიწვა
ცხედრად.

ხოლო ღღესა მეხუთესა აღდგა, ვითარცა ახალ განქა-
ბული და მიიწია წმიდად საკურთხეველად და შეემთხვა წმიდა-
სა ტრაპეზსა და განმცხოველებელსა ხატსა ქრისტეს კაცებისა-
სა. და უბძანა, რათა აზიარონ კორცსა და სისხლსა ქრისტესსა
და დაიბეჭდა საუფლოჲ ჯუარი და მოიკითხა თითოეულად
სიმრავლე იგი ძმათა და ჰქუა: „ილოცეთ ჩემთვის, ძმანო, და
ცხონდით, რამეთუ ამიერთგან არლარა მიხილოთ სოფელსა
ამას“. და წარვიდა და მიიწია ცხედრად ჟამსა შეექუსესა და
მეცხრესა ჟამსა შეჰვედრა სული თვისი კელთა ლუთისათა, რომ-
ლისა სურვიელ იყო მარადის. ხოლო არა მცირედ იგლოვეს
მამათა ლაერისათა ჯერისაებრ და ცრემლით.

მაშინ მოვიდა ძმა მისი იოანე, რამეთუ უწყებულ იყო
სულისაგან, ვითარცა ღრუბლითა აღტაცებული, და შე-
მოკრბაჲ სიმრავლოე გარემოთა მონასტერთა და სოფელთაჲ.
ხოლო მოვიდა ღმერთშემოსილი გიორგი შაწყეგრელიჲ ჯუარითა
ყოველთა თანა მწყობრთა ეკლესიისათა, და ესეცა ვთქუათ, 269
რამეთუ მწყობრნი ანგელოზთანი კრებულსა თანა ყოველთა
წმიდათასა შეერთებულნი მოიწინეს, ვითარცა თანა მოკარვი-
სა და თანა მოსაგრისა მათისა და ყოველთა და ყოველთა
აღიტყუტლნეს კელნ სიხარულითა და ზეცას აღიყუანეს
ყოვლად სანატრელნი იგი სული მისი და ზეცისნი გამწმინა-
რულებულნი აღიდებდეს ღმერთსა, ხოლო ქუეყანისნი, გუამი-
სა მის წმიდისა შეხებითა სენთა და საღმობაჲთაგან კსნილნი,
მადლობაჲსა და თაყუანისცემასა შესწირვიდეს, და ჯეროვნი-
თა გალობითა და სანთელთა სიმრავლითა და საკუმეველთა
სულნელებითა შემურეს და დადვეს საფლავსა, რომელი იგი
თვთ შეემზადა მას აღმოსავალით საკურთხეველისა, რათა
ღლითი ღღე ხილვითა მისითა იქსენებდეს სიკუდილსაჲ, რო-
მელი იგი სამარადისოდ წინაშე თვალთა აქუნდა. და ესრეთ

სრულ ყვეს წესი იგი სამკუდროა. და მრავალნი ჟამსა მას დაფლვისა მისისასა მრავალ ღერთა სენთაგან განიკურნნეს. რათა ყოველთა უწყოდინ, ვითარმედ სიკუდილისადა ცხოველ არს და იღუწის სარწმუნოებით შევედრებულთა. ხოლო სიმრავლე სასწაულთა მისთა ვერცა თუ გონებათაგან მისაწომელ არს. გარნა კერძო რაჲმე და მცირედი მოვიკსენოთ და მერმე დუმილი მივსცეთ სიტყუასაჲ.

59 ბ

ჴერეთ ცხედარსავე აქუნდა მრავალი მოღუაწე იგი ვჴამი წმიდისა მის: და აჰა ესერა მოიწია კაცი ვინმე ყოველად განკმელი, რომელი ფრიად რაჲმე სასტიკებით განიკრებოდა ტკივილისა სიმძაფრითა: რამეთუ სისხლი წარსდიოდა სარცხვენელსა მისსა და კობდა კმითა უშუპრითა. და ვითარცა მყის მოიწია, მოეხვა მოწილედ ცხედარსა მისსა და აჰა ესერა „კაცი იგი იქმნა, ვითარცა მკუდარი და მეყსეულაჲდ სახილველად ყოველთა ასოსა მას თესლ-მცენარესა წარსცვეს ორნი ქვანი, განსაკთომელნი სიდიდითა და იქმნა კაცი იგი ყოველად მრთელ, ვითარმცა არა რაჲ შეემთხუპოდა ვნებაჲ იგი და ყოველთა, რომელთაჲ იხილეს, აღიდეს ღმერთი, მადიდებელი წმიდათა მისთაჲ.

მინაცა ჟამსა მას მოიწია სიმრავლე თითოსახეთა სნეულთა და ყოველნი განიკურნებოდეს და აღიდებდეს ღმერთსა. ხოლო შემდგომად დაფლვისა მისისა და მიწად მიფარვისა ვიდრე დღენდელად დღემდე მიუწდომელ აოიან ნიშნი და ძალნი მის მიერ აღსრულებულნი თითოეულთა ზედა სნეულთა და კაცობრივისა ენისა მიერ შეუძლებელარს წარმოთქუმა და აღწერა ყოველთა მათ სასწაულთა, რომელნი იგი სარწმუნოთა კაცთა მიერ ფიცით მოგვთხრნეს ჩუენ. ხოლო ჩუენთა ამათ ჟამთა ხილული და სმენილი ვითარ მიუთხრათ სიყუარულსა თქუენსა, რამეთუ უშორველად ფშვს მადლი ნაწილთა მისთა სარწმუნოებით მვედრებელთა თვს, რომელი იგი მარადის აღესრულების სადიდებელად დუთისა.

270

ხოლო ამიერითგან მოვიკსენოთ, თუ ვითარსა მადლსა ღირს ქმნულიყო წინაჲსწარმეტყუელელებისა. რამეთუ აჰა ესერა

ეგულების სიტყუაჲსა მოკსენებაჲდ სიტყუა იგი, რაჲმს ჰქუა ძმასა თვისსა იოანეს, ვითარმედ. „ჟამთა ბორცუსა ამას ზედა აღეშენოს ეკლესია ფრიად შუწნიერი“. რამეთუ აჰა ჟამი იგი წინაჲსწარმეტყუელებისა მოიწიაჲ!

რამეთუ ვიდრელა იგი ცოცხალ იყო, წმიდაჲ ესე ყოველთა მიერ საყუარელ და ყოველთა მეგობაჲრ იყო და მოძღუარ. რომლისა თვისცა დაემოწათა წმიდასა ამას კაცი ვინმე ყოველად უცნაური, და იყო კაცი იგი ადგილისაგან მცირისა, რომელსა ძარღჳს სოფელ ეწოდების, და დღითი დღე მოვიდის კაცი იგი და ეტყოდა წმიდაჲსა მას, ვითარმედ: „მაკურთხე, მამაო, წმიდითა კელითა შენითა და შემერთე წმიდასა კრებულსა შენსა“. ხოლო იგი აყენებდა ჟამად, რათა უფროს გამოჩნდეს საკვრელი მისითა მით ერისკაცად მიმყოვრებითა, ხოლო იგი ეტყოდა: „მაკურთხე, მამაო, და მიიღე მცირე ევლოგიაჲ და წარაგე საშენებელაჲდ მონასტრისა“. ხოლო იგი კუალადცა უბრძანებდა, რათა დროყოს და თვთ მოვალს ჟამი, რომელსა იქმნეს მონაზონ და ევლოგია, რომელ განგიზადებინს, ფრიად რაჲმე ეკმაროს. ხოლო ვითარცა მოიწია ჟამი და მიიცვალა წმიდაჲ იგი, მოიწია მესამე დღე მიცვალებისა მისისა და დაიდგა წმიდაჲ იგი პირველ ქსენებულსა მას საფლავსა, რომელი თვთ ეშენა აღმოსავალით საკვრთხველსა, დამართებით სარკუმელსაჲ.

270 ბ

და მოვიდა კაცი იგი, ვითარცა ვთქუთ, დღესა მესამესა მიცვალებისა მისისა, და იტირა ფრიად და წმიდასა მას ემჯოდა, ვითარცა ცხოველსა, არა კელითა მისითა აღკუტისათვს მისისა, რომლისათვისცა იტყოდა, ვითარმედ არა განეშო როს საფლავსა, ვიდრემდის არა მონაზონ იქმნეს და ევლოგიაცა იგი დადვას ადგილსა მას სამარხოსა მისისასა. და ვითარცაჲ ესრეთ მდუღარე იყო კაცი იგი, მაშინ უბრძანა მამასახლისმან მნეთა ეკლესიისათა, რათა მოიღონ სამკარი და კუნკული და აღკუტსონ კაცი იგი. ხოლო მათ მსწრაფლ შეუდგინეს საქმე სიტყუაჲსა და აღკუტცეს კაცი იგი და აღასრულეს მის ზედა ყოველი წესი მონაზონთა.

271

და ვითარცა წარვიდა კაცი იგი სოფლად თვისსა, იცნეს იგი კაცთა და მეგობაართა და განჰკრთეს, იხილეს რაჲ უცხოთა სამოსლითა შემოსილი, და ენებაჲ კუალად ერისაგან ყოფაჲ და, ვითარცა ვერ შეუძლეს მორჩილებაჲ მისი, უთხრეს ესე უფალსა მისთა, რამეთუ იყო კაცი იგი საკმარ და მსრბოლ გზათა შორათა. ხოლო კაცმან მან, ვითარცა აგრძნა ვითარმედ არა უტევებენ ნებისაებრი მისისა, მაშინ აღილო ევლოგია იგი და რაჲოდენი რაჲ ეძლო სახლით თვისით და სივლტოლა რკუმია.

შინაცა დევნა უყვეს უკანა მისსა და შეწევნითა მის წმიდისათა ვერ ეწინეს და ვითარცა შევიდა კაცი იგი მონასტრად და მღევარნიცა იგი უკანა მისსა და ვითარცა ენებაჲ, რათა შეიპყრან და წარუღონ რაჲ იგი აქუნდა, და მიიწია კაცი იგი დამართებით სარკუმელსა ეკლესიისასა და შეგადო, რაჲ იგი აქუნდა კელთ საკოცელსა შინა გამოკრულ. და ესრეთ უღონო რაჲ იქმნეს მღევარნი იგი, ევედრნეს წინამძღუარსა გიორგის, რათა განეხუნენ კარნი ეკლესიისანი და რათა წმიდასა მას იაყუანისცენ და მათცა იხილონ, რაჲ იგი შეეწირა ევლოგიაჲ კაცსა მას.

271 ბ

მჰა განგებულებაჲ საღუთო და რათა ცნან ყოველთა, ვითარმედ სიცივალებისაცა ძალუც წმიდასა მას ქმნად, რაჲცა ენებოს: და ვითარცა განეხუნეს კარნი და შევიდეს წმიდაჲ განგებულებით, რამეთუ აჰა ესერაჲ მოეგებნეს კაცნი ვინმე მონაზონნი და ჰქუეს: „კეთილად მოხუპდით, საღუთონო მუშაკნო ქრისტეს ვენაკისანო, რამეთუ ბრძანებულარს, რათა აღგილთა ამათ თქუენ მიერ აღეშენოს მონასტერი, რომელსა ჩუენცა ვიქარვით და მოგელით თქუენ, ვითარცა უწყებულნი რამეთუ აქაცა თქუენვე ხართ წინამძღუარ და მასწავლელ საქმეთა ამათ“. და უჩუენეს ადგილი, რომელსა ზედა იხილენეს ნიშნი იგი ბრძანებისა ებრ დიდისა მოციქულისა — და უბრძანა წმიდამან სერაპიონ ძმასა თვისსა, რათა გულსმოდგინედ იწყოს და აღაშენოს მონასტერი ბრძანებისა ებრ წმიდისა მის.

რომლისა თვისცა საქმე ესე ფრიად შეუძნდა იოანეს,

გარნა ვერ მკადრე იქმნა წინა განწყობაჲდ ორთავე მათ ბრძანებაჲსა, არამედ ესე ხოლო ჰქუა სერაპიონს: „უკუეთუ ჯერ-არს, რათა ჟამითით ვიხილიდე საღუთოსა პირსა თქუენსა, მზა ვარ მე აღსრულებად ბრძანებაჲთა შენთა“, ხოლო წმიდამან უბრძანა: „ყოვლადვე ხილვად ურთიერთას“. და აღეშენა მონასტერი იგი ბრძანებისა ებრ დიდისა მის მოძღურისა და შეამყო ყოვლითა სამკაულითა, ვითარცა შეჰგუანდა, და უწოდა სახელი სეხნაჲ თჳსი, რამეთუ იოანე წმიდაჲ ეწოდების ადგილსა მას. მოვიდოდა ჟამითი ჟამად ძმისა თჳსისა თანა და ისწავებნ ყოველსავე განგებაჲსა მონასტრისისა.

არამედ აქა ნეშტი სიტყჳსა წინა უქმოვცვალეთ, რამეთუ შეეზავა სიტყუაჲ სიტყუაჲსა და ვერღარა განეყავთ აღშენებაჲ იგი მონასტრისა, რომელი სახელაჲდ იოანესსა აღეშენა.

და ვითარცა წარვიდა მიერ წმიდაჲ სერაპიონ და მოვიდა თჳსთა მათ თანა კრებულთა და ყოველნი მიეგებნეს სიხარულით და მოიკითხეს სურვილით და მოიხილნა იგინი და რაჲოდენი რაჲ ეშენა ახალთა მათ ხუროთ მოძღუარსა და ვითარ სიმრავლე ძმათა სიმრავლედ დიდად აღწევნულად, ესე ყოველი რაჲ იხილა, განშხიარულებული ჰმადლობდა ღმერთსა.

272

ხოლო აქა ეგულების სიტყუაჲსა კუალად ქცევა სხუად მიმართ. რამეთუ მიუთხრეს ღმერთ შემოსილსა მამასა სერაპიონს სიკუდილი დიდისა მის მთავრისა გიორგისი, რომელი იყო აღმაშენებელი ადგილისა მის. ესე რაჲ ესმა, ვითარცა შეჰგვანდა, დიდად იგლოვა, ცრმლოოდა, ვითარცა მქსნელი ღაზარეს ზედა; და უმეტეს, რომელ არა თანა დახუდა სიკუდილსა მისსა. ვინაცა ჰქუა იკონიომოსსა და ხუცესთა და ძმათა ყოველთა, რათა ხვალის დღე მივიდენ საფლავად მისსა ადგილსა მას ზანაკისსა, სადა იგი მონასტერი შუბნიერი შენარს, რომლისა იგი იყვნეს პირველნი აღმაშენებელნი ამასჲ და ქურდია, ხოლო აწ კუალად და გიორგისი, რომელი იყო ცოლი დიდისაჲ მთავრისა მირიანისი, ძისა ბეშქენ ბაქლაუნდისა იოანესაჲ. ხოლო გიორგი შეილთაგან ოკერ და უქმ იყო, რამეთუ ორნი შვილ-

272 ბ

ნი სიჩხოებადასავე შინა წარსრულიყვნეს და შემდგომად მათსა დედაცა, ნათლად გამომყუანებელი მათი, მიიკვალა და სხვსა მუღლსა შეერთებაჲ არღა ოდეს თავს იღვა და, ვითარცა ვთქუთ, გარდარაჲიკვალა ყოვლად კურთხეული იგი გიორგი, ყოველივე, რაჲცა აქუნდა, და მამული და ყოველნი ეკლესიანი და მონაგები მისი დასა მისსა შევედრა და შეილთა მისთა საკუთრებით განუთვსა, რომელთა ეწოდა სუჯა, ბეშქენ და ჯაკჯაკი. ხოლო ვითარცა ვთქუთ, მივიდა წმიდაჲ იგი საფლავსა ზედა მისსა მოწილედ და თანა ლმობით იტირა, და ვითარცა ჯერიყო. მოაკითხა და ნუგეშინისსა დასა მისსა ღატაგრის, რომელსა უკუანასქნელ აუკლა ეწოდა.

და კურთხევითა საღუთოთა აკურთხნა სამნივე იგი ყრმანი. მსგავსად სამთა ყრმთა აბრამიანთა. მერმე მოილო ანდერძი დიდისა მის მთავრისა გიორგისი და წარიკითხა აღსაესებან ტრეპლითა და ილოცა მისთავს და აკურთხა კურთხეული იგი კაცი, რამეთუ მდიდრად მიეცა ყოველივე უხუცებით: აგარაკნი თავის უფლებით და საქონელი მრავალ ფერი და სიმრავლე საკედართა და მრუწეულთა და სასოებით შევედრა სულე წმიდისა მის კაცისა. და ამას შინა გარდაკდეს წელნი და აორმნდებოდა და წარემატებოდა ადგილი იგი ფრიად.

273

ხოლო მოვიწინით რაჲ სიტყუაჲსა ამას, ჯერარს გულის კმის ყოფითრე სმენა, თუ ვითართა მადლთა ღირს ქმნულ იყო დიდი იგი მამა მაქაჲ. რამეთუ აჲ ადგილი იგი, რომელი უწინაჲსწარმეტყუელა ნეტარსა სერაპიონს, ვითარმედ: „შფოთნი და განსატელნი შემთხუცად არიან ადგილსა მას ნამუშავესა შენსა“. აჲ ესერა წარმოვთქუათ:

და ვითარცა იყო დიდსა დაწყნარებაჲსა და მშვიდობაჲსა შინა ადგილი იგი შემდგომად გარდაცვალებისა დიდისა მთავრისაჲ გიორგისსა, და კეთილად წარემატებოდა ყოველი საბრძანებელი მისი, რომელი დაეჩუგვა დისა მისისა თეკლასა და შეილთა მისთადა, ვინაჲ ბირებითა ეშმაკისათა იქმნა უწესო ამბოხნი, რამეთუ მოკლა ჯაკჯაკმას დისი ძე თვისი, რამეთუ მძლავრებით ეტყოდა, ვითარმედ: „ნაწილუც მამულსა თანა

თქუენსა დასა ამას თქუენსა, ვინათგან თქუენცა ღედისა მიერ გაქუს“. რომლისა თვისცა განმზაჯელდეს სიტყვს გებაჯნი ურთიეროას და ესრეთ მოკლადი სიძე თვისი. და ესრეაჲ ესრეთ იქმნა, განჯრძელდა საქმე ესე სამწელ.

ხოლო წელსა მეოთხესა ამათ საქმეთასა განაბრწყინვა ღმერთმან დიდი იგი მღდელთ მოძღუარი გიორგი შუარტყელედი, რომელმან დაიპყრა საყდარი აწუჟრძის, რამეთუ არა ჯერიყო ცხედარსა ქუცზე დაფარვა სანთლისა.

მათ., 5.

და კელთ იღვა რაჲ განგებაჲ სამცხისა, დააწყნარა ყოველი საბრძანებელი თვისი, ვითარცა წეს იყო, და დაიპყრა ყოველი მამული და ეკლესიანი პირველთა მათ მეშფოთეთანი. ხოლო ადგილი იგი ზარზმად წოდებული ეგო უძრავად ყოველადვე შეწევნითა ღუთისათა და მადლითა სასწაულთა მიერ ნიშებ შემოსილისა მამისა სერაჲპიონისითა. და ვითარცა ვარ- 273 ბ დაკდა წელიწადი შჯდად აღთვალული, დასცხრეს და დადუმნეს ყოველნივე შფოთნი და უწესოებაანი წმიდრსა ამის მღდელთ მოძღურისა გიორგის მიერ. ხოლო ყოველთა ამათ საქმეთა სიმრავლისათაჲ მეტყუპლი პირი და ენა დიდსავე თანა გიორგის მწუჟერეჟსა იყო ნეტარიცა მამა სერაპიონ.

შინაცა ყოველნი ესე სასწაულნი და საქმენი, რომელნი იგი პირველ ებისკოპოსოპისა და უკუანასკნელ ეხილვნეს, მომითხრნეს პირმან მან უტყუველმან, გიორგის ვიტყვ მწუჟერეჟსა, ვითარ იგი ბაჲასაჲ რტოჲ განედლოჲ და ვითარ ეშმაკისა ბირებითა ცთუნებული იგი ზუავი და აპპარტავანი ენა განკურნა, რამეთუ ყოველთავე თვთ მხილველ ქმნილიყო.

ხოლო აწ კულად აღვედრან სიტყუაჲ ჩუენი პირველ დაწყებულთა სიტყუათა: შემდგომითი შემდგომად ეკლესიად და აღვიდეს საკურთხეველად და იძიეს რაჲ იგი ცხადად შევრდომილიყო სახილველად ყოველთა და არღარა იპოვა მათ მიერ. და შიშმან და განკვრევაბმან შეიპყრნა ყოველნი და აღიდებდეს ღმერთსა.

ხოლო ვითარცა წარკუდეს წელნი მრავალნი და წინამძღუარი გიორგი გარდაიცვალა, რომლისა მონაცვალედ დაუ-

274

გა მიქელ ჯინში, რომელსა გიორგივე ამცნო, ვითარმედ: „იწყეთ შენებად ეკლესიისა ბრძანებისა ებრ მამისა სერაპიონისსა და ნურარას ზრუნავ წარსაგებელთათჳს, რამეთუ ჩუენებით მეღუწყა წმიდისა მიერ, ვითარმედ ევლოგია იგი, რომელ მოილო კაცმან მან, იგი დამარხულარს ქუეშე კერძო ჯუარისა, რომელი იყო თავით კერძო წმიდისა მის, აღმოიღეთ იგი და მიეცით ყოველთა მუშაკთა და კაცი იგი კეთილი ყაფთ განმგე ყოველისა, ვითარცა იგი ჩემ მიერცა განმგებელ იყო ყოველთა საჭიროთა სამსახურთა მონასტრისასა“

ნ., 1, 1

და ამის მიქელის ზე იწყეს ეკლესია იგი, წინააღმდეგ გამოსახული წმიდისა მიერ, თუც იენისსა ოთხსა, დღესა ხუთშაბათსა. რამეთუ კელოვნებით განთქმულსა კაცსა მოუწოდა მიქელ ქუეყანისაგან ბერძენთასა, ადგილისაგან ხუფაჳ წოდებულისა, ბრძანებითა უფალთათა, რომელსა თანა შემწედ აქუნდა ვალტოზ სახელით შუარტყელედი. და ესე ორნივე იყუნეს მოძღუარ და მოსწავლელ სიმრავლესა მუშაკთასა. და ვითარცა უწყოდა მამამან მიქელ უწყებითა მამისათა გიორგისითა, ძებნა ევლოგიაჲ იგი: რამეთუ მივიდეს მღდელნი სახარებითა და სანთლებითა საკუძველთა თანა და თვთ კაცი იგი, მოძღვრული ევლოგისა მის, და ვითარცა წარიკითხეს სახარებაჲ იოანეს თავისა პირველითაგან იყო სიტყუაჲ და მოიდრიკენს მუკლნი და ევედრენს წმიდასა სერაპიონს და გარდაუსვენეს ჯუარი იგი, ვითარცა უწყებულყო მამისა გიორგისდა, ეჴა საკვრველებათაჲ შენთა ქრისტე, რამეთუ იპოვა ყოვლად წეუძრველად ბექედი, რომელი იხილა რაჲ კაცმან მან, განკვრდა და ყოველთა მადლობაჲ მისცეს ღმერთსა და წმიდასა სერაპიონს ხოლო იკითხეს კაცისა მის მიერ რიცხვ ოქროსაჲ და ვითარებაჲ. ხოლო მან ჰქუა: „ოქრო ეგრე არს: ოქროსაგან თლილისა და წმიდისა, სახითა პირველთა მეფეთათაჲ, ხოლო რიცხვთ იყო ბექედსა ამას შინა დრაჰმანი სამასი ხუთითურთ. და ვითარცა განჰქსნენ მანდილი, რომელსა შინა გამოკრულ იქნა, და იპოვა, ვითარცა პირველ ვთქვა კაცსა მას. და იწყეს შენებად გულს მოდგინედ და ყვეს კაცი იგი განმგებელ არა

თუ გალატოზთა, არამედ ძმათაცა იკონომოსობაჲ ერწმუნა. და ესრეთ წარემართა შენებაჲ იგი ეკლესიისა, ვინაცაჲ საფუძველით და ხარისთაჲთგან(!) ილუწიდა კაცი იგი ყოველთა მუშაკთა, თვნიერ სანოვაგეთასა.

და ვითარცა აღეშენა შტოთურთ ვიდრე სარკუმელთამდის, დაილია ოქრო იგი კაცისა მის, სადა იგი გამოქანდაკებით ქადაგებს, ვითარმედ: „აქა დაილია საფასე ჩემი, სადა ესერა მდგომარე ვარ და მიტვრთავს ჯუარი ქრისტესი“.

და იყო ვითარ გასრულდა სარკუმლამდე, გამოხატეს თვთ მიქელაჲ ორთა მათ თანა გალატოზთა ზედა სარკუმელსა აღმოსავალისასა. ხოლო მადლი წმიდისა მარადის მოსცემდე(ს) წარსაგებელსათა(!), რამეთუ სახედ მდინარისა შემოსლიოდეს საკმარნი. და აღეშენა ვიდრე სამკურემდე მამობაჲსა მიქელისსა და დაუტევა ცხორებაჲ ესე და წარვიდა ოვფლისა. ამისსა შემდგომად დაიდგინა მონაცვალედ მისსა ჰავლე ვინმე ხუცესი, კაცი წამებული ყოვლისა მიერ ერისა. ვინაცა ამან 275-პირველვე სრულ ყო ეკლესია და შეამკო ყოვლითა სამკაულითა და აღმართეს მას შინა ხატი ფერისცვალებისა. და აკურთხეს ყოვლითა კურთხევითა მამობაჲსა შინა ჰავლესსა და კაციცა იგი, მომღებელი ევლოვიისა, სიბერითა კეთილითა განპოხებული და, წარვიდა ოვფლისა. და ესე აქამომდე იყავნ. ხოლო ჩუენ შემდგომად ამისი სხუაჲცა მოვიკსენოთ და ვგრეთ დავიბეჭდოთ სიტყუასა.

რამეთუ თვთ დასწერს ბასილი, რომელმან ცხორებაჲ ესე წმიდისა აღწერა, და იტყვს, ვითარმედ: -მე ბასილი, მწიგნულო წმიდისა სერაპიონისი, უნარჩევესი ყოველთა მოწესეთა, შემდგომად ეამთა მიკვალეებისა მისისათაჲ მოვიჩიე ზედა წმიდასა სამარხოსა მისსა და ვიხილე ყოვლად ბრწყინვალედ და კეთილად ყოველივე ნამუშაკევი მათი და განვიშვ და განვიხარე. ხოლო რაქაჲს ვიხილე საფლავი მისი ადგილსა ფარულსა, რომელსა ყოველნი უძლურნი მიიღებდეს დღითი დღედსა კურნებაჲსა,

ამისთვისცა ბრძანებითა უფალთათა კელ ვყავ და შევპ-

275 ბ

მზადე ლარნაკი ქვისა და აღვალე საფლავსა მისსა, რომლისა მიერ გამოკდა სული სულნელებისაჲ მიუწოდომელისა და ყოველნი აღვივსენით მადლითა და საკვრველებათაგან, მაშინ ქმნილთა, ვადიდეთ ღმერთი, რამეთუ მრავალნი უძღოური შერაებნეს წმიდათა მათ ძუალთა მისთა, მრავალნი სენნი დაიკსნნეს და განმხიარულებულნი მიიქცეოდეს და აღიდებდეს ღმერთსა საკვრველებათასა.

„ღა სანთელთა სიმრავლითა და მადიდებელთა მგალობელთათა დაესხენით ლარნაკსა შინა ახალსა და აღვმართეთ მას ზედა ჯუარი საეკლსა ზედა წინამოკრბედისა საჩინოსა შტოსა ახლისა ეკლესიისა და განვაჩინეთ, რათა ერთი მდდელთაგანი შესწირვიდეს მას შინა მსხუპრპლსა საუფლოსა. ხოლო განვაწესეთ საკსენებელი წმიდისა ამის გალობითა დაჲ შესხმითა სულიერითა და ლამის თევითა დღესასწაულობითა ოკდონხ რსა ოკდა ცხრასა და შემდგომად ეამსა მის წირვისასა სულიერსა თანა შუტბაჲდ კორციელთა სანოვაგეთა მიერ მდიდრად და უხვებით, რათა ორკერძოვე მხიარულთა ვადიდოთ ღმერთი, რომელი აღიდებს წმიდათა მისთა.

„ხოლო ჩუენ კუალად ერთილა მივსცეთ სასწაულთა მისთაგანი თბრობასა და მერმე შევევედრნეთ ნავთსაყუდელსა მკუდრო დუმილისასა: რამეთუ ვითარცა ოდენ გუტდვა ლარნაკი იგი წმიდისა და გალობაჲ იყო პირსა შინა ყოველთასა,

276

აჲა ესერა მოიწია კაცი, რომელსა მრავლით ეაზითგან ელმოდა თუალი მარჯუპნე, რამეთუ ნათლისაგან სრულიად დაკლებულიყო, ხოლო ფრიადი იგი ტკივილი ცხად ჰყოფდა ერთისა მისცა დაბრძობაჲსა. და ვითარცა ვიხილეთ, ყოველთა გუტლმოდა ყოველთა მისთანა: ხოლო იყო კაცი იგი დაბისაგან ბობლა წოდებულისა. და ვითარცა მოიწია კაცი იგი, შეტურდა ლარნაკსა წმიდისასა და ვიხილეთ ყოველთა საკვრველებჲ დიდი, რამეთუ ყოველად მრთელად იპოვა მყის კაცი იგი და ყოველთა ვადიდეთ ღმერთი, რომელი ყოველადვე იქმს დღითი დღე ლარნაკსა ზედა მისსა წმიდისა ძალთა და სასწაულთა“. ხოლო ამისა შემდგომად ბასილი მიითვალა წინა-

მძღურობაჲ, რომელმან იგი კეთილად აღუაწა ესმ რაოდენმე:
ადგილი იგი ნამუშავენი მამის ძმისა თვისისა.

არამედ ჩუენ გლახაკთა და უსწავლელთა შენდავე მივა-
ქციოთ სიტყუაჲ ჩუენი, ჰ მამაო მამათაო, დიდო მოლუაწეო-
ყოველთაო, ვითარცა იგი პირველ ჩუენსა, ეგრეთვე შემდგო-
მითი შემდგომად, აწცა ჩუენ უძღურთა და უღირსთა შველად
შენდა სახელდებულთა ნუ ოდეს დამივიწყებ და ნუცა გარე
უქუნაქცევ მეოხებაჲდ და ღუწად განმზადებულსა პირსა შენ-
სა სიმრავლისათვის ცოდვათა ჩუენთასა, ხოლო ჩუენ რაჲ
შესხმა მიგიძღუანოთ, რამეთუ უზეშთაეს კაცთა ბუნებისა არს
ბრწყინვალეებით წარმატებაჲ ცხოვრებისა შენისა. ვინაცა ეგ-
ნისავე მოლუაწებისაჲ სიტყუათა შევწირავთ შენდა, ვედრები-
თა შეგივრდები, რათაჲ მეოხებითა შენითა ჰყო ლხინებაჲ შე-
ცოდებაჲთა ჩუენთაჲ. ჰ ანგელოზთა თანა მზრახვალო, სამები
სა წმიდისა სარწმუნოო მონაო, რომელმან ასწილად აღაორ-
ძინე ტალანტი, რწმუნებული შენდა, ჰ უძღურთა მკურნალო,
ქირვეულთა შემწეო, ღელვა ვუცმულთა ნავთსაყუდელო, გლა- 276 ბ
ხაკთა სიმდიდრეო, უცხოთა და მოგზაურთა ნუგეშინისმცემე-
ლო, მოლუაწეთა სამკაულო, მონაზონთა რჩეულებაჲო, მამა-
თა სიქადულო, წინამძღუართა დიდო მნათობო და ყოველთა
შენდა მოლტოლეილთა ნავთსაყუდელო უღელგოო, ხოლო
მორჩილთა საღუთოჲსა შურისა მასწავლელო, მამათა დიდე-
ბაო, და რათაჲ მოკლედ ვთქუათ: ჰ ყოვლისა სახელისა და
საქმისა კეთილისა ღირსო, შეიწირენ ჩემ მიერნი სათნოებათა
შენთა სიტყვთ გასახვანი, უღირსთაგან ბაგეთა აღმოთქმულნი.
და ვითარცა ხარ მონა ღუთისა სიტყვსა, მიემსგავსე ქრისტესა
მეუფესა, რომელმან იგი ქურივისა წულნი მიითუალნა და ნუ მარკ., 12,
გარემიიქცევ ალაბაჲსტრსა უღირსთა ბაგეთასა, ვითარცა ქრი- 12; 14, 3
სტემან მეძავისა მის, და სავანე ყავ ჩუენ თანა, ჰ წმიდაო, ვი-
თარცა უფალმან სახლსა ზაქესსა, და მიკსნენ ჩუენ ლოცვითა ლუკ., 19, 5
შენითა ყოველთაგან მტერისა მანქანებაჲთა და ვითარცა სო-
ფელსა ამას წმიდისა მოძღურებისა შენისა მოწაფედ წოდე-
ბულ ვართ.

მგრეთვე ზიარმყვენ მერმესა მას უკუანასკნელსა დღესა დიდებით მოსლვასა მეუფისასა დგომად მახლობელად შენსა ყოველთაჲ თანა წმიდათა მარჯუენით ოჯფლისა და ღუთისა უღირსნი ესე მოწაფენი შენნი, სამუზის სანატრელო მამაო წმიდაო სერაპიონ, მეოხებითა წმიდისაჲ ღუთის მშობელისათა და მადლითა და ლოცვითა შენითა და წმიდათა მოციქულთა და წინაჲსწარმეტყუელთა და მოწამეთათა და ყოვლად ქებულთა მღდელთ მოძღუართათა და მამათათა,

277

რათა ღირს ვიქმნეთ უღირსნი ესე სმენად კმასა მას ზატოკობისასა წმიდათა ანგელოზთა თანა, რომელნი სამწმდაირსობით აღიდებენ სამებაჲსა ერთარსებაჲსა, რომელსა შუქნის ყოველი დიდებაჲ, პატივი და თაყუანისცემა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.



	1		
გვ.	2, სტრ.	19 სიტყუაჲ	სიტყუაჲ
	4	13 კვიპრიანე	კვიპრიანე
		20 ნაყოფი	ნაშობი
	„	30 ნეტაროაჲ	ნატართაჲ
	6	2 ტალანტი	ტალანტი:—
		10 სწაელათა	სწაელათა
	„	19 ამისი.	ამისი
	7	30 და ესერა	და ესეცა
	8	1 მეუფესა	მეუფესა:“
	„	5 მოწილედ	მოწილედ
	9	15 ტალაფარი	ტალაფარი
	11	14 პინაზვიან	პინაზვიან
		23 მოიკითხნა	მოიკითხნაჲ
	„	28 ზეცისანი	ზეცისნი
	12	7 ბრძანებითა	ბრძანებითა
	„	22 ველოგიაჲ	ველოგიაჲ
	13	14 ვითარცა	ვითარცაჲ
		23 ვინაცა	ვინაცაჲ
	„	29 აღმოცენებად	აღმოცენებად
	14	2 ეგებისა	: „ეგებისა
		3 „მამაო	მამაო
		5 მთავარო	5 მთავარო

გვ. 14 ს.ტ.რ.	16 წულეზაიდ	ცვალებად
„ 15 „	1 ჰრქუა:	ჰრქუა: „
	3 შეწვენა.	შეწვენა. „
	4 და	და ვითარცა
	7 იხილნეთ	იხილნათ
„	17 დამხრწვეელი	დამხრწვეელ
„	19 მონასტერსა	მონასტერსაჲ
	20 ეტყოდა	ეტყოდაჲ
„	24 გიხილნე	გიხილნე,
16	17 გუჰნება	გუჰნებაჲ
„	16 იხილე	იხილე,
17	6 ვიკილნეთ	ვიკილნეთ
18	22 დღისა	დღისა,
21	5 თანა	რათა(?)
	7 ეგულეების	ეგულეების
	18 კილისა	კელისა

ამასპო 39	19, 20, 21, 22, 26
ამონა ოპიზის აღმაშ. 5	გედემონის საწუმისი 25
ანდრია ოპიზის აღმაშ.	გერასიმე 2
ანტონი დიდი 2	გიორგი ჩორჩანელი 9, 27,
არსიანი 32	28, 32, 39, 40
აწყური 41	გიორგი მაწყვერელი 27, 35,
ბაკთა 17	41.
ბააჲ 29, 31, 40	გიორგი ზანავის მამასახლისი
ბასილი მიქელ პარეხ. მო-	34
წაფე 5	ელია 2
ბასილი სერაპ. ცხოვ. ამწერ.	ფეთკმი 2
43 44, 45	ზანავი 9, 30
ბაპლაუნდი მირიანის მამა 39	ზარზმა = ზარ — ზმა 3, 9, 24,
ბეშქენ ბაპლაუნდი (იგივე)	28, 41
ბეშქენ მირიანის ძე 40	ზარზმის მხატვრობა, წარწე-
ბერას ჯუარი 8	რები 43
გალატოზი 42	თაკვი 18
გარბაჲნელი = გარბანელი	თევდოსი დიდი 25

თეკლა (ლატავრი) 33, 40
ია 17
ილარიონ ანტონ დიდის მო-
წაფე 5
იოანე სერაპ. ძმა 4
იოანე ბაპლაუნდი—ბეშქენ 40
იოანე წმიდაჲ 39
კლარჯეთი 4
კჳპრიანე სერაპ. მამა 4
ლაკლაკი მირიანის ძე 40, 41
ლარნაკი 44
მაკარი ოპოზის აღმაშენებე-
ლი 5
მაკარი 2, 5
მამები ზარზმისა 34, 41—45
მარკელაოზ მიქელ პარახე-
ლის მოწაფე 5
მანუყვერელი გიორგი 27,
35, 41
მთავარანგელოზის ეგუტერი
15
მიქელ პარახელი 5, 11, 12,
27, 40
მიქელ ზარზმის მამასახლისი
42, 43
მირიანი, სიძე გიორგი ჩორ-
ჩანელისა—39, 40
მოწაფენი მიქელ პარახელი-
სა 5—6
ორთოხი რკინისა 17
ოპიზა 5, 27, 30
პავლე თებელი 2
პავლე ზარზმის მამასახ. 43

პარეხი 5
პეტრე ოპიზის აღმაშენ. 5
საბა 2
სათაყვე 18, 21
სამცხე 6, 41
საძმო 16
სერაპიონ 3...
სულა მირიანის ძე 40
ტაძარნი ჩორჩანისა და ზანა-
ვისა 9, 39
ტბა სათაყვე 18, 22, 24
უმწყა 20
უტყჳ 8
ფერისცვალების ხატი 8, 9,
27, 43
ქურდია ზანავის მონასტრის
აღმაშენებელი 39
ყველისყვეი 32
შეშათა 18
შიო მღვიმელი 5
შუარტყლი 27
შუარტყლელი 41
შუარტყლელიქგალატოზი 42
ჩორჩანელი (იხილ. გიორგი
ჩორჩანელი)
ძარღუა სოფელი 37
ძინძე 8, 23
ძე გარბანელისა 21
წისქვილი 16, 22
ხარლამპი მოწამე 31
ხუფა 42
ხუფადგან გამოწვეული კე-
ლოვანი ბერძენი 42

ანდრია მოციქულის მიმოსვლა.

ხელნაწერში (№ 161) სულ 203 ფურცელია. გადაწერილია მთავარ-ეფისკოპოსის რომანოზის მიერ მოსკოვს 1738 წელს (ფ. 159). ეს რომანოზი იყო ერისთვიშვილი და გარეჯაში აღიზარდა. ჩვენს ხელნაწერში ანდრიას ცხოვრება ახალი ვარიანტია.

დასაწყისი თავიდან სიტყვამდე „და უმეტესად საკვირველ“ (სამოთხე, 24—27, სტრ. 26) არ არის, მის მაგიერ ეს სიტყვებია (ფ. 35):

თუესა ნოენბერსა ლ წმიდისა მოციქულისა ანდრიასი. გუაკურთხენ მამაო.

ოდეს ამადლდა ოვფალი ჩუენი და ღმერთი იესოვ ქრისტე ზეცად, მაშინ აღთქმა იგი სულისა წმიდისაჲ აღასრულეს წმიდათა მოციქულთა და განეტენნეს და წარვიდეს ყოველთა ქალაქთა და დაბად მიმართ შეწვენითა || მამისათა და ძისა და წმიდისაჲ სულისათა“.

შემდეგ ამას, როგორც სამოთხეში, მიჰყვება „და უმეტესად საკვირველ“... მაგრამ დიდის განსხვავებით. შეადარე:

სამოთხე

ნივიდეს სინოპედ, ქალაქად პონტოჲსა, ზღვის კიდედ (გვ. 27)

მაშინ ნეტარმან პეტრე აღიყვანა გაიოზ. და რომელნიმე ძმათაგანი, წარვიდა დასავლეთის მხარეს, არამედ ნეტარი ანდრეა და მატათა და სხუანი მოწამენი შეუღგენ ვხასა აღმოსავლეთისასა ქალაქსა მისონთასა ზღებარესა ზღუის კიდესა პონტოჲსასა. ნეტარი დაადგრა სახლსა შინა ერთისა ჰრიისასა სახელით დომენტი. მოციქული მოწაფეთათურთ შერავიდა შესაკრებელსა ჰურიისასა... (28)

№ 161

მივიდეს სინოპედ ქალაქად, ჰინდოსა ზღვის კიდედ (35 ბ)

...

წარიყვანა გაიოს და სხუანი ძმანი და წარემართა დასავლისა კერძოთაჲ, ხოლო ღმერთშემოსილმან ანდრია მატათა მისთანა და სხუათა მოწაფეთა მიმართა აღმოსავლისა ქვეყანათა და მიიწია მისონელთა ქალაქსა, რომელი იგი არს ზღვის კიდესა პონტოსსა. და დაიგანა კაცისა ვისამე სახლსა ებრაელისსა სახელით დომენტიოზ. და იყო ქალაქი იგი ნაყოფიერ ფრიად ზეთისა

ხილითა და ყოვლითავე ხითა და საესე იეფობითა ნაყოფთაგან ქუეყანისათა და თევზთაგან ზღვისათაა შერავიდა მოციქული მოწაფეთათანა ქალაქსა მას, აღვიდა დღესა შაბათსა შესაკრებელსა. ჰქურითასა... (36).

თვთ დაბრუნდა სახიდ თვსად მოწაფეთა თურთ, რომელთა სახელნი ესე არს: თადეოს, მატათა, ტრიკოს და ასტაქე, ევვოდოს, სვმონ და ალაპიტოს და დომენტი (29)

თავადი მისთანა მყოფით მოწაფეთურთ შევიდა სავანედ. რომელნი იყვნეს რიცხვით რვაანი, რომელთა სახელები ესე არს: თადეოზ და მატათა, ტუქიკოს და ასტაქე, ევვოდოს და სვმონ, ალაპიტოს და დომენტი (37)

...მაშინ ეპყრა რომთა მეფობა. ტიბერიის კეისარი და გაიოზ და კლავდი არავის აყენებდეს აღსაარებად სახელსა ქრისტესსა (30)

... ტიბერიოს კეისარი და გაიოს და კლავდე... (38)

შემდეგ № 161-ში (ვევ. 38 ბ)

ესრეთ ქადაგებდა და ასწავებდა ნეტარი ანდრია. და მრავალნი ქალაქნი და დაბნეები ჰონტოსა განანათლა და სარწმუნოებასა ოჯფლისასა დაამტკიცნა.

ხოლო იყო სრბა ქადაგებისა მისისა დაუცხრომელ, რამეთუ მადლი სულისა წმიდისაჲ განძლიერებდა მას. და მივიდოდა ქალაქითი ქალაქად და სოფლითი სოფლად და ასწავებდა სიტყუასა მას საღრმთოსაჲ.

მიიწია უკუც ქალაქად ტრაპეზონად, რომელ არს სოფელსა მეგრელთასა. სადა იგი დაყო ჟამი მცირედი და იხილუფუნურებაჲ პირუტყუბბრივი მკვდრთა შორის მის ქალაქისათა. განვიდა მიერ და შევიდა ქუეყანასა ქართლისასა ნიგლას და კლარჯეთს და არტაშან-კოლას, სადა იგი დაყო ჟამი ფრიალად და მრავალნი განანათლნა სიტყვითა მოძღვრებისა მისისათა. და შეწირნა ოჯფლისაჲ წმინდისა ნათლის ღებისაჲ მიერ.

მიერ წარვლნა ქუეყანანი ჰართისანი, რომელარს სომხითი და აღვიდა იერუსალიმად (39).

...ხოლო მას ეამსა, ვითარცა აღესრულა დღესასწაული მარტკლიისა, ანდრია პეტრესთანა ძმისა თვისისა და იოანე ზე-ბედესი და ფილიპე ათორმეტთაგანი და ბართლომეოზ და ფი-ლიპე შვიდთა დიაკონთაგანი განვიდეს ანტაქიას ქალაქსა ასუ-რეთისასა, რომელსა ეწოდებინ ღუთისაჲ ქალაქი. სადა იგი დაშთა პეტრე და აკურთხა მარკიანე და ბაგრატ ეფესკოპოსად სიგიჯიასა და წარგზავნა მუნ... ხოლო სხუანი მოციქულნი წარემართნეს ქალაქითი ქალაქად განფენად სიტყუასა. და ფი-ლიპე ათორმეტთაგანი ბართლომეოსითურთ ზემო ფრიგიას, ჯუეიას და ჰისიდიას დაადგრეს. ხოლო ფილიპე შვიდთაგანი, რომელმან საჭურისსა მას კანდაკეს ნათელსცა, შთავიდა კესარიას პალესტინისასა და მუნ ქადაგებდა. ხოლო ანდრია და იოვანე ავიდეს ეფესოს ქალაქად და ასწავებდეს სიტყუასა ცხოვრებისასა. მუნ ეჩუენა ოვფალი ჩუენი იესოჲ ქრისტე ნეტარსა ანდრიას და ჰრქუა: „მწრათელ წარვედ სოფელთა ბითონიისთა ... ქუეყანა-ცა გუთუთისა მიგელის შენ“... და წარემართა ეფესოსთ მოწაფეთა თვსთა თანა... ჯავდიკიას ქალაქსა ფრიგიკისასა და მიერ მიიწია ოდისო ქალაქად სოფელსა მუსიისასა... შვეიდა ნიკიას (40—41). ხოლო მასვე გზასა ზედა იყო სხუაჲ პარეხი (41 ბ, სამოთხ. 32).

ნიკიით... მიიწია ნიკომიღია ქალაქად... აღკდა ნაე-სა მოციქული და აღვლო მდინარე დიდი ჰაროენი და მიიწია სოფელ-ქალაქად, რომელსა უწოდებინ ხარაკა (43—34)...

განანათლნა რაჲ მკვდრნი ხარაკისნი... წარვიდა მიერ და მიიწია სინოპე ქალაქად და პოენა მუნ მცირენი მოწაფენი, რომელნი იგი პირველ მის მიერ განათლებულ იყვნეს (43—34).

და მიიწია ტრაპეზუნტას ქალაქსა მას მეგრულთასა მი-ერ წარვიდა ნეოკესარიას... მიიწია სამუსატრელას დიდსა მას ქა-ლაქსა, რომელ იგი არს საზღვარსა მას ჰართთასა, რომელ არი-ან სამეხნისა, სადა იგი მკვდრიყო ერი მრავალი, სომეხთა და ბერძენთა, ყოველნი კერპომსახურნი (44 ბ—35).

სამუსატრით წარემართა და აღვიდა იერუსალიმად, რათა ყოს პასეკი... შემდგომად მარტკლიისა განვიდა კუალად... და იყვნეს მის თანა მოგზაური სიმონ კანანელი და მატათა და თა-

დგომს. მიიწინეს უკუც ედესე ქალაქად, სადა იგი დაშთა თადე-
ოზ აგგარაზ მთავრისა თანა... ხოლო დიდებული ანდრია სხუათა
მათთანა მოვიდოდეს ქალაქითი ქალაქად და სოფლითი სოფლად,
ასწავლიდეს ერთა და იქმოდეს სასწაულთა და ესრეთ მიიწი-
ნეს ქუეყანასა ქართლისასა და წარვლეს ტაოისა(!) კერძი ქუე-
ყანა და ვიდრე მდინარედმდე ქოროხადმდე ყოველი იგი სოფ-
ლები მის კერძისა მოვლეს და დაუცადებლად ქადაგებდეს სა-
ხელსა ღუთისასა და ესრეთ ქადაგებითა მიიწინეს სვანეთისა
ქუეყანასა. ხოლო მას ქუეყანასა მთავრობდა დღეთა მათ დე-
დაკაცი ვინმე მთავარი, რომელსაცა რწმენა ქადაგებაჲ მოცი-
ქულთა. და მატათა სხვათა თანა მოწაფეთა დაშთა მათ კერძო-
თა, ხოლო დიდი ანდრია სიმონითურთ შევიდა ქუეყანასა ოვ-
სეთისასა და მიიწია ქალაქად, რომელსა ეწოდებოდა ფასტა-
ფთრი, სადა იგი დიდნი სასწაულნი ქმნეს და მრავალნი ერნი
მოაქციენს და განანათლნეს.

მიერ წარვიდეს და შევიდეს ქუეყანასა აფხაზეთისსა და
სებასტე ქალაქად მივიდეს, რომელსა აწ ეწოდების ცხუმი. და
უქადაგეს სიტყუაჲ ღ'ჲ და მრავალთა შეიწყნარეს

და მუნ დაუტევა ნეტარმან ანდრია სიმონ კანანელი
სხუათა თანა მოწაფეთა და თავადი ჯიქეთისა ქუცყანად აღვი-
და. ხოლო კაცნი მის ქუეყანისანი ჯიქნი იყვნეს კაცნი ფიც-
ხელნი გულითა და საქმეთა შინა ბოროტთა განფრდილნი,
ურწმუნონი და უძღებნი. რომელთა არა შეიწყნარეს ქადაგე-
ბა მოციქულისაჲ, არამედ ენება მოკლვა მისი, ხოლო მადლ-
მან ღუთისამან დაიცვა. და იხილა რაჲ მოუდრეკელობაჲ მა-
თი და პირუტყუსბრივი გონებაჲ, დაუტევნა და წარვიდა (ამის-
თვსცა ვიდრე აქამომდე ურწმუნოებასა შინა არიან)

მიერ წარემართა მოციქული ქრისტესი და მიიწია ქუე-
ყანასა, რომელსა რქვიან ზემო სუიდაია, რომელი იგი აწ აღ-
ოკრდა. ხოლო მუნ მყოფთა კაცთა სიხარულით შეიწყნარეს
ქადაგება მოციქულისა და რწმენა ოჯფალი იესოჲ ქრისტე.

მერმე წარემართა ნეტარი ანდრია და მივიდა ბასფორო
ქალაქად, რომელი იგი არს კიდესა ეგქსინო ზღვისასა მახლობე-

ლად ქუეყანასა ტავრთგუთასა, რომელ არიან თურქ ჰაწენაკნი. და დიდისა მის ტბისა, რომელსა მეტრ ეწოდების, სადა იგი არს ლუსკუმა, რომელსა ზედა სწერია სახელი სიმონ მოშურნისა. ხოლო სიმონ კანანელისა საფლავი არს ნაკაშოს ქალაქსა, შორის აფხაზეთისა და ჯიქეთისა.

შევიდა რაჲ ნეტარი ანდრია ბაქსოფორა ქალაქსა, იწყო ქადაგებად სახელსა ქრისტესსა და მრავალნი მოიმოწაფნა...

მიერ წარვიდა ქალაქად თევდფსიად, რომელი იყო მახლობელად ბოსფოროსა და იყო მუნ მთავარი სახელით სავრამატი. და იყო ქალაქი იგი დიდი და ერი ფრიადი მკვდრ იყო მას შინა, ხოლო აწ სრულიად მოაკრებულარს და უკაცრულ და მკირედთა ოდენ რწმენა მუნ.

დაუტევნა იგინი და მივიდა ქერსოფნეოს, ქალაქსა გუთეთისასა, რომელსა შინა მკვდრ იყვნეს კაცნი ურჯუენი და ურწმუნონი.. კუალად მიიქცა ბაქსოფორადვე და აღვდა ნავსა გუთეთსა და წიაღლო ზღვაჲ პონტოსა და მიიწია სინოპე ქალაქად...

—

სიტყვა ჰინდი (ზემო გვ. 49, სტრ. 17) ხშირად იხმარება უდაბნოს მაგიერ (იხ. „ჩვენი მწერლობა“, გვ. 17). ამას გარდა, საქართველოში მყოფი წმ. ნინო თავის თავს ინდოეთს მყოფად სთვლიდა. მას ეკითხებოდნენ: „ვითარ იტყვი, ვითარმედ ტყვე ვარიმე ანუ ვითარცა ჰინდოეთს თუ“? (ახ. ვარ., გვ. 2).

—

განყოფილება II.

ჩემი შენიშვნები.

VII *)

შსკაველი იყო და არა შსკავილი.

1901 წელს 5. მარტმა დასწერა გამოკვლევა „სომეხ-ქართველთა ფილოლოგიის კითხვათა ერთობის შესახებ“ (Кавк. Вѣстн., 1902, № 3). მანამდისაც ყველამ კარგად იცოდა ამ ერთობის საკიროება და მნიშვნელობა და, ვიტყვი ცხადად, არა თუ მარტო სომეხთა და ქართველთ საფილ. კითხ. ერთობის საკიროება, არამედ მთელის კავკასიონის და ჩრდილოეთ მცირე-აზიის ხალხებისაც საერთოდ. მაგრამ ისიც ნათლად წარმოედგინა ყველას, რომ ამ მძიმე საქმისთვის ცოდნაზე უმეტეს საჭირო იყო მიუკერძოებლობა, მიუდგომლობა, უტენდენციო კვლევა-ძიება, რათა ყველასთვის მიწყულიყო კუთვნილი მისი, რათა არ მიჩქმალულიყო განსაკუთრებული ნამოქმედარი ერთისა და არ გაზვიადებულიყო საქმე მეორისა. ეს, სამწუხაროდ, მართლდება. .სომეხთა და ქართველთ საფილ. კითხვათა ერთობა“, რომელსაც შევხაროდით სულით და გულით, მიუკერძოებლობას ვერ იჩენს: მისი ადებტები მოწინააღმდეგე აზრს ვერ ითმენენ, მართლმსაჯულობის სასწორს, ხშირად, ატარტმანებენ, ცალკერძ ხრიან... ერთი რომ ქართველ-სომეხთა მისადევრის ერებს, რომელთა სახელს დაბოლოვებად აქვს ხი, ქართველ თესლოტომად: მხანდის, მეორე აქაურ ხალხებს და მათ შორის არა მცირე ქართველობასაც სომხად სთვლის მხოლოდ იმიტომ, რომ იგი-ნი ოდესღაც მათს საადმინისტრაციო ერთეულობაში მოემ-

*) წინა წერილები იხ. „საქართ.“ №-ები, 3, 5, 8, „ერთობა“ № 1 და „ნიავი“ № 8.

წყვედია მოსეულს მტერსა თუ სარწმუნოებრივს ინტერესებს. რალა თქმა უნდა, ვერც ხი ამტკიცებს ვისიმე ქართველობას, რადგან არის მრავალი არა ქართველი ერი ხი ზედვე დაბოლოებულ სახელით, ვით კალმუხი, ყუმუხი, ხოზანიხი, ხუნდახი, პსხი და სხ., და ვერც პოლიტიკურადმინისტრაციული შედგენილობა რომლისამე სახელმწიფოსი ანუ თუ სარწმუნოებრივი ერთობა ნიშანია თვით ამა იაუ იმ სახელმწიფოს მოსახლეთა ერთ თესლ-ტომობისა თუ ერთ ჩამომავლობისა. განა სასაცილო არ იქნება, მთელი ქრისტიანობა ერთ ნაციად გამოვაცხადოთ, ან და ყოველი მაჰმადიანობა ერთ გვარტომად ჩავთვალოთ. განა უმეტესად სასაცილო არ იქნება, თუ, მაგალ., რომის იმპერია ერთი ნაციის სახელმწიფოდ ჩავთვალოთ, ან და თუნდ იმპერია ფარაონებისა, ყაენებისა, ბიზანტიისა; სხვა თუ სხვები არ თაკილობენ ისეთი რამ ილაპარაკონ, რომ საქართველოდ გამოჩნდეს რალაც ქუთაისისა და ყვირილის მაზრები თუ მათნი მიდამონი, მოწინააღმდეგეთ შიაწერონ ის, რაც მათ არ უთქვამთ *), შოვინისტობა უკეთინონ იმათ, რომელნიც შეხვარიათ რუსთაველს თუ მოსე ხონელს **),

*) „Тексты и разысканія по арм.-груз. филологіи“ აში წიგნი IX, გვ. 24, შენ. 3) სწერია:... „а въ авторѣ. вслѣдъ за М. Г. Джанашвили, увидѣлъ (ред. Сборн. матер.) уроженца Закавказья и, притомъ, грузина“. მე კი ხსენებულს თხზულებაში არც „წინ“, არც „უკან“, არსად კონტიც არ დამიძრავს არც უროჟენეცის შესახებ და არც გრუზინისა. რა საკადრისია ესრეთი ცილისწაპება! მაგრამ ხსენებული თხზულებისა მე ეხლა 3—4 ვარიანტი მაქვს და მათაც მალე ირილავს ბეჭედი შედარებით „ბიზანტ. მახარებელში“ დაბეჭდილისა.

**) „ცნობილმა“ გრენმა, რომელიც მრავალნაირად სასაცილოდ იგდებდა საქართველოს წარსულს, სამინისტროს ჟურნალში (1895 წ., № 3) დაბეჭდა „ამირანდარეჯანიანის“ თარგმანი თავისებურ რაგინდარას დაყოლებით. იმავე წლის ივნისში იმავე გამოცემაში ცნობილივე პროფესორის მიერ შეიქა ეს გრენი ამ სიტყვებით: „Спасибо, что авторъ не заравился шовинизмомъ мнимыхъ поклонниковъ „національныхъ красотъ“ грузинской литературы“. ვინ არიან ეს შოვინისტები? ნუთუ ყველა ქართველებთან ერთად თვით ბროსეც, რომელიც ამირანდა-

ქართულ ენას მიუჩინონ,—თუნდაც სხვათა პირით,—მხეცთა და კაცთა შორისი ენის ადგილი *). და ყველა ეს ერთადერთ გონჯად დაფარულ აზრით: —ერთი დაამდაბლონ, რომ მეორე ამაღლონ, ან კიდევ უარესი—ერთის სადმე შექებით მეორე უმეტეს შეიქოს. ჩვენზე სწორეთ ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს სომეხ-ქართველთა ფილოლოგიის კითხვათა ერთობილად გამოსული უთვალავი, ხშირად, უნდილი მასალა.

ამ მასალას ჩვენ როგორმე „გაფაცუნობთ მკითხველებს და აქ კი ჯერ ჩამოვაგდებთ მოკლე ლაპარაკს იმ საბლავუქოზე, რომელიც კარგი დამახასიათებელია მთელის ამ ჯურა კვლევა-ძიებისა.

მე-X საუკ. ხელნაწერში (№ 95) მისი, გადამწერი ქართველი პატარაი თავის შემწედ იხსენიებს ქართველებსვე გაბრიელ ჭსკაველს, გაბრიელ ხორგას, კუტალით ღვინის მიმრთმევეს ივანე გაცვეთილს. ეს გრძელი წარწერა, ზოგი რამ გამოკლებით, მოყვანილია ჩვენს წიგნში „ქართული მწერლობა“ (გვ. 135—136), რომლითაც პროფეს. მარრი ხშირად სარგებლობს (იხ., მაგალ., მისი „Предварит. отчетъ.....“ გვ. 14). მაგრამ მით აღარ უსარგებლნია, როდესაც დასკირებია „სკიველის“ გასმხურება. ბედათ, ჟორდანიას კატალოგში, რომლის კორექტურას, სამწუხაროდ, თვით ავტორი არ განაგებდა, შე-

რეკანიანს ქართულ ნაწარმოებად ჰხადის? ვფიქრობთ, არავის და მით უმეტეს პროფესორს არ შეშვენის ესეითარი უგერგილობა მოაყოლოს, ისიც მხოლოდ იმის გამო, რომ ქართველობა შესტრფის თავის მგოსანთა მამადმთავარს, უკვდავ რუსთაველს თუ. მისებრ დიდს ხონელს.

*) „Gatzevias доказывалъ ту мысль, что груз. языкъ буд-то имѣетъ огромный интересъ, именно какъ образчикъ несовершеннаго—аглютинативнаго—лингвистическаго типа, будто изученіе груз. языка намъ открываетъ какіе-то особые первичные факты, важные въ общей лѣтвистикѣ для уясненія связи между человѣческой рѣчью и языковыми задатками животныхъ“. ეს თვითონაც არა სჯერათ, მაგრამ უშენიშვნოდ ბეჭდავენ და ავრცელებენ კიდითი კიდე! ამის შემდეგ რაღად უნდა გვიკვირდეს, რომ უმეტარნიც

იხედროია ჰსკავილი ჰსკაველის მაგიერ *) და ამ ჰსკაველს კი მოუგონებია მარჩისთვის სომხური ჰსსკ—თავთავი, ვიღ—ცოცხი, ხოლო კურალაი სომხურ ჩამომავლობისად გამოუცხადებია და ორთავენი კი ტაო კლარჯეთის არშენიზმებად, იმ ტაო და კლარჯეთისა, რომელთაც იგი სომხეთის ჩრდილო ოლქებად სთვლის („არქაიუნ“, გვ. 6), ოლქებად, საცა ჯერ ისევ მეცხრე საუკუნეში, მეათეშიაც კი ქართველ ბერებს თურმე სომეხ-მოსახლენი გარს ერტყნენ (იქვე, გვ. 22), მისადევრად (района), რომელიც ოდესღაც სომხური იყო, მაგრამ მე-XI საუკუნეში კი თითქმის (!) სრულიად ქართული შეიქმნა (იქვე, 21). აი რა ყოფილა სომეხ-ქართველთა სათილოლოგო კითხვათა ერთობა! რასაც ეს „ერთობა“ დადადებს, იმას თვით იგეთი ნაციონალისტი, როგორიც არის მ. ქორენელი, არ ამბობს, ვინაითგან იგი მარჩის „სომხეთის ჩრდილო ოლქ კლარჯქს“ თავის Георг. -ში საქართველოს ტერიტორიად ჰრაცხს. მაგრამ ამაზე კვლავ. ახლა ისევ ჰსკაველს დაეუბრუნდეთ.

გეოგრაფიულ სახელის თავში ჰს-ს დასმით იხატება ის, რაც რუსულში დაბოლოებით ецъ: პრომი=ромеецъ, ჰინდი=индиецъ, ჰერი=еретичецъ და ასრევე ჰსკაველი=скавелецъ

ქართულს „სიყვარულის ენას“ (Зиссермавъ, Двадцать пять лѣтъ на Кавказѣ, 1, გვ. 279) ძალღერს უწოდებენ!

*) უეორდანიოს კატალოგოდაც მარჩს უნდა სცოდნოდა, დედანში ჰსკაველი ეწერა თუ ჰსკავილი, რადგან ხსენებული ხელნაწერი (№ 95) მას ხელში ჰქონდა ამ რამდენიმე წლის წინად მუხუეუმში მუშაობის დროს.

მომეყვს აქვე ჩემი უკანასკნელი წაკითხვა ჰატარაიას მთედის შენიშნვის (№ 95, გვ. 1222):

„დიდება შენდა სამებაო. წმიდაო, დაქსრულა წამება წმიდათა მოწამეთა და სკითხაგები. თავი: ჯღ.“

გურთხეულნო ერნო მომავალნო, რომელნი ჩვენსა შემდგომად ყოფად ხართ,

შირველ ოდეს ამას წიგნსა დავიწუე, ესრე მედვა გულსა, ვითა დედათა წამება და ცხორება ოდენ დაგწერო და მით გავასრულო და ვინარკე დიდითა შრომითა და გულისმოდციებითა ვკებნე დედა

(სკა-ველი. ეს სახელი ანლაც არსებობს იმერეთში*). აი ეს არის ეტიმოლოგია ამ სიტყვისა და არა „თავთავ-ცოცხი“!

მაგრამ თუნდაც ტექსტში წერებულისყო ჰსკაჟილი გინა ჰასკაჟილი, ამით განა დამტკიცდებოდა პატარაიას მეგობრის გაბრიელის სომხობა? ნუთუ რომელიმე წყალობიანცი, ხუციანცი, ხატისიანცი და სხ. ქართველებად უნდა გამოვაცხადოთ მხოლოდ მისთვის, რომ მათი გვარები ქართულ მასალისაგან შესდგებიან?!

სომხურ-ქართულ ფილოლოგიის კითხვათა ერთობას რას ჰმატებენ ამისთანა გამოუსადეგარ მასალაზე ახუხულავებული დასკვნები?

და ესტენ ვპოვე, ვერღარა შემეძლო ძებნაჲ. შერქე ესე მამათა მოწამეთაჲ, რომელი პარხადს არა ეწერა, იშხნით მოვიდე და მით გაგასრულე.

და ესე ცხორებანი დედათა და ღუთის მოყვარეთა მამათანი მიწეებით ამას ქუემოსა კერძსა მოვაქციენ; თუმცა პირველ გამეგონა, თავსა ზედა მამათა მოწამეთაჲ კმდა. განა დედათა წამებითა და ცხორებითა ოდენ ვლამოდე გასრულებასა, და მას შინა მოვსტეო, შემინდგეთ.

ჭირნი ეუდა დიდნი მინახვან—ღწ დაგაჯეროს—, სული გაბრიელ ჰატარისა მოიკსენეთ წმიდათა ღოცგათა თქუენთა.

გაბრიელ ჰსკაჟელი და გაბრიელ ხორგაი დიად დამიდგეს თან.—ღწ შეუნდვენ ცოდვანი—: ოდეს მიმქირდის, მათ მიეჭმართი, პურაი შცინა. იოგანე გატყუთილმან კუტალითა დჯროჲ მომართუა“.

ჟორდ. კატ.-ში აქედგან დაბეჭდილია მხოლოდ 8 სტრიქონი და მათში 15-ოდე შეცდომაა: წამება—წამებაჲ, ცხოვრება—ცხოვრებაჲ, და—და მით გაგასრულე, ცხოვრება—მოწამეთაჲ, შემეძლო—შემეძლო, დამიდეს—დამიდგეს, მიეჭმართი—მიეჭმართი, დჯროჲ—დჯროჲ, ჰსკაჟილი—ჰსკაჟელი, კუტალითა—კუტალითა და სხ.

*) ვთხოვე მკითხველს შეგვატყობინოს, რომელს საზოგადოებაში ცხოვრობენ აწინდელი ჰსკაჟელები, რომელთა გვარი ეხლახანს იმერეთი-ლამ მოსულ შემოწირულების სიაშიაც შეგვხვდა.

არაფერს. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ამისთანა „მეცნიერება“ უფრო აბნელებს, ვიდრე ანათლებს ორ მოქირნახულე ერის მეზობლობისა და წარსულის შესწავლის საქმეს.

VIII

ჰირკანია-ყუბა-ალანეთს გაიგზავნა მისიონერები და არა საქართველო-აფხაზეთს.

1905 წელს ნ. მარჩმა გამოსცა წიგნი ამ სათაურით: „Крещеніе армянъ, грузинъ, абхазовъ и алаповъ святымъ Григоріемъ“ (Арабская версія).

სულ ახალი ამბავია, რომ წმ. გრიგოლს (IV ს.) მოენათლოს ნინოსაგან ბერძნების დედოფლის ხელით დანათლული ქართველები და იუსტინიანეს დროს მხოლოდ (VI ს.) აფხაზის ევფრატას მიერ გაქრისტიანებული აფხაზები!

მაგრამ „არაბულ ვერსიას“ რომ ვუყურებ, იქ არც საქართველოა, არც აფხაზეთი, არამედ ჭურჭანი (=ჰირკანია, კასპიის ზღვის სამხრეთ ნაპირზე მდებარე გურგანი), დარუბანდის მხრის აბაზ—პუსხუა—ყუბა და მერე ალანეთი (ჩრდ. დალისტნის იქითი მხარე).

და ისიც, არაბული ტექსტი ამ ქვეყნებზე გაქრისტიანებას კი არ ამბობს, არამედ მხოლოდ მისიონერების მუნ გაგზავნას ქრისტიანობის საქადაგებლად და ერის მოსაქცევად. ასე რომ მარჩის წიგნს ამაოდ გაკეთებული აქვს ზემოაღნიშნული სათაური, რომელიც, ტექსტის მიხედვით, ასე უნდა შეიცვალოს:

„Крещеніе армянъ св. Григоріемъ и посылѣа миссіонеровъ въ сѣверную Персію (Джурджанію—Гирканію), Кубу и Аланію“.

თვით ეს „არაბული ვერსია“ არის თარგმანი აგათანგელისა (VIII ს. მარჩით) და ეკუთვნის (მარჩის სიტყვითვე) მე-X საუკუნეს. აგათანგელოსი კრინტსაც არა ზრავს გრიგოლის მიერ ქართველებისა და აფხაზების მოქცევის შესახებ,

(ნ. გ. აღონც, Арменія въ эпоху Юстиніана, გვ. 327). ამის შესახებვე კრინტს არა ძრავენ სომხების მწერლები მ. ქორენელი, უხტანესი. ეს უხტანესი ჩამოსთვლის 30 საეპისკოპოსო ეპარქიას, რომელიც დააწესა წმ. გრიგორიმ, და მათ შორის არ არის არათუ საქართველო და აფხაზეთი, არამედ მარრის მიერ „სომხეთის ჩრდ. ოლქად“ გამოცხადებული „კლარქი-იცი“.

ამ ავთანგელის ნაწერიც იმასვე ამბობს, რასაც თვით „არაბული ვერსიის“ ტექსტი და არა მისი რუსული თარგმანი ნ. მარრისა. ვიდრე გავიცნობდეთ მარრის ამ არაბ. ვერსიის თარგმანს, საჭიროა აქვე მოვიყვანოთ თვით ავთანგელის სიტყვები, განსხვავებულად (და დამახინჯებულადაც, ეტყობა) თარგმნილი „სომეხ-ქართველთა ფილოლოგიის კითხვათა ერთობის“ მეთაურთაგან.

მარრიოთ:

И такимъ образомъ (св. Григорій) раскидывалъ и распространялъ дѣло проповѣди и благовѣщенія по всей армянской землѣ отъ края до края, отъ города Саталы до области Халтіи, до кларджовъ, вплоть до предѣловъ маскутовъ († гунновъ), до аланскихъ вратъ, до каспійскихъ предѣловъ (вратъ)... (Креш..., გვ. 175, შვბ.).

აღონციოთ:

Разлилось (христіанство) по всей Арменіи отъ края до края, отъ города Саталы *мимо* Халдіи, *мимо* Каларджіи, до исхода предѣловъ Мосхіи, до воротъ Аланскихъ, до границъ Каспіи... (Арменія въ эпоху Юстиніана, гв. 327).

რომელი მართალია:

1. მარრის „до области Халтіи“ თუ აღონცის „мимо Халдіи“?
2. მარრის „до кларджовъ“ თუ აღონცის „мимо Каларджіи“?
3. მარრის „вплоть до предѣловъ маскутовъ“ თუ აღონცის „до исхода предѣловъ Мосхіи“?

4. მარრის ხალტი, აღონცის ხალდი, თუ ტექსტის *საყაჟი* —ხალტი?

5. მარრის მასკუტი, აღონცის მოსხი (?!) თუ ტექსტის *მასკუტი* —მასკუთ-ი?

ჩვენ ვერ ვიტყვი, თუ ძველ ავტორების ნაწერების ამგვარს წამებას ანუ ჯავახიშვილურ ქართულით რომ ვთქვათ — „წვალებას“ მოითხოვდეს „სომეხ ქართველთა ფილოლოგიის კითხვათა ერთობა“, იმას კი გადაკრით ვიტყვი, რომ ხსენებულს ადგილს აგათანგელი აღნიშნავს სწორედ წმ. გრიგოლის ცდას ქრისტიანობის შესატანად კასპიის ზღვის ნაპირა ქვეყნებში ჰირკანია-გილანიდამ ყუბა-დარუბანდამდე, საცა მასკუტები ცხოვრობდნენ, და იმასაც იქით აღანიამდე; მისივე მოწმობა გვეუბნება იმასაც, რომ წმ. გრიგოლს თუ მისს მისიონერებს ფეხიც კი არ მიუკარებიათო არათუ საქართველოსთვის, არამედ კლარჯეთისთვისაც; ამას გრიგოლის მიერი ქრისტიანობა ასცილებია (*мимо Каларджин* გაუვლია).

ახლა მოვიყვანოთ თვით არაბულ ვერსიის ნათქვამი.

არაბ. ტექსტით:

მარრით:

გრიგოლი გზავნიდა (ეპისკოპოსებს) სრულიად სომხეთის ქვეყანაში, ჯურჯანსაც, დრზუი-თსაც, აღანებშიაც და ადამიანი (=ინსან) ჯურჯანი, რომელიც მასთან ერთად მოვიდა სებასტიით, სახელით იბირ-ბზხუა, ჰყო იგი მიტრაპოლიტად და გაგზავნა, რათა დაადგინოს ეპისკოპოსები ყოველს ჯურჯანს... იგი იყო დიაკვანი და მხილველი, ოდესაც გახსნეს ±0 (სებასტიელ) მოწამეთა ნაწილები.

Григорій... разсылалъ ихъ (епископовъ) по всей армянской землѣ, и въ Грузію, и въ страну Дрзвить, и въ аланамъ. И взялъ онъ одного грузина изъ тѣхъ, кто пришелъ съ нимъ изъ Севастіи, по имени Ибиръ-б-зхуа, сдѣлалъ его митроп. и отправилъ съ тѣмъ, чтобы онъ ставилъ епископовъ надъ всей Грузіей...

„...აფხაზს გაგზავნა სოფრო-

ნი, ალანეთს თომა...

„და როგორც ქმნა წინად,
ისე გაგზავნა ქვეყანასა გილან-
თა, აბხაზთა...“

აქ „ჯრუზია“ არსად ჩანს. მას არაბთა მწერლები ეძახ-
დნენ ჯუზიაჰ—ჯურზ—ჯურზან—ჯურზინ—ქურიჯი! (Hist. de
la Gé, 1, გვ. 281, შენ. 2; Карауловъ-ის არაბთა მწერლე-
ბის თარგმანი Сборникъ-ში, გამოც. 29, 12 და 38).

„არაბულ. ვერსიის“ (მე-X ს.) ჯურჯან-ი კი მუდამ იხმა-
რება გურჯან—ჰირკანად და აბხაზ-ი კი ყუბად—და ამის არე-
მარედ (იხ. იქვე კარაულოვის თარგმანში და აგრეთვე კიპერ-
ტის რუქებსა და მისივეწიგნში Lehrbuch der alten geographie,
გვ. 67).

აღ-მუკადდასი (დაიბ, 947 წ.) ჩამოსთელის ქვეყნებს: ბა-
ბულაბევაბ (—დარუბანდი)—აბხაზ—ყაბალა (უღინების ქვეყანა-
ში)—შაქქი (ნუხი). აბხაზ მდიდარი ქვეყანაა და მისი ქალაქე-
ბიც (Сир., 38, გვ. 5, 7). ბერზენჯილამ შემახიამდე 2 გა-
დასაველია, შარვანამდე 3, აბხაზამდე 2. ჯურჯანის ზღვა იგი-
ვე ხაზარის ზღვაა (იქვე).

მასუდი († 956 წ.): მტკვარი მდინარებს ტფილისზე და
ქალაქ სუგდაბილზე ჯურზანის (—საქართველოს) ქვეყანაში
(იქვე, გვ. 33).—ზღვა ჯურჯანისა. მც, თვითონ მიცურავენია
ამ ზღვაზე ჯურჯანის ნავთსადგურ აბასკუნილამ ტაბარისტანის
ქვეყანაში და სხ. ადგილებში (იქვე, გვ. 39).

ასრე განარჩევენ არაბთა სხვა მწერლებიც ჯურჯანს ჯურ-
ჯანისგან (იხ. იმავე გამოცემებში).

მართალია, ორიოდ ადგილას „არაბულ ვერსიაში“ ჯურ-
ზანიც, სწერია, მაგრამ ეს უნდა იყოს თვით აგათანგელოს
მთარგმნელის უცოდინარობის ბრალი, ან იგეთივე სიმრუ-
დე, ვით „ჰსკაველი“ ჰსკაველის მაგიერ და ანუ ჰირდაპირ
სიყალბე სომენ-ქალკიდონიტისა, რომელსაც კარგად ახასიათე-
ბენ თვით მარკის სიტყვები: „უაღმატებულესი ყურადღება
სომეხებისადმი, ტირიდატის გამოსახვა ლეგენდარულ გამოხა-

ტულობით და ჩამოქვეითება ქართველთა, ლაზთა (აბხაზთა) და ალვანთა (ალანთა) მეფეებისა მეორეხარისხოვან სარბიელზე აგრეთვე ცხადად გვიჩვენებენ, რომ ავტორი (აგათ. თხზულე-ბისა) ყოფილა სომეხი, მაგრამ სომეხი ქალკილონიტი, დამწერი თვისის თხზულებისა, გასაგებია, სომხურს ენაზე“ (Крещ., გვ. 182).

განმარტება ლა უნდა, რომ ამგვარ გამზვიადებლებს ჯურ-ჯანი მოსჩვენებოდეთ ჯურზხანად, ყუბა აფხაზეთად, საქართველო სომხეთის მიწად!

მაგრამ რომ წინააღმდეგობა აიცილოს, მარტი აპოკრი-თის (არაბული ვერსიის) აბხაზად სთვლის ლაზებს, და იმავე აპოკრიტში მოხსენებულს „დრზკიტს“ აშობინებს, — თავისს სამ-ასოიან ლინგვისტიურ თეორიის სასწაულთმოქმედებით — ლაზიკეთს და აქედგან კი გაუჭირვებლად იბადება ყრმა ლა-ზი! მაგრამ ესრეთი სასწაული არა სჯერა თვით მისს მოწაფე-მეცნიერს აღონცსაც. მისით დრზკიტ-ი, არც აქეთ, არც იქით, ყოფილა ჩვენი ღურზუკეთი და გრიგოლს ეპისკოპოსები გაუ-გზავნია არა ჯურჯანს, აბხაზს (ყუბას), ალანს, არამედ „გრუ-ზიას, ღურზუკს და ალანს“ (იქვე, გვ. 328).

ცხადად ჩანს, რომ სომეხ-ქართველთა საფილოლოგიო კი-თხვათა ერთობის დამფუძნებელნი აპოკრიტის აზრს კი არ მიპ-ყვებიან ამა თუ იმ აღგილების ძებნაში, არამედ მასში მოხსე-ნებულ სახელების გარეგან მსგავსებას: „დრზკიტ-ში“ ზენია და ლაზი გამოდის, „დრზკიტ“-ი ეხმაურება ღურზუკს და ეპისკოპოსსაც აქეთ გზავნიან!

ეს სწორედ ახალი სამ-ასოიან თეორიის ლინგვისტიური „წვალეზა“ და სხვა არა-რა. მაგრამ ამაზედ უმდარესი „წვა-ლეზა“ არაა თვით იბირბზხუაში „იბერებ-სქუას“ აღმოჩენა, ვითომ „ივერთა შვილის“: საიდგან სადაო, წმინდაო საბაო, როდესაც არაბნი ქართველებს იბირად და მით უმეტეს იბი-რებად არას დროს არ უწოდებდნენ!

ჩვენ აქ არ გამოვუდგებით მარტის ამ ახალ თეორიის — ვითომ იბირებად თავდაპირველად წოდებულიყვნენ მეგრელები

—დარღვევას, ვინაითგან თავისთავად ცხადია, რომ მე-XI საუკუნეში პირველად ხმარებაში შემოსული „იმერა“ ვერ წარმოშობდა 65 წ. ქრ. წინად ლაბადებულს „ივერს“, ისიც სახელწოდებად არა „იმერთა“, არამედ „ამერთა“ და ვერც გააჩენდა სახელს „ბერძენი“, ვინაითგან ამ სახელის გაშორება არ შეიძლება სახელისაგან ფრანგი—ბრანჯი—ბრაჯი ამას გარდა იმერა ნიშნავს არა ეთნოგრაფიულ სახელს, არამედ გეოგრაფიულს: იმერ-ხევი არის კლარჯეთში, იმერ-ხევი ქართლში და არც ერთი კი ივერს არ წარმოადგენს. ამათა აგრეთვე, სვან-იმერ.-ში ვითომბერძნულისებურ ბაჰ—პაჰა, საფტინ—საბატონი, სტამანის აღნიშნვით რალაც ეკლესიურ განსხვავების ძებნა იმერთა (მარრის ივერთა) და ამერთა შორის, ვინაითგან ამგვარი ბერძნ.-ქართ. საერთო სახელები ამერეთშიაც ბევრზედ ბევრია, მაგ. დეკანოზი (ხევს. ქურუმი), დიაკონი, ოლარი, ეპისკოპოზი, ანგელოზი, პარასკევი; კვირა, ომფორი და სხ. და სხ. ამას გარდა, ისიც საეჭოა, რომ მეგრულ-სვანური ბაჰ—პაჰა (მღვდელი) უღრიდეს ბერძნულს პაჰას, რომელიც მღვდელს არ ნიშნავს (იხ. ბერძნულ-რუსული სრული ლექსიკონი გრაცინსკისა). არა ნაკლებ ამათა სევასტიელ 40 მოწამეთა კვალის ძებნა მარტვილში, ვინაითგან ყველა და ყოველივე ჩვენ მიგვიყვანს ისევ იმავე აბხაზ-დარუბანდისკენ, საცა ჩვენ, გრიგოლის მიერ გაგზავნილთა კვალის მიყოლით ვპოვებთ სებასტიელ 40 მოწამეთა ტაძარსაც (Труды V арх. епѣсѣда, I, გვ. 83), გრიგოლის შეილისშეილის გრიგორისის სასაფლაო ნიშნაც, აშენებულს იქ, საცა აწამეს იგი ბარბაროსებმა (იქვე, გვ. 438). აქვე, დარუბანდს უნდა ვეძებოთ დრზკუთი ანუ დურ-სკუთი—კარი სკვითთა, საელელი გზა იმ კასპეზისა და მასკუტებისა, რომელთა მოსაქცევად, როგორც იცნობების ქორენელი, ზრუნაედა წმ. ნინოც, იმ სკვითებისა, რომელთა ქვეყანას არაბნი იხსენიებენ აბხაზ-ად, ხოლო ქორენელი—პასხ-ად და პუსხ-ად და ამ პსხუების მოსანათლავად წმ. გრიგოლი, ჩანს, გზავნიდა იბირ-პსხუას, ანუ ობრულ=

აბარულად (აფარულად) რომ ვთქვათ, დ'იბირ-ჰსხუას, ჰსხთა მოძღვარს, მოლა-მოძღვარს.

მაგრამ ესეც რომ არ იყოს, არ ვიცი, რად უნდა ვენდოთ თვალდახუჭულად იგეთ საექვო აპოკრიტოს (აგათანგელის არაბულ ვერსიას), ისიც დაწერილს მე-X საუკუნეში ვილაც გამზვიადებელის მიერ, როდესაც გვაქვს მრავალი სომხური, ბერძნული და ქართული უუძველესი დროის წყაროები, რომელნიც საქართველოს მოქცევას სულ სხვანაირად გადმოგვცემენ? ნუთუ ქართველ ისტორიკოს ლეონტიმ (VII—VIII საუკ.) საქართველოს ამბები უფრო ნაკლებ იცოდა, ვიდრე მე-X საუკ. უფიც გამზვიადებელმა?

მაგრამ არათუ ამ არაბულ აპოკრიტის ცნობა, არამედ მარის მიერ ჩვენი მეზობლებისთვის რალაც უპირატესობის მინიჭებაც ქრისტიანობის გავრცელების საქმეში კავკასიას—ეწინააღმდეგება ისეთ შეურყეველ ფაქტებს, ვით მრავალ ქართულ ტაძრებისა და ქართულ ქრისტიანულ სიტყვების არსებობა მთელს კავკასიონს დაღისტნიდგან მოკიდებული იალბუზამდე.

დაშთენილა ქართულ წარწერიანი ტაძრები დაღისტანს (დათუნასი ხუნძახს, სხვა კიდევ წახურს, აღსართანის ციხე ლაგოდენის თავს და სხ.), საჩჩინოს (თხაბაერდის საყდარი, საცა 830 წელს ეპისკოპოსად იჯდა გიორგი), ყაბარდოს (ჯერის მონასტერი), ოსეთს (ნუზალისა და სხ. საყდრები), ჩერქეზს (იალბუზის ძირში). კიდევ ზოგიერთ ამ ხალხების ენებში სახელები დღეებისა: ორშუთ (ორშაბათი), ხიბშაბათ (სამშაბათი), ფერესკინ, ფარასკი (პარასკევი), შოთ (შუოთ), შამათ (შაბათი), კირა (კირინ-დღე)—კვირა, კვირა-დღე; კვლავ სიტყვები: მოძლორ (მოძღვარი), მარხოჟ (მარხვა—ინგ. მარხოჟ), ჯუარ—ჯურე (ჩერქეზ)—ძუარ (ჯუარი), ხუცაუ—ლუცარ—ჰუთა—თჰა (ლუთა; შეადარე კიდევ ხუც(ეს)ი და სხ.

ასეთს და ამგვარს სომხურ ფაქტებს ჩვენ ვერ ვპოვებთ ვერსად, ვერც კავკასიელთა ენებში და ვერც მათს სამშობლოში, თუმცა, შეიძლება, სომხური *ჟუარ* (დიაკვანი) ენათესავებოდეს აფარულს დ'იბირ.

IX

პროფესორ მარჩის „არქაუნის“ გამო.

ბ. მარჩმა 1905 წელს დაბეჭდა წიგნი ამ სათაურით: „Архашъ, монгольское названіе христіанъ, въ связи онъ армянахъ-халкидонитахъ“.

ამ წიგნში მხოლოდ რამდენიმე უკანასკნელი ფურცელი მიძღვნილია „არქაუნისთვის“, დანაშთენი კი უკავია იმის ბეჯით გამოარკვევას, თუ რომელი ნაწილი საქართველოსი სომხეთისა იყო, ანუ თუ სომხების მიერ გაბრწყინვებულ იყო.

ჯერ „არქაუნის“ შესახებ.

მენახულა მონგოლთა მფლობელების აქტები და ბრძანებანი, გამოცემული 1256, 1264, 1270, 1276 და სხვა წლებში, ვიდრე 1309-მდე. მათში იხსენიება არქაუნ-ერქეუნ-არქაონ-არქაიუნ. ნამდვილი მნიშვნელობა ამ სიტყვისა მეცნიერებს ვერ გაუგიათ. ზოგის აზრით მონგოლები აგრე უწოდებდნენო ქრისტიან მღვდლებს, ზოგის განმარტებით — მღვდ.-მონაზონებს, ზოგის შეხედულებით — ქრისტიანებს საზოგადოდ, ზოგის თქმით არქაუნ — არქონ არის იგივე ბერძნული არხონ და მისგან წარმოებული მაჰმადიანთა „ახუნდ“-ი. თვით მარჩს კი ყველა ეს შეცდომად მიაჩნია: „არქაუნ“ უნდა იყოსო სომხური სახელი მელქიტებისა (ქალკიდონიტებისა) სომხურ სიტყვიდამ არქაუნ — მეფური და მონგოლებმა მათ შორის ძველი დროითგანვე (VIII საუკ.) მოსახლე სომეხ-ქალკიდონიტების სახელი არქაუნ, შეიძლება, მერე ყველა ქრისტიანებს დაარქვესო.

ესრეთი დასკვნა ჩვენ ვერ გვეჯერება. ჯერ ერთი, რომ თვით სომხური *արქაუნ* არის იგივე ბერძნული *archai* — მთავრობა, მეფობა და ამიტომაც, ალბად, თვითონ მარჩივე არაბულ არქუნ-ს (*Крещ...*, გვ. 124) ყველგან „*архонтъ города*“-დ სთარგმნის და მეორეც კიდევ, რომ მარჩს, არ ვიცით რა მიზეზით, ქართული უუძველესი და, თითქმის, კითხვის გადაწყვეტი წყაროები სრულიად არ მოუხსენებია თაღისს გამოკვლევაში.

მანგუ ყაენმა (1251—1257) დასავლეთისკენ 60,000 მეორით გამოგზავნა თვისი შვილი ულუ-ყაენი (=ჰულაგუ). მან დაიჭირა ქვეყნები ხორასნიდამ საქართველომდე და მთელი მცირე-აზია. მთელი ეს მიდამო 4 სა-ნოინოდ (ნოინი—ბერძნ. იპატოსი) გაყო და თვითონ აღარბადაგანს სახელმწიფო ტახტზე დაჯდა. ამ დროს მანგუ გარდაცვლილიყო და მთელის იმპერიის ყაენად ყარაყორუმში დამჯდარიყო მისი შვილი ყუბულყაენი. ამ დროს ულოს წინაშე მოვიდნენ ყაენთა შვილები (ქოუნ-ნი) ხარჯის ასაკრებად. ნიკოლოზ კათალიკოსმა ნახარა, რომ საეკლესიო შემოსავალი მცხეთისა, მონასტრების და საეკლესიო მამულების დამცველი აღარავინ იყო, „რამეთუ წარჩინებულნი ამის სამეფოსანი თვისისა ქვეყნისათვის ზრუნვიდეს“, ადგა და თვითონ ეახლა ულუ-ყაენს. დაინახა-რა ყაენმა ეს „ანგელოზთა მობაძავი მოღვაწე და ძლიერი მართლმადიდებელი“, „ღანკვირდა წესსა და ხილვასა შესახედვისა მისისასა, რამეთუ არა შეცნაერ იყო ნათესავსა ქრისტეანეთასა თუნიერ არქჳანთა და პატივისცა პატივითა დიდითა“ (ქართლ. ცხ., 380).

ცხადია, თუ არქჳანი (=არქაიუნი) სომხური სახელი ყოფილიყო ძველადგანვე აზიაში მოსახლე სომეხ-ქალკიდონიტებისა და მერე მათგან ყველა ქრისტიანებისა საზოგადოდ, მონგოლთა ყაენი ქართველ-ქალკიდონის (მართლმადიდებელ ქართველის) დანახვაზე ვერ იტყოდა დღემდის „არა მეცნიერ ვიყავ ნათესავსა ქრისტიანეთასა თვინიერ არქჳანთა“.

არქაიონი, ჩვენის ფიქრით, არის იგივე არქაიონი, ე. ი. მთავარი იონი, ბერძენი. ჯერ ეხლაც აზიაში ჩამომავლობას სარწმუნოებით აღნიშნავენ. ყველა მაჰმადიანი—თათარია. უწინაც ასრე იყო: ბიზანტიელის შეხედულებით, ყველა მართლმადიდებელი ბერძენი იყო. ა. რამბო ამბობს (*L'Empire grec au dixième siècle*): „ბიზანტიაში მნიშვნელობა ჰქონდა არა ენას და გვარტომობას, არამედ ნათლისღებას: მართლმადიდებლობა ბარბაროზსაც უხსნიდა მმართველობისა და ეკლესიის კარს“. ამიტომაც, ვინც მართლმადიდებლობდა აღმოსავლეთ-

ში, ყველას ბერძენს უწოდებდნენ. მაგ., არაბთა მწერლები, ვით Bar Hébraeus, არქაიონად უწოდებდნენ გაქრისტიანებულ თათრებს (ბროსე. Hist. de la Gr. გვ. 561). არაბთავე მწერალი შერიფ-ედ-დინი თვით ქართველებს უწოდებს ირქაუნებად. 1395 წელს ლანგთემური წავიდაო ქართველ ნაციას ირქაუნებში, აიღო ფოლადეთი და შევიდაო ბელაქანს (ბროსე, Addit., გვ. 389). აბოს ცხოვრებაში (დაწ. IX ს. დამდეგს) იმერეთი აფხაზეთიდან ტრაპეზუნამდე (ი)ონთა მეფისად სწერია (გვ. 19).

დარჩენილა ცნობა შესახებ?ორიოდე პირისა, რომელნიც თვისს სახელს ტიტულად უმატებენ იმავე „არქაიუნს“ — არქევანს და რომელნიც შუამავლობას სწევდნენ მონგოლთა ყაენებსა და დასავლეთის მეფეებ შორის. ამგვარი იყო, მაგალ. საბადინ-არქაუნი, რომელიც არღუნმა პაპის წინაშე გაგზავნა 1288 წ. („არქაუნ“, გვ. 66) და ამგვარივე ქართლ. ცხოვრების (გვერდი 394) ენუქ-არქუნი, „კაცი მართალი და პატივოსანი, სჯულთა ქრისტეს ჯურისა თაყუანისმცემელი“, კაცი, რომელმან „უთავსდება ყაინს, რათა არა ევნოს დავითს (მეფეს) და ძესა მისსა გიორგის, რომელიც თვით მივიდა დავითის წინაშე, შეჰფიცა და წარიყვანა ძე მისი გიორგი. შევიდეს ტფილისს და მუნ მოეგებნეს ყოველნი მთავარნი და ერისთავნი. საქართველოსანი. მცირე ხანს ქალაქში დარჩნენ და მერე წავიდნენ ურდოს. იქ ენუქ-არქვანი დიდად დაეხმარა დავით მეფეს და მის მეცადინეობითვე ტახტი დაუბრუნდა (ქართ. ცხ., 394—396).

ახლა კლარჯეთისა და ჰერეთის შესახებ.

წინად ჩვენ გვეგონა მართო დილეტანტები სწერენ, რომ არაგვი, მტკვარი, იორი, ალაზანი და ქოროხი სომხეთის მდინარეებიაო და ბორჯომიც სომხეთის მიწა (В. А. Абаза История Арменіи. СПб., 1888; Гр. Жаншіевъ. Перл. Кавказа. Москва. 1890). ახლა გამოჩნდა, რომ თვით მართო თურმე ამასვე ამბობს ცოტა რამ გამოკლებით.

იგი სწერს:

თავდაპირველად სომეხთ ეკლესია ქალკიდონური იყო. შემდეგში არა-ქალკიდონური რომ შეიქმნა, ქალკიდონურობა მაინც სრულად არ მოისპო. მერვე საუკუნეში სომეხ-ქალკიდონებსა და სომეხ-არაქალკიდონებს შორის ცხარე ბრძოლა იყო. მეცხრე საუკუნეში სომეხ-ქალკიდონები სომხეთში გაბატონებას ესწრაფოდნენ. ამ დროს ჩრდ.-დასავლეთი სომხეთი ოლქებითურთ კლარჯქ (!) და ტაიქ (!) უკვე მათს ხელში იყო. ქალკიდონობას აქ მხურვალე შემწეობას უჩინდნენ არათუ ბერძნები, არამედ ქართველნიც. ამ ქვეყნის მფლობელი ბაგრატიონები უკვე ქალკიდონები იყვნენ (ნუთუ რად სმე არაქაჯკიდანებიც იყვნენ ეს ბაგრატიონები *)?) და ეს არა მცირედ შევლოდა ქალკიდონობის გამარჯვებას ამ მხარეში. სივნიეთისკენაც გზას იკაფავდა ქალკიდონიტობა საქართველოდამა და ალბანიიდან. ალბანიაშიაც იშლებოდა ბრძოლა ქალკიდონებსა და არა-ქალკიდონებ შორის და არც ისინი და არც ესენი არ ინდობდნენ ალბანიის (?) ნაციას. ქართველოზე ქართველების გაბატონების გზას ამზადებდა, არა-ქალკიდონობა—სომხებისას. დასავლეთი მისი ნაწილი, ასე ვთქვათ, ქართული ალბანია, მართლაც, კიდევ გაქართველდა (!), ეს ძველი ოლქი ტერეთი, მერვეთ კახეთის საზღვრებში შევარდნილი. მაგრამ აქაც, ტერეთშიაც ქვეყნის დაშენებაში ქართველებს უსწრეს სომხებმა, ასე რომ ქართველდებოდნენ სომხები (!), საკუთრივ გასომხებული (!) ალბანელი, ოუ (!) დავით გარეჯელის ცხოვრების ერთს ჩვენებაზე დავაფუძნებთ მთელის ქვეყნის ეთნოგრაფიულ ხარაქტერისტიკას, როგორც ამას სჩადის ბროსე თავის Hist. de la Géorgie-ის Infroduction-ში. გარეჯელის ცხოვრებაში დაწერილებით მოთხრობილია შემთხვევა „ბარბაროზის“ ბუბაქარის მოქცევის შესახებ: ამას წმიდანი სომხურად ელაპარაკებოდა (გვ. 7). სომეხ-ქალკიდონების დენაციონალიზაციის სეოხებით საქართველო გამდიდრდა (შაისმინეთ!) ორის

*) ქვ.გახაზულობა და გაკვირვებითი წიშნები ყველგან ჩვენია.

ფრიად ნაყოფიერის, ქართველთა კულტურულ ცხოვრებაში პირდაპირ ბრწყინვალე ოღქით — ტაო-კლარჯეთით. აქ, მდინარე ქოროხის ხეობაში, მერვე (!) საუკუნითგან გაძლიერდნენ არტანუჯელი ბაგრატიონები. ვინ არიან ბინადარნი ამ მისადევრისა (paиона), ღღეს ჩვენ ეს არ გვაინტერესებს. ალბად, რომელიმე (!) გვარ-ტომი ლაზთა ანუ მეგრელთა (ლაზნი და მეგრელნი ძმური მონათესავენია ქართველებისა), მაგრამ მე-VII საუკუნეში კი ეს ქვეყანა იყო სომხური (!), ყოველ შემთხვევაში სომხური ელფერი (!) ჰქონდა და აქ ყვაოდა, სჩანს (!), სომხური (!) ქალკიდობა. ეს კუთხე (ტაო-კლარჯეთი), ოღესღაც სომხური (!), მე-XI საუკ. თითქმის (!!!) სრულად ქართული შეიქმნა... მხოლოდ VIII—IX საუკუნეში (!) ქართველებმა აქ იწყეს შენება მონასტრებისა, დაიწყეს აქ დამკვიდრება ჩოხოსან ქართველებმა სომეხთა დაქვრივებულ შენობებში, რომელთაგან უმრავლესთ(?!) ისევ შერჩათ სომხური სახელები. და ამ ეპოქაშიაც, მე-IX მე-X საუკუნეებშიაც კი, ქართველი ბერები გარშემორტყმულ იყვნენ თუმცა ერთმორწმუნე, მაგრამ უცხო მოდგმა სომეხ მცხოვრებლებთაგან“ (არქაუნ, გვ. 2, პ. 6, 17—22).

სულ სხვას გვეუბნებიან არსებული წყაროები და მათ მიხედვით დ. ბაქრაძე სწერდა: „არქეოლოგიურ ფაქტების მოწმობით არაფითარი კვალი სომხეთის ბაგრატიდებისა არსად ქოროხის ხეობაში არა ჩანს არც მე-X საუკუნეში და არც მის წინა“ (ვახუშტი, გვ. 110); „არქეოლოგიურმა შესწავლამ ტაოსამ მოგვცა შეურყეველი ფაქტები, რომელნიც გვიმტკიცებენ, რომ აქ არსად არ არის არც ერთის საუკუნის კვალი სომხეთის მფლობელობისა“ (იქვე, 138, შენ. ბაქრაძისა).

მაგრამ ბაქრაძესა და დანარჩენ ქართულ წყაროებს, თუნდ სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებასაც, რა დაეჯერება, ესენი უთუოთ ან ყალბნია და ან ნაციონალურს ჰანგზე დაწერილნი! აი, სულ სხვაა სომხური წყაროები ან ასურული თუ არაბული! იმათგან ზოგიერთი თუნდ გრენისებრ მთხუპნელი იყოს, მაინც მისი ნათქვამი ქართულზე უკვე

შმარიტესი იქნება! მაგრამ ამისთანა რა საკადრისია, ჩვენ უკეთესს ავტორიტეტს მივმართავთ მარრის ნათქვამის შესამოწმებლად. იმ დროს (VII—VIII ს.), როდესაც მარრით სომეხ-ქალკიდონიტობა ყვაოდა ქოროხის ხეობაში, მ. ქორენელი სწერს: „ივერიაში შემდეგი ქვეყნებია: 1. კლარჯ, 2. ატაჰან, 3. შავშეთ, 4. ჯავახი, 5. სამცხე, 6. აჭარა, 7... თორნის-ხევი, მანგლიაც-ფორ, ქვიშა-ფორ, ბოლნო-ფორ,... ტრელი, კანგარი, ტაშირი, აჩაი, გუანი, ერისხი, კულიტი, კოსხი, საცხუმეთ, ხანიცხ, ტიფლის, შამშუდე, მცხითა (Арм. геогр., 39—40).

სულ სხვა კითხვაა, თუ ქორენელს ასე რად „უწვალე-ბია“ ეს ქართული სახელები, ის კი ცხადია, კლარჯეთი თუ სომხებით დასახლებული ყოფილიყო და მით უმეტეს გაბრწყინვებული, ქორენელი არ დამალავდა ამას, რადგან მას მომატება უფრო უყვარს, ვიდრე დაკლება!

მაგრამ ქორენელისა თუ ბერძნულ-ქართულ წყაროების ცნობა რა არის იმისთანა საბუთების წინაშე, ვით სომხურ-სახელიანი მონასტრები კლარჯეთში და, მაშასადამე, სომეხი მცხოვრებნიც იქაურობაში.

თი თუნდ პალესტინა და წმ. ქვეყნები საზოგადოდ — განა სულ მთლად ქართველებით დასახლებული არ იყო, რომ იქ ქართველებს ჰქონდათ 22 ქართული მონასტერ-საყდარი! პეტრე-ივერმა რომ „დააქვრივა“ მაიუმის კათედრა, განა მთელი ეპარქია ქართველებით მკიდროდ დასახლებული არ დასტოვა! მარტო ანტონი კათალიკოზმა, ნერსე კათალიკოზივით სამშობლოდგან გაძევებულმა, ნოვგოროდიდგან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იქ არც ერთი ქართველი არ დასტოვა! აჰა, ნერსე კათალიკოზი (635—643) ასრე რად მოიქცეოდა: მართლმადიდებლობისათვის დამხობილმა და საქართველოს მიერ შეწყნარებულმა (643 წლიდამ 650 წლამდე), მერე ისევ მიწვეულმა სამშობლოს (650—661), მთელს ქოროხის ხეობაში დააქვრივა მრავალი მონასტერი, რომელთაგან უმეტესს ისევ სომხური სახელი შერჩა, და ათჯერ იმაზედ ბევრი აქ დასტო-

ვა სომეხ-ქალკიდონიტები, რომელთაც მალე სომხურიდამ დაუთარგმნეს ქართველებს უამრავი წიგნი, და გააბრწყინეს-რა და გაანათეს მთელი ტაო-კლარჯეთი, ჩააბარეს იგი წიგნებთანა ება-ლია ქართველებს და ისე კი რომ თავისთვის არც ერთი წიგნი აღარ დაიტოვეს და ახლა მარჩი მათსავე მათ ქართულიდამ უკანობლივ უთარგმნის!!

ჩვენ ერთი რამ ვერ მოგვირიგებია ღარის ნათქვამთან, ეს—იმავე ქორენელის ცნობილი დახასიათება (თ. LXVIII) თანამედროვე სომეხთა მოწინავე წოდებისა და კაცებისა. თუ ქორენელის ხსენებულს დახასიათებაში სიმართლის ნატამალი მაინც არის, როგორ შეიძლება დავიჯეროთ, რომ ერთმა და იმავე ხალხმა სხვის მამულსა და სხვის წიგნებზე უფრო მეტი შნო და ნიკი გამოიჩინოს ვიდრე თავის მამულსა და თავის წიგნებზე, როგორ შეიძლება სხვა ააყვავოს, გააბრწყინოს უმეტეს თავის თავისა? ამას ჩვენ ვერ ვიჯერებთ, რადგან ჰგავს ზღაპარს შესახებ იმ ბერისა, რომელმაც ქართველებს სრული ანბანი „გამოუგონა“, თავისებს კი ფრიად ნაკლული.

დიდებულ და ნიჭიერ ერს სადღა სცალოდა ჩვენ გასაბრწყინებლად იმ დროს სწორედ, როდესაც შინ მოსვენებას არ აძლევდნენ სხვა და სხვა მტარვალნი, არ აკლიდნენ ფრთა გაეშალა, თვისი ბუნებრივი ნიჭი გამოეჩინა, თვისი ქვეყანა გაებრწყინა.

(სომეხთა შევნიერი და ერთ დროს ძლიერი სამეფო 433 წელს გაიყვეს სპარსებმა და ბერძნებმა. ამას მოჰყვა სპარსთა მარჯანობა (433—632), შემდეგ მოვიდა ბერძნთ კურატჰაღატობა (632—702), მერე დამასკოს ხალიფთა ოსტაჰანობა (702—1021) და ანის დარბევის შემდეგ არფასარანის მიერ 1064 წ. დიდის სომხეთის უკანასკნელ მეფე კაკიკმაც სული განუტევა 1079 წელს. „სომეხთ მეფენი, მტერთ სისხლთ მჩქეფენი, ღმერთმან არ ღირსყო უფლებათასა“, ამბობს შავთელი).

რაიკ შეეხება „ჰერეთის სომეხების გაქართველებას“ და „აღბანის ნაციას“, მაზედაც ცნობებს მოკლებულნი არა ვართ. პროკოპი კესარიელი († 565 წ.) სწერს: „აზიის ივერ-

ნი ცხოვრობენ კასპიის კარებთან. ეს კარები მათ ჩრდილოეთის მხრითაა. ივერთ მარცხნივ დასავლეთისკენ ლაზიკაა, მარჯვნივ აღმოსავლეთისკენ სპარსთა ქვეშევრდომი ხალხები“ (დესტუნისის თარგმანი, გვ. 56). პლინიუსით: მთელ ვაკეზე მტკვრის მიყოლებად ცხოვრობენ ალბანელნი, მერე ივერნი. ამათ შუა ალაზანია, რომელიც კავკასიონიდან გამოდის და ჩადის მტკვარში (ჰანის თარგ., გვ. 117). მაშასადამე ალაზანს გამოდმა მთელი ივრის ხეობა განჯის გამოსწვრივ კუთხიდან (აქ ალაზანი ერთვის მტკვარს) და მტკვრის გამოყოლება ქვეყანა ყოფილა ჩვენი ივერია, რომლის სახელი შევნიერად შეუწინახვთ სახელებს: „ვერა“, „ივრის-ხეობა“. და 29—79 წლებში, როდესაც ცხოვრობდა პლინიუსი, ალბანელთა სამეფო, მისივე ცნობით, მიუწევდა კასპიის ზღვამდე და ამ ზღვის მათ კუთვნილ ნაწილს ერქვა „ალბანიის ზღვა“. დარიალის ყელს, რომელსაც აბაზა სომხეთში შემავალ კარად აცხადებს, პლინიუსი ივერთ კარად აღწერს (გვ. 109). ნინოს დროს ალაზანი აღარ იყო ივერ-ალბანიის მიჯნად. გორგასლის მეფობაში ალბანიას ნუხიდგანა და თუშეთიდგან მიყოლება კავკასიონის მწვერვალამდე და ხუნძახამდე ჰპართავდა ამ მეფის ერისთავი. მეხუთე საუკუნეში ივერიის აღმოსავლეთ მიჯნად ითვლებოდა ხაღჩაღი ნუხის მაზრისა (კელანკატვაწი, გვ. 86). შეექმსე საუკუნეში მთიელთა გაქრისტიანებისთვის მუშაობდა აბიბოს ნეკრესელი. მეშვიდე საუკ. გასულს ალაზან ვალმა მთებში დამოგზაურობდა არჩილ მეფე († 718 წ.), იქ აშენებდა ციხე-სოფლებს და დაბა კაკში (=კაკი=კახი) მთაზე ააშენა კასრის-საყდარი (ამავე დროის წმ. ნისიმეს ცხოვრებაში კასრად იწოდება თროგლოდიტურ შენობათა მაგვარი კასრით მიწაში ამოყვანილი სახლ-მღვიმე; კასრის-საყდრის ეზოშიაც ქვითკირით გაკეთებულია ასრეთი კასრ-სახლი, რომელსაც გვერდით უზარმაზარი ქვევრი უდგას). მერვე საუკუნიდგან მთელს კახეთში უკვე ისხდნენ ქორიკოზები და მერე მეფეები. ერთმა ამათგან —ახსართანმა (მე-XI ს.) ააგო ძლიერი ციხე ლაგოდების თავს კავკასიონის ღელეში და მასზედ მისი აშენების ამბავი წააწე-

რა ქართულის ანბანით ქართულს ენაზე (იხ. ვახუშტის გეოგრაფიაში ჩვენ მიერ შეკრებილი ქართ. წარწერები, ნაპოვნი ძველს ალბანიაში, უნიშ. 267 და სხ.). ქალკილონის კრების (451 წ.) შემდეგ სომხობა რომ გამოეყო მართლმადიდებლობას (ქალკილონობას), სერეთის ქართველებიც არა-ქალკილონიტებს მიეკედლნენ და ესე იყო. თითოაოროლა შემთხვევას გარდა, მე-X საუკუნემდე, როდესაც იგინი დინარ დედოფალმა ქალკილონობას შემოუერთა (საფიქრებელია, არა ყველა აქაური ქართველობა, ვინაითგან მათ შთამომავლობათაგან ბევრნი არა-ქალკილონები არიან დღესაც, მაგალ., სიღნაღსა და მის გარემო სოფლებში).

და რომ „ეგ“ ალბანელნი და ეს ივერნი ერთს ნაციას შეადგენდნენ, ამას მოწმობენ არათუ მარტო ქართ. მატიანე, კახთ წმიდანების ცხოვრება, იქაური გეოგრაფიული სახელეები, ერის ენა, ზნე-ჩვეულება, არამედ თვით ისტორიკოსი ტაციტიც, რომელიც ამბობს (Annales, VI, 34): „ივერნი და ალბანელნი თავიანთ თავს თესალიელთა შთამომავლად სთვლიან და ამბობენ, რომ აზონმა, შოიტაცა-რა მედგა და გაიჩინა-რა მასთან შვილები, მის (მედგას) მამის აიეტის სიკვდილის შემდეგ მოვიდა კაფხიდის თავისუფალ ტახტის დასაქერად“: ეს ცნობა ტაციტისა (ცხ. 56—117 წ. ქრ. შ.) ფრიად საყურადღებოა, ვინაითგან თვით კოლხების ტომისანი, როგორც იუწყება ქრისტეს წინა დროის მწერალი ჰეკატე (ჰან, გვ. 8), იყვნენ აგრეთვე მოსხნი (=მესხნი), ე. ი. იგივე ქართველნი, რომელთაც ნა წლ. ქრ. წ. ეწოდათ იპირნი, ალბად, (იბირიან-აბაშ-ბარათა-ორბელ-გუგუნავათა გადმოსახლებისა და მათ მფლობელობის გავრცელების გამო კახეთილამ ქოროხის თავამდე.

თვით ბარბაროზ ბუბაქარის აშბაეიც ვერაფერი საბუთია. „თუ ბროსეს დავუჯერეთო“, ბრძანებს პატივცემული მარრი. „თუ“-ზედ აშენებული დასკვნა სერეთის სომხობის შესახებ რა სარწმუნოა? მაგრამ ბროსე ამასაც არ ამბობს.

გარეჯელის ცხოვრება იუწყება, ვილაც ბარბაროზი ბუ-

ბაქარ გარეჯის მთებში სანადიროდ გამოვიდა და მლოცველ დავითს ზედ-წაადგა და დავითი სომხურად დაელაპარაკა ამ ბარბაროზსაო. ბროსეს კი ეს ასე გაუზვიადებია: „Quand S. David Garedjel arrivait dans le Cakhet au VI s., il y trouvait un seigneur arménien (Hist. de la gè., Introd., p. X). მკითხველმა თვითონ განსაჯოს, თუ რაოდენი სიმართლეა ბროსეს თარგმანსა და დასკვნაში: სომეხი მთავარი ნახაო!

ბარბაროზი ბუბაქარ დავითს შეხვდა მის გარეჯაში მისვლის დასაწყისშივე. თუ ბუბაქარ მართლა სომეხი ყოფილიყო, იგი ამ დროს (VI ს. გასულს) საეკოა ყოფილიყო „ბარბაროზი“, ე. ი. არა-ქრისტიანი, მეტადრე თუ ნახარარიც (==მთავარი) იყო. სომეხი კი არა, ალბად, იგი იყო აქ გაღმობეწილი ავართაგანი ვინმე, იმ ავართაგანი, რომელნიც გამოჩნდნენ იუსტინიანეს მეფობაში და თავზარი დასცეს როგორც იმპერიას, ისე კავკასიას კასპიის ზღვითგან შავ ზღვამდე საქართველოთურთ. როგორც იუწყება ერეკლე II („ივერია“, № IV, 1884), მეფე გურამმა († 600 წ.) იგინი შეირიგა, მათი ბრბოები დაასახლა კავკასიონის დელეე-ყურეებში, ხოლო მათნი წარჩინებულნი კი თვით საქართველოში დააბინავა. ერთი ამათგანი, შეიძლება, ყოფილიყო ეს ჩვენი ბარბაროზი, რომლის სახელი ბუბაქარ აგრეთვე არა ადგილობრივია: თამარის დროს სხვა ბუბაქარი ანუ ბობქარი კასპიის ზღვის იქითიღამ მოვიდა. ალბად, დავითმა, თვალი მოჰკრა-რა თავზე წამოდგომილ უცხო ბარბაროზს, იფიქრა მოსული სომეხი იქნებოდა და სომხურად დაელაპარაკა და სომხური კი დავითს უნდა სცოდნოდა, როგორც შუამდინარელს. ამ ბარბაროზის მოსვლამდე გარეჯაში ბევრნი სხვანიც მოდიოდნენ კახეთიღამ სანადიროთ აქაურ მთებში, საცა მრავალი ნადირი იყო

ბარბაროზ ბუბაქარის ჩამომავლობის ამგვარს ჩვენს გან-

*) იმგვარი სახელები, ვით ბუბაქარ. იშხან, ხაყან, შატ, ბოსტანი, იადგარი და სხ. ჩვენში შემოიტანეს თურქებ-ავარებმა და ბირიან-აბაშებმაც ალბად.

მარტებას მხარს უჭერს აგრეთვე ლეგენდა იმავე დავით გარეჯელის თანამოღვაწის იოსების მიერ ალავერდის ტაძრის აშენების შესახებ. მოთხრობა სრულიად ჰერთნაირია, გარდა მათში მოქმედ პირებისა. ბარბაროზ ბუბაქარის მაგიერ ლეგენდაში სმარსკეთილად მოსული მტარვალის ალავერდი—ხანია, შაჰაბაზის მოხელე (იხ. „ივერია“, 1887, № 91). შეადარე:

გარეჯ. ცხ.

დავით გარეჯელი ხელაპურობით ღოცულობს გარეჯის მთებში.

კაკაბს ფენდაფებს მოსდევს ბარბაროზი ბუბაქარ.

კაკაბი კალთაში უვარდება დ. გარეჯელს.

ბუბაქარი კაკაბის დათმობას სთხოვს დავითს. იგი არ უთმობს.

ბუბაქარი, განძინებუდი, აღმართავს ხმაღს მადღა, რომ დაარტუას დავითს, მაგრამ ხელი ჭაქშივე უშეშდება.

დავითის ღოცვით იკურნება ბუბაქარის ხელი და იგი ქრისტიანდება და დავითს შეეღის გამოქვაბულების გამოკვეთაში.

როგორც ვხედავთ, აქ მარტო მსგავსება კი არ არის, არამედ სრული იგივეობაა, მხოლოდ არა სჩანს, კახეთის ბერი რომელს ენაზე შეეუბნა სპარსელს ალავერდისხანს. რომ დღაპარაკებოდა სპარსულად, განა უფლებს გვექნებოდა გვეთქვა კახეთში თავდაპირველად სპარსები ცხოვრობდნენ და მერე გაქართველდნენ, თუ ალავერდელის ცხოვრების ერთს ლეგენდარულს ჩვენებაზე დავაფუძნეთ მთელის ქვეყნის ეთნოგრაფიული ხარაქტერისტიკაო?

ფეიქრობთ, არქაუნის გამო აღძრული კითხვები აჩქარებულად გადაწყვეტილია და მათ ჯეროვან გასაშუქებლად სა-

ლეგენდა ალავე. აშენებ.

წმ. ბერი ხელაპურობით ღოცულობს ალაზნის ზირას.

კაკაბს ფენდაფებს მოსდევს ალავერდი ხანი.

კაკაბი კალთაში უვარდება წმ. ბერს.

ალავერდი კაკაბის დათმობას უბრძანებს ბერს. იგი უარს ეუბნება.

ასრევე ემართება სწორეთ ალავერდისც.

ბერის ღოცვით იკურნება ალავერდის ხელი და იგი ემხრობა კახელებს და მუსრს ავლებს სპარსთა ღაშქარს.

კირია ხელახალი გულდასმითი შრომა ქართულ მასალების მიხმარებით.

X

რა საჭირო იყო უნდლილი მასალის გამოლაგება.

უუწმინდეს სინოდს მარრმა მოახსენა მრავალი უგბილი-მასალა (Церк. Вѣдом., 1907, № 3 და № 4). ორიოდე მა-გალითი:

გვ. 116: საქართველო—ადგილია სომხეთში, ბერძნულის მსგავს ენით. ჭუაფს შეუფუკა (царекъ), რომელიც უაენს ემარჩი-ლებს.

გვ. 117: დასავლეთ საქართველოს ტომებმა, უფრო ღრმად შემთვისებლებმა საქრისტიანო სიტუეისა დვიძღს, ანუ ყოველ შემ-თხვევაში უფრო მონათესავე ენაზე (?!), წინ წამოაყენეს მხნე მო-ქმედნი, რომელთაც თავის უკან მიიუოლიეს ქართლელები და კახე-ლები ჰადესტიანს, სინას, უღუშობს და ბოლოს ათონს, შავმთას და ყველგან დააფუძნეს ქართული სამონასტრო ახალშენები.

გვ. 121: უფრო უძველესია ქრისტიანობა ივერიაში—დასავ-ლეთ საქართველოში, საცა მე-VIII საუუნეზმდე საღვთისმსახურ-ა ენა იყო ბერძნული (გვ. 117). ამ ივერიას, დასავლეთ საქართვე-ლოს, რეაღურად შეეხება თქმულება ნინო განმანათლებელზე.

გვ. 122: თუ მოუხეშავ-კომიურ ქართლ. ცხოვრების ნამბში შესახებ ვახტანგ გორგასარის მიერ ბერძენ ეპისკ. მიქელისა არის თუნდ რამე ისტორიულ სიმართლის ნაწილი, მაშინ ანაქრონიზმისა და ვახტანგის ლეგენდარულ ჰირონების გამოტოვებით თქმულება შეიძლება დაეგრძნოს დასავლეთ საქართველოს სინამდვილეზე.

გვ. 121: ივერიას, დასავლეთ საქართველოს შეეხება რეაღურ-ად თქმულება შესახებ განმანათლებელის ნინოსი და ასეც (!!!) გაღმთგვცემს თეოდორიტი... ვით რუფინშია, განმანათლებელი აქ უბრალო ტუკვა. ლეგენდარულია ამ თქმულებაში კოსტანტინე დი-დის მიერ გამოგზავნა ეპისკოპოსისა.

გვ. 111: საქართველო ბართლომე მოციქულის სამოქმედო წილია. ამ გაღმთგვცემას ხელს აწედიან სომხეთიღამ სიროული წყა-

რეები (?!), რმდეების სიტყვით მოციქ. ბართლომეს მოუქცევია შინა-
განი სომხეთი, ე. ი. სირიელის თვალებზედგით, ჩრდილოეთი მისა
ნაწილი საქართველოთურთ (!!!).

საქართველოს საყდარი (და მისი კათალიკოზ-პატრიარქი)
დაქრდნობილი იყო ოთხს სიმტკიცეზე, რომელნიც იყენენ ან-
დრია, წმ. ნინო, ივერია-მცხეთა, ვახტანგ გორგასალი (კათა-
ლიკოზის დამადგენელი). ეს სწამდა მსოფლიო ეკლესიას და
ამით ამყობდა საქართველოს ქრისტიანობაც. მარტო, დამყა-
რებულმა სხვა და სხვა აპოკრიტებზე, ამას ძირი გამოუთხარა
და გამოუთხარა არა თავისს კაბინეთში, საცა მას, როგორც
ყოველს სხვა მკვლევარსაც, ნება აქვს თავისებურად იძიოს სა-
ქართველოს წარსული, არამედ უწმინდეს კრებულის წინაშე,
საცა ასე თუ ისე უნდა გადაწყვეტილიყო ქართული საკათა-
ლიკოზო კითხვა. ძირი მით გამოუთხარა, რომ სრულიად დაი-
ვიწყა, სად იყო და რად იყო, არ გაიხსენა შოთას ბრძნული
სიტყვები—ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმი-
თაც დაშავდებისო,—და საქართველოს საყდარს გამოაცალა
ოთხივე სიმტკიცე—ანდრია, ნინო, ივერია-მცხეთა და ვახტანგი
და მათ მაგიერ წამოაყენა ბართლომე, ვილაც ტყვე ქალი, იმე-
რეთი და ვილაც მითიური მეფე!

რა საჭირო იყო ამდენ უნდილ მასალის მოხსე-
ნება და აღნიშნვა უუწმინდეს კრებულის წინაშე, რა სა-
ჭირო იყო გახსენება, რომ საქართველო იყო „ადგილი
სომხეთში“, ივერია იყო იმერეთი, ტყვე განმანათლებლის
ამბავი რეალურად შეეხებოა იმერეთს, აქ იყო ბართლომე
და არა ანდრია, რა საჭირო იყო ამდენი უგბილობის დექვა,
უნელეებლის გახსენება? ან გახსენება თუნდ კიდევ იმისა, რომ
საქართველო იყო ქვეყანა „ბერძნულის მსგავს ენით?“ განა
მარტო თვითონ კი სწამს ესა? განა თვითონ მარტო არ არის,
რომ თავის ლინგვისტიურ სამ-ასოიან თეორიის ძალით ამტკი-
ცებს ქართული არიულ-ბერძნულისა კი არა, სემიტურ ენების
მონათესავეა? მაშ თუ არა სწამდა და ესე იყო, რაღად მიჰ-

ქონდა ესეთი უნდილობა უუწმ. სინოლის წინაშე? ნუთუ უუწმ. კრებული დაიჯერებდა იმას, რაც თვითონ მარს არა სჯეროდა?!

თუ ივერიისთვის კათალიკოსს სთხოვდით, უნდა გელაპარაკნათ მხოლოდ იმაზედ, რაზედაც ეს კათალიკოსობა ემყარა და ესვენა და არა რაღაც ისტორიულ აბრაკადაბრაზე, რაიც ამ კათალიკოსობას ბუნებრივ ბალავარს უშლიდა, უნგრევდა, უფხვრიდა.

თქვენს კაბინეტურ ნაკრებ-ნაზრახ-ნაგონს რა ადგილი ჰქონდა იქ, საცა სწყდებოდა კითხვა: მიეცეს თუ არა კათალიკოსი საქართ. საცა მართლმადიდებლობა ეცემა, ძაბუნდებოა?

და აი რა შთაბეჭდილება იქონია ამ „მეცნიერულ“ მოხსენებამ დამსწრეებზე.

პროფეს. ბუტკევიჩი: „მარს გადაუწყვეტია, ძირეული ცვლილება მოახდინოს ყველა იმაში, რასაც აქამდე ჰეშმარიტებად იძლეოდნ ისტორიკოსნი საქართველოს ეკლესიისა“ (II. B., № 3, გვ. 143).

პროფ. გლუბოკოვსკი: „Тутъ (მარის მოხსენებაში) начинается новая партія въ другомъ діапозѣ, а мой слухъ уже привыкъ къ старой мелодіи объективнаго ученаго виртуоза... Въ каноническомъ обоснованіи и предрѣшеніи проф. Марръ пока не склонилъ меня на свою сторону. (იქვე, № 4, გვ. 149).

დეკ. ვასტარგოვი: „Въ выслушанномъ докладѣ мы видимъ, что требовать автокефалии, какъ чего-то должнаго и обязательнаго, грузины не могутъ“. კითხვის გადაწყვეტა მაინცა და მაინც კანონიერის თვალთხედვით კი არ შეიძლებაო, სავალდებულო უფლების მოსაზრებით კი არაო, არამედ მხოლოდ ეკლესიურ სიკეთის თვალთხედვით (№ 4, გვ. 118).

ამაზე უარესი შთაბეჭდილება იქონია ჩემზე ხსენებულ მოხსენებამ და, ჩემის ფიქრით, საყვედურის ღირსნი არიან ის ქართველნი, რომელთაც პროფესორი მიიწვიეს კრებაზე მის მოხსენების ვითარების გაუცნობლად.

XI

ქართული ნამდვილიც ყალბად ჩნდება.

„ქართლის მოქცევის“ მე-13-ე თავში მისი დამწერი იაკობი ამბობს: „ჩვენ მოვქერით (ხე მცხეთაში) და ჰოვიტანეთ. იყო ხილვად მისი (იაკობის და მის თანაშემწეთა მიერ მოქრილ ხისა) მშვენიერ და სულ ჰამო, ვითარცა ვიციოთ ხისა მისთვის ალვისა“.

„თუ მოსქრეს და მოიტანესო“, განაგრძობს ი. ჯავახიშვილი (Пропов. дѣят. ап. Андрея и св. Нины въ Грузіи, გვ. 84), და ამ მოქმედებაში მონაწილეობას იღებდა იაკობი, მაშ რილას მაქნისიაო „ვითარცა სმენით ვიციოთ?“ იგი თვალით-მხილველი იყო და არავითარი საჭიროება არ მოითხოვდა, რომ სმენით გაეგო. მაშასადამე, თქმულება პატიოსან ჯგერის შესახებ შეუძლებელია ეკუთვნოდეს იაკობს და მისი სახელი, როგორც ავტორის, უსაფუძვლოდ ნაჩვენებია ცხოვრების სათაურში“.

ჯავახიშვილს ვერ წარმოუდგენია, რომ შეიძლება ხე, მდგომარე განმარტობით სადმე კლდეზე, მოსქრა, მისგან ჯგერები გააკეთო, მის ფოთლების შრიალი და სურნელოვანება იგრძნო, ხოლო მის სამკურნალო თვისებაზე სრულიად არა იცოდე-რა იმის მეტი, რაც სმენით გაგიგია მონადირეთა თუ მავალ კაცთაგან. და ეს ხომ ასეც იყო ნამდვილად.

იმავე ხის შესახებ იაკობის თანამედროვე მირიანი სწერს: „და ოდეს მაუწყა (წმ ნინომ) აღმართებაჲ (ჯგერისა), წარვავლინენ ხურონი ძიებად ხესა, და ვითარ პოვეს ხს ერთი მარტოჲ მდგომარს კლდესა ზედა, რომლისადა არა მიხებულ იყო კელი კაცისაჲ, არამედ მონადირეთაგან სმენით გუესმინა სასწაული ხისაჲ მის, რამეთუ ოდეს ირემსალა ეცის ისარი, მიივლტინ ბორცსა მასა ქუეშს, რომელსა ზედა დგა ხს იგი, და სწრაფით ქამნ თესლსა მას მის ხისასა ჩამოცვენულსა და სიკუდილისაგან განერის. ესე მითხრან და ვიყავ დაკვრებულ.“

ამისთვის მოვკუეთე მე ხც იგი და შეეკმნენ მისგან სამნი ჯუარნი... და აღვაშენე...“ (მოქც. ქართლ., გვ. 69—70).

შეიძლება-ლა განა ამის შემდეგ ვთქვათ, იაკობს სმენით არა გაეგონა-რა მცხეთის ალვის ხის შესახებო? არა, არ შეიძლება. ეს ერთი. მეორეც ისა, რომ მცხეთის სასწაულთ მოქმედი ხე, ჩვენის ფიქრით, უნდა იყოს სახე იმ ლეგენდარულ ალვის ხისა, რომელიც ორმოზდმა (800 წლ. ქრ. წ.) დარგო კასპიის ზღვის პირად იქვე ცეცხლისთვის ტაძრის აგების შემდეგ და რომლის კვარცხლობეც წააწერა—მეფე გოსტაშაბმა *) შეიწყნარა ჩემი ახალი სჯულიო და ირწმუნაო. მის შემდეგ ცეცხლის თაყვანისმცემლობა მოედო აზიას და საქართველოშიაც, როგორც მახლობელს და მეზობელს ქვეყანაში, შემოვიდა.

მ24 წელს ისრევე სარწმუნოების ცვლა წარემართებოდნ საქართველოში, ვით 800 წელს ქ. წ. სპარსეთში: მაშინ გოშტაშაბი იცვლიდა სჯულს, ახლა მისი „შთამომავალი“ მირიან მეფე; იქ ალვისხის ფესვებზე აწერდნენ ახალი სჯულის გამარჯვების ამბავს, აქ ხის ფესვებში ეძებდნენ ქრისტიანობის სიმტკიცეს კვართს, მაშინ ცეცხლს უგებდნენ საყდარს, ახლა დაუჩრეტელს ნათელს იესო ქრისტეს, იქ ცეცხლით იწმინდებოდნენ, აქ ნათელით ინათლებოდნენ.

ამიტომაც, საკვირველად არ უნდა მიგვაჩნდეს, რომ მცხეთის ხეს მოეგონებინოს მისი მამადმთავარი, კასპიის ზღვის კიდეზე დარგული ჯღვის ხე ორმოზდისა. ამიტომვე ვფიქრობთ, რომ იაკობი მცხეთის ხეს ადარებს სწორეთ იმ ორმოზდის ალვისხეს, რომლის შესახები ამბავი გადმოცემით უნდა სცოდნოდათ მცხეთაში, ამ მზის (არმაზის) სათაყვანო ქვეყანაში. იგი (მცხეთის ხე) სულჰამო და ხედვად შუენიერ იყო.

*) ქართ. ცხოვრებით ეს იყო არა გოშტაშაბი, არამედ ქაიხოსრო, რომელმან „აღაშენა ადარბადაგანს სახლი სალოცავი სჯულისა მათისა“ (ქართ. ცხ., 26).

მაშინ ძირსა ზედა აღჰმართეს კარსა ეკლესიისასა სამხრეთსა და ჰბერვიდა წყალთაგან ნიაფი და შალოვიდა ფურცელსა ხისა მისგან და ანძრევდა რტოთა მისთა, და იყო ხილვად მისი შვენიერ და სულ ჰამო, ვითარცა სმენით ვიციით ხისა მისთჯს აღვისა“ (გვ. 56). ქვეგახაზულობა, ვიმეორებთ, ჩვენის ფიქრით, შეეხება სწორეთ ორმუზდის ალვის ხეს. შეადარეთ:

ჰირველი რჯული გაუშგეს, იგ ტეცხლსა ეთაუგანესა.

გოსტაშაბ წიგნი გაწერა უოველსა საქაშმარესა:

„მეცა გუელსა ჩამივარდა, თქუენც ესეველით საცეცხლესა“.

გოსტამ რჯულსა მით მიუდგა და იმეწიებს აღვის ხესა.

„ალვის ხეზედა დაწერა, რა იგი ხე გაზრდილიყო...,

მის გარშემო ვარდი სურნელი შემორგულიყო..

შეთვალა: „საცეცხლეს ხესა ალვის ხეს ეთაუგანენით,

ამ ალვის ხესა მომართეთ.. ღოცვასა... („რესტომანი“, გვ. 816; „ივერია“, 1899, № 100).

ასეა თუ ისე, ჩვენ ჯერ არავითარი საბუთი არა გვაქვს აღნიშნულ სიტყვების მიხედვით უარვეყოთ იაკობის ავტორობა მე-13-ე თავისა და მით უმეტეს ჰსევდოეპიგრაფიულად გამოვაცხადოთ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“.

XII

„ივერიის“ გამო.

ჯავახიშვილი საკვირველ რამეს ბრძანებს „ივერიის“ შესახებ. თავის „ქ. ე. ისტორიის“ მე-19-ე გვ. სწერს: ქართველებს ენათმეცნიერება (?) სამ უმთავრეს შტოდ ჰყოფსო: ერთ შტოს შეადგენენ ქართლოურად მოსაუბრენი, მეორეს იბერელნი ანუ მეგრელ-ლაზ-ქანები და მესამეს სვანნი.

იგივე ავტორი იმავე თხზულების მე-49 გვ. განაგრძობს: „იბერლებს ანუ იმერლებს, მეგრელებსა და ქართველებს (ოხაჲ რა კლასიფიკაციაა და!) შორის უნდა ეცხოვრნათ“.

იქ მეგრელ-ლაზ-ქანებია იბერლები, აქ იმერლები!

წინააღმდეგობა გამოუწვევია იმ ენათმეცნიერებას, რომელსაც პატივცემული ჩვენი მკვლევარი განუკითხველად ენდო-

ბა. ეს ენათმეცნიერება კი ეკუთვნის არა ნაკლებ პატივცემულს ნიკო მარსს. მან შემოიღო ჯგუფები *картскіи* (?!), *иверскіи* (?!) და *сванскіи* (*Осн. табл.*, გვ. 1). იბერიად და იბერებად საქართველოს და ქართველებს მათ განსაცვიფრებლად უწოდებენო ბერძნები, და უმეტეს განსაცვიფრებლად მათვე ვირქად ეძახიანო სომხები. ასრეთი სახელწოდება გასაკვირველი არის უფრო სომხების მხრივო, რადგან მათ, როგორც მეზობლებს, უნდა სკოდნოდათ, რომ ქართველები თავიანთ თავს უწოდებენ ქართველს და თავიანთ ქვეყანას—საქართველოს. მაგრამ არც ქართველები რჩებიანო მოვალედ წინაშე სომხებისა, რომელთა განსაცვიფრებლად ქართველები მათ სომეხს ეძახიანო და მათს ქვეყანას სომეხი-ას (სომხეთს) .., რადგან პირველად სომხითს (*ბორჩალოს მარა*) გაიცნესო. ესე ერთხელ არ შეემთხვათო ქართველებს: იგინი იონებს ბერძენად უწოდებენო, და ეს კი იგივე იბერიიდან წარმოებულ სომხელია და იბერი კი იგივე იმერი-აო=ჰიმერ—ჰიბერ (*ჩრქ.*, 166—168).

მარამა თქვა და დამტკიცდა, შეიქმნა ენათმეცნიერება, რომელიც ქართველებს ჰყოფს კარტებად, მერე ივერებად და მერე სვანებად. აღარც წინანდელ ფრიად სახელოვან მეცნიერების ნათქვამის გაკითხვაა საჭირო, აღარც კლასიკურ მწერლების ნასიტყვისა და აღარც ქართულ წყაროებისა!

მაგრამ იქნებ „სომეხი“ იყოს იგივე სომხეთის დედა-პროვინცია სოფენი=სომხ. სოფქ=წოფქ—სომხ. (რადგან ტაიქ=ტაოხი, კლარჯქ=კლარჯეთი), იქნებ „ბერძენი“ იყოს იგივე ბრანჯი—ფრანგი—ბრაჟი, იქნებ სვანებმა პირველად გაიცნეს მათი რკინით შექურდილი მეომრები და დაარქვეს ბერეენი (სვ. ბერეე—რკინა, ბერეეიანი (გვარია)—რკინოსანი, რკინიანი), იქნებ (და აღბათაც, ჩვენის ფიქრით) იბირია არის იგივე (ი)ბირიანი—აბაშთა სამფლობელო, იქნება, მაგრამ კმარა, ამგვარ კითხვებს ვინ ჩივის, როდესაც უყურადღებოდ იტოვება ისიც, რომ ივერია ანუ იბერია პირველად იხმარა პომპეოსმა წწ. ქრ. წ. ამერეთის მეფის დამარცხების შემდეგ და ეს სახელი მას

აქეთ იხმარებოდა სახელად ამერეთისა განსაკუთრებით და მხოლოდ პოლიტიკურ ერთობა-სიძლიერის დროს, დაახლოვებით 985 წლიდან იგუროდ იხსენებოდა მთელი საქართველო, ამერეთ-იმერეთი და თვით ეს უკანასკნელი შემკრებლობითი სახელიც ამერეთ-იმერეთი ხმარებაში შემოვიდა სწორეთ იმავე დროს, მე-XI საუკ.-ში ჰირველად, იმერეთი კი აფხაზეთ-ტრაპიზონამდე იმ დღიდგან, რა დღესაც აღმონათა ისტორიულ ცისკარმა, იწოდებოდა მხოლოდ კოლხიდად (ფაზიანად, ეკრეკტიკად) და მერე ლაზიკად და ეს კოლხნი, როგორც იუწყება ჰეკატე (VI ს. ქრ. წ.), იყვნენ მონათესავენი მესხთა, მაშასადამე იმავე ქართველთა, რომელთა უმთავრესი მკვიდრობა რახან იყო ამერეთში—ქართლს საკუთრივ, ამიტომ მთელს ამ დღიდგმის მიწა-წყალს იმპირით ამპირამდე დაერქვა საერთო სახელი საქართლო, ანუ საქართველო.

„ივერია“ კი, ვიმეორებთ, პირველად გაჩნდა 65 წელს და ისიც სახელად ამერეთისა. სტრაბონი (I საუკ.) ივერებს (ამერლებს) განარჩევს კოლხებისაგან (იმერლებისაგან), შემდეგ პლინიუსიც (29—79 წ. ქ. შ.), ტაციტიც (56—117), კლავდიოს პტოლომეოსი (120—170) გრადუსებით აღნიშნავს კოლხიდის (იმერეთის) და ივერიის (ამერეთის) აღგილმდებარეობას, ამიან მარცელინი (დაიბ. 331 წ. ქ. შ.) აგრეთვე განარჩევს ივერიას კოლხიდისაგან, სტეფანე პიზანტიელიც (600 წ. ქრ. შ.), პროკოპი კესარიელი († 565 წ. ქ. შ.) არათუ ივერიის მიწას გაარჩევს კოლხიდის (ლაზიკის) მიწისაგან, არამედ თვით მათ ქრისტიანობასაც. „Азіатскіе иверы, амгобс иго, обнтають у самыхъ Каспійскихъ вратъ. Отъ нихъ налѣво къ западу Лазика, направо къ востоку народы подвластные персамъ. Ивиры—христиане и лучше всѣхъ извѣстныхъ намъ народовъ хранятъ уставы христ. вѣроисповѣданія“ (Дестунисъ, 56). მერე ლაზიკის (იმერეთის) აღწერაშიაც ამბობს (იქვე, გვ. 285): „...для лазовъ, которые болѣе всѣхъ народовъ привержены къ христианской вѣрѣ, исповѣданіе же персовъ совершенно ей

ПРОТИВОПОЛОЖНО“. იოსებ ფლავიოსი (I ს. ქრ. შ.) ამბობს, ჩვენს დროს თობელებს სახელი იბირად შეეცვალათო. ერის ჩვეულებრივ სახელის გამოცვლას შესძლებდა მხოლოდ რაიმე დიდი შოვლენა, პოლიტიკური ზედმოქმედება რომელიმე უჩვეულებრივო ძალისა. და ამგვარ ძალად კი ჩვენ ვთვლით, როგორც უკვე ვთქვით, (იბირიან-ჯამბაკურიან-გუგუნავათა გადმოსახლებას აღმოსავლეთ საქართველოში და მათ მიერ თვისის პოლიტიკურ უფლების გავრცელებას მთელს საქართველოზე. ვერა (ტფილისში), ივრისხეობა, სა-ბარათა-შვილო (ბარათაშვილები ბირიანები იყვნენ), აბაშა (იმერეთში), სა-გუგუნაო (გურიაში) და სხ. ამგვარი სახელები, ვფიქრობთ, გვიჩვენებენ იბირიან-აბაშ-გუგუნავათა დასახლებულ ადგილებს, ხოლო იგეთი სახელები ქართველთ (მცხეთის) მეფეთა, ვით ფარნა-ჯამი, ბაკური, მირიანი და სხ., იმავე ბირიან-ჯამ-ბაკურიანების სახლის გამოავრებას საქართველოში, იმ ძველ დროს, როდესაც შატბერდის ქრ. ცნობით აზომ არან-ქართლიდამ მოიყვანა მცხეთას 18 სახლი (100000 სული) და აქ გამეფდა, იმ არან-ქართლიდამ, რომელიც უნდა ყოფილიყო საგართიას (საქართიას), დაშენებულს კოლხეთის მეფის ქალის მედეას და ამის შვილის მიდის მიერ, ქვეყანას, საცა მეფობდა (იხ. დილარიანი) დიდი ხელმწიფე ფარსმანი, თაყვანისმცემელი ნაციონალურ ღმერთების არმაზ-ზადენ-გაიმ-გაციის, იმ ღმერთების, რომელთა სახელები დღესაც ისმის გაჩიანის, არმაზ-გორის და ზედაზნის სახელწოდებებში. მე იმასაც ვფიქრობ, რომ შემდეგში ახალი ისტორიულ-ფილოლოგიური მასალა მოგვცემს შეურყეველ ცნობას, რომ ჯან-ბაკურიანები ანუ კან-ბაკურიანები—კენ-ბაკურიანები არიან არათუ მარტო ბარათაანნი, ორბელიანნი, აბაშნი, გუგუნავანი, არამედ ბაკრათ—ბაგრატიონნიც, რომელთაც თვისის დამკვიდრების შემდეგ ზემო-ქართლს, მიათვისეს იქაურობას თვისი წოდებაც ქენი—ქანი—ზანი—ზანავი—ჯანივი, სწორედ ისე, ვით მათ განაყოფ (ი)ბირიანებმა მიათვისეს თვისი სახელი (იბირია, ივერია) ქვემო-ქართლს, და ამ კენის ჭინისთვის (სინდეთი, ჰინ-

დეთი) მიმსგავსების გამო წარმოსდგა თქ³ულება, რომ ანდრია მოციქ. მივიდაო სინოპს „ჭინდისა ზღვის კიდელ“ (ზემო, გვ. 49) და მცხეთაში მყოფი წმ. ნინოც თავის თავს სთვლიდაო ჭინდოეთს (ზემო, გვ. 53). სიტყვით, ჩვენ მოველით რომ ფარნავაზიანებს (ქვემო ქართლის, ივერიის მეფეებს მე IV ს. ქრ. წ.) და ბაგრატიონებს (ზემო ქართლის მთავრებს და 590 წ. ქ. შ. ზემო-ქვემო ქართლის მეფეებს) ახალი კვლევა-ძიება ერთის სახლის მეფეებად გამოაცხადებს, ღვიძლ ძმებად, რომელთა შორის დინასტიური ბრძოლა დასრულდა მხოლოდ მე-XII საუკუნეში ბაღვაშ-ორბელიანთა აკლებით.

XIII

ქართულ ენის „სემიტურობისა“ და სხ. კითხვების გამო.

ა. ქართ. ენის პროფეს. ალტერმა რომში (ჯერ ისევ ირაკლის მეფობაში) და მერე ბროსემ და ცაგარელმა პეტერბურდში ქართულ ბიბლიის შესწავლის შემდეგ გამოაცხადეს, ქართ. ბიბლია (საღმრთო წერილი) ბერძნულის პირიაო.

მარრი კი რა ხანია იუწყება—ქართ. საღმრთო წერილი სომხურიდამ თარგმნილიაო. თავის აზრის დასამტკიცებლად მას ჯერჯერობით მოჰყავს მცირედი მასალა, ანუ, თუ მართალი გნებავთ, ესა და ის ვითომ სომხური სიტყვა ქართ. ბიბლიაში.

ჩვენის მხრით ჩვენც შემთხვევა გვქონდა გაცნობოდით ქართულ უღძველეს დროის სახარებების და ძველი აღთქმის ზოგიერთ წიგნების ტექსტს და შეგვედარებინა იგი სომხურ, ბერძნულ და ლათინურ ტექსტებთან და თან შეგვემოწმებინა მარრის ნათქვამი შესახებ ქართულ წიგნების თარგმნისა სომხურიდამ. ამ შრომამ ჩვენც მიგვიყვანა იმავე ალტერ-ბროსე-ცაგარლის დასკვნამდე. მარრის საბუთები ამ დასკვნის გასაბათილებლად ისე მჩატეა, რომ ლაპარაკად არა ღირს. საგულისხმოდ მრავალ ათასილამ ერთი მაგალითი. № 98—IX ს., № 28—ურბნ., № 484—ეფთვ. ვარ.: „და დირესა (დვირესა—გიორგი მთაწ.) თუალსა შინა (შიდა—ურბნ.) შენსა არა განიცდი“ (მათე, 7, 3). ეს სომხურ 887 წლისაში ასეა: „და შენსა თუალსა

ღირეს არ ხელავ“ (*ღ ზ ქ ღლიმ ასკანუ ყყხრანუ იჯ თხასანსა*—
ესევეა ეს ფრაზა სომხ. 1882 წ. გამოცემაში, მაგრამ ვენეტო-
კურში „ტესანეს“—ხელავ მაგიერ გვხვდება *ხუამრისა*—ნშმარ-
რეს—ინიშნებ). მთელი მუხლი:

„ანუ რაჲსა ხელავ... არა განიცდი“
,,ძი ტესანეს... ვოჩ. ტესანეს“ (887 წლ.)
,,ძი ,, ნშმარეს“ (ვენეტო.)

ბერძ. ,,ტი დე ვლუბის... უკ კატანოს“=განიცდი.

მუხ. 4: ,,მაცადე (მიხენე—ურბნ.) და“=სომხ. ,,თოლ“
(,,და“ არ არის სომხურში და თოლიც წარმოსდგება ზმნიდამ
თოლნელ—*пyскать, пyстить* და უდრის უფრო ქართ. ტოვე-
ბა). ,,დირე თუალსა შინა (შიდა—ურბნ.) შენსა“=სომხ.: ,,ში-
და შენსა თუალსა დირე იმყოფის“ (*ღ ზ ქ ღლიმ ასკანუ ყყხრან კაკ*).

მ. 5: ,,იხილო წუელი (წოვლი—ურბნ.) აღმოღებალ“=
სომხ.: ,,იხილო აღმოღებალ წუელი“ (*ჩაკხახისა ჩანსკ ყჯჩიუნ*.
—ეს ფრაზა ასრევეა ქართ. გიორგი მთაწმინდისეულში). ,,აღ-
მოიღე პირველად დირე თუალისაგან შენისა“. ასრევეა ბერძნ.
კორინდულში (VIII საუკ.), ლათინურ თედორე ბეზასეულში
(*ejice primum trabem...*), სომხ. ვენეტოკურსა და 1882 წლ.
გამოცემაში (887 წლ. მოხეულია), ხოლო ბერძნულ ბექდურ-
სა და ტიშენდორფისეულში ასეა: ,,აღმოიღე პირველად თუ-
ალისაგან შენისა დირე“ (ეკბალე პროტონ ეკ ტუ ოფთალმუ
სუ ტინ დოკონ).

მ. 6: ,,სიწმინდესა (სიწმიდესა—ურბნ.) ჩემსა ძალთა“.
,,ჩემსა“ არ არის ლათინურ-ბერძნულ-სომხურში (*սրբուիթ*.
չანყ).

ვიმეორებთ, უამრავია ამისთანა მაგალითები, უამრავი კი
არა, მთელი საღმთო წერილის ტექსტი მასში არსებულ სახე-
ლებითურთ ასეთ განსხვავებისაგან შესდგება. ერთი კი ცხად-
ზედ ცხადია, რომ ქართველებს იმთავითვე საღმრთო წერილი
უთარგმნიათ ბერძნულ ანტიოქიურ და ალექსანდრიულ დედ-
ნებიდამ; ამათგან ქართველების თვალში უპირატესობა რო-
მელს ჰქონდა, ახლო მომავალი გვეტყვის.

ბ. ამ 20—25 წლ. წინად ფრიად გაცხოველდა შესწავლა რუსთაველისა და მის დროის სხვა მწერლებისა. იბეჭდებოდა მხატვრული „ვეფხისტყაოსანი“, მისი თავისუფალი მოთხრობა, მისი გამოკვლევები, სახალხო გამოცემები. ყველანი შექზაროდნენ თავისს დიდს მგოსანს, სიამაყეს.

მარამა გამოაცხადა — „ვეფხისტყაოსნის“ სპარსული დედანი უნდა იყოსო ინგლისის სამეფო ბიბლიოთეკაში დაცული სპარს. ხელნაწერი „შაჰრიარნამე“. ტყუილი გამოდგა. ყმაწვილი არ დაბადებულყო და აბრამს არქმევდნენ.

გ. შემდეგ გაცხოველდა მ. ხონელის შესწავლა, მის „ამირან-დარეჯანიანის“ გამოცემა, მის შესახებ კვლევა-ძიების ბეჭდვა.

მარამა გამოაცხადა (გმირების სახელების გარჩევის შემდეგ) „ამირანდარეჯანიანი“ სპარსულიდამ თარგმნილიაო. რუსთაველი, თვით მ. ხონელი, ბროსე და სხ. კი ამბობდნენ, „ამირანდარეჯანიანი“ ქართ. ნაწარმოებიაო.

ახლა ჯავახიშვილმა გამოაცხადა: დამტკიცდა „ამირანდარეჯანიანის“ სპარსულობა, აღმოჩნდა მისი დედანო.

განის მას აქეთ 5 — წელიწადი და ეს დედანი არსადაა. რა საჭირო იყო აჩქარება! თევზს ჯერ იჭერენ, მერე აფასებენ. გამოაჩენდით და მერე ილაპარაკებდით!

დ. მეცნიერება ბოლო დროს იმ აზრს დაადგა, რომ ქართ. ენა ეკუთვნის ცალკე ივერიულ ჯგუფსო.

მარრი ჯერ მგონი სტუდენტი იყო, რომ გამოაცხადა ქართ. ენა სემიტურიო და ეხლა ხანს კიდევ გამოსცა წიგნი ამ სათაურით: „Предварительное сообщение о родствѣ груз. языка съ семитическими“. თვისის აზრის დამტკიცებას იგი ხედავს მორფოლოგიაში, ფონეტიკასა და სიტყვათა ძირებში, რომელნიც სემიტურივით სამასოიანიაო, იშვიათად ორასოიანი, ერთასოიანობისკენა თუ მრავალასოიანობისკენ გადახრა კი აიხსნებაო ქართ. ხმების შემდეგი დროის ისტორიით. ჯერ-ხნობით თითქმის ათასი ძარის იგივეობის აღნიშვნა შეეძელიო.

ჩვენ ჩავათვალიერეთ მის მიერ ხსენებულ წიგნში მოთავსებული ძირები.

სემიტ შამს (ძირი შმს) СОМНЦЕ. ამას მარრი უტოლებს ქართ. მზე-ს. მზე კი სამასლიან ძირისა არ არის, არამედ ერთისა: ინგ. ზეჟ—მზე—მეგრ. ზჟა—სვ. მიჟ—ლაზ. მჟჟრა, ინგ. ზისმა=ზის მადლმა, ზიანი—ზიანი. ძირია ზ=ჟ (აქ მ, ზ მიმღეობის იგეთივე ნიშანია, ვით სიტყვებში მთვარე (ინგ. თორეჟ, მეგრ. თუთა=ძველ. თთუე), მნათობი, მტრედი და სხ. მზე თუ რასმე ენათესავება, ენათესავება ისევე ლათინურს სოჟ, გერმ. ზონს, ინგლ. sun, თურქ. gün, მით უმეტეს, რომ ამათგან გერმანული „ზონ-ტაგ“ არის იგივე მეგრ. ქემ-ხა=ძველი ქართ. მზის-დღე, (გერმ. „მონ-ტაგ“-ს შუად. თუთაშ-ხა=ძვ. ქართ. თთვარის-დღე).

შფრ (სემიტ.)—ЛАСКАЛЪ, ქართ. ეფერა—ЛАСКАЛЪ ЕГО (!!). სიტყვის ძირი არის ფერ-ი, ფელ-ი. საღ ფერი (ДВѢТЬ), საღ ეფერა, ისიც კიდევ ЛАСКАЛЪ!

შდღ—ВРЪХВІИ, СВІЛЬНЫИ, ქართ. დიდო—ჰილიდი (?)—დიადი—ჰილადი (?)—ВЕЛИКІИ, ВЕЛІЧЕСТВЕННЫИ. ამაო შედარებაა. ძირი მარტო დ-ა: დო (დია კარგი)—ინგ. დაა ანუ დაა-და (დიად). დიდი იგეთივე გამეორებაა მარცვალის დო, ვით დიდდოდო სიტყვის დიდი.

შქრ—ქერი. და ქერი კი არის იგივე ბერძნული კრიტი და იგივე ქართული ქრთილი. ამათითურთ ქართულ-ბერძნულში პურეულობის სახელები ერთი და იგივეა: purros—პური, oruza—ორზა (მეგრ.)—ბრინჯი, zumi—ცომი და სხ.

მარრი სემიტ. ძირს შბთ უტოლებს ქართ. ბადე, ბუდე, ფაცერი. გორგიჯანიძის ლექსიკონით კი ბადეს ეტოლება არა შბთ, არამედ არაბული შრქ (გორგიჯ. ლექს., გვ. 66).

შბხ=სბღ КЛЯЛСЯ=ფიცა—ჰფიცა—ფუცა. მე კი ფიცს ვადარებ ბერძნ. pistewo-ს, peitho-ს (pisunos) რწმუნება, დამტკიცება, მტკიცება.

სემიტ. . ჰბღ—ДЫХАНІЕ—ქართ. სული—სველი, სუნი—სვენი (?)—ДЫХАНІЕ (?), запахъ. ჩვენ კი ვხედავთ, რომ სუ-

ლი არის მეგრ. შური=სვ. ქვინ; სულიერი—ქვინიერ. ქართულს „სურნელებაში“ შენახულა იგივე ძველანდელი სური—შური, ხოლო შვინვაში იგივე სვ. ქვინ, შვინვიერში—სვ. ქვინიერ. სული ძველად სოფ-ადაც ითქმოდა. სუნი უფრო უახლოვდება სვ. ქვინ=ქან. სული=სური=შური შეადარე არიულს ძველინდიურს аsurа—ცხოველი სული, ცხოვრების სული, სურიელი (lebenbig, lebensgeist. შლეიხერის კომპენდ., 194, 355).

ფართო ფასთა-დ არ გამიგონია, ფართე-დ კი იტყვიან ხოლმე და ეს კი არის წმინდა არიული სიტყვა. შეადარე: ძველინდიური prthu, prathu—ძველ ბაქტ. perethu—ბერძნ. platos—გერმ. breit—ფართო (ა. შლეიხერ, Compendium, 2, 67).

სემიტ. ჰბნ—СЫНЪ—შვილი. „შვილის“ ძირი არის მართო შ: შობა—შევ—შვა—შო. და შვილი მხოლოდ ვნებითი მიმღეობაა: შვილი=შლი, ვით წერული=წერილი. იგი უფრო ეტალდება არიულს ძირს su—შობა, ჩენა.

იზონა=იზონვა არასდროს არ ნიშნავს „нукв. родилъ, произвелъ себѣ“!

სემ. ჰმგ—СВЕКОРЪ—ქართ. სიმაური=სიმავე-ერ-ი—სიმავე-რი—სიმაბრი—სიმაბ-(ე)-რ-ი.

ეს სიმაბრი წარმოსდგება მამა-დამ ისევე, ვით დედა-დამ სიდედრი. აქ ფესვი არის მართო შ, რადგან სვ. მუ=მეგრ. მუმა=ქართ. მამა; ასევე „დედაში“ მართო დ-ა: სვ. დე=დი=დედე=მეგრ. დიდა=ქართ. დედა=დეფ (რადგან გვაქვს დეფ-და=დედის-და, დია (დია-სახლისი). მამა, დედე იგეთივე გამოვრებაა, ვით სომხ. ტე-ტერ.

ქართ. ალ—აღ—უღ მდებრობითი სქესის დაბოლოებაა: მამალ ი, დედალ-ი. ნამდვილად კი სვ. ლი არის ქართ. ა, მეგრ. რე, ე: მამა—ა კარგი—ა
 მუმა—რე ჯგირი—(რ)ე
 მუ—ლი ეზარ—ლი.

მამალ-ში ალ კი არ არის დაბოლოება, არამედ ლ-ი და მამა, როგორც ვთქვით, არის მამა (სვანურში უნდა ყოფილიყო მუ+მუ).

მარჩის ზოგიერთი სემიტურთან „თანაბარი“ ძირები პირ-
დაპირ ჰგვანან სიტყვებით თამაშს: შავი—მაგი, წაფე—მაფე.
შეადარე: buq-i ბყრა (?) ივზ mveq (яфет. mvq—mwg, сех.
mwg); banali ბოლიცხ ივზ manali; ბერწი—მერწი—მეშტი (??);
ბელატი—მელატი—მელოტი; ტყუბი—ტყუმი; მზე ივზ ზმეჰ (?),
ფართო—ფასთო, მსახური—სმახვერი.

ესრეთი ტეხვა, პრეხა, წნეხა ქართ. სიტყვებისა ჩვენ ვე-
რას გვაჯერებს. ამნაირად ადვილად დამტკიცდება ქართულისა
და თუ გინდ კაფრულ ენის მონათესაობა.

ქართული ენა ჩვენ ჯერ შეცნობიერულად არ ვიცით, პ. ქა-
რია მხოლოდ იგნებს მას. ვიდრე ეს ცოდნა არ გვექნება, დი-
დი სიფრთხილე გვმართებს სხვადასხვა თეორიების დადგენაში.
ქართულ-კოლხური ძველი ენაა, მას მეზობლობა ჰქონდა მსო-
ფლიოს უმთავრეს ხალხების ენებთან. ფინიკიას, ასურეთს,
ეგვიპტეს, სპარსეთს, საბერძნეთს, რომს, არაბეთს, თურანს
(თურქეთს) და სხ. ხალხებს ქართველებთან მკიდრო კავშირი
ჰქონდათ, პოლიტიკური და კულტურული. ამიტომაც, არა
კმარა მარტო ქართულის ენის შესწავლა მის სიგრძე-სივანე-
სიდიდით, საჭიროა იმის გაგებაც, რაა მასში საერთო ხსენე-
ბულ ხალხების ენებთან. ამას ყველას დაახლოვებით მაინც.
რომ შევიგნებთ, მაშინ მხოლოდ შეგვეძლება ხელი მოვკიდოთ
სამონათესაო კითხვის გადაწყვეტას. ჯერ კი, ვიმეორებთ, ჩე-
ნი ცოდნა ქართულისა სუსტია და მცირე, რადგან თვით ქარ-
თული მის კილოკავებიანად არ ვიცით. აი ორიოდ მაგალი-
თი. მარჩი სემიტურ wad=sdw (ИЗГОТОВИЕ) უტოლებს ქარ-
თულს სასთაული (სა-სთუ-ვ-ალ ი) —სასტუმალი—სასთუმალი
და ანგარიშში აღარ აგდებს იმავე სიტყვის სახეებს სასტული
(ინგ.), სართუმალი, სართაული (მთიულ.). ამ ყოფაში რო-
გორ შეიძლება მოვექიდიოთ სემიტურ აღნიშნულ ძირს, რო-
დესაც ჯერ შინაობაშიაც არ ვიცით, თუ სად როგორ იხმა-
რება მშობლიური სიტყვა, როდესაც საბაასოა, რომელია ძი-
რი: სთ—სტ, რთ, თუ რთმ—სთმ, მთავარი სიტყვა თავია, თუ
სტვა—რთვა, თომა (=თმა) ანუ რთმა? მე ვამბობ, ჯერ ეს

უნდა გავიგოთ და მერე საქმეს შევუდგეთ, იგინი კი ამის გაგებამდე თეორიებს გვიდგენენ! რა ფასი უნდა ჰქონდეს ამგვარ შედარებას, როდესაც თვით შედარებულის ძირი ცსთ—სტ—რთ წმინდა ქართულ ჩამომავლობისაა: სთვა—ინგ. სტვა—რთვა.

ამავე ჩვენს ნათქვამს პროვინციალიზმების შესწავლის საქროების შესახებ ხმამაღლა ლაღადებს თუნდა იმავე მარის სიტყვები (Физиол., გვ. 89): „განტუეპოს ЛИШЬ ПО КОНТЕКСТУ И ВЪ СВЯЗИ СЪ АРМЯНСКИМЪ ПОДЛИННИКОМЪ ПЕРЕВОДИТСЯ МНОЮ ИСКОЛОТЬ“. უკონტექსტოდაც პროფესორი ადვილად გაიგებდა, თუ გარჯილიყო ინგილ. კილოს შესასწავლად ან და თუნდ ჩაებენდა იქაურ სიტყვათა ლექსიკონში (გორგიჯანიძე, გვ. 112), რომ განტუეპოს ИСКОЛОТЬ კი არ არის, არამედ სცემოს, ტუეპოს, გატუეპოს; ამას გარდა იმასაც გაიგებდა, რომ სომხურ „ПОДЛИННИКЪ“-ის ИСКОЛОТЬ-ის „ბუკვალნი პერევილი“ არ ყოფილა ბერძნულიდამ ნათარგმნ ქართულ ПОДЛИННИКЪ-ის განტუეპოს.

ე. მარჩი ზოგიერთ ქართულ თარგმანს ბერძნულიდამ ბექდაეს პირდაპირ თარგმნაუ სომხურიდამ. და ამ „თარგმანების“ „დამამტკიცებელი“ საბუთები კი ან საზოგადო, ძველადგანვე ქართულ-სომხურში არსებული სიტყვებია (ქეშმარიტი, პათიოსანი, ვეშაპი, ახოვანი და სხ.), ან მისთვის უცნობი თათრულ-თურქული მასალა, ან ისეთი სიტყვები, რომელნიც სომხურის შეუწევენლადაც იხმარებიან ქართულს ენაში, მაგალ., მზის თუაღი, ურთი-ერთას, გერ კეკუწიფუბის, აღება, ვეავიღ-განრეუღი, საურგუღნი და სხ.

„Физиологъ“-ში სომხურიდამ ნასესხებ სიტყვებად მარჩს გამოუცხადებია ხარკი, სპეტაკი, უტევიანი, რემაკი და სხ. (გვ. XXXVI).

თუ ეს სიტყვები ძველადგანვე არ ყოფილიყო გავრცელებული საქართველოში და ქართველ მთარგმნელს პირველად გაეცნო სახისმეტყველის (ფიზიოლოგის) თარგმნის დროს, იგი მათ, უტეველია, იხმარდა სომხურ ფორმით ჰარკ, სპიტაკ, ვტავან, ვრამაკ. ხარკი ქართველებს პირდაპირ უცხესხნით არაბ-

თურქულიდამ, რომელშიაც ხარაკი—ხარაჯა—ხარჯია და არა ჰარკი.

უტევანი სომხური კი არა, წარმოსდგება ქართ. ტვეილამ და ნიშნავს ერთის(შე)ტვეით გასაფლელ გზას, მანძილოს (უტე-კანი მრ. რ.). არც ისაა მართალი, რომ „პირუტყვი“ БУКВАЛЬ-НО იყოს იგივე სომხური ანასუნ, ვინაიდან „ანასუნ“ მარტო უტყვი-ა და არა პირ-უტყვი. მარრი ბრძანებს (Крещ., 152) სომხ. შკრატ-ის (მკრატ—მაკრატელი) ძირი არისო სემიტ. კრტ. მაგრამ ეგრეც რომ იყოს, მაინც სომხ. მკრატში, ვით ქართ. მაკრატელში, ჩვენ ცხადად ვხედავთ ქართ. მიმლ. ნიშანს შ, შა (თვით ძირიც წმ. ქართულია: კორტნა, კვრეტა, კრეკა, კენე-ტა, კრტენა, კრტნა).

მარრი სწერს (ТЕКСТЫ. IV, გვ. რნდ): „ЗАИМСТВЪ СЛО-ВНА.: განძი (არმ. գանձ.—განძ) СОВРОВИЩЕ“. და გორგიჯა-ნიძის ლექსიკონში კი ნაჩვენებია (გვ. 44) არაბული ჭნზ და სპარს. განჯ—განძი. გამოდის, რომ ამათგან სესხების შნოც არა ჰქონიათ ქართველებს!

ამაო მარრით ПУСТОИИ ნასესხებია სომხურიდამ (Физ., XXXV) და ნამდვილად კი წარმოსდგება სვანურ უარყოფით ნაწილაკის (შა)მა-საგან: ამაო, ამაფო—არაოლ, არარაოლ (ამაო, ამაფო ზნისზედაა, მეგრ. დაბოლოებით).

Физиол.-ში (გვ. 87 და აგრეთვე ТЕКСТ., IV, გვ. რნდ) მარრი აცხადებს, ბურთი (=ბირთვი) სომხურიდამ ქართულ ტექსტებში შევიდაო და ბურთი არისო სომხ. ბურდ—მატყლი. ჩვენ ვერ ვიტყვი, ქართველებმა ბურთისთვის რად ამოირჩიეს სომხ. ფასიანი ბურდ—მატყლი, როდესაც თვალწინ ჰქონდათ მშობლიური უფასო ბურდო, რომლითაც დღესაც ხშირად სტენავენ ხოლმე ბურთებს, ფეიქრობთ კი, რომ ბურთი არც მატყლს ნიშნავს და არც ბურდოს, არამედ, როგორც დედამიწის თითქმის ყველა ენებზეა, სიმრგვლეს. ჩვენ ბურთის (სვ. ბულთუ) წარმოებას ვერ ვარჩევთ წარმოებისაგან სიმრგვლის აღმნიშვნელ-სიტყვებისა ბორცვი, (—ბურცი, ბურცილის ჯვარი იხსენიება X ს.), ინგ. ბორტო (მრგვალი გორახი) და, გვეონია,

რომ იგი კიდევ ენათესავენა ლათ. *pila*, ფრანგ. *balle*, გერმ. *ball*, ინგლ. *ball*—ბურთი. საქართველოში იყო მაგარი მრგვალი ციხე ბირთვისი და გვარი ბირთველი, ესენიც სომხურ მატყლისაგან გაკეთებულ იყვნენ თუ!

ვ. ქართ. წიგნებსა თუ ენაში რაც ევროპიული და, საზოგადოდ, არიული სიტყვებია, სომხურიდამ ნასესხებად ითვლება ზოგიერთისაგან. ნამდვილად კი უსომხებოთაც ქართველებს შეეძლოთ ზოგი-რამ ესესხნათ ბერძნებისაგან, ზოგი რომაელებისაგან, ზოგი სპარსელებისაგან და სხ. სადაა ლოდიკა? დღეს სომხები (არიელები) და ქართველები (არა-არიელები) ერთმანეთის დამოუკიდებლად მრავალ ევროპიულ (არიულ) სიტყვებს ითვისებენ. ნუთუ შემდეგი დროის მკვლევარი მართალი იქნება ამტკიცოს ყველა ესეთი არიული სიტყვები ქართველებს სომეხ არიელებისაგან უსესხნიათო?

მაგრამ მართო არიული სიტყვები კი არა, ქართულში ძველის ძველადგანვე შემოსული წმინდა თურქული სიტყვებიც, ხშირად, სომხურ ანუ სომხებისაგან ნასესხებად ითვლებიან!

ქართველთა და სომეხთ მეზობლობისა და წარსულის მკვლევარნი საზოგადოდ არაერთარ ყურადღებას არ აქცევენ თურქულ ანუ, სწორეთ რომ ვთქვათ, თურქულ-ქართულ მასალას, და ეს ნასალა კი ისეთი ხასიათისაა და ისე თვალსაჩინოა, რომ მკვლევარს ბევრიც არ ეპრიანებოდეს, მაინც აიძულებს თავისკენ მიახედოს.

თურქულად ანუ, ინგილოურად რომ ვთქვათ, თქლქურ ენად ჩვენ ვგულისხმობთ არა ოსმალურს და არც მონგოლურს, არამედ მათ წინაპრების ბუნ-თურქულს. ბუნ-თურქები შემოვიდნენ საქართველოში ქრ. დაბ. რამდენიმე საუკ. წინად და, თითქო ღვიძლი მოძმენიო, დასახლდნენ მტკვრის გაყოლება მცხეთიდან მის სათავემდე და ქოროხამდე. ეს თურქები ის თურანები იყვნენ ანუ მათნი შთამომავალნი, რომელთაც სპარსულ-ქართულ გადმოცემის მიხედვით დიდი, პირდაპირ ბუმბერაზული ბრძოლა ჰქონდათ ირანთან, ისეთი სასტიკი ბძრო-

ლა, რომ ყოფილა დრო, თუ საბოლოოდ ვის დარჩებოდა ბურთი და მოედანი, ვისი იქნებოდა წინა-აზია ინდოეთამდე, თურანისა თუ ირანისა.

მათს ბრძოლას აწარმოებდნენ ისეთი გმირები, ვით როსტომი, ზურაბი, ზაალი, რომელთა საასპარეზო იყო საქართველოს მომიჯნავე არანი და კასპიის ნაპირები.

ეს ბრძოლა დროით-დრო დამცხარალა, მაგრამ სამუდამოდ არ განელებულა. თვით უძლეველი კვიროსიცი კი შემუსრა თურანმა. აქედგანვე მოდიოდნენ თეთალები, მერე ავარები, რომელთაც დაიპყრეს (VI ს.) მთელი კავკასიონი საქართველოთურთ, საცა დასახლდაო მათი დიდუცობა (იხ. ერეკლეს თავად-აზნ. სიები).

ამასაც რომ დავუმატოთ ცნობა ბირიან-აბაშების 5000 სახლად მოსვლის შესახებ და კალანთკატვანის უწყება (გვ. 135), რომ ბარდავს სპარსეთიდან მოვიდაო 30000 სახლი მიჰრანებისა, ცხადად დავინახავთ, თუ ხსენებული თურანები და მოსულები რა ზომის აზიურ მასალას შემოიტანდნენ საქართველოსა და ქართულს ენაში.

და, მართლაც, მცირეოდენი დაკვირვებაც კმარა, რომ ქართულსა და თურანულში (თურქ.) ვპოვოთ აუარებელი საერთო საკულტურო საუნჯე. აღვნიშნავ რავდენიმეს.

ადამიანი: ერი (ინგ. ელი)—თურქ. ელ*), ტომი—თოხუმ (სომხ. ტოჰმ), თესლი (ნათესაობა)—თოხუმ (მარრი კი გვეუბნება (Филиол., XXXV; Тексты, IV, словарь) ერი და ტომი ქართველებს სომხებისაგან უსესხნიათო!), ხალხი—ხალყ, ხალხ, ადამიანი, კაცი—ადამ (ადამლულ—ადამიანობა), ბელადი—ველად (=წლად—გზაკვალის მცოდნე), ოჯახი—ოჯახ (ოჯახ ცეცხლსაც ნიშნავს და წარმოებულია სიტყ. ოღ—ცეცხლი, ოღდამალ—ღება, მოღება, ოღუნ—შეშა (ინგ. შიშაჲ, მეგრ. დიშქა).

*) ქართ. ასოებით იბეჭდება ტიპოგრაფიაში არაბულ შრიფტის უქონლობის გამო.

ზირუტყვი: კამეჩი (ქან. გომიში)—გომიშ, ჯოდუშ, ჯამუშ, ხარ-კამეჩი—ქალ; ხარი (მეგრ. ხოჯი)—ქეშ, ბულა—ბულა. ყოჩი—ყოჩ, რემაკი (ინგ. ერამუკ)—ერამუკ (უშობელი ფურკამეჩი); ტაიქი—ტაი, ტაიჩა; რადგან ფუქი—ფუჩ (მარრიკი ირწმუნება (Терсты, IV, СЛОВ.) ტაიჭა სომხურ ტაქიკ-ილამნასესხებიაო! ჩვენ კი გვგონია, ტაქიკი ქართ. ტაიქი-ს დამახინჯება), ფისო—ფიშიკ, ულაყი—ულახ, ულაყი-ცხენი—ულახ-ათ. კარაული (ინგ. კური, კურიაკ)—ყულან.

ფრინველი: კრუხი (ინგ. კურტ)—ქურთ; წიწილა, ჯუჯულა (ინგ. ქუქულ)—ჯუჯა, ყორანი—ყარა.

ბაღი, ნაყოფი: ბალი—ბალ, ბოსტანი (X—XI ს. ხელნ.)—ბოსტან, ბუსტან, ბალი—ბალი, ალუბალი—აფი-ბალი, კაკალი (სვ. გაკ) და ნიგოზი (მეგრ. ნეძი, ლათ. NUX)—თურქ. ეოზ. ეს გვხვდება ქართ. გოზინაყში (გოზი + ნაყი), წაბლი (მეგრ. ქლბური, უდურ. და წახ. წაბულ)—თურქ. შაბალუთ, თხილი (მეგრ. თხირი, სვან. შლიხ)—ფინდიხ, ფინდიყ (ფინ—დიხ).

საქმედი: ლაფაში—ლაფაშ, ჩიხითმა—ჩიღირთმა, ბოზბაში—ბოზბაშ, ბუზბაშ, ტოლმა—დოლმა, ყაურმა—ყაურმა.

წყედი: არხი—არხ, სუ (წყალი)—სულუ —წყლიანი, სუელი, ნამი—ნამ, (და)ნამული—ნამღუ.

იარაღი, ჭურჭელი: იარაღი—ყრალ, გუთანი—ქმთან, ქოთან (ლექ.), ურემი (მეგრ. არაბა)—არაბა, ბარი—ბელ, ჯამი—ჯამ, ბაღია—ბაღია, ხანჯალი—ხინჩალ, ცელი—ჩალოყ, ჩაფი—ჩაფ, ახორი (IX—X ს. ხელნაწ.)—ახურ (ინგ. ახურ), მანგანა—მანგანა, ტაბაკი (სვ. ტაბაგ)—თაბახ, კლიტე—ქილით (ქილითტამალ—კლეტა, ქილითტა—კლიტე?)

საცმედი: ჩოხა—ჩოხა, ჩუხა, ფაფახი—ფაფახ, ფაფაყ, ახალოხი (ინგ. არხოლოლ)—არხალოლ, ლაფჩინი—ლაფჩინ, ჩექმა—ჩექმა, ქოლგა—ქმლგა საჩრდილობელი (ქმლგა—ჩრდილი), ქამარი—ქამარ, შალვარი—შარვალ, ფლასი (ინგ. ფალას)—ფალას.

მთა: მთა (ინგ. თაჲ, სვ. თანალ)—დაღ; იალბუზი—ყლბუზ (=ყლ-ბუზ=ქედ-მყინვარა). ალბად, მთის მყინვარის თავ.

დაპირვანდელი სახელიც ყაზბეგი კი არ იყო, არამედ ყარ-ბუზ—თოვლ-მყინვარი.

ადგილი: სვ. ვერ (მიწა)—ჰერ; გზა—გეზმალ (მგზავრობა, ტარება), ნამგზავრი—გეზან, გეზასი—სამგზავრი, გეზ—იმგზავ-რე, იარე; „იოლად წასვლა“ ცლა გეთმან (ინგ. გზას წასვლა; ცლ—გზა). ბინა—ბინა, ბინეული—ბინალი, ბინალუ; ბინა-დარი არის იგივე თურქ. ბინალიდირ; დაბინება—ბინალამალ, ბინა—ყოამალ. თურქ. ბინეულუ—ბინეული, ბუნებრივი, ბუ-ნებითი. თვით ბუნებაც იმავე ფესვისაა, რადგან სვ. ბუნაბ—ბუნება (მარრი კი ირწმუნება (Физиол., XXXVIII) ბუნ, ბნაკ—მკვიდრი, ბინადარი სომხურიაო!').

შენობა: კოშკი—ქოშკ, თონე (თორნე)—თენდურ, ღირე (ინგ. ღირაჲ, მე-IX—X ს. სახარებებში ღირე, მერე ღვირე, მეგრ. ღვირე, სვ. ღირ—თურქ. ღირაჰ (ხოლო ღირაგ—ბოძი, თირ (ინგ. თირ, სვან. ღირ)—ტივი, ხარხე), ტახტი—თახტ, თახთ (თურქ. სიტყვიდამ თახტა—ფიცარი), ქულბაქი (ინგ. ქულბაჲ)—ქულბა.

სხვადასხვა სიტყვები: ფიქრი (ინგ. ფიქირ)—ფიქირ, იმედი (ინგ. უმუდ)—უმუდ, ნაზი—ნაზ (ნაზიკ—წვრილი), დივანი (იპოლიტეში, X საუკ.)—დივან, დუვან (სამართალი), თარ-გმანი (იქვე)—თარჯიმან, ბრინჯაო—ფ(ი)რინჯ, ფოლადი—ფოლად, ფულად, ჰასაკი (იქვე)—იაშ, ყშ, ნიშანი—ნიშან, ოხვა (მეგრ. ხვამა—ლოცვა, ოხვამე—საოხვო, საყდარი)—ოხუმალ—ლოცვა, დასი, დასტა—დესტა, ბოლუქი—ბცლოუქ (მარრი კი ბოლუქს სომხურ სიტყვად აცხადებს და თარგმნის соимы (Тексты, IV, გვ. რნდ). ბოლუქი=ბცლოუქ соимы კი არ არის, არამედ группа, стая, гуртъ, ხოლო ბოლ—ბევრი, უხვი, ბოლლულ—სიმრავლე, უხვობა), ალი—ყლავ, ოთალი—ოთალ, უთალ, ფუნე—ფეინი, კურვა (ინგ. კორვა)—სიკრან-მალ, ცივი—სავუხ, სოვუხ, ქარი—ქალაგ, ჩლავი (ინგ. ჩი-ლავე)—ჩილავე, კრაქი (ინგ. ჩირალ)—ჩირალ (ავარ. ჩირაქ სანთელი, კრაქი), ლუსმარი—ნუსმარ, ნალი—ნალ, მთავე

(ინგ. ევექა)—აჭი, ხურჯინი—ხურჯინ, ბედი—ბახტ, ბედნიერი—ბახტავარ, უბადო—ბახტსუზ, სალამური—სარამულ, თოფრა (ინგ თორბა)—თორბა; ვახშამი—ახშამ (სალამო), ახშამ-ხორაგ (საევანშმო ხორაგი), და-ნაყრება—ნაჰარელამად (ნაჰარ - ნაყრი, საუზმე; კირი—ქირაჯ, ყური—ყულახ, ,,ყურის გდება“=,,ყულახ ასმალ“; ფუშვა—ფუშმახ, ფუშე—ფუზ. დასუსტება—სუსტალმალ, მკლავი (ინგ. კლავ, მეგრ. კალე, სვ. მკარ)—ყოლ, ნობათი (ინგ. ნაბათი—ნაბათ.

წიგნების სახელები: ზადიკი, იადგარი და გუჯარი წმინდა თურქ. სიტყვებია.

ზადიკს ერქვა აგრეთვე ზატიკი, ზადიგი. იგი წარმოსდგება თურქ. სიტყვიდამ აზატ, აზად—განთავისუფლება, განრინება. აზად(ლ)იგ—საგანსათავისუფლებელი, საგანსარინებელი (წიგნი, ბრძანება და სხ.) ანუ კიდევე განთავისუფლება, თავისუფლობა. ამავე მნიშვნელობით სწორეთ იხმარება ქართულში ზადიკი, რომელიც თვის შორის შეიცავს უმთავრეს დღესასწაულების საგალობლებს და განსაკუთრებით კი საგალობლებს და საკითხავებს აღდგომიდან სულისწმ. მოფენამდე. ამავე სიტყვიდამ გვაქვს აზატი—თავისუფალი და, აღბად, ჩრდ-კავკასიის უზდენი (ინგ. უზდანი)—თავისუფალი კაცი (აზნაური). მარრი კი ამტკიცებს აზატი სომხურიო!

„იადგარი“ (გვხვდება ქართ. ხელნაწ., IX—X ს.) წარმოსდგება თურქ. სიტყვიდამ იად (ხსოვნა) და იადგარი ნიშნავს სახსოვარს (შეად. სცვდა—ვაქრობა, სცვდაგარ—ვაქარი, სოვდაგარი). მასში წმინდანების სახსოვარებია (საკითხავები) და შემდეგში აგრევე იწოდებოდა სიგლები, დაწერილნი რაიმე სახსოვრის, ნაბოძების აღსანიშნავად. ამავე მნიშვნელობით ეხლაც თბილისურში იხმარება იგივე იადიგა:ი.

გუჯარი წარმოსდგ. თურქ. სიტყვიდამ გუჯ—ღონე, ძლიერება, ძალა და გუჯალუ=გუჯალჲ არის იგივე ქართ. გუჯარი—ძლიერების, სიმტკიცის მქონებელი. ქართლ. ცხოვრება გუჯარს მეშვიდე საუკ. აღნიშნავს.

ადამიანთა სახელები: პაპა—პაპა(სი), ნენა (ინგ. ნანა)—ანა,

ანასი, ნანა(სი), ლეკურ. ნინო—დედა. ხლანი. „ყენი მონღო-
ლერი სახელწოდებაა და ამ სიტყვას მე-*XIII*-ე საუკუნეზე წი-
ნად საქართველოში არ ხმარობდნენო“, მიკიჩინა ბ-ნ ჯავახი-
შვილმა („საქართ.“, № 10, გვ. 11). ვიდრე ამას იტყოდა,
ჯერ უნდა გაეცნო სათანადო მასალები. ყენი არის იგივე
ჟან-ი და იგივე ხაყ-ნი, უუძველესი დროის და უმაღლესი ტი-
ტული შუა-აზიის მთაბაროსანთა, ე. ი. იმავე თურან. — თურქ.
უფროსებისა და შემდეგ მხოლოდ მონგოლთა მეფეებისა.

ხაყანი საქართველოში, ხლანი სომხეთში და კაკან რუ-
სეთში ჩნდება აღრითგანვე: აგრე ისახელებოდა ხაზართ მეფე
(მე-*VIII* საუკ.) და იქაურივე მეფე ჯიბლუ (*ՋԻԼԸ* ს.). სებეო-
სით (მე-*VII* ს.) ყენის ურმიზდის (90 წ.) დედა, ხოსრო
I-ის ცალი, იყო ქალი ხაყანისა, ტეტალთა (თურქთა) მეფე-
სა (სებეოს., 38).

არაბთა მწერალი იბნ-რუსტე (913 წ.) ამბობს: „ხაზარ-
თა მიწა ტფილისის ქვეყანამდე უწევს; მათებრ მთავარს იშა
ჰქვიან, ხოლო ხელმწიფეს ხაყან—ხაზარი. ეს იშაცა და ხაყა-
ნიც ებრაელნი არიან (Снипн. матер., XXXII). კარაულოვის
ცნობით (იქვე, გვ. 53) იშა არის იგივე შე, შა, შეშუ. აქედ-
გან, როგორც უკვე ვთქვით, გავრცელდებოდა იშხანი—იშა-
ხანი. დღესაც დაღისტანში შა ს გაარჩევენ ფადიშასაგან: მათი
აზრით შა არის ნახევარი ხელმწიფე (ვით ყაჯარშა სპარსეთი-
სა) და ფადიშა კი სრული მეფე (ვით ხელმწიფე რუსთა, ოს-
მალთა და სხ.).

ჯიბლუ-ხაყანი რომ შემოესია საქართველოს 40,000 მე-
ომრით და ერეკლე იმპერატორს უშველა ტფილისის აღებაში
(*VII* ს.), მის შემდეგ აქაურობაში ტრიალებდა მისი შვილი-
შვილი შატი (=შადი). შადს რომ გზავნიდნენო, სამთავრო
უფლებით აღკურვესო, ამბობს კალანთკატვაწი (გვ. 110). შა-
დი(რ) უდრის ქართულს შა-ა. ამიტომ მას ვუტოლებთ სახე-
ლებს Tzathis (955 ლაზთა მეფე), Tzathios (422 წ. იმათივე მე-
ფე), აშოტ ჩორჩანელი=Azatos Zurbanelli, შატ, შატი-ლი, შატ-
ბერი, შატ-ბერდი, (მახლობელი მონასტრების მიჯ (მზის)—ნა-

ზორისა, ხანცთისა (სამეგრ. არის კიდევ სოფელი ხანცკი)-
გრამატიკა.

	აწმეო	თურქ.
ვარიმე	ვორექ	ვარ-ამ
ხარი-შენ	ორექ	ვარ-სენ
არი	ორე	ვარ
ვარ-თ	ვორეთ	ვარ-უხ
ხარ-თ	ორეთ	ვარ-სიხ
არი-ან	ორე-ნა ორე-რან== რე-ნონი	ვარ-ლარ

წ. უსრ.

ვარიედ	ვორდი	ვარიდ-უმ
ხარიედ	ორდი	ვარიდ-უნ
არიედ	ორდუ (სვ. არდა)...	ვარიდ-ი
ვარიედით	ვორდით	ვარიდ-უხ
ხარიედით	ორდით	ვარიდ-უნხ
არდეს	ორდეს	ვარიდ-ი-ლარ.

თურქ. მრავლობითი ჯარ==სვ. ჯარ (მამა-ლარ მამ-ები),
სვ. არ (ჩაჟ-არ—ცხენები),==ქართ. ან, ენ, ნენ, ნნ, ნა, ნან,
ნი (იხ. ქვემო). შეადარე კიდევ:

ფუშვა — ფუზმახ.

ვფუშავ — ფუზიირამ, ფუშავ — ფუზიირ-სენ, ფუშავს — ფუ-
ზიირ, ვფუშავთ — ფუზიირუხ, ფუშვენ — ფუზიირ-ლარ. — ვფუ-
შავდი — ფუზიირდუმ, ფუშავ-და — ფუზიირ-დი, ფუშავ-დ-ნენ
— ფუზიირ-დი-ლარ (ნენ==ლარ). ფუშე — ფუზ? ფუშოს — ფუზ-
სუნ? ფუშონ — ფუზ-სუნ-ლარ? ვფუშო (=ძველ. ვფუშომეა?)
— ფუზიმში? დამფუშველი — ფუზან, დასაფუში — (და)ფუშული
— ფუზულუ, (და)ფუშულ-ა — ფუზულუფ-დურ, (და)ფუშულ-ან
— ფუზულუფდუ-ლარ. (და)ფუშულ-იყო — ფუზულ-მიშიდი,
(და)ფუშულ-იყენენ — ფუზულ-მიშიდი-ლარ. ვფუშომეა — ფუზიმ-
ში? ვარშეა — ვარამში?

ბრუნვები: ნათეს. აღამ-ინ (შეალ. ჩემთვინ, ჩემთვის)
 მიც. აღამ-ა
 აღგ. აღამ-დან (აღამიანი-დან)
 ფიქირ-დან (ფიქრი-დან)
 იჩინ-დან (შინა-დამ)
 აღამ-უსტა (აღამიან-ზედა)

კიდევ და: ნარ-და (სა-და), ოიან-და (იქი-თა), ბუიან-და (აქა-თა); მენ-და (ჩემდა), სენდა (შენდა), მაგალ., „სენდა ვარ“=შენდა არის, ათასილა—ანასილა=მამაცა—დედაცა, მენ-და—სენდა=მეცა—შენცა, ინსაფდა ვარ, ჰაყილდა=სინილი-სიც არის, ჰკუაყ. მეშა-და (ტყეში), ევ-და (სახლში) იჩი (=ში), იჩინდა (შიდა, შიგა, შინათა: მეშა-და=მეშა-იჩინდა =ტყე-და, ტყე-შიდა; იჩი—შიდაობა, შინაობა: „იჩინა გირ-დი“=შინა შევიდა. იჩინდა-შიდა, შინად, შიგ. გედან-და=წასვლა-ში, წასვლისასა. ამიტომაც თვით ქართულში გვესმის სახლ-ში, სახლჩი.

ნჯა=მდე: გელინჯა—მოსულა(დ)-მდე (ინგ. მოსულინჯა, მოსულამდე), გელინჯა—წასვლამდე (წასულინჯა, წასულამდე)-მრავლ. რ. თავდება ღარ-ით და ქართ. კბ-ივით ყველა ბრუნვებში მოიხეამს მხოლ. რიცხ. ბრუნვების დაბოლოებებს.

ჰაჰა

სე. ბაბა

ბაბა(სი)

ჰაჰა-ნი	ბაბა-ლარ	ბაბა-(სი)ლარ
ჰაჰ-ებ-ის	„-იშ	„-ინ
„-ს	„ -ს	„-ა
„ -იდან	„ -თე	„-დან
„-ზედა	„ -ჟი	„ -სტა.

ნაფვაფსახ. მენ—მე, მენა, სენ—შენ (მეგრ.-სენ. სი), ო, ონ—ი, ის (მეგრ. ი, ინა, სე. აღ(ა); ოლარ, ონ-ლარ—ის-ინი, იგ-ინი, ინფუი, ალიარ. აქედგან ჩნდება მრ. რ. ნიშანი ლარ=არ=ნან (ნენ): ონ (მხ.)—ონ-ლარ (მრ.), ის (მხ.)—ის-ინი, ინა (მხ.)—ან-ანი, აღ (მხ.)—ალიარ. ქართ. ნენ-საც უღრის ლარ: სუსტდებოდნენ—სუსტალიირდი-ლარ, თრგუნ-ვიდ-ნენ—თათვალიირდი-ლარ. დაბოლოება ნენ ხშირად გვხვდე-

ბა ძველ გეოგრაფიულ სახელებში (ხორსანენი, სოფენენი, ორ-
ზიანინი და სხ.), მაგრამ ამის შესახებ იხ. შემდეგს წიგნში
„ვანის მეფეების ნაშთები“.

XIV

სკვითიაში მყოფი საქართველოში ყოფილა.*)

იყო დრო, — დიდი ხანი არ არის მას აქეთ, — რაც ამ-
ტკიცებდნენ ქართლის ცხოვრება ზღაპრული თხზულებათა.

შეთხზული ვახტანგის მიერ მე XVIII საუკუნეში!

მაგრამ ამისთანა ცილის წამებამ თავისი დრო-ვაში მოი-
ქაშა, რახან გამოჩნდა ამ ქართლის ცხოვრების დამამტკიცე-
ბელი ძველი მატთანე „მოქცევა ქართლისა.“

ეს მატთანე, გადმოწერილი უუძველეს დროის დედნიდამ
ბერაის მიერ მეათე საუკუნეში, გამოიცა 1890 წელს.

და ქართლ.-ცხოვრების მტრებმა, ცოტა არ იყოს, ჩამო-
ყარეს ყურები და ერთი მათგანი კიდევ შეუდგა მტკიცებას,
რომ „ქართლის ცხოვრება“ იწერებოდაო მერვე საუკუნეში
და იქნებ აღრეცო.

შემდეგ საქმეს შეუდგა ივ. ჯავახიშვილი და პსევდოპი-
გრაფიულ თხზულებად გამოაცხადა თვით ეს „მოქცევა ქარ-
თლისა“ თავის წიგნში „ანდრია მოციქულის და წმ. ნინოს
მოღვაწეობა საქართველოში“ და მის რუსულ თარგმანში
«Проповѣдн. дѣят. ап. Андрея и св. Нины въ Грузіи».

„ანდრიას მიმოსვლის“ შინაარსს ზღაპრული ხასიათი აქვს და
არაკს უფრო მთავრებს კაცს“, ირწმუნება ჯავახიშვილი (ტფ. 47).

„ანდრია პირველწოდებული არც რადის არ ყოფილა კავკასი-
აში სსზოგადოთ და კერძოდ საქართველოში“ (ტფ. 48).

„ანდრიას მიმოსვლა და ქადაგება ივერიაში მხოლოდ თქმუ-
ლებას, ისეთი თქმულებას, რომელსაც ისტორიისთვის არავითარი
მნიშვნელობა არა აქვს“ (იქვე).

რატომ? იმიტომ რომ:

*) „საქართ“. № 9-დამ იბეჭდება მცირეოდენ ცვლილებით.

ამ „მიმოსვლის“ შესახებ ქართველებმა მეცხრე საუკუნე არა იტოვებენ რა (გვ. 48)

და მხოლოდ ამ საუკუნეში ვინმე ბერძენმა ნიკიტა ჰაფლაგანელმა (+890 წელს) შეთხუზა, რომ ანდრიამ იქადაგა ივერიაში (გვ. 40)

„უნდა ვიფიქროთ რომ ექვთიმემ (+1028 წელს) მაშინ თითონ პირველად გაიგო და აუწია თავის ძმობას შესახებ ანდრიას საქართველოში მიმოსვლის“ (გვ. 42 და რუსულის გვ. 1071), და ეს ცნობა ათონიდან საქართველოში შემოვიდა, უცხად გაგრძელდა და ფაქტად მიიხიეს (გვ. 44).

თუ ეს მიმოსვლა მართალი ყოფილიყო, რატომ მის შესახებ ნიკიტა პოფლაგანელამდე არავითარი ცნობა არ დარჩა საქართველოში და ან არა სთქვეს-რა მსოფლიო მამებმაო, იმ მამებმა, რომელთაც დაგვიტოვესო მოციქულების მიმოსვლის შესახები ცნობებიო. ამ მამათაგან ყველაზე უძველესი დროისა ორიგენი გვეუბნებაო, რომ ანდრიამ იქადაგაო მხოლოდ სკვითაში, ამასვე იმეორებსო ევბერი (+449 წ.), დოროთეოსით ანდრია ქადაგებდაო ბითინიას, პონტოს, ფრაკიას; ეპიფანეც (VIII—IX-ს.) გვეუბნებაო, რომ ანდრია ბოსფორს მოვიდაო, სიმონ კანანელის კილობანი (ფუსკუმა?) მაჩვენებსო, მაგრამ თვითონ ეპიფანე აფხაზეთში არ ყოფილაო, რადგან არ ამბობსო, რომ ნიკოპსში სიმონ კანანელის საფლავი ვნახეო (გვ. 110).

იმიტანა პირველ ხარისხიდან კითხვის გადასაქრელად, ვით ანდრიას მოღვაწეობა საქართველოში, საპირო იყო მეტი დაკვირვება და მეტი მასალის შემოკრება, ქართულ წყაროების გულდასმით შესწავლა, კლასიკურ მწერლების ნაამბობის ზედმიწევნით გაცნობა. პატივცემულ ივ. ალ. ჯავახიშვილის წიგნში კი ამას ვერ ვხედავთ ჩვენ.

ზემონხსენებული ორიგენი (გარდაიც. 254 წელს), რომელმაც დასწერა 6000 თხზულება, ამბობს: ანდრიამ იქადაგაო სკვითაში.

რომელი იყო ეს სკვითა და ვინ იყო სკვითი?

„სკვითი“ ბერძნების შეხედულებით ისეთივე სახელი იყო ძველ დროში, ვით „ბარბაროსი“, მას შემკრებელობითი მნიშვნელობა ჰქონდა. სკვითად იგინი უწოდებდნენ კასპიის ზღვის იქითა მხრის ხალხებსაც, მაგალ., მასაგეთებს, არეზისა და ფაზისის ხეობის მკვიდრთაც, კავკასიონის გადაღმა ჩრდილოეთის ოკეანემდის გაფანტულ ერებსაც; საზოგადოდ კი ჩრდილოეთის ყველა ხალხებს და მათ შორის ქართველებსაც სკვითად იხსენიებდნენ. აი ამის სამოწმი.

სტრაბონი ამბობს: ბერძნების ძველი დროის ისტორიკოსები ჩრდილოეთის ყველა ხალხებს სკვითებად ანუ ელტოსკვითებად უწოდებდნენო (6, 2; ჰანის თარგმანი, გვ. 77)

აპოლოდორით (140 წ. ქრ. წ.) პრომეთეოსი (ამირანი) მიჯაჭვულია კავკასიონზე, რომელიც სკვითაშა (ჰან, 52), და ამ მთის ძირში იყო Kutais-polis=ქუთაისი.

ლუცი ამპელითაც (380 წ. ქრ. შ.) კავკასიონი სკვითაშაა.

პლუტარხი (II საუკ. ქრ. შ.) ამბობს: ფაზისი (=რიონი) სკვითაშაა (ჰან, 153).

- ეს ცოტაა კიდევ.

იგივე სტრაბონი ამბობს, რომ ივერნი ბარსა და მთაში ცხოვრობენო, მეზობლობენ სკვითებსა და სარმატებსო და მათი მკვდარტოშენი არიანო (XI, 3, 3).

კალლიმახით (260—230 ქრ. წ.) ხალიბნი (ქართვ. ხალხი) სკვითთა მოდგმისანი არიანო (ჰან, 43).

ნიმფადორ სირაკუზელის სიტყვით ტიბარენნი (ტაბალე-ბი) სკვითთა გვარმოდგმაა (იქვე, გვ. 207).

ამაზედ ცხადი რა იქნება?

მაგრამ იქნება გსურთ გაიგოთ უფრო უცხადესობა, მაგალ., შეიტყოთ თუ, სახელდობრ, ვინ იყვნენ ეს „სკვითთა მოდგმის ტიბარენები“ (იგივე თობელნი=ტაბალნი)?

აბა დაუფდოთ ყური იოსებ ფლავიოსს (37—100 ქრ. შ.): „თობელისაგან წარმოსდგნენ თობელნი, რომელნიც ჩვენს დროს იწოდებიან ივერად“ (Antiqit. 1, თ. 6), ამასვე იმეო-

რებენ მეოთხე საუკუნის მოღვაწენი ვესტათი ანტიოქელი (*Латышевъ 1, 700*) და თეოდორიტე კვიპრელი (*იქვე, 773*).

და ორიგენეც სწერს (მესამე საუკ.): ანდრიამ იქადაგაო სკვითაში. დანარჩენმა მამებმა უფრო გარკვევით სთქვეს:

ლოროთეოსმა (არა აღრე 4 ს.): ანდრიამ იქადაგა ბითონიას, პონტოს, თრაკიას და სკვითიას, მერე მივიდა დიდ ქალაქ სებასტიას (==ბიჭვინტას), საცა მღინარებენ ფსარი დე ფაზისი (*А. Лопухинъ. 1, ტ. 1, 759*)

ფსარი==აფსარი აფხაზეთის სახელია, ხოლო ფაზისი რიონია და ხან ქოროხი.

იგივე ცნობა ანდრიაზე გამეორებულია ქართ. ხელნაწერებში (*№ 95, 103, 222 და სხ.*). ამათგან № 103-ში მოყვანილია ბასილი კესარიელის (*329—379*) საკითხავი და მასში ანდრიას ქადაგებული ქვეყნები ამ რიგად ჩამოთვლილია: ბითონია, პონტო, თრაკია, რაკონელთა ქვეყანა, სებასტიელთა ქალაქი დიდი (==ბიჭვინტა), „სადაცა აფსირაუჯთა ბანაკია.“ უფრო სარწმუნო ცნობებს ანდრიაზე იძლევა ზემო (*49—53*) დაბეჭდილი მოთხრობა, იოანე ანჩელი ხომ პირდაპირ უგალობს მოციქულს: „ანდრიაჲ, თავი მოციქულთა, პირველ წოდებული მოწაფე მეუფისა დიდისა, იდიღებოდენ ყოველთაგან უღალთა ღადოთა კლარჯეთისათა: იერაპოლით მოვიდა და „ხატი ესე საშინელი (ანჩას ხატი) ჩუენ მოსავთა მისთა ჰოგვანიქა“ (*ჩვენი Описание рукоп. церк. музея, გვ. 312*).

დავით და კოსტანტინე მთავრების ცხოვრებაში აწერია: „ვითარცა გვისწავიეს ესე ძუეჯთა უწეუბთაგან, იყუნეს წმინდანი ესე მოწამენი დავით და კოსტანტინე განათლებულ ემბაზითა ქადაგებულისა ანდრიას და სიმონ კანანელიასათა, რამეთუ მათ უქადაგეს „ქრისტე ქართველთა შორის ჰირველ ნინოს მოსელისა“ (*ხელნაწ № 176, გვ. 267 ბ; სამოთხე, გვ. 324*).

ეს წმინდანები ეწამნენ მეშვიდე საუკ. გასულს და ივ. ჯავახიშვილი კი ირწმუნება მე IX—XI საუკ დის არ იცოდნენ ანდრიას მოგზაურობის ამბავი!

მაგრამ რას ვკითხულობთ? ალბად ეს „ცხოვრება“ ყალბია! შეიძლება. მაგრამ ყოველ შემთხვევაში საჭირო იყო ანდრია პირველწოდებულის“ ავტორს ამის შესახებაც ეთქვა ორიოდე სიტყვა და ეცნობებინა მკითხველისათვის, რომ ამგვარი «ყალბი» თხზულებაც არისო ქართულს ენაზე. თორემ რასა გავს მისი მტკიცება, რომ ქართველებმა მეცხრე საუკუნემდის არა იცოდნენ რაო, თვით ექვთიმე მთარგმნელმა (+1028 წ.) ალბად პირველად გაიგოო, მაშინ როდესაც მოწამეთა ცხოვრება ანდრიას აქ ყოფნას ამყარებს „ძველ უწყებაზე“!

ანდა რა ვიცით, რომ ეს „ძველი უწყება“ დღეს თუ ხვალ არ ამოცურდება სამალაფიდამ ისე, ვით ამოცურდა ქართველთა საამაყო „ქართველთა მოქცევა“, „მდაბიოთაგანის“ ყუთლარსლანის დიდგვარიანობა (იხ. ქვემო) და სხ.

ანდრიას მიმოსვლა საქართველოში (ბერძნ. სკვითიაში) ჩვენ „ზღაპრად“ კი არა, უეჭველ საქმედ მიგვაჩნია არა თუ მარტო ზემოაღნიშნულ უწყებათა მიხედვით, არამედ სხვა მოსაზრებითაც.

მოციქულების ხანაში საქართველო ფრიად ძლიერი სახელმწიფო იყო, ისეთი ძლიერი, რომ მის მეფეს ეჭირა აგრეთვე სომხეთიც, და მის ძლიერების გამო დიდებული რომის იმპერია თავისთვის სასახლოდ სთელიდა ქართველ მეფის მეგობრობას, მისთვის ანდალმის დადგმას თვით მეომრობის ღმერთის ბელლონიის ტაძარში რომს, ციხის აგებას ივერთ მეფისთვის, რომ „მეგობრობდა კეისარს და რომის ერს“.

რა დასაჯერებელია, ქრისტეს მოციქულები შესულიყვნენ სომხეთს, ალბანიას, სპარსეთს, ინდოეთს, პონტოსს, კაპადოკიას (ისიც დასახლებულს ქართველის გვარ ტომით), სკვითიას (იგულისხმება რუსეთი) და თვით სომხეთის მპყრობელ და რომის მეგობარ მეფის ქვეყანაში კი არც ერთს ფეხი არ შემოედგა!

ეს ერთი. მეორეც, როგორ შეიძლებოდა ანდრია სკვითიაში მისულიყო, რომ საქართველოს ნიადაგისთვის ფეხი არ

დაეგა. ზე ხო არ გადააფრინდებოდა! ნავითაც რომ წასულიყო, ისევ ტრაპიზონს ვერ ასცილდებოდა და ტრაპიზონი ხომ იმავე კოლხთა (ქართველთა) ქალაქი იყო!

მაგრამ რა საჭიროა ჩვენთვის ყველა ეს კითხვები. ანდრია იქნებ არც კი იყო ჩრდილოეთ სკვითიაში, ეს კი, როგორც დავინახეთ ზემო აღნიშნულ სამოწმებით, ცხადზედ ცხადია, რომ ანდრია სამხრეთ სკვითიაში (საქართველოში) ყოფილა და აქ შემოსულა, ქართულ წყაროების ჩვენებით, ტრაპიზონის მხრიდან და პირველად უქადაგნია სწორეთ იმ არემარეს, საცა ცხოვრობდნენ ბერძნების სკვითინები (კსენოფონტე, VI, 7, 18) და მაკრონები ანუ ტჩანები, ესე იგი ქანები.

ვიმეორებთ, ანდრია არა თუ არ იყო საქართველოში, არამედ არ შეეძლო არ ყოფილიყო და რომ არ ყოფილიყო, სხვა მოციქული მაინც აუცილებლად შემოვიდოდა ამ მაშინდელ მძლავრს და ერთა შორის დიდ მნიშვნელობის მქონელ სახელმწიფოში. მისი მოგზაურობა, როგორც მოსალოდნელი იყო და როგორც შეეფერებოდა მოციქულის მასიის სიდიადეს, ქართველებმა თვით შემოსეს დაწვრილებითი, ხანდახან თვით არა-საქირო ცნობებით: ყოველი წმინდანის ნამოქმედარს მოსდევდა ხოლმე გადაქარბებული მოთხრობა. ეს ყველგან ასრე იყო.

ბ. ჯავახიშვილი ასრე ასრულებს თავის წიგნს: „კრიტიკული განხილვა წყაროებისა, რომლებშიაც შენახულა მამაპაპური გადმოცემა შესახებ ქრისტიანობის დამყარებისა საქართველოში, საჭირო იყო აუცილებლად, ერთის მხრით, რომ მოგვეჩადა ნიადაგი მერმენდელ სამეცნიერო შრომათათვის ამავე კითხვის შესახებ, და, მეორეს მხრით, რომ შეცდომები აეცდინათ იმ ისტორიკოსებს, რომელნიც მატთანეს სიტყვების განმეორებას აღარ კმარობენ და სხვა და სხვა საეჭოა, ზღაპრულ თქმულებებზე ამყარებენ თავიანთ, ხშირად, დიდმნიშვნელოვან საკითხების შესახებ კვლევას“. — აქ რუსულს გამოცემაში აქსონი ჩვენც გადმოგვკრავს მამაპაპათა

ზღაპრულ თქმულების დაჯერებისთვის (ქართულში კი არ გვიხსენიებს!)

სწორე გითხრათ, მამაპაპათა „ზღაპრობას“ ჩვენ, ხშირად, უფრო ვუჯერებთ, ვიდრე ზოგიერთ სწავლულულის მეცნიერებას. ბ. ჯავახიშვილის „ანდრია პირველწოდებული“ კი ხომ, როგორც დავინახეთ, ვერავის გზას ვერ გაუკვლევს და ვერც შეცდომას ააყდენს, ვინაიდან თვით იგი უფრო სხარტულას ჰგავს, ვიდრე მეცნიერულს გამოკვლევას.

სხარტულით არ შეიძლება მამაპაპათა მრავალსაუკუნოვან რწმენა-გადმოცემის სხეურტა, სხება, გაქარწყლება.

XV

ევსტათის წამებისა და უმეფობის გამო ისევ *).

ჩვენს შეკითხვაზე პატივცემულ ჯავახიშვილმა გაგვცა პასუხი.

სჯობდა კი არ გაეცა: ვერც არა გამოარკვია-რა და ზედაც ჩვენი პირადობის შელახვა მოინდომა კვლავ.

1. „ჯანაშვილი თავის ოცნებასა და უფრო ქარის წისკვილებს ეომება, ვიდრე მე“, არწმუნებს საზოგადოებას ჯავახიშვილი (საქართ., № 10, გვ. 13, სვ. 2).

უომროდ ჯავახიშვილს ვერა წარმოდგენიარა და რასაც დასწერს, თუ „ბალი, ალა“ არ მოახსენე, მაშინათვე სეტყვისაგან მოგაყრის მრავალ უკადრისობას, ვით: „ქარის წისკვილებს ეომები“, „აბდა უბდას მოჰყოლიხარ“, „სიყალობე“, „ქორებია“!...

სამწუხაროდ, ეს ახალგაზრდა მკვლევარი ამგვარივეა (არა მარტო პილემიკაში, თვით საქართველოს წარსულის შესწავლაშიაც, მხოლოდ იმ განსხვავებით კი, რამ თითქმის ყველა უცხოელ მწერლებსა და წყაროებს მონურად ენდობა და უერ-წაერებით ეკადება ჩვენებურებს. წაიკითხეთ ჯავახიშვილის ცაღმხრივი და ცაღფუხის ისტორიოგრაფია, რამეღსაც იგი ეძახის „ქართველ ერის ისტორი-

*) ეს წერილი შეუწყნარებელ კორექტურულ შეტყობებით დაიკლა „ნიავეში“ (№ 8).

ას“, და სრულიად დარწმუნდებით ჩვენი ნათქვამის სიმართლეში. ავტორს მასში კრინტიც არ დაუძრავს ანდრეას მიმოსვლის შესახებ, ქრისტიანობის მიღებისთვის სულ 24 სტრიქონი უწილადებია, ისიც წმ. ნინოს სახელის უხსენებლად, და სს. და სსვ. ნინომ მთელი ახალი ხანა შექქმნა და იგი, თურმე, ტრევე-ქაღის მეტი არა უოფიდა! და ესეც მხოლოდ მისთვის, რომ თვით ავტორს უაღბად მიაჩნია ის, რაც უაღბად მისაჩნვეო არ არის...

ჩემს შეკითხვაში მე იოტის ოდენი სიმრუდე და სიყალბე არ შემიტანია.

- ა. რომელ წელს ეწამა ევსტათი?
- ბ. რომელ წელს გაძეფდა გურამი?
- გ. რამდენ წელს გასტანა უმეფობამ?

ანუ როგორც ვწერდი: „590 წელს და არა 544-ს და არც 888-ს,“ და სრულიად აზრად არა მქონია ჯავახიშვილის წიგნის „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორიის“ გარჩევა თავით ბოლომდე, თუმცაღა, დაფუძნებთ ეხლა ჩვენ, ამ წიგნის ერთ თავში (თ. მერვე) ის, რაც შეეხება „მდაბიოთაგანს“ ყუთლუარსლანს, უნდა შეიცვალოს თანახმად და შესაფერად ჩვენის შესწორებისა (იხ. ქვემო).

ვიმეორებთ კვლავ, ჩვენ არც „ქარის წისქვილებს“ ვეომებით და არც მათ მეწისქვილეებს, არამედ ვეძიებთ მხოლოდ კეშმარიტებას და ამ ძიებაში თუ სადმე ვცდებით, ეს არა განზრახ და ნებისით და არც სიყალბის ჩადენის ჟინით, არამედ იმიტომ, რომ თვით მუშაობას დასდევს შეცდომა. არა სცდებიან მხოლოდ მკვლარნი, უსაქმურნი.

2. «ყოველ ეპეს გარეშეა, რომ ევსტათი მცხეთელის მარტვილობა 544—5 წ. მოხდა და არა 590 წელს, როგორც ჯანაშვილს ჰგონია,“ ირწმუნება ჯავახიშვილი („საქართ.“, № 10, გვ. 12. სვ. 1).

არა მე მარტო ვერე „მგონია.“

ვახუშტით ევსტათი ეწამა სტეფანოზის მთაერობაში (600—619 წ.)

ბრასეთი ევსტათი ეწამა ხოსრო II ფარვიზის მეფობაში (590—628), იმ დროს, როდესაც ქართლში პატიახშობდა არშუშა და კათალიკოზობდა სამოელი (Hist de la Gé., გვ. 227).

ბაქრაძით ვესტათი ეწამა ხოსრო II-ის გამეფების მეათე წელს, ე. ი. 600 წელს (ვახუშტი, გვ. 111, „საქართ. ისტ.“ გვ. 191)

საბინინით 589 წელს (იხ. „სამოთხე“).

ჟორდანიას საფუძვლიან გამოკვლევით „ამავე ხანებში“ (ქრონ., 1, გვ. 56).

ყველა ამ ავტორებს ბზე ხომ არ უხონნიათ და ღო ხომ არ უხვრეტიათ, რომ ვესტათის წამება 544—5 წლებისთვის არ მიუკუთვნებიათ?!

ესენიც „ქარის წისკვილების“ მეტროპოლიტი თუ არიან, რომ ჯავახიშვილი ამათგან არც ერთს არ იხსენიებს თავის თარიღის (=544—5 წ.) დადგენაში და ამათ აზრსა და შეხედულებას ამ საგნის შესახებ ანგარიშს არ უწევს.

თ. ჟორდანიას გამოსთქვამს საყურადღებო აზრს, რომ ვესტათის მოსვლის შუათე წლად უნდა ითვლებოდესო დრო არა ხოსრო II-ის გამეფებიდან სპარსეთში (590 წ.) არამედ მის გამთავრებიდან ბარდავს (ქრ., გვ. 56). ეს აზრი უსაფუძვლოდ არ გვეჩვენება, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ხატზე ვესტათი ახალგაზდა ვაშკაცად გამოსახულია და თვით მის „ცხოვრებაშიაც“ ცხადად არ არის ნათქვამი, რამდენს წელს დაჰყო საქართველოში; აღნიშნულია მხოლოდ, მოვიდაო ხოსროს მეფობის მეათე წელს, მეხამლობა ისწავლა, მერე გაქრისტიანდა, ქრისტიანი ქალი ცოლად შეირთო, შეასმინეს აქაურ სპარსებმა ქართლის მარზაპნის, არვანდის წინაშე, ამის ბძანებით ექვს თვეს *) იჯდა ციხეში, მერე არვანდი სპარსეთს დაბრუნდა, სამი წლის ამის შემდეგ მისი მაგიერი ვეჟან ბუზმილი მოვიდა და იმავე წელს აწამა.

ვესტათის მოსვლიდან მის წამებამდე კარგა ხანს უნდა გაეგლო, ამიტომ რომ მწამებელი (ვეჟან ბუზმილი) ეუბნებო-

*) «ექვს წელს» (ბროსე—საქართველოს ისტორია, გვ. 104). მაგრამ შეცდომა უნდა იყოს: ჩვენ ხელში მყოფ წყაროებში ყველგან ექვსიოდე თვე სწერია.

და: გონს მოდი და „ნუ ქურივ ზამ ცოლსა შენსა და ობოლ შეილთა შენთა“ (სამოთხე, გვ. 321, № 176, გვ. 123, № 170, გვ. 119).

რომ, ვითომ, ევსტათი სწორეთ 544—5 წელს წამებულა, ამის დამტკიცებას ჯავახიშვილი ასურელ გრიგოლის მართვილობშიაც ეძებს და ბძანებს: „მასში პირდაპირ აღნიშნულია, რომ ხოსროს (აკქსონი იგულისხმებს ხოსრო I-ეს) მეფობის მეათე წელს მოგვებმა შეფეს ქრისტიანების დევნის ბძანება გამოაქვეყნებინებს. მაშასადამე (!) ევსტათი მცხეთელიც სწორედ (!) ამ დევნის გამო უწამებიათ“ (საქართ. № 10, გვ. 12, სვ. 1).

ამგვარივე ბძანება ყაენმა კობადმაც გამოსცა ჯერ ისევ 540—1 წლებში (იხ. პროკოპი კეს, გვ. 56), მაგრამ ქრისტიანები ამის გამო არავის ამოუწყვეტია. ევსტათი კი იმიტომ აწამეს, რომ სჰარსი იყო და ქრისტიანობა მიიღო.

მეგვარტომენი უჩიოდნენ ევსტათის:—სპარსია, ქრისტიანობა მიიღო და ჩვენ რჯულს აგინებსო. უფროსმაც მრისხანედ უთხრა ევსტათის: „არავინ გიტევოს ქრისტეს მსახურ ყოფად!“ მასთან ერთად კიდევ სხვა შვიდი სპარსი გაქრისტიანებულ იყო, უფროსმა უბძანა თავის მოხელეებს:

„თუ ვინმემ ამათაგანმა აღიაროს მამული რჩული, განუტევეთ, და თუ რომელმან მამული რჩული არა აღირჩიოს, იგი საპყრობილესა შინა მოკუედინ“ *) (№ 176, გვ. 178; სამოთხე, გვ. 314).

სამეუფლო რჯულის არ გამოცვლა დაეკანონებინა სწორედ ხოსრო II-ს.

მე-VII საუკუნის ისტორიკოსი სებეოსი ამბობს, ხოსრო მეორემ ასრეთი განკარგულება გამოსცაო: „ცეცხლის თა-

*) ევსტათისთან ერთად გაქრისტიანებულ სპარსთაგან ზოგთ მოიღმინეს-რა მარზანის მუქარა „რომელმან აღიაროს, იგი ვაცხოვნო და რომელმან არა აღიაროს მამული რჩული, საპყრობილესა შინა მოკუედინო“, უფარწყვეს ქრისტე და უღთოება აღიარეს (№-170, გვ. 112; №-176, გვ. 178; სამოთხე, 314).

ყვანის მცემელს არ შეეძლოს გაქრისტიანება, ქრისტიანს— წარმართობა. ყველა მტკიცედ იყოს თავისს რჯულზედ, ხოლო ვინც თავისს რჯულზედ არ დადგება და უვარს ჰყოფს ამ რჯულს, მოკლულ იქმნება“ (სებეოსი. *Исторія Иракла*, გვ. 50.)

ესრეთი განკარგულება ხოსრო II-ემ, ალბად, მოახდინა ჯერ ისევ მაშინ, როდესაც მთავრად იყო ბარდავს, ამ მაშინდელ შუა-გულს სამ ქრისტიან სამეფოთა შორის (ქართლისა, ალბანიისა და სომხეთისა) და, ალბად, ამ განკარგულებით ხელმძღვანელობდნენ ქართლის სპარსები, რომ ევსტათის უჩიოდნენ ნაციონალურ რჯულის გამოცვლას და მარზაპნებიც, რომ გადაუწყვიტეს მას 6 თვის საპრობილე და მერე წამება და სიკვდილი.

ჯავახიშვილი ევსტათის ცხოვრების „კარგად არ წამკითხავს“ გვიკვირებს, და თვითონ კი როგორ გაუზვიანობია ეს ცხოვრება, სჩანს იქიდან, რომ აქამდის ვერ გაუგია, რომ ევსტათი აწამეს ნაციონალურ რჯულის გამოცვლისათვის და არა იმისთვის, რომ ოდესღაც ყაენს ხოსრო I-ს (და ყველა სხვა ყაენებსაც, დაუშვებებთ ჩვენ) განკარგულება მოეხდინა შესახებ ქრისტიანების ღვ. ნისა (ნეტა რომელი ყაენი არ დევნიდა ქრისტიანებს!).

ყველა აღნიშნულ ცნობებიდამ ცხადად ჩანს, რომ ევსტათი წამებულია ხოსრო II-ის დროს და არა ხოსრო I-ის მეფობაში. ამას ამტკიცებს ყველა ზემოდ დასახელებულ ქართველ ისტორიკოსების ჩვენება და აგრეთვე თვით ევსტათის ცხოვრებისა და სებეოსის ნათქვამი, რომ ნაციონალურ რჯულის გამომცვლელს სიკვდილი ჰქონდა გადაწყვეტილი. ეს ესრეა და ახლა კიდევ კითხვა ის არის, თუ, სახელდობრ, რომელს წელს ეწამა წმ. ევსტათი.

589-სა და 600 წლებ შუა, როდესაც ქართველი ისტორიკოსების სიტყვით ეწამა ევსტათი, საქართველოში იყო სპარსთა მოხელე ვეზანი, რომელსაც ქართლის ცხოვრება იხსენი-

ებს ბარამ (=ბაჰრამ=ვაჰრამ ჩუბინის *) ერისთავად (ქართლ. ცხ., გვ. 163). მაშასადამე, ვფიქრობთ ჩვენ, ეს ვეზანი უნდა იყოს გვეჟან ბუზმილი, ევსტათის მწამებელი. და რადგან ბარამ ჩუბინი სპარსეთში ყაენობდა მხოლოდ ერთს წელიწადს (590 წ.) ამიტომ იგი სწორედ ამ წელიწადს გამოგზავნიდა თავის მოხელეს ვეზანს=ვეყანს და სწორედ ამავე წელიწადს ეწამებოდა ევსტათი, რადგან ვეყან ბუზმილმა იგი აწამა თვისის მოსვლის წელიწადსვე.

აი ამ მოსაზრებით ევსტათის წამების წელიწადად ჩვენ დაუდებთ: 590 წელს და არა 589 ს (საბინინი), 600-ს (ბაქრადე), სტეფანოზის მეფობას=600 627 წ. (ბროსე)**) და მით უმეტეს 544—5.ს (ჯავახიშვილი).

3. ჯავახიშვილი განაგრძობს (იქვე, გვ. 12, სვ. 1):

„სცდება აგრეთვე ჯანაშვილი, როცა ბძანებს, ვითომც „სწორედ ამ წმიდანის წამების თარიღზე დამოკიდებულია ბაგრატიონთ გამეფების თარიღიც.“ აწავითარი დამოკიდებულება არ არსებობს“.

მორჩა და გათავდა! საბუთები?

არა თუ მარტო ევსტათის წამების თარიღს (იხ. ქვემო), თვით შუშანიკის წამების თარიღსაც დიდი დამოკიდებულება აქვს, იმ შუშანიკისა, რომლის ცხოვრება ჯავახიშვილს თითქმის მთელის საუკუნით იმაზე უკან მოუთავსებია, როდესაც იგი ეწამა (ამის შესახებ ცალკე წერილში გვექნება საუბარი, ჯერხნობით კი იხ. ქრონ., გვ. 55, შენიშ. 120 და ჩვენი საქართ. ისტ., გვ. 260).

4. ჩემს გამოკვლევაში „საქართველოს მეფე“ . რ მითქვამს (?) და არც ვირწმუნები (?), ვითომც საქართველო უმეფოდ იყო 545 წლიდან 588 წლამდე“, ბძანებს ჯავახიშვილი (იქვე, გვ. 12, სვ. 2).

ნუ თუ? მოისმინეთ:

„მაშასადამე მე-VI საუკუნის პირველ ნახევრიდან მოყოლებული მეცხრე საუკუნის დამლევამდე საქართველოს საკუთარი მეფე არა ჰყოლია“ („საქართ. მეფე და მისი უფლების ისტორია“ ივ. ჯავახიშვილისა, გვ. 4).

*) ვაჰრამ ჩუბინი (კალანტკატვაწი, გვ. 135).

**) ბროსე. საქართ. ისტორია, ლაღობერიძის თარგმანი, გვ. 103.

აკი არ „ვირწმუნებიო?“ ვისია ეს „მაშასადამე?“

ან-ღა კიდევ:

„სამ საუკუნე ნახევრის მანძილი სოულიად საქმარისია, რომ აღდგენილ მეფობისა და უძველეს დროინდელ მეფის უფლებას შორის პირდაპირი კავშირი და დამოკიდებულება შეწყვეტილა ჩავთვალოთ“ (იქვე, გვ. 4).

მართალია, კმარა, მაგრამ როდის შესრულდა ეს $3\frac{1}{2}$ საუკუნე?

„გაუქმებული ქათლის მეფის უფლება 888 წლის ახლო ხანებში აღადგინეს“ (იქვე, გვ. 6).

ირწმუნებით თუ არა?

და ეს თარიღი კი ჩვენით, ე. ი. ჩვენ ხელმისაწვდომ საბუთების ძალით, სწორე არ არის. ამიტომ:

544 წლიდამ „დაახლოვებით“ 888 წლამდე შეუახდნენ ბაკურ II, ფარსმან VI, ფარსმან VII, ბაკურ III, გურამ ბაგრატიონი (590—600), შემდეგ ორიოდ მთავარი, მერე კიდევ შეუენა მირი 663 წლიდამ, არჩილი † 718 წ., აშოტ დიდი 786 წლიდამ.

ეს აშოტი თვით ბერძენთა წყაროებითაც შეფედ წოდებულია. „ადარნასემ, ივერთ მეფის ასოტის (=აშოტ დიდის) ძემ ქრისტეს მოყვარე რომის იმპერატორის ლეონისაგან მიიღო კურატპალატობის პატივი“ (ჰან, 2, გვ. 25).

არჩილ II-ეს ივერთ მეფედ იხსენიებს მ. ქორენელიც და მას სთვლის თანამედროვედ იმპერატორის თეოდოსი III-ისა (716—717) და ივერთ მთავრის არშუშასი (გვ. 218).

თუ $3\frac{1}{2}$ საუკუნის უმეფობა 888 წლის ახლო ხანებში შესრულდა, მაშ სად უნდა გადავყაროთ მეფობანი აშოტ დიდისა, არჩილისა, მირისა, გურამისა და სხვა მეფეებისა?

5. „უფრო მეტადა სცდება ჯანაშვილი, როცა გაიქახის... უმეფობა იყო საქართველოში, მაგრამ იყო არა 888 წლამდე, არამედ დაახლოვებით 576 წლიდამ ბაგრატიონთ გამეფებამდე“ („საქართ.“, № 10, გვ. 13, სვ. 1—2).

ვიდრე ამ ამონაწერის შესახებ განვაგრძობდეთ ლაპარაკს, საქირთა მოვისპინოთ ჯავახიშვილის კიდევ ერთი მტკიცება,

ვითომ დამყარებული, როგორც ირწმუნება, პროკოპი კესარიელის ცნობაზე.

- „ქართლში მეგობის უფლება გაუქმდა მაშინვე, როცა გურგენი თავის შვილითა და სახლობით ბიზანტიაში გაიხიზნა, ე. ი. 527 წელზე უწინ, მაგრამ საბოლოოდ ეს გაუქმება 532 წლის „საუკუნო ზავის“ ხელშეკრულობამ „დააკანონა“ (პროკოპი Bello persico, წ. 28—დესტუნისის 2. გვ. 208; საქართ. № 10, გვ. 13, სვ. 1).

მართალი არ არის.

თვით ეს „საუკუნო ზავის“ ხელშეკრულობა ქართველების შესახებ შეიცავს მხოლოდ ამას: „ნება მიეცეთ ივერიელებს თუნდ დარჩნენ ბიზანტიაში, თუნდ დაბრუნდნენ სამშობლოში“ *) (დესტუნისის თარგმანი, გამოც. 1862 წლ., გვ. 117).

არც „დაკანონება“ სჩანს და არც „საბოლოოდ“ გაუქმება!

სად მონახა ჯავახიშვილმა „დაკანონება“, ღმერთმა უწყის.

ცხადად კი სჩანს, რომ „საუკუნო ზავს“ ქართველ მეფეების შესახებ არა დაუკანონებია—რა, მათს უფლებას 532 წლის ხელშეკრულებამ არც კი შეპაბებია. ეს მტკიცდება შემდეგი დამატებით.

ბერძენთავე წყაროების ჩვენებით სწორეთ ამ ვითომ „დაკანონების“ მეორე წელიწადს (= 534 წ.) „ქართველთა მეფე ძამნარსი მთელის თავის სახლობით ეწვია იუსტიციანე კეისარს კონსტანტინეპოლს ზავისა და მფარველობის სათხოვნელად. იმპერატორმა მიიღო მისი წინადადება, მას და მის კარის კაცებს დიდი პატივი მიაგო, მის ცოლს კეისარის მეუღლემ სხვა და სხვა მოსართავეები და ძვირფას ქვებით მოკვდილი სამკაული უბოძა, და ამის შემდეგ იმპერატორმა გამოისტუმრა საკუთარ სამეფოში“ (პან, 2, გვ. 17).

თუ 532 წელს „დააკანონეს“, გააუქმეს, ეს 534 წლის ამბავ-ზვიში რაღა არის?! თუ 532 წელს „გააუქმეს“, 534 წელს ზავის დადება და საკუთარ სამეფოში გამოგზავნა რას მოასწავებს?!

*) აქ თავისით უმატებს პროკოპი: „ბევრნი მათგან დარჩნენ აქ და ბევრნიც დაბრუნდნენ თავის ქვეყანაში (იქვე).

ან და თუ ესეთი რამ მომხდარიყო, იგივე პროკოპი კესარიელი რაღად დასწერდა (არა ადრე 555 წლისა) „Иверы обитають у самыхъ Касп. вратъ, отъ нихъ налѣво къ западу Лазика, направо къ востоку народы *подвластные* персамъ“ და ქართველებსაც „პოდელასტნად“ როგორ არ გამოაცხადებდა?!

სპარსთაგან ატეხილ აურზაურს ჩვენ განვსჯით ასრე.

თუმცა ყაენებმა, როგორც გვაუწყებს პროკოპი კესარიელი, ქართველებს მოუსპეს მეფის ამორჩევის უფლება 521 წლითგანვე, მაგრამ ქართველებს მათ განკარგულებისთვის, როგორც ბევრჯელ სხვა დროსაც, არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ და ისევ თავისი მეფეები ჰყოლიათ, ვიდრე ურმიზდ ყაენს (579—590) თავისი შვილი ხოსრო არ გამოუგზავნია ბარდავს მთავრად რან-მოვაკანისა და ქართლისა და ამ ხოსროს (ქასრე-ამბარვეზს) არ მიუზღიებია ქართველთა აზნაურნი მათთვის მრავალ წყალობის დაპირებით და ამით იგინი ღვიძლ მეფისთვის არ გაუორგულებია და არ განუყენებია.

„მეფემან სპარსთამან ურმიზდ მისცა ძესა თვისსა რანი და მოვაკანი. რომელსა ერქვა ქასრე ამბარვეზ. და მოვიდა და დაჯდა და უწყო ზრახვად ერისთავთა ქართლისათა, აღუთქვა კეთილი დიდი და დაუწერა საერისთავოთა მათთა მამულები შვილითი შვილად და ესრეთ წარიბირნა ლიქნითა ლაზ განდგეს ერისთავნი თვისთვისად, ხარკსა მისცემდეს ქასრეს ამბარვეზს“ (მარიამ დედოფ. ვარიანტი, გვ. 189, ქართ. ცხ. გვ. 161).

ამისთანა ლალატის შემდეგ ბაკურ მეფის ძენი მიიმალნენ კახეთის მთიულეთში, ხოლო სპარსებმა დაიპყრეს მთელი ქართლი, სომხითი და ასთორაგანი (იქვე). ამ ქვეყნებს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ სივნიეთსაც უმატებს (გვ. 34), ხოლო სუმბატის ქრონიკა ამბობს: „სპარსნი უფლებდეს ქართლს, კახეთს, ჰერეთს, სომხრთს, სავანეთს, ასპორანგს“ (=გუასპურაგანს = ვასპურაკანს) (სამი ქრ., გვ. 44).

შემდეგ სპარსეთს ჩრდილოეთის მხრიდგან შეესივნენ თურქნი, ხოლო შუამდინარიდგან ბერძენნი. ბარდავიდამ მამის საშველად სწრაფად წავიდა ხოსრო II (ალბად 587 წელს ქართლის მარზაპან არვანდთან ერთად). სპარსეთს გლეჯა და წი-

წკნა რომ დაუწყეს ბერძნებმა და თურქებმა, მაშინ „ნელა-დრე შეკრბა ქართლი“ (მოქც. ქართლ., გვ. 34), „ერთათ შეკრბა ყოველი ქართლი და გამოიჩინეს გურამ (სუმბატის ქრ., გვ. 44), „შეითქვნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, ზემონი და ქვემონი, და წარუზავენეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა და ითხოვეს, რათა უჩინოს მეფე... აღასრულა თხოვა მათი და მისცა მეფედ... გურამ, რომელი (მანამდე) მთავრობდა კლარჯეთს და ჯავახეთს“ (ქართ. ცხ., 161; მარიამ დედ. ვარ., გვ. 190).

კეისარმა გურამს კურატპალატობაც უბოძა, ფულიც გამოუგზავნა და სთხოვა ქართველთა და მთიელთა ლაშქრით შეჰსეოდა სპარსეთს. ვგრე მოიქცა.

იღუპებოდა სპარსეთი, რომ გამოუჩნდა მხსნელი. ამან დაამარცხა თურქები და მოკლა მათი მეფე. თურქნი უკუნ იქცნენ. ბერძენნიც შეშინდნენ, დაბრუნდნენ. ქართველთაც უკან დაიხიეს. გურამი შეუდგა ციხე-ქალაქების მაგრებას, რადგან სპარსთაგან მოელოდა შურისძიებას.

მაგრამ საქმე სხვანაირად დატრიალდა. ურმიზდ ყენი უპატიოდ მოექცა მამულის მხსნელ სარდალს ბარამს *), ლაშქარმა ეს ყენად გამოაცხადა. ურმიზდს თვალეზი დასწვეს და საპყრობილეში ჩააგდეს 590 წელს (იხ. ვებერის საზოგადო ისტორია).

ბარამმა ხოსრო სპარსეთში აღარ დააყენა და საქართველოშიაც, როგორც სჩანს საქმის ვითარებიდამ, გამოგზავნა თავისი ერისთავი ვეჟან ბუზმილი.

ამასობაში ხოსრომ ბერძენთა ლაშქარი მოიყვანა და ბარამი დაამარცხა. ქართველებიც, ეტყობა, ხოსროს მიემხრნენ, რადგან დეუყოვნებლივ მოკლეს ბარამის გამოგზავნილი ვეჟან ბუზმილი, მწამებელი ევსტათი მკხეთელისა.

ხოსრომ კეისრის ქალი შეირთო ცოლად. სიძე ყენს

*) მის შესახებ იხ. აგრეთვე სებეოსი, გვ. 31 და სხ., კალანტკატვაწი, გვ. 135. საზოგადო ისტორია ვებერისა.

სთხოვა იმპერატორმა: ქრისტიანობის მიღებიდანვე ქართველები ბერძენთ მორჩილნი არიანო და თქვენ იმათზე ხელი არ გაქეთო. ქართლი ჩვენ შორის მშვიდობით თავისუფალი იყოსო. მე მოურავი ვარო ქართველებისა *) და ყველა ქრისტიანებისა“. ხოსრომ გაუგონა კეისარს და „განთავისუფლდეს ქართველნი“ (მარიამ დედ ვარ., 192; იგივე ქართ. ცხ.ში).

ცხადია, რომ ერთად შეკრებილ ქართლს მეფე ამოურჩევია და არა შთაფანი. და მით უმეტეს ერისთავი, რომლის არჩევას მცირე ხნობის კაცებიც ეყოფოდნენ.

მეფის უფლების შესახებ იქვე ნათქვამია ასრე: „ვინათგან მოაკლდა მეფობა შეილთა გორგასლისათა (==ბაკურიდამ 567 წ...), მით ჟამითგან უფლება ეპყრა ქართლისა აზნაურთა ვიდრე ამათამდე (=გურამამდე), არამედ დაესრულა უფლება ქართლისა აზნაურთა ბოროტთა საქმეთა მათთაგან“ (ქართ ცხ., 163).

„მეფობდა გურამ კურატპალატი კეთილად და უშფოთველად“, ხოლო ქართლის ერისთავნი „ვერ სცვალნა“, რადგან სპარსთა და ბერძენთ მეფეებისგან ჰქონდათ სიგელნი „მკვიდრობისანი საერისთაოთა მათთა“ (იქვე, 164).

ხოლო ყველა ერისთავნი ემორჩილებოდნენ გურამს და არათუ მარტო ესენი, არამედ წინანდელ სამეფო გვარის წარმომადგენელნიც, რომელნიც ისხდნენ უჭარმას და ეპყრათ კახეთი, კუხეთი და ჰერეთი იორითგან.

ემორჩილებოდნენ, მაგრამ ერთბაშად ბაგრატიონებმა ვერ მოუსპეს წინანდელი უფლება.

ამის შემდეგ ეს ორი სახლი (ხოსროიანთა და ბაგრატიონთა) იბრძოდა, მეფობდნენ ხან ხოსროიანნი (ადარნასე 619—639 წ., სტეფანოზი 639—663 წ., მირი 663—688 წ., არჩილი + 718 წ., ჯუანშერი 718 წლითგან) და ხან ბაგრატიონნი (გურამი 590—600, სტეფანოზი 600—619 წ., ნე-

*) იგულისხმება 298 წელს ბერძენთა და სპარსთ შორის დადებული ხელშეკრულება, რომლის ძალით საქართველოს მფარველად ითვლებოდა იმპერატორი და იგივე ქართველთ მეფეს ანიჭებდა გვირგვინს.

რსე, აღარნასე + 779 წ., აშოტი (786 წლითვან). ასრე იყო უკანასკნელ ხოსროიანამდე, რომელიც მოკვდა მერვე საუკ. გასულს და ბურთი და მოედანი დარჩათ ბაგრატიონებს.

დინასტია ხოსროიანებისა მერვე საუკუნემდე და ბაგრატიონების სახლი მეხუთე საუკ. ნახევრიდამ და უფრო კი 590 წლიდამ ერთურთში გადახლართულნი იყვნენ მოყვრობითა თუ მრავალგვარ სხვა დამოკიდებულებით, ამიტომ სრულიად უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს მტკიცება ჯავახიშვილისა: „სამ საუკუნე ნახევრის მანძილი სრულიად საკმარისია, რომ აღდგენილ მეფობასა და უძველეს დროინდელ მეფის უფლების შორის პირდაპირი კავშირი და დამოკიდებულება შეწყვეტილად ჩავთვალოთ“ (საქართ., № 11, გვ. 12, სვ. 2).

ამისთანა მტკიცების წინააღმდეგია, ვიმეორებთ, ჩვენება ქართულ წყაროებისა, რომ გურამმა დაიბრუნა აზნაურებისაგან მითვისებული მეფის უფლება. ამ უფლებას, ვამბობთ, ხოსროიანებთან ერთად დრო-გამოშვებით მმეფობი ბაგრატიონები სავსებით შეითვისებდნენ და მათ გადაშენების შემდეგ (მე-VIII საუკ.) განაგრძობდნენ მარტოკა.

XVI

დიდგვარიანი იყო და არა მდაბიოთავანი.

ჩვენში ვის არ სძენია ყუთლ-არსლანის სახელი?

მან საქართველოში პარლამენტისებურ წესწყობილების შემოღება განიზრახა.

მიიშრო ქარხველთა დიდებულნი და თავისი აზრი გამოუცხადა თამარ მეფეს.

საგამგებლო კარავი დაიდგა ისნის ველზე, პირისპირ მეტეხისა, საცა იყო თამარ მეფის სასახლე.

ამ კარავში ვიმსჯელოთ, სახელმწიფო საქმეები განვიგოთ, გადავწყვიტოთ და დასამტკიცებლად წარუდგინოთ თამარს მეფესა და დედოფალსაო“ (ქართლ. ცხ., 281).

ვინ იყო ეს ყუთლ-არსლანი?

ბ-ნ ჯავახიშვილის სიტყვით, იგი „გახლდათ უგვარო და

დაბალ წოდების ჩამომავალი... იქნებ იგი დიდი ვაჭარი იყო, მაინცა და მაინც იგი პლუტოკრატიის წარმომადგენელად უნდა ჩაითვალოს“.

ასრე სწერს ჯავახიშვილი თავის თხზულებაში „საქართველოს მეფე და იმისი უფლების ისტორია“. ნამდვილად კი ეს ყუთლ-არსლანი დიდი ვაჭარი და პლუტოკრატიის წარმომადგენელი არ იყო, არამედ მაშინდელ დროის უპირველესი და უძლიერესი მთავარი, მოთავე ჯაყელთ ანუ ციხიჯვარელთ სახლისა. რომლითგან შემდეგ თამარ მეფისა მალე დროში წარმოიშობნენ მესხეთის ცნობილი ათაბაგები.

ყუთლარსლანს, ვიდრე კარავს დასდგამდა ისნის ველზე. იმდენი ძლიერება ეგულებოდა თვისს მარჯვენაში, რომ სომხეთის მეფის მოადგილეობაც ეოცნებოდა.

იგი არ კმარობდა, რომ მეფის კარზე მექურქლეთ-უხუცესი (ფინანსთა მინისტრი) იყო, არამედ „აწ თავით თვისით ამირსპასალარად და სომეხთ მეფის ადგილსა ლორეს დაჯდომად გამზადებულიყო“ (ქართ. ცხ., 281).

ამ „ჯორის სახედ ორ-გონება“ კაცის დასამშვიდებლად და მის დაწყობილობის ჩასაშლელად თამარ-მეფემ ამოირჩია ჭაყუდიანი (კარავ ჯაყელი), რომელიც იყო დედა განთქმულ სამძივრებისა, და აგრეთვე ხეაშაქი ცოქელი. ამათ დააწყნარეს განდგომილნი, რომელთაც ალაგეს ისნის კარავი, მეფის წინაშე მივიდნენ და მორჩილება და ერთგულება შეჰფიცეს.

ასეა ეს ქართ. ცხოვრებით.

დღეს ჩვენ ხელთ გვაქვს თვით ყოთლარსლანის და მის მამა-პაპების ხელწერილებიც. ეს ხელწერილები შენახულა მათ საგვარეულო ძეგლში, ცნობილ კორიდეთის სახარებაში მე-VIII საუკუნისა.

სოფელი კორიდეთი აქარაშია და ეკუთვნის ძანსულის საზოგადოებას (ართვინის მაზრაში). მასში დღეს 50 სული ქართველია (Сводъ стат. 1876 წლ.).

წარწერებს იწყებს ივანე ქიასძე „ამირსპასაჰლისა ამირახორი“ და ათავებს ყოთლარსლანი. მათი სახელები:

ივანე ჭიასძე,

ბეშქენ I ივანეს ძე, ერისთავთ ერისთავი თმოგვისა და შემდეგ ჯაყელი, ბროსეთი თავდაპირვანდელი წინაპარი ჯაყელე-ბისა (1045 წლ. ახლ.).

მურვან I ბეშქენის ძე (ერისთავი ყველისა 1070 წლ. ახლ.).

ბექა, ბეშქენ II (+ 1118 წ.).

მურვან II ბეშქენის ძე.

ყოთლახსიანი მურვანის ძე, თანამედროვე თამარ მეფისა და მისი მექურქლეთ უხუცესი, მერე „თავით თვისით“ საქართვე-ლოს „ამირსპასალარი და სომხეთის მეფის აღგილას დასაჯდო-მად გამზადებული“.

ი. ჯავახიშვილი კი გვარწმუნებს, ეს პირველ ხარისხოვან-ნი თავადი და მეფის სადარი კაცი გახლდათ უგვარო და მდა-ბალი წოდების ჩამომავალი—ან იქნებდიდი ვაქარი და პლუ-ტოკრატიის წარმომადგენელიო.

მდაბიოთავანი კი არა, ცნობილ ათაბაგების მახლობელი წინამორბედი და წინაპარი!

XVII

100 და არა 8070.

კაცხს იმერეთში ჰყვანდა 8070 ყმა გლეხი.

შიომღვიმეს იჯდა 6,000 ბერი.

გარეჯის უდაბნოებში უფრო მეტი...

ასრე ანგარიშობდნენ ყველანი!

ბროსეს ნათქვამს იმეორებდა დიუბუა, ამის ნაწერს ბა-ქრაძე, მის სიტყვას კონდაკოვი, ტოლსტოი და მათნი მიმ-ყოლნი (ერთს შემთხვევაში—ჩვენც!)

მალლიდამ დაგორებული თოვლის გუნდა ზევედ იქცევა.

ტყუილი ითქვა ამ 60 წლის წინად და დღესაც მიგორ-მოგორავს ევროპა-აზიის არემარეზე.

რაშია საქმე?

კაცხის მონასტერს ეკუთვნის იშვიათი ძეგლი—ტყავზედ დაწერილი სახარება, თვალწარმტაცად მოკაზმული, გადაწერი-

ლი 1059 წელს ეფთვიმე მთარგმნელის (გარდაც. 1028 წ.) დედნიდამ.

ეს წიგნი თავდაპირველად აქარის დიდებულ ლავრის ხან-
კთის კუთვნილება ყოფილა, მერე კაცხისთვის შეუსყიდნიათ.
აქედგან კახეთის ალავერდს გადაუტანიათ. დღეს საქართველოს
სამღვდელოების მუზეუმშია (№ 484).

ამ წიგნის ბოლო გვერდზე მსხვილი ასომთავრულით და-
წერილია გუჯარი, ბოძებული კაცხისთვის მეფის ბაგრატიის მი-
ერ. ეს ბაგრატი (1510—15.8) საკუთარის ხელით აწერს:

„ქ. მეფეთ მეფე ბაგრატი ვამტკიცებ“.

მასში სწერია: „არის დიდის კა.ხის მონასტრის გლეხი
ჯომლდ ასი, გაღმა-გამოდმა ზვარი და სათივე კახბერიძის
მზღვრამდე“. ამას ბროსე ასე თარგმნის (იხ. Hist de la Géorg.,
გვ. 354) „გლეხი ეკუთვნის მონასტერ კაცხს რიცხვით 8070,
და სხვა და სხვა მხარეს 100 ვენახი—ზვარი, და საბალახე...“
(Les paysans appartenant à ce monastere de Catzkh sont au nom-
bre de 8070, et divers cotés ilya cent vignoble zouar et des
prairés“).

ბაქრაძეს წიგნში („Кавказъ въ др. памятн. христ.“,
გვ. 80) ბროსეს პირველი ციფერი 8070 გასწორებულია 1080-ად,
დანაშთენი კი ისევ ისე დატოვებულია.

გრაფი ი. ტოლსტოი და ნ. კონდაკოვი თავიანთ „Рус-
скія древн. въ памятн. искусства“-ში (გარდაც. 4, გვ. 63)
სწერენ: „О быломъ богатствѣ Кацхскаго монастыря
говорить приписка къ одному изъ его старыхъ еванге-
лій (хранящемуся нынѣ въ Алавердскомъ соборѣ) сере-
дины XI вѣка: „Великому Кацхскому монастырю при-
надлежатъ: 1080 крестьянъ, 100 виноградниковъ по сю
и по ту сторону ущелья, сѣнокосы у границы имѣнія
Кახберидзе“.

ადვილად აიხსნება წყარო ამ უშველებელ შეცდომისა,
რომელმაც გლეხთა განთავისუფლების დროს არა ერთს მკლე-
ვარს დაუბნია დავთარი, აღბად.

სიტყვა ჯომლუ (=ჯუმლოდ=ჯამად) ბროსეს ჰგონებია რიცხვი ჯო, რომელიც უდრის 8,070-ს, ხოლო იგივე სიტყვა ბაქრადეს ჩაუთვლია ჩხ-დ, და ცხადი და ნათელი გუჯარი მეფეთ მეფის ბაგრატიისა წაპილწულა!

მხოლოდ ასი გლეხი და არა 8070 და არც 1080!

მხოლოდ ზვარი და არა 100 ზვარი!

XVIII

ივ. ჯავახიშვილის ერთ წერაღლის გამო *).

„ცნობის-ფურცლის“ № 2466-ში ი ა ჯავახიშვილი მეც შემეხო და საქმის გარეშობა ისე არ განმარტა, როგორც ნამდვილად იყო და არის.

ი. ს. გოგებაშვილის-მიერ პროფ. მარრისადმი მიმართულ საყვედურის გამო, რომ იგი „თაეისს მოწინააღმდეგეებს სამინისტროს ჟურნალში იხსენიებდა შოვინისტებად, მეომარ პატრიოტებად“, ბ-ნი ი. ჯავახიშვილი განმარტავს ისე, რომ, ვითომ, ეს გამოეწვიოს ჩემს წერილს და მერე განაგრძობს: „პრ. მარრა 1895 წ. (№ 6 საერო განათლების სამინისტროს ჟურნ.) ამირან დარეჯანიანის შესახებ ერთი გამოკვლევა დაბეჭდა, სადაც ამ მოთხრობის მომქმედ პირთა სახელების და დედა-აზრის მიხედვით ამტკიცებდა, რომ იგი ქართველის დაწერილი კი არა, სპარსულიდან უნდა იყოს ნათარგმნიო. ამ დასკვნის დარღვევას ბ. ჯანაშვილი ცუდილობდა („მოსე ხონელი და მისი ამირანდარეჯანიანი“), მაგრამ ისე, რომ მის ნაწერს სწორედ ის „ადოკატური ვამოსარჩლებითი ხასიათი“ ჰქონდა, რომელიც ასე მოსწონს ბ. გოგებაშვილს“.

სწორეთ ახირებულნი ხალხი ვართ ქართველები. სულ ევეკვან რაღაც პოლიტიკის გამოჩენას ფაღიშობთ: რომ ჩვენი „მოყვრები“ არ დავაფრთხობთ, ერთს სადილს ვუმართავთ, მეორეს დიდებულად წინ ვეკებებით, იმას ფეხქვეშ ვუგორდებით, ამას კრძალვით ვე-

* ვებუდავთ ამ წერილს ხელახლა („ცნობ. ფურც.“ 1904 წ. №-ები 2472, 2473), რადგან მახლობელი დამოკიდებულება აქვს ჩვენ მიერ ამ წიგნში აღძრულ კითხვებთან.

ჰერობით, დანარჩენებს სირინოზის ხმაზე ვუგალობთ და სხ. და სხ. და ამ ჩვენ ჰოლიტიკით კი ერთი ბეწვა სარკებლობა არ ხვდება საქართველოს. ჩვენი „მოყვრები“ ისეთი „რუბუდენიის“ ხალხი ჩნდება, რომ ვეველჯან და ყოველთვის „ბალი, ალა!“ თუ არ მოახსენე, მაშინათვე იფაწიფა გვეფანტებიან და თუ გუშინ ჩვენს მეგობრობაზე თავს დებდენ, დღეს ჩვენ ჩასაქოლად ქვებს კრებენ! და საკვირველი ის არის, რომ ჩვენ შორისვე ჩნდებიან ისეთები, რომელნიც ამ „მოყვრების“ დაფანტვისთვის ჩვენვე გვიკვირებენ და არა თვით ამ დამფრთხალ „რუბუდენიის“ კაცებს. რად შემოიწყურით მავანი და მავანა, ბრძანებს ერთი, შოვინისტობა მავანს ათქმევინა ჯანაშვილის „წიგნმა“, გაჭკივის მუროკე. მე კი ასე ვფიქრობ, რომ მტკიცე აზრის კაცს, წრფელის სიყვარულით საქმის მკეთებელს ვერ განაწყენებებს და ვერ განდრეკს ვერაფრითაა წინააღმდეგი სიტყვა, ვერაფრითაა სწინააღმდეგო ბრძოლა და, თუ გინდ, დაცინვაც. ქრისტე შესიად რჩება მაშინაც კი, როდესაც უურიმალში სცემენ და სხხიერს შირში აფურთხებენ. მაგრამ ამ საზოგადო მოსაზრების გარეთადაც ჩემს წიგნს „მ. ხონელი და მისი ამირანდ.“ მარანსთვის ოდნავი საბაბიც არ მიუტია, რომ ქართველობისთვის შოვინისტობა ეკვირება, ასე რომ ჯავახიშვილის ჩემდამო მომართული საყუდური მთელის მისის წერიდითურთ თავით ბოლომდის ერთი ახირებულად, სწორეთ საადვოკატო რაგინდარაა.

ა) პროფ. მარრის კიეინი „Не слѣдуетъ ликовать и заражаться шовинизмомъ мнимыхъ поклонниковъ національныхъ красотъ груз. литературы“ არ გამოუწვევია, — როგორც ი. ჯავახიშვილი ამტკიცებს, — ჩვენს წიგნაკს „მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი“: ჩვენი ეს წიგნაკი ცენზურისაგან ნება-დართულ იქმნა 26 მაისს 1895 წელს (იხ. წიგნაკში, ცენზურის ნება-რთვა *), ხოლო მარრის ხსენებული გამოკვლევა, რომლის დარღვევას ვითომ ჩვენ ვცდილობდით „მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი“-ში, დაიბეჭდა იმა-

* წიგნაკის ბოლო გვერდზე აღნიშნულია „19 აპრ.“, ე. ი. თარიღი (19 აპრილი 1895 წლ.). როდესაც მისი დაწერა დაგვისრულდება და საცენზუროდ დაგვიმზადდება.

ვე წლის ივნისში Ж. М. Н. П. „Персидская национальная тенденция въ груз. романѣ „Амирандарсджანიани“, июнь, 1895 г.).

მაშასადამე, მარრის ივნისში გამოსულს გამოკვლევას ვერ დაარღვევდა ჩვენი მხისში ნებადართული და იმავე თვის გასულს დაბეჭდილი წიგნაკი.

ბ) მარრის ხსენებული წერილი (გამოკვლევა) ერთმა მეგობარმა მოგვაწოდა მხოლოდ იმავე წლის ნოემბერში და თანაც გამოგვიგზავნა საერო განათლების სამინისტროს ჟურნალის ოქტომბრის №-რი, რომელშიაც მარრი არჩევდა ხსენებულს ჩვენს წიგნაკს „მოსე ხონელი და მისი ამირანდარეჯანიანი“.

სჩანს, მე არ დამიწყია ბაასი „ამირანდარეჯანიანი“-ის შესახებ, არამედ თვით მარრს. ჩვენს წიგნაკში („მ. ხ. და მ. ა. დარ.“) ხმა-კრინტი არ დაძრულა მარრის არც ერთ გამოკვლევის შესახებ და არც მას უკადრებია ჩვენთვის შოვინისტი. ესე მან უკიჟინა ყუქლას, ვინც შეჰხარის მოსე ხონელსა თუ შოთას.

გ) მარრსა და გრენს, რომელსაც, როგორც მარრისავე წერილით შევიტყით, დაებეჭდა თხრობა „ამირანდარეჯანიანი-სა“ (Ж. М. Н. П. мартъ), პასუხი გავეცით ჩვენ მხოლოდ წლის თავზე, მეორე (1896) წლის ივნისს („О происхожденіи грузинскихъ классиковъ“, „ნოვოე ობოზრენიე“ №№ 4280, 4284, 4285 წ.)

თუ რა საბუთებზე ასვენია ეს ჩვენი წერილი, რა მიუდგომელს კილოზება დაწერილი ან-და თუ ატყვია მას რაიმე „ადვოკატური გამოსარჩლებითი ხასიათისა“, მკითხველი აღვილად გაიგებს, თუ წაიკითხავს მას (იხ. ქვემო).

მართალი არ არის ჯავახიშვილი ამაშიაც, რახან ჩვენ არ მივიღეთ ნ. მარრის აზრი (შესახებ იმისა, რომ ამირანდარეჯანიანი სპარსულიდან ნათარგმნი თხზულებაა), უცილობაზე თავი დავდეთ („გოგებაშვილის სიტყვებიდან კი გამოდის, ვითომც სამშობლოს ნამდვილ სამსახურს ის უწევდეს, ვინც ჩვენ წარსულის შესახებ უცილობას იცავს; მე-XVI—XVIII საუკუნე

იკოდნენო, რომ „ამირანდარეჯანიანი“ იყო თარგმანი და „მეცხრამეტეში კი დავიწყებიათ. ეს უფიცობაა, სხვა არაფერი“, ამბობს ჯავახიშვილი).

ჯავახიშვილს ძალიან უყვარს სამი სიტყვა—მეცნიერი, უგადო, ეჭობი. მეცნიერია ჯერ ერთი თვითონ და მერე ისიც, ვინც მარჩის ახალ აზრს უმაღლვე დაიჯერებს, უმეცარი, ვინც ამ აზრს არ მიიღებს, დაუცდის, დრო-ჟამი ხომ ახალს რასმეს არ გამოაჩენს, თვით მარჩს ხომ არ შეაცვლევინებს მისს აზრს (ამგვარი მაგალითები ხშირია მეცნიერებაში).

„ეს უფიცობაა“, „უფიცობას იცავს“ ამის მთქმელს ის კი ავიწყდება, თუ ჩვენ ვამტკიცებთ „ამირანდარეჯანიანი“-ს ქართულობას და მისთვის ვართ „დამცველი უფიცობისა“, მაშ თვით შემდეგნი მეცნიერნიც უფიცნი იქმნებიან: ა) მოსე ხონელი, ავქსონი „ამირანდარეჯანიანისა“, რომელიც ბოლოვდება ამ სიტყვებით: „აჰა, დასრულდა წიგნისა ამის თქმულობა,—მოსე ხონელისა მიერ ნასიტყუენი საკაცობა და სამხედრო ამბავნი. დაისმინეთ მკითხველთა ყოველთა. ამინ“ (იხ. წ.-კ. ხელნაწერები № 1119, 1188, 1623 და სხ.), ბ) შოთა რუსთაველი, რომელიც ამბობს „ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსაო“, გ) ცაგარელი, ხახანაშვილი, ბაქრაძე, სუტნერი, ჩუბინაშვილი, გ. წერეთელი, მურავიოვი და სხვანი, დამტკიცებელნი, რომ ამირანდარეჯანიანი არის ქართველის ნაწარმოებიო და დ) მარი ბროსე, რომელიც სწერს: „...მე-X—XII საუკ. გაჩნდნენ გენიოსნი, რომელთა მეოხებით ქართულმა ენამ მიაღწია უმაღლეს განვითარებამდე: ერთის მხრით—მთარგმნელნი ბიბლიისა და მეორეს მხრით—შემოქმედნი უუდიდებულეს ეპოპეიების ამრანის (დარეჯანიძისა) და ტარიელისა; ეს დრონი უუდიდებულესნი საუკუნენი იყვნენ საქართველოსთვის... სასულიერო მწერლობა გაბრწყინდა საქართველოში ასე დიდებულად. პოეზიის ყვავილების სურნელოვანება მოეფინა ყველა მინდვრებს და შეამკო კავკასიონის ყველა მწვერვალნი. საამოა აქ გავიხსენოთ სახელები რუსთაველისა, მოსე (ხონელისა)...

გავჩხრიკოთ ხასიათი მათის პოეტურ ტალანტისა და გავარკვიოთ მათნი თხზულებანი, ამდენად ორიგინალურნი! და ეს სურათი მაინც იქნება ისევ ისტორია, ამიტომ რომ ამ თხზულებათა მოქმედნი პირნი—ქართველების გმირებია, გადასხვაფერებულ სახელებით“.

ასე სწერს აკადემიკოსი ბროსე. იტყვიო, სცდებაო. თუ აკადემიკოსი სცდება, ჩვენ გალანამცა დაზღვეული არა ვართ ამ სენისაგან. ვინც არ მუშაობს, ის არც სცდება, მეტადრე ჩვენს ყოფასა და გარემოებაში, ჩვენს საზრუნავსა და მომჭირნეობაში უცთომლობა სასწაული იქნებოდა...

მაგრამ „ამირანდარეჯანიანი“-ს შესახებ შემდეგ ბაგრატ ბატონიშვილის ცნობისაც ისევ ვეკობთ, რომ სარკინოზთა ყისაჰ-ჰამზა (=დარეჯანიანი) იყოს სწორეთ მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“.

ა) „დარეჯანიანი“ თარგმანისაჲ, გვაუწყებს ბაგრატ ბატონიშვილი. ხოლო ხონელის „ამირანდარეჯანიანი“-ს შესახებ ჩვენ ვწერდით („ნოვოე ობოზრ.“, № 4280): „ენა ამ მოთხრობისა უმაღლესობამდე გაზეებულია, განვითარებული და არ ემჩნევა მას არავითარი ზე-გავლენა უცხო ენისა და ასეთი გავლენა კი ყოველთვის ატყვია ხოლმე ნათარგმნ თხზულებებს, როგორც, მაგალითებრ, „ვისრამიანს“, თარგმნილს სპარსულიდამ“

ბ) ბაგრატ ბატონიშვილიც მოკლე ცნობას გვაძლევს. იგი სწერს: „წიგნი იგი, რომელსა ყისაი ჰამზად უწოდენ სარკინოზნი, ამათ ისმაიტელთა ცხოვრებაჲ არს, და მის წიგნისაჲ მცირედი რაჲმე ხაწილი თარგმანებულ არს ენასაცა ზედა ჩვენსა ქართულსა გარეშეთა კაცთა მიერ, — რომელსა დარეჯანიანად უწოდენ“... თვით იაკობ შემოქმედელს ამ „ყისაი-ჰამზადამ“ („რომელს დარეჯანიანს უწოდენ“) „მცირედი რამ გადმოუღია“. (Н. Я. Марръ. Изъ книги царевича Баграта. გვ. 244—245).

„ამირანდარეჯანიანი“ კი დიდი წიგნია. თუ იგი ბაგრატის აღნიშნული „დარეჯანიანი“ და ეს უკანასკნელი კი ყი-

საი-ჰამზას „მცირედი რაჲმე ნაწილია“, მაშ ეს ისმითელთა წიგნი (ყისაი-ჰამზა) უნდა ყოფილიყო ბუმბერაზი რამ წიგნი და არა თვით „ამირანდარეჯანიანი“, რომელსაც ბუმბერაზობამდე ბევრი აკლია.

ამას გარდა, „ამირანდარეჯანიანი“ სიტყვა კრინტი არ დაძრულა შესახებ მაჰმადიანთა და ქრისტიანთა გაბასკების, კაბჭობისა.

ყველა ამ მოსაზრებამ და აგრეთვე ბაგრატიისა და შემოქმედელის ცნობებმა შესახებ ყისაიჰამზა დარეჯანიანისა ჩვენ გადაქრით ვერ დაგვარწმუნეს, რომ ეს დარეჯანიანი იგივე „ამირანდარეჯანიანი“, და ერთს ჩვენს წერილში შევნიშნეთ: Н. Я. Марру достаточно этих неопределенных данных, чтобы прямо заключить, что это-то „Дареджаніани“, и есть „Амиранъ-Дареджаніани“ М. Хонели“, და კიდევ: „Мы недоумѣваемъ, что могъ взять І. Шемокмедели „авторъ сочиненія „Преніе невѣрнаго Мухамеда и христіанъ“) изъ „Амиранъ-Дареджаніани“ для доказательства правильности догматовъ христіанской религіи и лживости ученія Магомета“.

ჩვენ ამას დღესაც ვიმეორებთ: „ამირან-დარეჯანიანი“-ში ამის მოსაგონებელი რამ არ არის და ვიღრე არ აღმოჩნდება ყისაიჰამზას ტექსტი, ადრეა ჯავახიშვილივით ვთქვათ: „დამტკიცდა“ დარეჯანიანისა და ამირანდარეჯანიანის იგივეობაო.

ხშირად ჩვენში ერთის წიგნის სახელს მეორეს ანათლებდნენ. ამან ჩვენ უკვე შეცდომაშიაც შეგვიყვანა. პატარა „დილარიანი“ ნამდვილ „დილარიანად“ ჩავთვალეთ და მეგრე-კი აღმოჩნდა, რომ ეს პატარა „დილარიანი“, ჩვენ მიერ რუსულად თარგმნილი, სულაც არ ყოფილა ნაწილი თვით დიდ „დილარიანი“-სა, რომელიც აწ უკვე დაიბეჭდა ჩვენის რედაქციით და კნ. შალიკაშვილის საფასით (800 გვერდამდეა). შეიძლება ვიფიქროთ, რომ „დარეჯანიანი“ არის ისტორია დარეჯანისა და მის გმირებისა და აგრეთვე პირველი ნახევარი თხზულებისა „ყისაიჰამზა“, ხოლო მისი მეორე ნახევარი—

თვით არსებული „ამირანდარეჯანიანი“, თავისუფლად ან და შემუშავებით გადმოღებული მ. ხონელის მიერ. მაგრამ, ვიმეორებ, ჯერ-ხნობით მხოლოდ შეგვიძლიან ასრე ვიფიქროთ.

მეორეს მხრით, შეგვიძლია აგრეთვე ისიც ვიფიქროთ, რომ თვით მ. ხონელმა, მსგავსად „ყისაიჰამზასი“, თვით შესთხზა „ამირანდარეჯანიანი“ და მასში შეიტანა ცნობები შესახებ სხვა-და-სხვა გმირებისა. ამისთანა მოსაზრების საფუძველს გვაძლევს ჩვენ, როგორც ერთხელ უკვე შევნიშნეთ, ჩვენს ხალხში კიდით-კიდემდე გავრცელებული ხალხური „ამირანდარეჯანიანი“, რომელშიაც უმთავრესი გმირი ამირანი მოხსენებულია თარაქამად (ქურთად?), ქრისტიანად, სომეხ „ტენტრად“, ცხრა ძმა მხარგრძელთა ძმისწულად. ეს მხარგრძელნი ქურთნი*) იყვნენ და საქართველოში გაითქვენენ სწორედ თამარ მეფის ჟამს. ერთი მათგანი, ვით ამირანიც, ებრძოდა დიდოელებს. „ამირანდარეჯანიანი“-ში შეიძლება იყოს მოთხრობილი გაზვიადებული ისტორია ახლად გადმოსახლებულ ქურთებისა (მხარ-გრძელებისა).

ვიმეორებთ, ეს კითხვა უნდა გადასწყვიტოს მხოლოდ „ყისაიჰამზა“-ს ტექსტმა. მანამდის კი შეგვიძლიან გავუზიაროთ მკითხველს ჩვენი შეხედულება იმის შესახებ, თუ როგორ ჩნდებოდა და ვრცელდებოდა ჩვენს არე-მარეზე ესა და ის კლასიკური ნაწარმოები. ეს შეხედულება რახანია გამოვთქვით მზრუნველის კრებულში (Сборникъ матеріаловъ, вып. XXIX, გვ. 25): „ძველი დროითგანვე კავკასიის ერთ, მეტადრე ქართველებსა და სომეხებს, კულტურული და პოლიტიკური განწყობილება გვქონია ასურელ ბაბილონელებთან, მიდიელ-სპარსელებთან და თურანელებთან. ყველა ეს ხალხნი ცხოვრობდნენ „აზიურ“ წესზე, თუმცა ხშირად ერთმანეთსაც

*) ახპატის და სანაინის მონასტრების წარწერებში იხსენიებიან „ამირ-კურდ“ სასუნელი, „მთავარი კურდ სუმბატის ძე“, რომელსაც განუახლებია ახპატი. ამას აღვნიშნავ მხოლოდ და არ ვამტკიცებ, რომ ესენი იყვნენ სწორედ დარეჯანის ძენი.

ემტერებოდნენ ხოლმე. მაგრამ ორთავე შემთხვევაში ყოველი კულტურული შემატება სწრაფად გადადიოდა ერთი ხალხისაგან მეორეს ქვეყანაში და ახალს სამშობლოში კილით-კილიმდე ვრცელდებოდა. უმეტესი ნაწილი სახალხო რწმენისა, იგავ-არაკ-თქმულობათა, წესი მიწის შემუშავებისა და მიწის შესამუშავებელი იარაღები, წესი სახელმწიფო მმართველობისა და სხ. და სხ. ყველა ამ ხალხებში შესამჩნევად მსგავსი იყო. იგი-ნი ყველანი თავისს ცხოვრების ძველს დროს თაყვანს სცემდნენ ცეცხლს, ციურ მნათობებს და ყოველგვარ სულთ. გმირი რუსტემი ისევე საყვარელი იყო სპარსთათვის, ვით იგივე გმირი, მაგრამ როსტომი შეიქმნა სახალხო გმირად საქართველოსა და კავკასიაში საზოგადოდ. ამგვარივეა ამ ხალხებში გმირები ნებროთი, ამირანი, ხოსრო, ზურაბ, დილარი, ექიმები ლოყმანი, ჯანაოზი⁴...

იმავე მზრუნველის სხვა გამოცემაში (Сборн. матер., вып. XXII) ვწერდით: „მე-XI—XII საუკ. ნათარგმნ კლასიკურ თხზულებად აღირიცხებიან როსტომიანი, ვისრამიანი, ქილილადამანა, რომელთა ორიგინალები იპოვება სპარსთა ენაზე. „ვეფხისტყაოსანი“-კი, „ამირან დარეჯანიანი“- და დილარიანი ითვლებიან ორიგინალურ ქმნილებად რუსთაველისა. მ. ხონელისა და ს. თმოგველისა: მსგავსი ნიმუშები სპარსთა მწერლობამ არ იცის, და მათი ენაც, მეტადრე ვეფხისტყაოსნისა და ამირანდარეჯანიანისა უზენაესად განვითარებულია, მის ენას არ ემჩნევა არავითარი ზეგავლენა უცხო ენისა, როგორც ეს ერთის შეხედვითვე ეტყობა აღნიშნულ თარგმნილ თხზულებათა ენას. მაგრამ მარსს ყველა ესენიც ნათარგმანებად მიაჩნია *;

„ქართველებს ჰქონდათ თავისი ეპოქა დიდებისა და ძლიერებისა, ეს იყო X—XII საუკ. მრისხანე სელჩუკების უთვალავ რაზმებმა გათელეს სპარსთა სამეფო, დაანგრირეს სომხების

⁴) აქ აღნიშნულია ზემო მოყვანილი აზრი მარსისა შესახებ დარეჯანიანისა ბაგრატიანისა და შერვაშქედელის ცნობის გაღო და ამის შესახებ ჩვენი ზემოვე მოყვანილი სიტყვები.

სახელმწიფო და, დაიპყრეს—რა ბაღდადის ხალიფების იმპერია, მიუხაზლოვდნენ ბიზანტიის აღმოსავლეთ კარებს. ამავე სელჩუკიანთ სულთნებს, „მპყრობელებს ცის ქვეშეთისა“, სირცხვილს აქმევდნენ და ამარცხებდნენ დავით აღმაშენებელი, გიორგი მე-III-მე და თამარ მეფე. და ამიტომ, ჩვენ გვგონია, ამ დიდებას, ამ ქველობას უნდა შეექმნა, უნდა ჰყოლოდა. თავისი მეხოტბეები. მაგრამ ვამბობთ—რა ამას, ჩვენ არც კი ვფიქრობთ დავამტკიცოთ, რომ ამ მეხოტბეებს ცნობა არ ჰქონოდათ სპარსთა და არაბთა ლიტერატურისა და მათ ლეგენდებისა და არა გადმოეღოთ—რა მათგან.. (ჩამოთვლილია, რა უსენხნიათ მათგან ქართველებს. ან რა შეეძლოთ ესენხნათ, გადმოეღოთ).. ვიმეორებ, ქართველი რომანისტები და პოეტები მე-XII საუკ არ შეიძლებოდა ასცილებოდნენ აღმოსავლეთის მწერალთა გავლენას: მათგან, როგორც ვთქვით ზემო, ზოგი ნაწარმოები თარგმნეს სრულად. ჩვენ კიდევაც გვგონია, რომ რუსთაველი ზოგიერთ წვლილს თავის თხზულებებისათვის იღებდა უდიდებულეს ეპოპეის „როსტომიანიდამ“ (შაჰნამედი); ასე, როსტომსა და ტარიელს ორთავეს აცვიათ ვეფხის ტყაფი, ორთავე ტოლად ძლიერნი არიან, ორთავენი ამარცხებენ ბოროტ სულებს—დევებს, ქაჯებს, ლექსთა წყობაც როსტომიანსა და ვეფხის ტყაოსანში ერთნაირია.. მაგრამ მიუხედავად ამ ქართულ მოტივების სიახლოვისა ერანულებთან და მე-XII საუკ. ქართულ საგმირო ნაწარმოებთა მონათესაობისა ამგვარსავე ნაწარმოებთან ერანისა და, საზოგადოდ, აღმოსავლეთისა, ჩვენ ჯერ ვერ ვხედავთ გადაქრით ვთქვათ, რომ სწორეთ პირველნი ნახესხებია უკანასკნელთაგან. ამ კითხვის საბოლოო გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ საგმირო ლიტერატურის ძეგლების შეკრებისა და გამოცემის შემდეგ. ხალხი ამ საგმირო ლიტერატურის ნაშთებს, გარდა მრავალ სახალხო თქმულებებისა, შეადგენენ: როსტომიანი, ბეჟანიანი, ომანიანი, ამირიანი, რუსუდანიანი, დილარიანი, ამირანდარეჯანიანი და ვეფხის ტყაოსანი. ჯერ-ხნობით კი ზოგი-რამ წვლილი შესახებ ერანელთურანელთა გავლენისა ჩვენ მოვიყვანეთ ჩვენს წერილში

(„ივერია“, 1894, № 97, 98 და სხ.)—„ერან-თურანელთა ტალღა“.

აი, ეს არის ჩვენი პასუხი ანუ ჯავახიშვილის სიტყვით „საბუთიან პასუხის მაგიერ აბდაუბდა წერილები, რომელნიც იბეჭდებიან ტფილისში“. მე წამოგჩურჩულებთ, აბდაუბდა „პასუხები“ და „წერილები“ მარტო ტფილისში არ იბეჭდება, სხვა ქალაქებშიაც ბევრი ისტამბება. ამ ფათერაკისაგან, წარმოიდგინეთ, არ აჩიან დაზღვეულნი თვით დოცენტებიცა და მათნი მოძღვარნიც. ტფილისში კი ბევრი კარგიც იბეჭდება და იმსახურებს არაერთ მეცნიერის ყურადღებას.

შენი შნვა. „მოამბე“-ში ჩვენ დავბეჭდეთ (1902—1903 წლ.) წერილი „თამარ ჭეფე და მისნი ისტორიკოსნი“. ამ წერილში (სულ 94 გვ.) მოვიყვანეთ ბლომა შედარებანი და ამ შედარებამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ორი მსოფლიოა გამოყვანილი—მაჰმადიანური (ტარიელი და ნესტან-დარეჯანი) და ქართული (როსტევეან და თინათინ). ამ აზრს მტკიცედ ვადგივართ დღესაც და მე პირად დარწმუნებული ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს თვით მეცნიერებაც ამავე აზრს დაადგება. ამგვარ ჩვენ შეხედულობის შემდეგ შეუძლებელ წინდაუხედავობად მიგვაჩნია მტკიცება ერთის მკვლევარისა, რომ, ვითომ, ჩვენც, სხვათა შორის, რუსთაველის პოემის ქება-დიდებას საგნად ვპოვებდეთ მარტო თამარ-მეფეს. უბრალო მართებულება მოითხოვს, რომ შემდეგი დროის მკვლევარმა წინანდელს ის არ მიაწეროს, რაც არ უთქვამს... სწორეთ საკვირველი ხალხი გვებადება. წაიღებენ შენგან მასალას, ხშირად მზამზარეულ გვემებსაც, გახარისხოვნდებიან, გადიდკაცდებიან და ნწ! ვინ ხარ, რა ხარ! ან აღარ გკადრულობენ მოგხსენონ თავიანთ უებრო ნაწერებში (მათ თავიანთი ნაწერები ექვს გარეშედ, უუებროდ მიაჩნიათ, ალფად და ომეგად მეცნიერებისა), ან ქორი შეგითხოვონ, ან გაზვიადება დაგწამონ. მე კი ჯერ ისევ 1886 წელს ახალ მერცხლების გამოჩენის ნიშნებს ვხედავდი. საქართველოს ტატანებაზე და.. ვიხარებდი. რა ვიცოდი მაშინ, რომ ამ მერცხლების უფროს

ერთის მიზნად გახდებოდა არა დინჯი კვლევა-ძიება, არამედ ქართულ სიტყვებზე ნაფარდობა უმთავრესად და ქართველების კრიკაში ჩადგომა განსაკუთრებით...

ვბეჭდავ აქვე ჩემს შემოხსენებულ პასუხებს და ზოგიერთ სხვა შენიშვნებს.

XIX

Гренъ объ эпохѣ Тамары *).

Лекція г. Грена, озаглавленная „Эпоха царицы Тамары“**), скорѣе напоминаетъ намъ сцены изъ Шехеразеды или „Тысячи и одной ночи“, чѣмъ исторію. Но, несмотря на это, мы все же сочли нужнымъ хорошенько проанализировать ее и отмѣтить въ ней всѣ промахи автора, а также указать на то, какъ нашъ изслѣдователь свободно обращается съ фактами и подтасовываетъ ихъ, какъ намѣренно умалчиваетъ о важныхъ хроникахъ и др. актахъ, идущихъ въ разрѣзъ съ его предвзятой мыслью—во что бы то ни было очернить Тамару, умалить значеніе ея и набросить тѣни на золотой вѣкъ въ исторіи Грузіи.

Въ доказательство справедливости нашего взгляда на работу Грена, намъ приходится слѣдовать за авторомъ шагъ за шагомъ и представить на судъ публики его погрѣшности.

Вступительная часть работы г. Грена начинается такъ же, какъ и всякая сказка; недостаетъ тутъ только обычной сказочной встанки, гласящей: „въ нѣкоторомъ царствѣ, въ нѣкоторомъ государствѣ“ и пр.

Прежде всего прочтемъ это вступленіе.

„Въ окрестностяхъ Тифлиса“, повѣствуетъ г. Гренъ, „въ Дидубе, совершался въ 1193 г. (?) шумный праздникъ. Толпы жителей грузинской столицы, пѣшіе и на арбахъ (*не было ли и конныхъ или верховыхъ на ешакахъ и мулахъ!?*), пѣлыми вер-

*) ეს ჩვენი წერილი დაიბეჭდა 1894 წ. „ნათელა ობობრენაში“ (№-ები 3712, 3714).

**) „Эпоха царицы Тамары“ напечатана въ газ. „Кавказъ“ за 1894 г. (NN 191 и 192) и, какъ гласитъ примѣчаніе редакціи, есть полный текстъ публичной лекціи г. Грена, прочитанной имъ въ залѣ тифлискаго дворянскаго земельнаго банка 10-го іюля того же г.

вицями тянулись по берегу Куры (и точно по берегу!), через лѣсъ (откуда это стало известно, что тутъ тогда былъ лѣсъ?), въ загородный дворець. Скрипъ аробъ, крики (?) богомольщиковъ (а не богомольцевъ?), ругань (!) на трехъ языкахъ (?) Кавказа слышалась всюду (отчего на трехъ языкахъ, а не на пяти? вѣдь вы утверждаете ниже, что при Тамарѣ въ Грузіи господствовали армяне, осетины, половцы, грузины-дебошеры и всякій сбродъ! Да, наконецъ, почему богомольцами оздумалось кричать и ругаться?). Жгучее солнце Тифлиса освѣщало дворець въ Дидубе (развѣ „шумный праздникъ“ въ Дидубе праздновали лѣтомъ?), гдѣ уже гудѣла зурна (неужели, г. Грень, не знаете, что зурна впервые введена въ Грузію царемъ Ростомомъ въ XII вѣкъ и при Тамарѣ о ней и понятія не имѣли грузины?)... За роскошно убранными столами, гдѣ были груды дыч (!), дѣлые котлы чехертмы и плона и гдѣ кахетинское тебли обильною рѣкою (?), возсѣдали рядомъ князя Имеретин и Грузин (надо было сказать Амеретія, ибо Грузіей тогда одинаково назывались бассейны Куры, Ріона, Ингура и Чороха), сидѣли подобные (подобныя?) солдцу Русуданъ и Тамара, а султанъ Хорасана и Ирана съ осыпанной брильянтами себлею служилъ тамадой“ (султанъ Хорасана, будучи тамадой, вѣроятно, потчевалъ грузинъ шербетомъ! Не такъ ли, г. Грень!).

Историческіе факты объ этомъ торжествѣ передаютъ только слѣдующее:

„Вельможи Амеретія и Имеретія отпразднись (въ Осетію) и привезли царицу Русуданъ и ея богоизбраннаго воспитанника Давида; прибыли въ дворець Дидубе, что на виду у Тифлиса, и тутъ сыграли свадьбу, пышную и подобающую державѣ и отличію ихъ (Тамары и Давида Сослапа). Царица Русуданъ, полная всякой мудрости, распорядилась: тутъ устраивала все по обычному чину Багратидскаго дома, тамъ дальше устраивала театральныя и инныя увеселенья, чему она научилась, будучи невѣстою дома хорасанскихъ и эракскихъ султановъ. Всѣ веселились. Бѣдныхъ обогатили. Должниковъ освободили отъ долговъ. Сироты и вдовы получили подкрѣпленіе, церкви—пждивеніе на свое процвѣтаніе. Слышны были импровизація поэтовъ и пѣвцовъ. Смотрѣли на представленія артистовъ. Было много войска. Затѣмъ пріѣхали (Тамара и Давидъ) въ Тифлисъ и возсѣли на счастливый тропъ“.

Вотъ все, что сохранили намъ лѣтописи о праздникѣ въ Дидубе. Какъ видите, тутъ вѣтъ ни „чехертмы“, ни крика и ругани „богомольщиковъ“, ни хорасанскаго султана, ни всего того, что угодно было сочинить фантазів г. Грена.

Тутъ же слѣдовало г. Грену ознакомить читателей съ весьма распространеннымъ по всей древней Грузіи устнымъ народнымъ стихотвореніемъ, описывающимъ торжество въ Дидубе въ слѣдующихъ выраженіяхъ:

„Тамара супруга Давида Сослана, сыграла свадьбу въ Дидубе, тамъ, гдѣ церковь. Устроила цирь и пригласила свое войство. Для угощенія званыхъ зарѣзала сто онець и двѣсти быковъ Синяя скатерть, разостланная предъ гостями, была длиною въ 100 сажень. Вдовамъ и сиротамъ она раздарила много золота и серебра“.

Объ этомъ интересномъ поэтическомъ твореніи г. Гренъ не говоритъ ни полслова.

Послѣ этого блестящаго вступленія, г. Гренъ „почтуетъ“ своихъ читателей немного скучною вещью—изложеніемъ источпиковъ исторіи Грузіи“. И что жъ? Оказывается, что отъ эпохи Брамбеуса, этого отрицателя лѣтописей и исторіи Грузіи, мы ни на іоту не подвинулись впередъ! Оказывается, что и теперь, какъ и во времена блаженной памяти Брамбеуса, „легкомысленные грузины“ (см. „Династія Багратидовъ въ Арменіи“, стр. 113) „грузины дебоши и авантюры“, „грузины, свидѣтели утонченнаго разврата при дворѣ Тамары“ и, наконецъ, грузины, у которыхъ „все, что было грузинское, представляло изъ себя или шайку грабителей, озвѣрѣвшихъ отъ пороковъ и посягательствъ на кармапы, или царское войско, содержимое единою добычею“, —повторяю, вотъ эти дикіе грузины, по словамъ г. Грена, до сихъ поръ не имѣютъ своей исторіи, и все сказаніе о прошлыхъ судьбахъ своихъ основываютъ на самомъ подозрительномъ источникѣ—на лѣтописяхъ царя Вахтанга (XVIII вѣка) и сына его Вахушти, комплятора (!) свѣдѣній о Грузіи XVIII в., неотличающагося никакимъ историческимъ критеріумомъ и пользующагося всѣмъ безъ разбору (!!), такъ что „довѣрять лѣтописямъ мепе Вахтанга нѣтъ никакой возможности“ *); „что

*) Эта фраза взята нами изъ „Жур. Мин. Нар. Просвѣн.“ (за 1893 г. ноябрь), гдѣ напечатана статья г. Грена—„Династія Багратидовъ въ Арменіи“ (см. стр. 57).

же касается до современниковъ Тамары—Шавтели и Чахрухадзе. то ихъ сочиненія, кромѣ ученой галиматіи (*что это за птицы „ученая галиматъ“*, г. Гренъ?!) да собраній высокопарныхъ фразъ, ничего изъ себя не представляютъ“.

Весь этотъ вздоръ и огульное издѣвательство г. доцентъ университета преподноситъ своимъ слушателямъ и читателямъ послѣ трудовъ Д. Бакрадзе, А. Цагарели, А. Хаханова и др.

Какъ извѣстно, уже давно отпечатаны „Три грузинскія хроникѣ“ (X вѣка, XI вѣка и XVI в.), а также „Новый вариантъ житія св. Нины“ (VIII в.). Хахановъ, разобравъ Картлисъ Цховреба критически и выдѣливъ изъ нея отдѣльныя хроникѣ, составленныя разновременно, въ заключеніи говоритъ:

„Названные источники и постепенно вынѣ открывающіеся убѣждаютъ насъ, что Картлисъ Цховреба не искажала историческихъ памятниковъ, но связывала ихъ болѣе или менѣе искусственно. Въ виду этого, грузинская лѣтопись должна получить въ глазахъ ученыхъ другое значеніе и болѣе справедливую оцѣнку“ *).

Д-р. Бакрадзе еще въ 1887 г. **) блистательно доказалъ всю нелѣпность того мнѣнія, что будто лѣтописи Грузіи сочинены или составлены Вахтангомъ. Свое изслѣдованіе Бакрадзе основываетъ на множествѣ неопровержимыхъ данныхъ и, главнымъ образомъ, на вариантѣ Карт. Цховр., переписанномъ по повелѣнію царицы Маріи (1636—1646 г.), когда Вахтанга еще не было на свѣтѣ.

Далѣе Бакрадзе отмѣчаетъ, что лѣтописи Грузіи (Картл. Цховреба) дѣлятся на два періода, изъ которыхъ первый заканчивается временемъ Георгія Блистательнаго (1301 годомъ). второй же содержатъ событія послѣдующихъ вѣковъ. Объ исторіи этого *второго періода* Вахушти, сынъ Вахтанга, говоритъ слѣдующее:

*) См. „Источники по введенію христіанства въ Грузію“ въ I т., 3-мъ вып. „Древностей восточныхъ моск. арх. общества“ за 1893 г. также—его же изслѣдованіе въ „Журналѣ минист. народ. просвѣщенія“ подъ заглавіемъ „Составъ и источники начальной грузинской лѣтописи“.

**) См. Лу Записокъ Имп. Акад. Наукъ, „Статьи по исторіи и древностямъ Грузіи“.

„Существуетъ исторія *), приписываемая Вахтаугу, сыну Левана, но она составлена не имъ, но только по его приказанію, и она даже не была просмотрѣна имъ“ (см. тамъ же).

Это говоритъ сынъ Вахтауга и говоритъ не о всей лѣтописи (Картлисъ Цховреба), но части ея, заключающей въ себѣ исторію Грузіи съ 1301 г. по конецъ XVІІ и начало XVІІІ в.**).

Нашъ же авторъ этого Вахтауга называетъ авторомъ лѣтописей Грузіи—Картл. Цховреба!

Изъ этого видно, что г. доцентъ или не читалъ всего вышеприведеннаго о лѣтописяхъ Грузіи, или же читалъ, но на мѣрвенно умалчиваетъ о нихъ.

Затѣмъ г. Гренъ знакомитъ своихъ читателей съ географіей Грузіи и утверждаетъ, что

„Дѣленіе Грузіи на эриставсва (Маргвиси, Кахети, Хунани, Самшвилде, Цуна, Одэрхе, Кларджети, Эгриси, Шидакартли) еще при Фарваозѣ (302—237) не можетъ принадлежать эпохѣ равѣ Давида Возобновителя (1089—1125), ибо Маргвиси (квирильскій и кутапскій уѣзды) и Эгриси (Миягрелія), судя по источникамъ византійскимъ, входили не въ составъ грузинскаго царства, но лавистанскаго.

„Въ древнѣйшія же времена, судя по географіи Хоренскаго, Грузія дѣлилась по ущельямъ, какъ и теперь дѣлятся горныя грузины“ и пр. и пр.

И тутъ нашъ авторъ обнаруживаетъ полное незнакомство съ существующимъ матеріаломъ относительно затронутого вопроса.

Во-первыхъ, труды Хоренскаго (Исторія Арменіи и Географія Арменіи) не суть произведенія V вѣка, какъ думали до сихъ поръ, по творенія никакъ не равѣ VI вѣка (Гутшмидъ), а по армянскому Карьеру—даже VII вѣка ***). Географію Хоренскаго Сень-Мартенъ относитъ къ X вѣку ****

*) Ео мы ужъ напили и пожерты. груз. общ. грамотности.

**) Вахушти закончилъ свою „Исторію Грузіи“ 20-го окт. 1745 г.

***) См. *Nouvelles sources de Moise de Khoren. Etudes critiques par A. Carrière, prof. à l'école des langues orientales vivantes. vienne, 1893.* О томъ же у Г. Халатянца. Армянскій эпосъ въ Исторіи Арменіи М. Хоренскаго. Москва, 1896.

****) См. *Mémoires sur l'Arménie*, р. II, предисловіе.

Бромъ того. существуютъ грузинскіе манускрипты IX, X, XI вв., въ которыхъ ясно указываются и границы Грузіи, и провинціи, на которыя она подраздѣлялась. Такъ, въ Хроникахъ Берая *) (X в.) и Сумбата (XI в.) указываются Картли, Кахети, Герети, Гардабани, Кизикл, Тушети, Пхоэти, Мтіули, Эрпо-Тіанегн, Самцхе, Джавахети, Тао, Кларжети и пр. въ первой изъ этихъ хроникъ границами перваго мцхетскаго царя Грузіи, Азо, современника Александра Македонскаго, названы: съ востока Герети, съ запада—Эгрисъ-цкали (Ингуръ), съ юга—Сомхети (Арменія) и гора Проли. Тамъ же, въ завѣщаніи царя Миріана († 342 г.), сыну его сказано, чтобы послѣдній извелъ плодонъ со всего Кавказа **. Тамъ же въ числѣ эриставовъ Картліи названъ Персе, который въ Житіи св. Або († 786 г.) названъ княземъ Картліи, сыномъ Адарнасе Куратналата и Эристава ***). Въ той же хроникѣ Берая отмѣчено, что архіепископъ мцхетскій Глонокоръ въ то же время былъ и эриставомъ Картліи и Геретии.

О дѣленіи Грузіи на ущелья говорятъ и гуджаръ XI вѣка, гдѣ сказано: „... Я (Багратъ IV) созвалъ при дворѣ нашемъ преосвященныхъ, эриставъ-эриставовъ, эриставовъ, снѣдущихъ въ дѣлахъ суда азнауровъ *всѣхъ ущелий* верхней и нижней страны“...

